

კოტე
საქართველოს კვების საქალაქო კომიტეტის და
გორის რაიონის საკლასო საბჭოს ორგანო
— орган Горьковского городского комитета КП Грузии и
районного совета депутатов трудящихся
№ 245 (5078) კვირა, 18 დეკემბერი 1982 წ. ფასი 2 კაპ.

ქართული
საოკალოების-პროლეტარის
თიბათი № 6, 1991 წ.

რეზურვლი
ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся

ლომა
გორის ლეიტანტობის და ხალხის კავშირის ყოფილთაგანთა გაზეთი № 2, 2009 წელი

ქედუის
სოამსე
გაზეთი, გაზეთის 1919 წლისაგ
№ 83 (8897) ფასი 3 კაპ.
ქედუის საოკალოების-პროლეტარის გაზეთი

ЗАРЯ ВОСТОКА
საღისი გაზეთი - საღისი საგასხარო!
საღისი

ბამარჯვება
საქართველოს კვების რაიონული და საკლასო კომიტეტების, შრომელთა დელეგატების
გორის რაიონის და საკლასო საბჭოს აღმასკომის ორგანო
— ГАМАРДЖВЕБА — орган Горьковского районного и городского комитетов
КП Грузии и райисполкома и горсовета депутатов трудящихся.
№ 88 (8410) შაბათი, 8 ივნისი, 1987 წ. ფასი 3 კაპ.

ლომჭაბუბი
თბილისის რაიონის
თბილისი
ლომჭაბუბი
თბილისური გაზეთი, № 1, 2001 წლის 8 იანვარი, ორშაბათი

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 10 (1058) 1991 წელი, ფასი 3 კაპ.

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 1 (1058) 1991 წელი, ფასი 3 კაპ.

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 88 (8787) შაბათი 8 კაპ.

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 43 (4077) ფასი 3 კაპ.

გაზეთის
გაზეთის

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 44-45 (400-401) 17 - 30 დეკემბერი, 2004 წ. ფასი 30 კაპ.

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 4-5 (60-61) შაბათი, 8 ივნისი, 1987 წ. ფასი 3 კაპ.

ქართული
საქართველოს კომუნისტური პარტიის დანახუთის რაიკომისა
და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო
— орган Илчхუთენого
КОМУНИСТИური ШРОМА — орган райсовета депутатов трудящихся
№ 10, 1990 წ. ფასი 3 კაპ.

ЗАРЯ ВОСТОКА
საღისი გაზეთი - საღისი საგასხარო!
№ 10, 1990 წ. ფასი 3 კაპ.

დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.


თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე ლაბორანტიდან სწავლულ მდივანამდე, ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატო მონოპოლიტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხსამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული აქვს წიგნები: „ბედისწერა“ (რომანი), „ლეგენდები“ (ლექსები), „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია), „ბოლო ვაგონის ლექსები“, „მხიარული რითმები“, „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები), „სსოვნის წიგნი“ (სამ ნაწილად), „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (ლექსები), „კიბის 75 საფეხური“, „ალმასა“ (მოთხრობები, ნოველები), „აჯაფსანდალი“, „მინიატურების ალლუმი“, „ტელეპათიური თავგადასავლები“, „იგავ-არაკები“, „მტევნის ნაჟური“ (ლექსები), „აბა გამოიცანი?“ (გამოცანები).

რედაქტორი
დიზაინერი

დარეჯან ჭანკოტაძე
შალვა მურადაშვილი



გორი

საქართველოს კვ გორის საქალაქო კომიტეტისა და
 შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო
 «ГОРИ» — орган Горийского городского комитета КП Грузии и
 горсовета депутатов трудящихся

№ 245 (5078) | კვირა, 16 დეკემბერი, 1962 წ. | ზანი 2 პაპ.

დასთესე თესლი კეთილი, შესარგო მამულისაო...

საქართველო

გორის
 პრეპეტურის
 გაზეთი

საბურთაბო, 28 მაისი, № 62 (8021) 1991 წელს, ზანი 6 პაპ.

საუკეთესო ღვინისათვის

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო ღვინის წარმოების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მთელ მსოფლიოში. ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი და მიღებული ღვინის რაოდენობაც. ცხადია, თანამედროვე ღვინის ქარხნები აღჭურვილი უნდა იყოს უახლესი მანქანა-მოწყობილობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გადიდებული მოსავლის დროულ და ხარისხიან გადამუშავებას. ჯერ კიდევ ბევრ ქარხანაში ღვინის მიღება (ტკბილის დუღილის პროცესი) მიმდინარეობს წვეტილი მეთოდით. დუღილი წარმოებს რამდენიმე ასეულ ჰურჭელში. წვენი დუღილის დროს გადააქვთ ერთი რეზერვუარიდან მეორეში, შემდეგ მესამეში და ა. შ., რაც დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან. ეს კერძოდ, მოითხოვს ბევრ მუშა-ხელს, დიდი რაოდენობის ჰურჭელს, იწვევს ტკბილის დანაკარგებს და სხვა. მეცნიერებმა დაიწყეს მუშაობა ყურძნის წვენის გადამუშავებისათვის უწყვეტი ნაკადური მანქანებისა და მოწყობილობების შესაქმნელად. ერთ-ერთ ასეთ მოწყობილობას წარმოადგენს დ. გიაშვილის სისტემის უწყვეტი ხაზი.

ათი დიდი ჰურჭელი (ჩანი), რომელთა მოცულობა შეადგენს 8000-9000 ლიტრს, შეერთებულია ერთმანეთთან შუშის მილებით, ისე რომ ერთი ჩანის ავსების შემდეგ ყურძნის წვენი გადადის მეორეში და ა.შ. ყურძნის წვენის მიწოდება უწყვეტი ხაზის პირველ ჩანში ხდება შეუჩერებლივ. ყურძნის წვენის გადამუშავების დაწყებამდე მეორე და მესამე ჩანებში შეაქვთ ხელოვნური საფუარები, რომლებიც ხელს უწყობენ დუღილის პროცესის მიმდინარეობას.

ღვინის მიღებას უწყვეტი ხაზის გამოყენებით სჭირდება ხუთი დღე-ღამე დღიდან ყურძნის წვენის მიწოდებისა პირველ ჩანში. ყურძნის წვენის გადასვლა ერთი ჩანიდან მეორეში (დუღილის დროს) მცირდება მისი შაქრიანობა და მეხუთე დღეს უკვე მათე ჩანში მიიღება ღვინო, რომელშიც შაქრის შემადგენლობა უდრის თითქმის ნულს.

აღსანიშნავია, რომ დუღილის პროცესში ყურძნის წვენის ტემ-

პერატურა ზოგიერთ ჩანში (მე-4-5-6-7) აღწევს 35-36 გრადუსს ცელსიუსით, რაც ტექნიკური თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. დაბალი ტემპერატურა წვენის დუღილის დროს საწინდარია მაღალხარისხოვანი ღვინისა.

1962 წელს ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს, დაამონტაჟეს და გამოსცადეს წინანდლის ღვინის ქარხანაში ტემპერატურის რეგულირების ავტომატური სისტემა დ. გიაშვილის სისტემის უწყვეტ ხაზში. ამოცანა მდგომარეობდა ტემპერატურის რეგულირებაში 1-ლ და მე-4 ჩანებში (18 და 25 გრადუსის შესაბამისად). გამოყენებულ იქნა სპეციალური თბოგამცველები, 12-წერტილიანი ბოგირი, ელექტრომაგნიტური სარქველები, ტუმბოები, ელექტროკონტაქტორი და წინააღმდეგობების თერმომეტრები და სხვ.

სისტემის გამოცდამ გვიჩვენა, რომ ტემპერატურის რეგულირება ერთი გრადუსის სიზუსტით სავსებით საკმარისია რეჟიმის ნორმალურად წარმართვისათვის. ავტომატური რეგულირების სისტემამ დააკმაყოფილა ყველა წაყენებული მოთხოვნა. სისტემის გამოცდამ გვიჩვენა აგრეთვე, რომ საჭიროა ტემპერატურის რეგულირება მე-5-6 და მე-7 ჩანებშიც. მოსალოდნელია, რომ სამუშაოები ღვინის უწყვეტი დუღილის ხაზის ავტომატიზაციისათვის გაგრძელდეს მომავალ წელსაც.

№245 (5073), კვირა, 16 დეკემბერი, 1962 წ.

ეძიებენ გორელი მკვლევარები

ჩაის წარმოებაში, ისეთი პროცესებისათვის, როგორც არის ფიქსაცია, ღნობა, ხმობა და სხვ., დღეისათვის ფართო გამოყენება აქვს ცხელ ჰაერს. ჰაერის გაცხელება ხდება ე. წ. მილისებრ კალორიფერებში. ამ კალორიფერებს აქვთ თავიანთი დუმილები, რომლებშიც საწვავად ხმარობენ სხვადასხვა მარკის მაზუთს.

მაზუთი საკმაოდ ძნელად ასანთები საწვავია, ამიტომ ცეცხლფარეშები ტექნოლოგიური პროცესის დაწყებამდე 1-2 საათით

ადრე იწყებენ ღუმელის გახურებას, რათა შემდგომი წვა ნორმალურად წარიმართოს.

ჩვენმა ინსტიტუტმა წარსულ წელს ჩაატარა სამუშაოები სითბური პროცესების ავტომატიზაციისათვის. ახლა კი გადაწყვეტილი გვაქვს ეს სამუშაოები შევაგსოთ კიდევ ერთი უბნის ავტომატიზაციით. დარჩენილია ღუმელის ავტომატური ანთება (ცეცხლფარეშების გარეშე).

ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო ტარდება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. მაგრამ მათი უმრავლესობა ემსახურება გაზის ღუმელებს. რაც შეეხება თხევად საწვავებს (კერძოდ მაზუთს). ამ მხრივ შედარებით ნაკლები სამუშაოებია ჩატარებული.

არსებობს გაზობრივი, ისევე როგორც თხევადი საწვავის, ანთების ორი ხერხი: 1. საწვავის უშუალო ანთება, 2. ძირითადი საწვავის ანთება დამხმარე ალის საშუალებით.

ვინაიდან მაზუთის უშუალო ანთება გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული, ამიტომ გადავწყვიტეთ ჩაის წარმოებაში (მილისებრი კალორიფერების ღუმელში) გამოგვეყენებინა მეორე მეთოდი, მცირე შესწორებით. საერთოდ, დამხმარე ალის შესაქმნელად იყენებენ ადვილად აალებად საწვავებს, როგორცაა ბენზინი, ნავთი, გაზი და სხვ. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, დამხმარე ალი შექმნათ თვით მაზუთისაგან. ეს შემდეგნაირად კეთდება:

მაზუთის წვრილი ჭავლი, გარკვეული წნევის ქვეშ, გადის სპეციალურ ჭურჭელში, სადაც იგი მაღალი ტემპერატურის გავლენით იწყებს დუღილს. გამოიყოფა ორთქლი, რომელიც სპეციალური მილგაყვანილობით შედის ღუმელში. ამ ორთქლის ასანთებად საკმარისია პატარა ნაპერწკალი, რის მოვალეობასაც ჩვენთან ასრულებს გავარვარებული სპირალი. ორთქლი აღდება და ღუმელში ჩნდება ცეცხლი. იწყება ღუმელის გახურება, რის შემდეგაც გაიშვება ძირითადი საწვავი, რაც აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესისათვის. ძირითადი საწვავის (მაზუთის) ხარჯი ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმის დროს შეადგენს საშუალოდ 60-70 ლიტრს საათში, ცხადია ასეთი ხარჯით მა-

ზუთის ერთბაშად ანთება ძნელია, ამიტომ ხდება მისი მიწოდება თანდათანობით, წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით. სანამ ხარჯი მიაღწევდეს 60-70 ლიტრს საათში, ღუმელი უკვე საკმარისად იქნება გახურებული და შესაბამისი მანქანაც მზად იქნება სამუშაოდ.

შესაძლოა, მუშაობის დროს ღუმელში ჩაქრეს ალი (სხვადასხვა მიზეზების გამო) და მაზუთი, რომელიც უწყვეტად მოედინება, აღარ დაიწვას (ამას შეიძლება მოჰყვეს ღუმელის აფეთქება). ეს შემთხვევაც გათვალისწინებულია. როგორც კი ალი ჩაქრება ღუმელში, სპეციალური მოწყობილობა იძლევა შესაბამის სიგნალს და მაზუთის მიწოდება შეწყდება. ერთდროულად ჩაირთვება დამხმარე ალის მოწყობილობა, რომელიც რამდენიმე წამში შექმნის ღუმელში ალს და ნარმალური მუშაობაც აღდგენილ იქნება. ყველაფერი ეს მოხდება ავტომატურად, ადამიანის ჩარევის გარეშე.

სამუშაოები აღნიშნული მიმართულებით დამთავრების სტადიაშია. შედეგები ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელია.

მიმდინარე წელს ღუმელის ავტომატური ანთებისა და მართვის სისტემა გაივლის საწარმოო გამოცდას. ამ სიახლის დანერგვის შემდეგ ქვეყანა მიიღებს 40.000 მანეთამდე წლიურ ეკონომიას.

№95 (5176, პარასკევი, 17 მაისი, 1963 წ.

სიახლე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგას გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის მრეწველობის ავტომატიზაციის განყოფილებაც (ხელმძღვანელი ი. მარკევიჩი). განყოფილების თანამშრომლებმა ივალდებულეს დროულად და ხარისხიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. განყოფილებაში მუშავდება შვიდი თემა, რომელთაგან ხუთი 10 დეკემბრისთვის იყო დამთავრებული.

განვიხილოთ ეს თემები და მათი მნიშვნელობა თანმიმდევრულად.

1. „ანთებისა და წვის პროცესების ავტომატიზაცია კალორიფერების ლუმელში“ (ხელმძღვანელი ვ. ჭანკოტაძე). ეს სამუშაო წარმოადგენს დამამთავრებელ ეტაპს იმ დიდი წამოწყებისა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩაის მრეწველობაში სითბური პროცესების კომპლექსურ ავტომატიზაციას. ჩვენი ინსტიტუტი სითბური პროცესების კომპლექსურ ავტომატიზაციას შეუდგა 1957 წლიდან და დღეისათვის უკვე დაამთავრა.

ანთებისა და წვის პროცესების ავტომატიზაცია დაიწყო 1962 წლის იანვარში. შესწავლილ იქნა სამამულო წარმოების ყველა ხელსაწყო-დანადგარი, გარჩეულია მრავალი ვარიანტი და ბოლოს შეეჩერდით მასუთის უშუალოდ ანთებაზე (არსებობს დამხმარე საწვავით ანთების მეთოდებიც) ნიხრომის სპირალზე მაღალი ძაბვის მიწოდების საშუალებით. სპირალი მოთავსებულია საწვავის გამფრქვევის ქვეშ. წვეთები გავარვარებულ სპირალზე დაცემისას აღდება და აქედან იწყება ლუმელის გახურებაც.

აღნიშნული სამუშაო დამთავრდა ტექნიკური პროექტით, 1963 წელს კი მოხდება ამ მოწყობილობის დანერგვა ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში. წინასწარი გამოანგარიშებით აღნიშნული სიახლის დანერგვა იძლევა 80 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას.

2. „საროლერო საამქროს ელექტროამძრავების პროგრამული მართვა“ (ხელმძღვანელი ა. მამაგვიშვილი). ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს ჩაის წარმოებაში წარმოადგენს ჩაის გრეხა, რომელიც მიმდინარეობს საროლერო საამქროებში. თანამედროვე ჩაის ფაბრიკები აღჭურვილია უახლესი კონსტრუქციის საგრეხი მანქანებით (როლერებით), დამხარისხებელი და მოღობილი ან ფიქსირებული ჩაის გადასატან-ჩასაყრელი (ტელფერები) მოწყობილობებით.

ამ თემის მიხედვით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების დამუშავება: როლერებისა და მახარისხებელი მანქანების ავტომატური გაშვება; ტელფერების მოძრაობის პროგრამული მართვა; აუცილებლობის შემთხვევაში ხელით მართვის

უზრუნველყოფა პულტიდან.

ყველა ზემოდჩამოთვლილი სამუშაო შესრულებულია. საუწყებათაშორისო გამოცდის დროს სისტემა მუშაობდა ნორმალურად, აკმაყოფილებდა მისთვის წაყენებულ მოთხოვნას. მიძღები კომისიის მიერ შემოტანილ იქნა რამდენიმე წინადადება სისტემის სრულყოფის მიზნით. ეს წინადადებანი განხორციელდება 1963 წელს. წინასწარი გამოანგარიშების საფუძველზე წლიური ეკონომია ამ სამუშაოს დანერგვით ყველა ჩაის ფაბრიკაში შეადგენს 124 ათას მანეთს.

3. „გრეხის პროცესების ავტომატური კონტროლის ხელსაწყო“ (ხელმძღვანელი ა. ბაღდასაროვა). ჩაის ფოთლის გრეხის პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ჩაის წარმოებაში. გრეხის დროს ჩაის ფოთოლი განიცდის დიდ დეფორმაციას, რომლის დროსაც იშლება უჯრედები და გამოიყოფა უჯრედოვანი წვენი. რაც მეტი წვენი გამოიყოფა ფოთლის ზედაპირზე, მით მეტია ჩაის ექსტრაქტი. გრეხის დროს მოღობილ ჩაის ფოთოლს ეძლევა დაგრეხილი ღერის ფორმა, რაც ასევე აუცილებელია მზა პროდუქციისათვის. გრეხის პროცესის დამთავრების განსაზღვრის მეთოდები დღევანდლამდე ძალიან პრიმიტიულია. ლაბორატორიული მეთოდებით ხდება დაშლილი უჯრედების რაოდენობის განსაზღვრა, რაც ძალიან დიდ დროს მოითხოვს, თავისთავად არც წარმოადგენს ობიექტურ მეთოდს. ბუნებრივია, დაისვა საკითხი რაიმე ობიექტური კონტროლის შექმნის შესახებ. სამუშაოები აღნიშნული თემის ირგვლივ სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის გრეხის დროს ადგილი აქვს გარკვეული რაოდენობით სითბოს გამოყოფას. სწორედ ეს ფაქტი დაუდეს საფუძვლად განყოფილების თანამშრომლებმა მომავალ ხელსაწყოს, რომელიც გრეხის პროცესის დროს უწყვეტად გაუწევს კონტროლს გრეხის სითბოს მაჩვენებლებს და პროცესის დამთავრებას გვამცნობს შესაბამის სიგნალით.

4. „სუნის განსაზღვრის ობიექტური მეთოდის შექმნის პრობლემა“ (ხელმძღვანელი ი. მარკვიჩი).

1962 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი: არსებული საინფორმაციო მასალების შეკრება და სისტემატიზაცია სუნის პრობლემის ირგვლივ; შესაძლო ძირითადი მიმართულებების შემუშავება სუნის პრობლემის დამუშავებისა და გადაწყვეტის საკითხში.

აღნიშნული საკითხები დამუშავებულია და მიცემული აქვს დამთავრებული სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამუშაომ მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი შეფასება. მოსალოდნელია, რომ დასმული პრობლემების დამუშავება მომავალში გაიშლება უფრო ფართო მასშტაბით.

5. „შავი ბაიხაო ჩაის ფერმენტაციის პროცესის ავტომატური კონტროლი“ (ხელმძღვანელი ი. მარკვეიჩი).

ისევე როგორც ჩაის გრენის დროს, ფერმენტაციის დროსაც ადვილი აქვს სითბოს გამოყოფას. განყოფილების თანამშრომლები ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ სითბოს მაქსიმალური გამოყოფის წერტილი შეესაბამება ფერმენტაციის პროცესის დამთავრებას, და ეს ფაქტი გამოიყენეს ფერმენტაციის პროცესის საკონტროლოდ. ამ პრინციპზე შექმნილმა ხელსაწყომ გაიარა საუწყებათაშორისო გამოცდა და მიიღო მაღალი შეფასება.

გასული წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი შესწავლილია და სამუშაოები ამ თემის ირგვლივ დამთავრებული.

6. „ავტომატიზაციისა და კონტროლის სამუშაოების ძირითად ტექნიკურ მოთხოვნილებათა დამუშავება ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე“.

7. „ჩაის ძირითადი სპექტრალური მახასიათებლების შესწავლა მისი გადამუშავების სხვადასხვა პროცესში“.

ეს უკანასკნელი ორი თემა დამთავრების სტადიაშია. განყოფილების თანამშრომლები არ დაზოგავენ ძალებს გეგმის ვადაზე და ხარისხიანად შესრულებისათვის.

№4 (5087), შაბათი, 5 იანვარი, 1963 წ.

ჩაისა და თამბაქოს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განხორციელებისათვის ბრძოლაში

მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის — „ნიიაავტომატპრომის“ ერთ-ერთი წამყვანი განყოფილებაა ჩაისა და თამბაქოს წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციის განყოფილება (ხელმძღვანელი ი. მარკვეიჩი).

განყოფილების თანამშრომლებს გარკვეული წვლილი შეაქვთ საწარმოო პროცესების (ჩაისა და თამბაქოს წარმოება) ავტომატიზაციის დარგში. ამჟამად განყოფილებაში მუშავდება რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1. „შავი ბაიხაო ჩაის წარმოების სითბური პროცესების ავტომატური რეგულირება“ (ხელმძღვანელი ვ. ჭანკოტაძე).

შავი ბაიხაო ჩაის წარმოებაში ძირითადი უბანია ნედლი ფოთლის ღნობის პროცესი. ღნობის შედეგად ფოთოლი რბილდება და ადვილად იგრიხება. ხმობის შემდეგ კი ჩაის დაგრეხილი ფოთლის ტენიანობა დაახლოებით 3-4 პროცენტია და წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს, რის შემდეგაც ჩაი ხარისხდება და გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ გადაეცემა სარეალიზაციოდ.

ღნობა და ხმობა ხორციელდება ცხელი ჰაერის საშუალებით. უკანასკნელ დრომდე ცხელი ჰაერის ტემპერატურის რეგულირება ხელით ხდება, რაც ხშირად იწვევს ტემპერატურული რეჟიმების დარღვევას.

ზემოაღნიშნული განყოფილების თანამშრომლებმა სწორედ ამ მიმართულებით გაშალეს მუშაობა და შექმნეს ღნობისა და ხმობის სითბური პროცესების ავტომატური რეგულირების სისტემები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში. უახლოეს მომავალში რესპუბლიკის ყველა ჩაის ფაბრიკა გადავა სითბური პროცესების ავტომატურ რეგულირებასა და მართვაზე.

მიმდინარე წელს ავტომატური რეგულირების სისტემებმა გაიარეს საუწყებო-საშინაო გამოცდა და რეკომენდირებულ იქნენ მასიური დანერგვისათვის ჩაის მრეწველობაში. ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვანი საშუალებები ჩაატარეს ა. რატიშვილმა, ნ. ლაცაბიძემ, ვ. მეცხვარიშვილმა და სხვებმა.

2. „ჩაის ფაბრიკების კომპლექსური ავტომატიზაციის ძირითად მეცნიერულ მიმართულებათა შემუშავება“ (ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. აშიანი).

როგორც თვით თემის დასახელებიდან ჩანს, საჭიროა, შედგენილ იქნეს ჩაის ფაბრიკის კომპლექსური ავტომატიზაციის პრინციპული სქემები, რომლებიც გაითვალისწინებენ თანამედროვე უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგიურ მანქანებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს. ფაქტია, რომ ჩაის ფაბრიკებში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი უბნები, რომლებიც არა თუ ავტომატიზირებული, არამედ მექანიზირებულიც არ არის (ნედლეულის მიღება-აწონვა, დაგრეხილი ჩაის გატანა საფერმენტაციო საამქროში, სახმობი მანქანების დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვა).

აღნიშნული თემის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ შეიქმნას ნაკადური ხაზები და განხორციელდეს მათი კომპლექსური ავტომატიზაცია.

ასევე ნაკადური ხაზების შექმნა დიდ ეფექტს გამოიწვევს სახალხო მეურნეობაში. „ნედლეულიდან – მზა ჩაიმდე, ადამიანის ჩაურევლად“ – ასეთი იქნება საბოლოო შედეგი. ჩაის და თამბაქოს განყოფილების თანამშრომლებს გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლოსთვის გაამზადონ ჩაის ფაბრიკების კომპლექსური ავტომატიზაციის პრინციპული სქემები. თემის ხელმძღვანელებთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით გ. კრიხელი.

3. „ფერმენტაციის პროცესის კონტროლის ავტომატიზაცია შავი ბაიხაო ჩაის წარმოების დროს“ (ხელმძღვანელი ნ. ნოზაძე).

ფერმენტაცია ითვლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პროცესად ჩაის წარმოებაში. ფერმენტაციის პროცესი იწყება უჯრედების დაშლისა და ფოთლის ზედაპირზე წვენი გამოყოფის

მომენტიდან. ფერმენტაციის პროცესში ხდება მზა ჩაის ისეთი ძირითადი თვისებების ჩამოყალიბება, როგორცაა არომატი, გემო, ფერი და სხვ. ახალგაზრდა ინჟინრების მიერ შემუშავებულ იქნა ფერმენტაციის პროცესის ავტომატური კონტროლის სქემა. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: ფერმენტაციის დროს დაგრეხილი ჩაი გამოყოფს სითბოს. დადგენილი იქნა, რომ მაქსიმალური სითბოს გამოყოფის მომენტს შეესაბამება ფერმენტაციის დამთავრების მომენტი. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შექმნილი ხელსაწყო ავტომატურ ზედამხედველობას უწევს ფერმენტაციის პროცესს და მისი დამთავრებისას იძლევა სიგნალს, რის შემდეგაც ფერმენტირებული ჩაი მიაქვთ სახმობად. აღსანიშნავია, რომ გადაფერმენტირება ან ფერმენტაციის დაუმთავრებლობა იწვევს ჩაის ხარისხის საგრძნობ გაუარესებას.

წელს ჩატარდა მეთოდისა და ხელსაწყო საწარმოო გამოცდა, რამაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. სსენებული ხელსაწყო ჩაერთვება შავი ჩაის წარმოების ავტომატიზირებულ ნაკადურ ხაზში.

4. „პარამეტრის შერჩევა ჩაის გრეხვის პროცესის კონტროლისათვის“ (ხელმძღვანელი ა. ბაღდასაროვა).

დღეისათვის ჩაის ფაბრიკები მომარაგებული არიან რამდენიმე სახის საგრეხი მანქანებით. ამას გარდა დღითიდღე მდიდრდება ჩაის ფაბრიკები სულ ახალი კონსტრუქციის საგრეხი მანქანებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის გრეხვის ხარისხის კონტროლს. დღემდე არ არსებობს ავტომატიზაციისათვის გამოსადეგი გრეხვის ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრი. ასეთი პარამეტრის მოძებნის მიზნით საშუალებები ჩატარდა რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის მნიშვნელოვანია ორი: ჩაის გრეხვის დროს გამოყოფილი ტემპერატურა და ჩაის ზედაპირიდან ინფრაწითელი სხივების არეკვლის ინტენსივობა. პირველი მიმართულებით არადაამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა მიღებული ბათუმის ჩაის ფაბრიკაში. რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ის უფრო პერსპექტიულია და დამაკმაყოფილებელი, ოღონდ კიდევ ხანგრძლივ ცდებს და დაკვირვებას მოითხოვს.

5. „თამბაქოს წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციის ძირითად მიმართულებათა მეცნიერული დამუშავება“ (ხელმძღვანელები ვ. დადიანიძე, ა. გასიტაშვილი).

უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს წარმოების საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დონე საგრძნობლად ჩამორჩება სხვა წარმოებათა ავტომატიზაციის თანამედროვე ტექნიკურ დონეს. განსაკუთრებით ჩამორჩენილია საფერმენტაციო ქარხნები, სადაც ტექნოლოგიური და სხვა საერთო საქარხნო საშუალებები ძირითადად ხელით ტარდება. ფერმენტაცია, ისევე როგორც ჩაის წარმოებაში, აქაც წარმოადგენს ძირითად ტექნოლოგიურ პროცესს. მაღალხარისხოვან თამბაქოს უნდა გააჩნდეს საუკეთესო გემო, არომატი, სიმაგრე და სხვ.

თამბაქოს წარმოებაში შეხვდებით ინჟ. ბაბენკოვის მიერ შექმნილ მანქანა-ავტომატს, რომელიც მართავს და არეგულირებს ფერმენტაციის პროცესს. მაგრამ ამ მანქანასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები: ხშირად საჭიროებს კორექტირებას (აღამიანის ჩარევას). თანაც იმის გამო, რომ კონდიციონერებში არ ხდება ჰაერის ავტომატური მომზადება, ბაბენკოვის მანქანა ხშირად გამოდის მწყობრიდან.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან თამბაქოს ფაბრიკები, სადაც ძირითადი მექანიკური პროცესები ავტომატიზებულია (გილზეების დამზადება, მათი თამბაქოთი დატენვა და სხვ.).

ამჟამად ჩაისა და თამბაქოს განყოფილებაში შესწავლილია თამბაქოს წარმოების თანამედროვე დონე და მიმდინარეობს კომპლექსური ავტომატიზაციის პრინციპულ-პერსპექტიული სქემების შდგენა. საშუალებები ჩაბარებული იქნება 1962 წლის ბოლოს.

6. „პაპიროსისა და სიგარეტის წუნდების ავტომატიზაცია ნაკადურ ხაზში“ (ხელმძღვანელი გ. აკოფაშვილი).

ამ თემაზე მუშაობა განყოფილებამ სულ რამდენიმე დღეა რაც დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ჯერ არ არსებობს რაიმე ობიექტური მეთოდი დეფექტური პაპიროსებისა და სიგარეტების შერჩევისათვის ნაკადურ ხაზში. ამ თემის პერსპექტივა ასეთია: 1962 წლის დამლევისათვის დამზადებული უნდა იქნეს წუნდებული პაპირო-

სისა და სიგარეტის გამომრჩევი ხელსაწყო მანქანი, რომელიც გაივლის ლაბორატორიულ და საწარმოო გამოცდებს. ამ ამოცანის გადასაჭრელად განყოფილებაში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა.

ზემოჩამოთვლილი თემების დამუშავების პარალელურად ჩვენი ინსტიტუტის ჩაისა და თამბაქოს წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვა განყოფილებების თემების შესრულებაში.

№239 (4789), კვირა, 3 დეკემბერი, 1961 წ.

ინსტიტუტი პრობლემების წინაშე

გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1956 წელს ჩამოყალიბდა. იგი მოწოდებული იყო პირველ რიგში და ძირითადად მომსახურებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას, კერძოდ, კი ჩვენს რესპუბლიკაში პრივილეგირებულ და პოპულარულ ისეთ ქვედარგებს, როგორცაა მსუბუქი, ჩაის, ღვინის, თამბაქოს და საკონსერვო მრეწველობები.

პირველი ათი წლის განმავლობაში ჩვენმა ინსტიტუტმა წარმატებებს მიაღწია, ამავე პერიოდში განისაზღვრა და განმტკიცდა ინსტიტუტის პერსპექტიული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები, გამოიკვეთა სპეციალიზაცია.

შემდეგ თანდათან გაფართოვდა მისი მოღვაწეობის სფერო, ინსტიტუტის საქმიანობის გეოგრაფიულ-ტერიტორიული არე.

სამუშაოების მომრავლებამ, რაღა თქმა უნდა, გამოიწვია კვლევითი ინსტიტუტის ყოველწლიური თემატიკის მოცულობითი ზრდა, რასაც თან ახლდა კოლექტივის რიცხოვნების ზრდაც და თუ შეიძლება ითქვას, გორის კვლევითი ინსტიტუტი 80-იანი წლების დასაწყისს მიუახლოვდა, როგორც სრულად ჩამოყალიბებული სამეცნიერო – ორგანიზაცია სამეცნიერო დაქვემდებარების მკვეთრად გამოკვეთილი სტატუსით.

კვლევითი ინსტიტუტის ბოლო პერიოდი ხასიათდება გარკვეული არითმულით, არასტაბილურობით და მეტნაკლებად ფინანსური სიძნელებითაც.

სამეცნიერო თუ საწარმოო გაერთიანებათა ჩამოყალიბების სახელმწიფო პოლიტიკამ გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ნაწილობრივ დააკარგვინა დამოუკიდებლობა. ინსტიტუტი ხან ერთ გაერთიანებაში შეიყვანეს, ხან მეორეში. მერე ისევ ცალკე გამოყვეს, მალე ისევ გაერთიანებაში შეიყვანეს და ასე შემდეგ.

აღნიშნულს დაემატა ინსტიტუტის ხელმძღვანელის ხშირი და მეტად მტკივნეული ცვლის პროცესი, რამაც გამოიწვია ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, შეაფერხა სპეციალიზაციის შემდგომი დახვეწა და განვითარება. დამკვეთი ორგანიზაციების გამრავალფეროვნებამ შეასუსტა ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობები.

ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად კვლევითმა ინსტიტუტმა მაინც დაიმკვიდრა სათაო საკავშირო ორგანიზაციის საპატიო ადგილი ისეთ დარგში, როგორცაა ინფრაწითელი ტენზომომების დამუშავება და დანერგვა. ხელსწყოები დღეისათვის გამოიყენება სახალხო მეურნეობის ბევრ საწარმოში და თავისი ტექნიკური მონაცემებით არაფრით ჩამოუვარდება საზღვარგარეთულ ანალოგიურ ხელსაწყოებს.

80-იანი წლებისათვის დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ე. წ. ცენტრმა ხელში ჩაიგდო სამეცნიერო ორგანიზაციათა სამუშაოების დაფინანსების საკითხი; თითქმის მთლიანად ამოვარდა კვლევითი ინსტიტუტის თემატიკიდან საქართველოსთვის მეტად საჭირო სამუშაოთა ნუსხა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები მოექცნენ ე. წ. ცენტრის მიერ საკვლევ-სამეცნიერო სამუშაოთა დაფინანსების „ცენტრალიზებული“ პოლიტიკის გავლენის ქვეშ, ადვილი გასაგებია თუ როგორი სიძნელების წინაშე დადგა კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის კოლექტივი

იძულებული გახდა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი და ძალისხმევა წარემართა სხვა მიმართულებით, კერძოდ, არსებობის შენარჩუნებისათვის ცნობილი პრინციპების შესაბამისად დაიწყო სამუშაოთა „ძებნა“ რესპუბლიკის გარეთ, უშუალოდ წარმოებებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებით (ცენტრის გვერდის ავლით) და თუ თავდაპირველი სტრატეგიული გეგმის მიხედვით ინსტიტუტი ძირითადად უნდა მომსახურებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებს, ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა არასახარბიელო სიტუაცია. ინსტიტუტის სამუშაოთა წლიურ გეგმებში თითქმის 70 პროცენტი ისეთი სამუშაოები ფიგურირებს, რომლებიც რესპუბლიკის გარედან დამკვეთების ინტერესებს გამოხატავს.

კვლევითი ინსტიტუტის მოღვაწეობის შემდგომი სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების გზაზე ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გადაიქცა სოციალური საკითხიც, როცა ცხოვრება გაძვირდა, როცა დამკვიდრდა და მომძლავრდა ე. წ. უშრომელი შემოსავლის ფენომენი, უკანა პლანზე გადაინაცვლა პროფესიონალიზმისადმი პატივისცემამ და გაუფერულდა მეცნიერებისადმი დამოკიდებულება. გაძნელდა მეცნიერი მუშაკის მცირე ხელფასით ცხოვრება. საკავშირო და რესპუბლიკურმა ორგანოებმა დროულად არ მიაქციეს სათანადო ყურადღება მეცნიერების დარგებში მომუშავე სპეციალისტების სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემებს, გაბატონდა პრაქტიციზმი. ყოველივე ამას ზედ დაერთო საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებათა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა (ნახტომისებურად, ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი ან გარდამავალი პერიოდის გარეშე), რამაც საერთოდ და კერძოდ გორის კვლევით ინსტიტუტში გამოიწვია კადრების განთესვა. დიახ, სწორედ განთესვა და არა დენადობა, რადგან ინსტიტუტიდან კადრების წასვლასთან გვაქვს საქმე და თანაც ისეთი კადრებისა, რომელთაც საკმაო სამეცნიერო პოტენციალი და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ წავიდნენ, თუ შეიძლება ითქვას, უკეთესი ცხოვრების საძებნელად. უკანასკნელ

ხანს ძნელი ამოცანების წინაშე დადგა კვლევითი ინსტიტუტი. სამუშაოთა უქონლობის გამო მიმდინარე წლის თემატური გეგმა ჯერ მთლიანად არ არის დაკომპლექტებული, რამდენიმე თვეა ადმინისტრაციას უჭირს ხელფასების გაცემა, კოლექტივი მიატოვა დირექტორმა, თანდათან ყალიბდება გაურკვევლობისა და უიმედობის ატმოსფერო. ინსტიტუტი ითხოვს დახმარებას, ინსტიტუტი ითხოვს შევლას.

უახლოესი წარსულის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გორის ხელმძღვანელი ორგანოები და პარტიული ფუნქციონერები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული კვლევითი ინსტიტუტის ცხოვრებით და მოღვაწეობით. 3-4 წელიწადში ერთხელ (ისიც იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ვერ იყო კარგად, ან თუ რაიმე საჩივარი მივიღოდა იქ, „ზემოთ“) მოვიდოდნენ, შეამოწმებდნენ, ჩამოარიგებდნენ საყვედურებს და „სახელმძღვანელო მითითებებს“ და წავიდოდნენ, რათა ისევ მოსულიყვნენ 3-4 წლის შემდეგ იგივე მისიით. უპირატესობას კვლევით ინსტიტუტს მაშინ ანიჭებდნენ მხოლოდ, როცა ქალაქში საჭირო იყო ისეთ ღონისძიებებზე დასწრება, რომლებსაც სათოფეზეც კი არავინ ეკარებოდა.

სწორედ კომპლექსური მექანიზაცია და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციაა ის მძლავრი ტექნიკური საშუალება, რომელიც ნებისმიერ წარმოებას გამოიყვანს მძიმე ეკონომიკური და ტექნიკური მდგომარეობიდან.

და მართლაც, პარადოქსულია ის გარემოება, თუ როგორ შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ავტომატიზაციის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხი, როცა ასეთი მძიმე მდგომარეობაა ჩვენს საწარმოებში.

სწორედ ახლა, როცა ე. წ. ცენტრის მხრიდან დახმარების ილუზიები აღარ უნდა გვქონდეს, როცა საფუძველი ეყრება სრულიად საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, საჭიროა კიდევ უფრო მეტად დავინტერესდეთ წარმოების ავტომატიზაციის პრობლემებით იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, საწარმოების ტექნიკური ღონის

თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ამალღებისათვის, მაქსიმალური მოგების მიღებისათვის.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ შევახსენებ, თუ რა სახის სამუშაოების შესრულებას ემსახურება კვლევითი ინსტიტუტი, რის დამუშავება და დანერგვა შეუძლია პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე (საუბარია ექსპრესულ საშუალებებზე):

ავტომატური მაკონტროლებელი ხელსაწყოები ისეთი პარამეტრებისათვის, როგორებიცაა: ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, სიმჟავე, შაქრიანობა, სპირტიანობა, მშრალი ნივთიერებები, ცხიმოვანობა, ცილების შემცველობა, გამჭვირვალობა, სიმკვრივე, კონცენტრაცია და სხვა;

ინფრაწითელი უკონტაქტო ტენზომომები სხვადასხვა მასალის, ნედლეულის თუ პროდუქციისათვის;

ფხვიერი მასალებისა და პროდუქტების ნაკადში აწონვის, აღრიცხვისა და ტრანსპორტირების სისტემები;

თბური პროცესების ავტომატური მართვის სისტემები;

ავტომატიზებული სამაზუთო მეურნეობა და მრავალი სხვა; თავის სამუშაოებში კვლევითი ინსტიტუტი იყენებს მაღალი საიმედოობის მქონე თანამედროვე მიკროელექტრონული და მიკროპროცესორული ტექნიკის ელემენტურ ბაზას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ამავე საგაზეთო წერილით კვლევითი ინსტიტუტის პრობლემებისადმი მივიქციო ყურადღება იმ კვალიფიციური სპეციალისტებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზების გამო წავიდნენ (ან აიძულეს წასულიყვნენ) ინსტიტუტიდან.

თუ მათ გაუჩნდებათ სურვილი, თუ შეაწუხებთ ნაღდი პატრიოტიზმი და თუ მოეძალებათ ნოსტალგია – მათთვის ყოველთვის ღია იქნება ინსტიტუტის კოლექტივის გულის კარი, რადგან საქართველოს ახლა სჭირდება ძალების გაერთიანება და თანადგომა.

1991, 23 მაისი

„ოქროს კვერცხისმდებელი ქათამი“

ასე უწოდებენ დასავლეთში სააქციო საზოგადოებებს, ჩვენში კი სულ ერთი წელი იქნება, რაც დაიწყო კანონიერი ბიზნესის ლაბორინთებში გარკვევა და გათვითცნობიერება.

და მაინც, რა არის სააქციო საზოგადოება?

ეს არის წარმოებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც თავიანთი თავისუფალი ფულადი სახსრების, ქონებისა და პირადი დანახოვების თავმოყრით საფუძველს უყრიან რაიმე ახალი საქმის წამოწყებას. სააქციო საზოგადოება მრავალნაირია.

ქვემოთ ვისაუბრებთ ქ. გორში ახლახან ფუნდამენტულ სააქციო საზოგადოებაზე სახელწოდებით „სვია“, რომელიც მოწოდებული იქნება აწარმოოს და მიაწოდოს მომხმარებელს ლუდი, ფუტკრის ნატურალური თაფლი და იკისროს შუამდგომლის როლი ურთიერთგაცვლისა და კავშირებისა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ფირმებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სააქციო საზოგადოება „სვია“ ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობენ ე. წ. დამფუძნებლები: გორის რძის ქარხანა, ბინსოცბანკის გორის განყოფილება, შავშვების, ტინისხიდის, ბერბუკის საზოგადოებრივი მეურნეობები და მოქალაქეთა ჯგუფი – ვ. ჭანკოტაძე, გ. ნოზაძე, ე. პაპიძე, თ. სარიშვილი, ჯ. ალავერდაშვილი, გ. პაპიძე, დ. ნადირაშვილი, დ. ჭანკოტაძე, გ. შერმადინი, ბ. ბინიაშვილი, ი. ქობროწაშვილი, ნ. მაისურაძე, ი. ვარძიგულოვა, რ. ჭანკოტაძე, ო. გიორგაშვილი, ზ. რეხვიაშვილი, გ. გამეზარდაშვილი, ი. ქაშაკაშვილი, ო. გოგტიჭიანი, ნ. თათრიშვილი, ზ. კედელაძე, ზ. არჩვაძე, ა. კედელაძე, გ. დედაბრიშვილი, თ. ხშიადაშვილი, რ. მიხანაშვილი, მ. გოგრიჭიანი და ვ. კედელაძე.

სააქციო საზოგადოება „სვია“ გაყიდის, საწესდებო ფონდით გათვალისწინებული, 2 მილიონი საერთო ღირებულების აქციებს და მიღებული თანხით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროდუქციის გამოშვებას და რეალიზაციას. აქციის მინიმალური ნომინალური ღირებულება იქნება ათასი მანეთი. აქციების შექმნა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, წარმოება-დაწესებულებას, ცალკეულ მოქალაქეს ნებისმიერი ოდენობით საწესდებო ფონდის ფარგლებში;

ამასთან დამფუძნებელთა კონფერენციის ჩატარებამდე (აქციებზე ხელმოწერის დამთავრების შემდეგ) აქციების შექმნის მსურველებმა უნდა შეიტანონ საზოგადოების ანგარიშზე არანაკლებ 30 პროცენტისა, შესაძენი აქციების საერთო ღირებულებიდან.

დამფუძნებელთა კონფერენციის ჩატარების შემდეგ აქციონერებზე გაიცემა აქციები დანარჩენი 70 პროცენტის გადახდის უზრუნველყოფით.

რას გვადლევს აქცია, ან როგორ ვისარგებლოთ აქციების მფლობელებმა?

სააქციო საზოგადოება „სვია“ ერთწლიანი სამეურნეო შედეგები, კერძოდ, წმინდა მოგების შესახებ მონაცემები, ქვეყნდება პრესაში და ოფიციალურ სტატისტიკურ ფორმებში. აქციების მფლობელს შეუძლია მიიღოს საზოგადოების მოგებიდან საკუთარი დივიდენდი მის მფლობელობაში არსებული აქციების საერთო ღირებულების პროპორციულად, საწესდებო ფონდსა და საზოგადოების წმინდა მოგებასთან შეფარდებით. მაგალითად, თუ მოქალაქეს შექმნილი აქვს საწესდებო ფონდის 20 პროცენტის ოდენობის ღირებულების აქციები, იგი ყოველწლიურად, დიახ ყოველწლიურად მიიღებს მოგების 20 პროცენტს.

სააქციო საზოგადოებას გააჩნია თავისი წესდება, რომელიც ითვალისწინებს (სხვა მრავალ საკითხთან ერთად) საზოგადოებაში უშუალოდ მომუშავეებზე გარკვეულ პრივილეგიებს, კერძოდ ჩვეულებრივ დივიდენდზე დანამატს 10-20 პროცენტის ფარგლებში. აქციების შექმნა შეუძლიათ მოქალაქეთა გაერთიანებულ ჯგუფებსაც, ერთი ნდობით აღჭურვილი პირის გამოყოფით.

აქციების შექმნა შეიძლება საზოგადოებაზე ნატურალური ქონების გადაცემითაც, ან მიქირავებით საზოგადოების გამგეობის მიერ ამ ქონების შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით.

ბოლოს გამოთქვამ იმედს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს არ დასჭირდება ფართო და ხმაურიანი რეკლამა და გორის რეგიონის ორგანიზაციები, ისევე, როგორც რეგიონში მაცხოვრებელი მოქალაქეები გამოიჩინენ ბიზნესის ნიჭს და უნარს და თავიანთი თავისუფალი ფულადი სახსრებით შეიძენენ სააქციო საზოგადოება „სვიას“ აქციებს – „ოქროს კვერცხის მდებელი ქათამს“.

1991 წ. 18 აპრილი

სააქციონერო საზოგადოების ავ-კარგი

რა შეიძლება გააჩნდეს „ავი“ სააქციონერო საზოგადოებას? თითქმის არაფერი. ერთადერთი, რაც შეიძლება აუციონერს აწუხებდეს ის არის, რომ შეიძლება საზოგადოება გაკოტრდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში აქციის მფლობელი არაფერს კარგავს – იგი, როცა უნდა მაშინ მიიღებს უკან აქციების ნომინალურ ღირებულებას. საზოგადოება უძრავ-მოძრავი ქონებით აგებს პასუხს აქციონერის წინაშე. ეს გარანტირებულია სააქციონერო საზოგადოების წესდებით და შესაბამისი კანონმდებლობით.

„კარგი“ კი საკმაოზე მეტი გააჩნია ნებისმიერ სააქციონერო საზოგადოებას. ასე რომ არ იყოს, მაშინ როგორ მოახერხა „გახრწნილმა“ კაპიტალისტურმა სამყარომ ეკონომიკის არნახული აყვავება თუ არა კოლექტიური საკუთრების ისეთი ფორმის ფართო გამოყენებით, როგორც სააქციონერო საზოგადოებები და საკუთრების კიდევ სხვა ფორმებით (ოღონდ არა სოციალისტური).

ნებისმიერი აქციონერი ორგანიზაცია თუ მოქალაქე ასრულებს თავის კუთვნილ სამუშაოს, შეუმჩნევლად გავა ერთი წელი, მივლენ შემდეგ ბანკში და მიიღებენ კუთვნილ მოგებას (დივიდენდს). შესაძლებელია დივიდენდის მიღება ყოველ კვარტალშიც. რა უნდა იყოს ამაზე კარგი და ხელსაყრელი? მხოლოდ ერთი „სადარდებელი“ აქვს აქციონერს – ის თუ რამდენი იქნება დივიდენდი. ადრეც ვწერდი („გორი“ 1991წ. 18 აპრილი), რომ სააქციონერო საზოგადოება – ეს არის „ოქროსკვერცხის მღებელი ქათამი“ და ეს მართლაც ასეა.

წინამდებარე წერილის დაწერა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ. სამ თვეზე მეტია გამოცხადდა ხელმოწერა სააქციონერო საზოგადოების „სვია“-ს აქციებზე და არ იგრძნობა სასურველი დაინტერესება არც ორგანიზაციების და არც მოქალაქეების მხრიდან.

ვფიქრობ, რომ აქციებზე ხელმოწერის კომპანიაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს უარყოფით გავლენას.

ჩემი აზრით ძირითადი ის არის, რომ კოლექტიური საკუთრების

ასეთი ფორმა შედარებით ახალია და საზოგადოება ბოლომდის არ არის გათვითცნობიერებული სააქციონერო საზოგადოების არსში, არ იცის მისი ფუნქციონირების ნიუანსები, ცუდად აქვს წარმოდგენილი ფულის დაბანდებისა და დივიდენდების ოდენობისა და მიღების საკითხები. ამასთან, დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში წარმოება-დაწესებულების დიდი ნაწილი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია და რომ იტყვიან არ სცალიათ აქციებისათვის. მაგრამ სწორედ აქ არის „დამარხული ძაღლის თავი“. მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სწორედ რომ აქციების მფლობელობაა. ფაქტიურად მოგება შეგიძლიათ მიიღოთ და ისიც სისტემატურად ყოველგვარი დამატებითი გარჯის გარეშე, „სხვის ხარჯზე“ – სააქციონერო საზოგადოების სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების მიხედვით. ეს მოგება (დივიდენდი), კი წარმოება-დაწესებულებებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი წარმოების განვითარებისათვის, პირობების გაუმჯობესებისათვის, მატერიალური დახმარებისთვის, პრემიებისათვის, ხელფასზე დანამატებისათვის და ასე შემდეგ, როგორც გამოიყენება საკუთარი წარმოების მოგება (რაც შეეხება მოქალაქეებს, მათ ნუ ვასწავლით და ნუ ვუკარნახებთ, თუ როგორ გამოიყენონ ყოველწლიური დივიდენდი. აქედან გამომდინარე გორის პრეფექტურაც დაინტერესებულია იმით, რომ „სვია“-ს აქციების ძირითადი ნაწილი შეიძინონ გორის რაიონის ორგანიზაცია – დაწესებულებებმა, რათა დივიდენდის ნაწილი ისევ გორის რეგიონის შემდგომ კეთილდღეობას მოხმარდეს (წარმოებების განვითარება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტის აღდგენა-შენიშნულობა და ა. შ.).

„სვიას“ აქციების ხელმოწერის კომპანიაზე უარყოფითად მოქმედებს (ძირითადი მოქალაქეების) გარკვეული შიში იმის მიმართ, თუ რა იქნება „ხვალ“?

მინდა დავარწმუნო ისინი, ვინც „შიშობს, თუ რა იქნება ხვალ“ – რომ რანაირი ეკონომიკური თუ ფინანსური რეფორმებიც არ უნდა გატარდეს, აქციონერი ყოველთვის მიიღებს უკან აქციების ნომინალურ ღირებულებას და მიიღებს მაშინ, როცა მოესურვება. მაგრამ

საკითხავია მოესურვება კი? საკმარისია სააქციონერო საზოგადოება ამუშავდეს, განაწილდეს პირველი დივიდენდი და აქციების ფასმა შეიძლება ბირჟაზე ორმაგ და სამმაგ ღირებულებას მიაღწიოს.

როგორც ადრე ვიტყვობინებოდით, სააქციონერო საზოგადოება „სვია“ მოწოდებულია აწარმოოს მაღალხარისხოვანი ლუდი რაც არასდროს ყოფილა წამგებიანი პროდუქცია (მით უმეტეს დღეს, როცა გორის რეგიონში ლუდის შიმშილობაა), რომ აღარაფერი ვთქვათ ფუტკრის თაფლზე და შხამზე.



აღვნიშნავ ერთ გარემოებასაც. „სვია“-ს აქციების შექმნის მსურველი ზოგიერთი ორგანიზაცია ნებართვის აღებას ცდილობს „ზემოთ“ იქიდან კი თავის შეკავებისაკენ „მოუწოდებენ“. ჩემი აზრით ღრთა მოვწყდეთ წარსულს. ყოველი ორგანიზაცია თუ წარმოება-დაწესებულება თუ საზოგადოება თვითონ უნდა განაგებდეს თავის ეკონომიკას და ფინანსებს და შეძლოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მით უმეტეს, რომ სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ დებულება მკაცრად კრძალავს ყოველგვარ არაობიექტურ შეზღუდვებს ე. წ. ზემდგომი ორგანოების მხრიდან, პირიქით მოუწოდებს ყოველნაირი ხელშეწყობისაკენ. ამის შესახებ საუბარი იყო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი სესიის სხდომაზე ბატონ აბსნადის მოხსენებაშიც.

ერთხელ კიდევ განემარტავ, რომ სააქციონერო საზოგადოება (კერძოდ „სვია“) ეს არის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა თავისუფალი (უძრავი) ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი გაერთიანება საერთო მნიშვნელოვანი საქმისთვის.

მოვუწოდებ ცალკეულ მოქალაქეებს და ორგანიზაციებს, ღრმად ჩაიხედონ სააქციონერო საზოგადოება „სვია“-ს „ავ-კარგაინობაში“, მიიღონ გადაწყვეტილება უძრავი ფულადი სახსრების უკეთ გამოყენების მიზნით და ნუ დაკარგავენ მატერიალური კეთილდღეობის ამალგების კანონიერ შანსს, რასაც აქციის მფლობელობა იძლევა.

შევახსენებ მკითხველს, რომ „სვიას“ ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 500 მანეთია, დივიდენდი 20-25 პროცენტი.

იჩქარეთ, შეიძინეთ „სვია“-ს აქციები. მიმდინარე თვის ბოლოდან აქციები გაიყიდება ფასდანამატით.



მეცნიერება – წარმოებას

ათი წელია, რაც „ნიავეტომატპრომი“ ამუშავებს და ნერგავს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სისტემებს და ხელსაწყოებს საფეიქრო და კვების მრეწველობისთვის. ამ მიმართულებით ინსტიტუტს მოპოვებული აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები. საჭიროა აღინიშნოს, რომ „ნიავეტომატპრომის“ სამუშაოები იძლევიან საგრძნობ ეკონომიურ ეფექტს. ყველა დანერგილი სამუშაო საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ შრომისნაყოფიერება და ავამაღლოთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. საშუალო გამოსყიდვის დრო „ნიავეტომატპრომის“ მიერ დაამუშავებულ ავტომატიზირებულ სისტემებისა შეადგენს 1,3 წელს, რაც ძალიან კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს მონაცემი ერთ წელზე ნაკლებია ნახევარზე მეტი სამუშაოებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გამოსყიდვის დროის ნორმატული მონაცემი არის 4 წელი, მაშინ ცხადი გახდება, რომ „ნიავეტომატპრომის“ სამუშაოები, რომლებიც დანერგილია და ინერგება ამაჟამად, მიეკუთვნებიან მაღალეკონომიურ ეფექტიანობის მქონე სამუშაოთა რიცხვს.

1. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ავტომატიზაციის განყოფილებაში (უფროსი ნ. რაზიკაშვილი) დაამუშავეს და წარმოებაში დანერგეს ავტომატიზირებული სისტემებისა და ცალკეული ხელსაწყოების დიდი რაოდენობა, რომელთა შორის განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა შემდეგი სამუშაოები: „მექანიკურ ორჩხოველებში ღებვის პროცესის ავტომატიზაცია“ (დანერგილია 10 სისტემა თბილისის ძაფსაქსოვ ფაბრიკაში), „საღებავ მანქანებში (ფიგურები) ღებვის პროცესის ავტომატური რეგულირება“ (დანერგილია 1 სისტემა თბილისის აბრეშუმის ძაფსაქსოვ ფაბრიკაში), „საღებავ აპარატებში ბოჭკოების ღებვის პროცესის ავტომატიზაცია (თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის მაგალითზე)“ დანერგილია 1 სისტემა. „ყაჭსახვევ ავტომატებში თბური

პროცესების ავტომატიზაცია“, (დანერგილია 23 სისტემა). „შალის დართვის უწყვეტი ნაკადური ხაზის ავტომატური მართვა“, (დანერგილია 2 სისტემა მოსკოვის ალექსეევის სახელობის ფაბრიკაში). „მოსამზადებელი – საჩეჩი საამქროს საცდელ უწყვეტ ნაკადური ხაზის ავტომატური მართვა“ (დანერგილია 6 სისტემა ქ. გორკის თეჩის ფაბრიკაში). „გამომყვანი საამქროს აგრეგატების სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემა ბამბეულის ქსოვილების შეღებვისას“. (ქ. გორი, ბამბეულის კომბინატი 1 სისტემა).

მიმდინარე ხუთწლიდის ბოლოსთვის დანერგილი იქნება საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში კიდევ ორმოცამდე ავტომატიზირებული სისტემა. ერთად აღებული ამ სამუშაოების ეკონომიური ეფექტიანობა 1966-1970 ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დანერგვის გეგმით შეადგენს 700 ათასამდე მანეთს, სახალხო მეურნეობის მასშტაბით კი (2.326 სისტემა) 18 მილიონ მანეთს.

2. ჩაის წარმოების ავტომატიზაცია

ჩაისა და თამბაქოს წარმოების ავტომატიზაციის განყოფილებაში, რომელიც სულ 6 წელია ჩამოყალიბდა, უკვე მოასწრო გარკვეული სამუშაოების ჩატარება ჩაისა და თამბაქოს ფაბრიკებში საწარმოო პროცესების ავტომატური კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოების და სისტემების შექმნის მიზნით.

განყოფილების თანამშრომლებმა (განყოფილების უფროსი ე. იასამანოვი) დაამუშავეს და დანერგეს ჩაის მრეწველობაში შემდეგი სამუშაოები: „შავი ბაიხოს ჩაის წარმოების თბური პროცესების ავტომატიზაცია“ (ლენჩხუთის ჩაის ფაბრიკა). „საკოფეინო მასალის პირველადი თბური დამუშავების ავტომატური რეგულირება“ (ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკა), „ჩაის გრეხის პროცესის ავტომატური კონტროლის ხელსაწყო“ (ბათუმის ჩაის ფაბრიკა), „ჩაის ფერმენტაციის ავტომატური კონტროლის მრავალწერტილიანი ხელსაწყო“ (ბათუმის ჩაის ფაბრიკა), – „სამაზუთო მეურნეობის ტიპური ავტომატიზირებული სადგური“ (ლანჩხ-

უთის ჩაის ფაბრიკა).

დანერგვით სულ 10 ხელსაწყო და ავტომატური სისტემა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 210 ერთეულის დანერგვა ჩაის მრეწველობაში; ამ სამუშაოთა ეკონომიური ეფექტიანობა შეადგენს 220 ათას მანეთს, ხოლო სახალხო მეურნეობის მასშტაბით რამდენიმე მილიონ მანეთს.

3. ღვინის მრეწველობა

ამ განყოფილების (განყოფილების უფროსი ნ. ლაცაბიძე) მიერ დანერგულ სამუშაოთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: „მამპანიზაციის უწყვეტი ხაზის ავტომატიზაცია“ (თბილისის მამპანურის ქარხანა), „გიაშვილის კონსტრუქციის ყურძნის წვენის დუღილის უწყვეტი ხაზის საწარმოო დანადგარის ავტომატიზაცია“ (მუკუზანის ღვინის ქარხანა), „ყურძნის საშუალო სინჯის სტაციონალური სინჯამლები“ (11 მოწყობილობა), „დუღილის პროცესის ავტომატური კონტროლი და რეგულირება“ (ატენის ღვინის ქარხანა), „დონის ინდუქციური სიგნალიზატორი“ (20 ხელსაწყო), „გაზებისა და სითხეების წნევის გასაზომი მრავალწერტილიანი ხელსაწყო“ (ტენზოელემენტებით).

დანერგვით ავტომატური კონტროლისა და რეგულირების 35 ერთეული. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1734 ერთეულის დანერგვა, რაც გვაძლევს 5 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიურ ეფექტს, ხოლო სახალხო მეურნეობის მასშტაბით – 22 მილიონ მანეთს.

4. შაქრის, თამბაქოს და საკონსერვო წარმოება

დანერგვით 23 ერთეული ავტომატიზირებული სისტემებისა და ხელსაწყოებისა, მათ შორის: „ტემპერატურული მიმწოდებლის უკონტაქტო სისტემა“ (ტოვარკოვის შაქრის ქარხანა), „შაქრის ქარხნების გარე სატუმბი მოწყობილობის ტელეავტომატიზაცია“, „საწარმოო მაცივრებში ტემპერატურული რეჟიმების ავტომატური რეგულირება“, „პაპიროსის ნაკადური ხაზის წუნდები ავტომატური ხელსაწყო“, „სიგარეტის სიმკვრივის სიგ-

ნალიზატორი“ და სხვა.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 127 ერთეულის დანერგვა, რაც იძლევა 1 მილიონამდე მანეთის ეკონომიურ ეფექტს, ხოლო სახალხო მეურნეობის მასშტაბით – 6 მილიონ მანეთს.

5. სხვადასხვა სამუშაოები

„მერქანის ხმობის პროცესის ავტომატური რეგულირება – სახმობ მანქანებში“, „მინერალური წყლების წარმოების რეჟიმების ავტომატური კონტროლი „ბორჯომის“ მაგალითზე“, „შემთხვევითი პროცესების გენერატორი: გსპ-114“, „შემთხვევითი პროცესების გენერატორი გსპ-214“, „სათლელი მანქანის ავტომატიზაცია“.

დანერგვით 42 ერთეული. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კიდევ 80-მდე ერთეულის დანერგვა, რაც იძლევა 360 ათასამდე მანეთის ეკონომიურ ეფექტს, ხოლო სახალხო მეურნეობის მასშტაბით – 70 მილიონამდე მანეთს.

მხელა ჩამოითვალოს ყველა ის სამუშაო, რომლებიც წარმოებს „ნიავტომატპროში“.

წელს განსაკუთრებული ენთუზიაზმით მიმდინარეობს საკვლევი-სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოები ახალი ავტომატიზირებული სისტემებისა და სპეციალურ ხელსაწყოთა შექმნისათვის.

კოლექტივს აღებული აქვს ვალდებულებანი ოქტომბრის საიუბილეოდ ვადაზე ადრე დაამთავროს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო, რითაც იგი გარკვეულ წვლილს შეიტანს სახალხო მეურნეობის კომპლექსური ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის უახლოეს მოწყობილობებით აღჭურვის და წარმოებათა ეკონომიური ეფექტიანობის გაზრდის დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში.

ქართული ჩაის საუკეთესო ხარისხისათვის

უკვე რამდენიმე წელია, რაც გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს ჩაის მრეწველობის კომპლექსური ავტომატიზაციის დარგში. დღეისთვის მიღწეულია გარკვეული წარმატებები.

ჩაის მრეწველობა მომხმარებელს აწვდის მრავალი სახის პროდუქციას, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შავ და მწვანე ჩაის. იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი მიყვანილ იქნას სარეალიზაციოდ გამოსადეგ მზა პროდუქციამდე, საჭიროა მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების გავლა. ასეთებია: ღნობა, ფიქსაცია, ხმობა, გრეხვა, ფერმენტაცია, დახარისხება.

აი, სწორედ ამ პროცესთა ავტომატიზაციასა და გაუმჯობესებას ემსახურება ყველა ის სამუშაო, რაც „ნიავტომატპრომის“ ჩაისა და თამბაქოს ავტომატიზაციის განყოფილებაში არის ჩატარებული და რომლებიც ორ დიდ ჯგუფად შეიძლება გავყოთ:

თბური პროცესების ავტომატიზაცია და ბიოქიმიური პროცესების ავტომატური კონტროლი.

შავი ბაიხაო ჩაის ღნობის პროცესი ეს არის პირველი ტექნოლოგიური რეჟიმი, მიმდებ პუნქტზე ჩაის ფოთლის ხარისხიანობის განსაზღვრის შემდეგ.

ჩაის ღნობა ფაბრიკებში მიმდინარეობს კონვეიერული ტიპის უწყვეტი ქმედების მანქანებში. ფოთლიდან ზედმეტი ტენის აორთქლება და მისი მოღწობა ხდება გარკვეული ტემპერატურის მქონე ჰაერის საშუალებით. ჰაერის ტემპერატურაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მოღწობილი ჩაის ფოთოლში ნარჩენი ტენის რაოდენობა, რომელიც ტექნოლოგიის მიხედვით მკაცრად განსაზღვრულ სიდიდეს წარმოადგენს. იმის გამო, რომ მწვანე ჩაის ფოთოლს საწყისი ტენიანობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა, ცხადია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურული რეჟიმის დაცვას საღნობ მანქანებში.

სწორედ ტემპერატურული რეჟიმის ავტომატიზაციას შეეხება ერთ-ერთი ჩვენი სამუშაო.

ავტომატიზირებული სისტემა უკვე დამონტაჟებულია ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში და მიმდინარე სეზონში იწარმოებს მისი ხანგრძლივი საწარმოო ექსპლოატაცია. სეზონის დასასრულს აღნიშნული სისტემა გაივლის საუწყებათაშორისო გამოცდას, მისი ფართოდ დანერგვის მიზნით.

ჩაის ხმობა ხდება უწყვეტი ქმედების საშრობ კამერებში მაღალი (100-105 გრადუსამდე) ტემპერატურის მქონე ჰაერის ნაკადის საშუალებით.

დღემდე ჩაის ფაბრიკებში გავრცელებულია, როგორც ღნობის, ისე ხმობის ხელით მართვის მეთოდი, რასაც ხშირად მივყავართ ნორმების უხეშ დარღვევამდე, საწვავის არაეკონომიურ ხარჯვამდე, პროდუქციის ხარისხის გაუარესებამდე და სხვა.

ჩვენი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ავტომატიზირებული სისტემა ხელს უწყობს ტემპერატურული რეჟიმების ზუსტ დაცვას და საგრძნობლად აუმჯობესებს ხმობის პროცესის ხარისხს.

აღნიშნული სისტემის საცდელი ეგზემპლარი დანერგილია ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში და უკვე სამი წელია მუდმივ ექსპლოატაციაშია. მიმდინარე სეზონში აღნიშნული სისტემა გაივლის სახელმწიფო გამოცდას ჩაის მრეწველობაში ფართოდ დანერგვის მიზნით.

ავტომატიზაციის ანალოგიური სისტემებია შემუშავებული და დანერგილი ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში მწვანე ბაიხაო ჩაის ფიქსაციისა და ხმობის თბური პროცესებისათვის.

თბური პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის გზაზე ერთ-ერთი რთული უბანია ღუმელების ავტომატური ანთება და შემდგომში ალის კონტროლი. საქმე იმაშია, რომ ხშირად სხვადასხვა მიზეზების გამო ღუმელში ქრება ალი, ამ დროს საწვავის აალება არ ხდება და მოსალოდნელია ღუმელის აფეთქება.

ღუმელში ალის კონტროლის მიზანია, რომ დროზე აღდგეს წონასწორობა და არ იქნას დაშვებული ღუმელში აფეთქებადი გაზების დაგროვება.

ჩვენი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ღუმელის ანთებისა და ალის კონტროლის ავტომატიზირებული სისტემა გამოცდას გადის იქვე, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში.

ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ და დანერგილ იქნა ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში საწვავის მეურნეობის ავტომატიზირებული სადგური, რომელიც უზრუნველყოფს მაზუთის მიწოდებას გარკვეული წნევის ქვეშ, რაც აუცილებელია თბური პროცესების ავტომატიზირებული სისტემების ნორმალური მუშაობისათვის და გარდა ამისა ხდება საწვავის ცენტრალიზებული გათბობა.

ეს სისტემა უკვე 1962 წლიდან შეუფერხებლად მუშაობს აღნიშნულ ჩაის ფაბრიკაში, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მანქანა-დანადგარების საწვავით მომარაგების საკითხი, ხელი შეუწყო საწვავის ეკონომიას, წარმოების კულტურის ზრდას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.

ამჟამად მიმდინარეობს ამ სისტემების ტიპური პროექტის დამუშავება, რაც საწინდარია უახლოეს დროში მისი დანერგვისა ჩაის ყველა ფაბრიკაში. აღნიშნული ავტომატიზირებული სისტემების დანერგვით სახალხო მეურნეობის მასშტაბით სახელმწიფო მიიღებს ყოველწლიურად 3 მილიონ მანეთამდე მოგებას.

ერთ-ერთი საპასუხისმგებლო რგოლი ჩაის გადამამუშავებაში ეს არის მისი გრეხვის პროცესი. გრეხვა წარმოებს ე. წ. როლერებში. ჩაის ფოთლის გრეხვა აუცილებელია იმისათვის, რომ დაიჭყლიტოს უჯრედები და წვენი ზედაპირზე გამოსვლის საშუალება მიეცეს. გარდა ამისა გრეხვის შედეგად ჩაის ეძლევა მზა პროდუქციის დამახასიათებელი ფორმა. ზედაპირზე გამოსული წვენი განიცდის ჰაერისა და ფერმენტების ზემოქმედებას, რაც ხელს უწყობს ფოთლებში ფერმენტაციის პროცესის დაწყებას. გრეხვის პროცესის ნორმალურად წარმართვის მაჩვენებელია დაშლილი უჯრედების რაოდენობა, რომელიც ტექნოლოგიით არის გათვალისწინებული და გარკვეულ პროცენტულ რაოდენობას შეადგენს. მისი განსაზღვრა ხდება ლაბორატორიული მეთოდებით, რაც დიდ დროსა და შრომის დახარჯვას მოითხოვს.

მიმდინარე სეზონში ბათუმის ჩაის ფაბრიკაში საუწყებათაშორისო გამოცდას გადის კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად აფიქსირებს გრეხვის პროცესის დამთავრებას და იძლევა შესაბამის სიგნალს. გრეხვის პროცე-

სის ავტომატური კონტროლის ხელსაწყო დანერგვა ხელს შეუწყობს გრეხვის გაუმჯობესებას და გაათავისუფლებს მომსახურე პერსონალს ლაბორატორიული ანალიზების აუცილებლობისაგან. აღნიშნული ხელსაწყო იაფია. მისი დანერგვით სახალხო მეურნეობა წლიურად მიიღებს 50 ათას მანეთზე მეტ მოგებას.

შავი ბაიხაო ჩაის ფერმენტაციის პროცესი ითვლება უაღრესად მნიშვნელოვან მომენტად, ამიტომაც, რომ ჩაის ფაბრიკებში დიდი ყურადღება ეთმობა მის ნორმალურად წარმართვას.

ფერმენტაციის დროს ჩაის ფოთოლში მიმდინარეობს რთული ქიმიური გარდაქმნები, რის შედეგადაც ფოთოლი კარგავს მწვანე ფერს და იძენს მოწითალოს. გარდა ამისა ფერმენტაციის შედეგად ჩაის ფოთოლი იძენს განსაკუთრებულ არომატს. ფერმენტაციის დროს ფოთოლი განიცდის ყველა იმ ცვლილებას, რის შედეგადაც ყალიბდება ჩაის ხარისხი, მისი ნაყენი, გემო და არომატი.

ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმენტაციის პროცესის ნორმალურად წარმართვას, რეჟიმის სწორ შერჩევას და მის სისტემატურ კონტროლს.

დღევანდელ პირობებში ჩაის ფაბრიკებში ფერმენტაციის პროცესის კონტროლი ხდება ლაბორატორიული მეთოდით, სინჯების აღებით და მისი ანალიზით, რაც მოითხოვს დიდ დროს და რთულ შრომას. მოგრეხილი ჩაის ფოთლის ფერმენტაცია მიმდინარეობს სპეციალურ შენობაში, ხის ყუთებში.

ჩვენი ინსტიტუტის მიერ შეიქმნა ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად უწევდა კონტროლს ფერმენტაციის პროცესს ერთ რომელიმე ყუთში. ამჟამად დამუშავებულია და ბათუმის ჩაის ფაბრიკაში საწარმოო გამოცდას გაივლის ფერმენტაციის პროცესის დამთავრების ავტომატური კონტროლის მრავალწერტილიანი ხელსაწყო. ხსენებული ხელსაწყო დანერგვა ჩაის ფაბრიკებში საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩაის ხარისხის ამაღლებას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებისა, ჩაისა და თამბაქოს ავტომატიზაციის განყოფილებაში მიმდინარეობს მუშაობა ბევრი საინტერესო პრობლემისა და საკითხის გადაწყვეტისათვის.

№86 (5275), სამშაბათი, 19 ივლისი, 1966 წ.

კიდევ ერთი წარმატება

მრეწველობის ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ხელსაწყო (ჩაის გრეხის პროცესის დამთავრების ავტომატიზირებული სიგნალიზატორი), წარდგენილი იქნა საუწყებათაშორისო გამოცდაზე მიმდინარე წლის აგვისტოში გამოცდა სახელმწიფო კომისიამ ჩაატარა ბათუმის ჩაის ფაბრიკაში. გამოცდებმა გამოავლინეს აღნიშნული ხელსაწყო ფრიადმნიშვნელოვანი თვისებები და კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მისი ფართოდ დანერგვისათვის ჩაის მრეწველობაში.

რას წარმოადგენს ჩაის გრეხის პროცესი და რა ფუნქციებს ასრულებს „ნიიაავტომატპრომის“ ჩაისა და თამბაქოს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განყოფილების მიერ დამუშავებული ხელსაწყო?

შავი ბაიხაო ჩაის წარმოებაში ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხია გრეხის პროცესი. გრეხის დროს ჩაის ფოთოლში მიმდინარეობს მთელი რიგი ბიოქიმიური პროცესები და გარდა ამისა მზა პროდუქციისათვის დამახასიათებელი გარეგნული ფორმა ჩაის გრეხის დროს ეძლევა. ჩაის ფოთლის გრეხა მიმდინარეობს 45 წუთის განმავლობაში ეგრედწოდებულ როლერებში. გრეხა დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც მოჭყლეტილ უჯრედთა რაოდენობა მოგრეხილ ჩაის ფოთოლში შეადგენს 78-80 პროცენტს. მოჭყლეტილ უჯრედთა რაოდენობის განსაზღვრის არსებული ლაბორატორიული მეთოდი მეტად შრომატევადია და დიდ დროსაც მოითხოვს. ჩაის წარმოებაზე მზარდმა მოთხოვნილებამ მეცნიერების წინაშე დააყენა ამოცანა – შეექმნათ ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად, ადამიანის ჩარევის გარეშე, განსაზღვრავდა გრეხის პროცესის დამთავრებას. და აი, ასეთი ხელსაწყო უკვე შექმნილია.

ხელსაწყოს მოქმედების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ჩაის გრეხის დროს ადგილი აქვს სითბოს გამოყოფას, მასის

გათბობას, ეს გამოწვეულია ერთის მხრივ იმით, რომ გრეხის დროს ადგილი აქვს შინაგანი და გარეგანი ხახუნის ძალის მოქმედებას და გარდა ამისა ჩაის მასაში ინტენსიურად მიმდინარეობს ჟანგვითი პროცესები. სითბო, რომელიც გრეხვის დროს გამოიყოფა, მოქმედებს ხელსაწყოს მიმწოდებელ ელემენტზე და წარმოშობს გარკვეულ სიდიდის იმპულსს, რომელიც შეესაბამება ჩაის მასის ტემპერატურის ცვლილებას. ამ იმპულსს ხელსაწყო იმახსოვრებს და ადარებს დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ მოსულ იმპულსს. თუ იმპულსის სიდიდე აღემატება უკვე დამახსოვრებულს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩაის მასაში ტემპერატურის ზრდას და ე. ი. გრეხის პროცესი არ დამთავრებულა (მეცნიერული ანალიზით და მთელი რიგი ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ გრეხის პროცესი დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, როცა ტემპერატურის ზრდა შეწყდება გრეხის დროს).

თუ კი შემდგომი იმპულსი სიდიდით იგივეა ან ნაკლები, ვიდრე წინა დამახსოვრებული, ეს იმას ნიშნავს, რომ გრეხის პროცესი დამთავრდა და ჩვენი ხელსაწყო იძლევა შესაბამის სიგნალს.

აღნიშნული ხელსაწყოს დანერგვა ჩაის მრეწველობაში უზრუნველყოფს ჩაის გრეხის პროცესის ზუსტ და ობიექტურ კონტროლს, ნედლეულისა და დროის ეკონომიას, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების კულტურის ზრდას და სხვა. ხელსაწყოს დანერგვა სახალხო მეურნეობის მასშტაბით სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცემს 50 ათას მანეთ მოგებას. დღეს ხელსაწყომ საერთო აღიარება ჰპოვა სპეციალისტთა შორის. ხელსაწყოს შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ე. იასამანიძემა, კ. კობალაძემ, ი. მარკვეიჩმა, ი. კიკაძემ და სხვებმა.

№123 (5312), ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 1966 წ.

კინო და მაყურებელი

ბევრს მსახიობების კარგი თამაში მოსწონს, ზოგს რეჟისორული გადაწყვეტა, ზოგს ოპერატორების მუშაობა, ზოგს მუსიკა... სამწუხაროდ, შეხვდებით ისეთ მაყურებელსაც, რომელიც კინოსურათის ღირსებას აფასებს იმით, თუ არის მასში „სროლა“, „ჩხუბი“ და სხვა ამგვარი.

ხშირად გამიგონია: „არ ღირს ნახვა, ამბობენ, არ ვარგაო“. ნუთუ შეიძლება ასეთი შეფასების შემდეგ უარი თქვა კინოსურათის ნახვაზე? კოლტურული და შეგნებული მაყურებელი მხოლოდ თავისი შეხედულებებისა და გემოვნების მიხედვით უნდა მსჯელობდეს ამა თუ იმ კინოსურათის აკარგიანობაზე. დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ კინოსურათის გაგებას. ამ ბოლო დროს კინოხელოვნებაში გავრცელდა სცენარის წერისა და გადაღების ახალი მეთოდები, ხშირად მაყურებელზეა ბევრად დამოკიდებული რამდენად სწორ დასკვნებს გააკეთებს იგი. რეჟისორები მიმართავენ ალეგორიის ფორმებს, სიმბოლიკის მძლავრ მეთოდებს, მოვლენის ან გმირის შენიღბვის სხვადასხვა ხერხებს, კვანძების გახსნის ათასნაირ ვარიანტს და სხვა. თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით კინოსურათის შინაარსს, დავინახავთ მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას. კინოსურათებით ვეცნობით კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმიანობას, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას, სწავლასა და შრომას, მათ მიზნებსა და მისწრაფებებს, ჩვენი და მთელი მსოფლიოს ხალხების ისტორიული წარსულის და აწმყოს ამსახველ მდიდარ მოვლენებს, კოლმეურნეთა და მეცნიერთა ცხოვრებას, უბრალო ადამიანთა მილიონიან მასებს... არ შეიძლება გულგრილად უცქიროთ ათასნაირი სახისა და დანიშნულების კინოდამატებებს, რომლებშიც ხშირად არის წარმოდგენილი მეტად საინტერესო მეცნიერული და ტექნიკური საკითხები, სოფლის მეურნეობის ახალი მიღწევები, წარმოების მოწინავე ადამიანები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის კინოთეატრების მუშაობა

საგრძობლად არის გაუმჯობესებული წინა წლებთან შედარებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კინოსურათების ჩვენების ხარისხი და სხვა.

მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო კინომაყურებელთა ერთ მცირე ჯგუფზე. ესენი არიან დაგვიანებული მაყურებლები, რომლებიც სურათის დაწყებიდან ფეხების ხმამალა ბაკუნით დაბორიანდებიან დარბაზში და დაეძებენ თავიანთ ადგილებს. სასურველია კინოთეატრებში იყოს დაწესებული 2-3 წუთიანი შესვენება დამატებასა და კინოსურათის შორის. ეს ხომ პრაქტიკულად კარგი ღონისძიებაა დაგვიანებულებისათვის და რაც მთავარია იმ მაყურებლისათვის, რომელმაც დროზე დაიკავა თავისი ადგილი. დამერწმუნეთ, ხშირად ისეთ საინტერესო დამატებას უჩვენებენ, რომ დასანანია მაყურებლის დასჯა იმის გამო, რომ დაუსჯელნი რჩებიან დაგვიანებულები.

ხშირად მაყურებელთა დარბაზში შეხვდებით ადამიანს, რომელიც მესამედ ან მეოთხედ უყურებს სურათს და მთელი სეანის განმავლობაში ხმამალა უკეთებს კომენტარს ეკრანზე მიმდინარე მოვლენებს. რამდენჯერაც უნდა იმდენჯერ ნახოს ასეთმა ადამიანმა სურათი, მაგრამ უნდა გააჩნდეს იმდენი ზრდილობა, რომ სხვას არ შეუშალოს ხელი.

მასსოვს შემთხვევა (დეტექტიური ფილმის ჩვენების დროს), ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო ფილმის უკანასკნელ კადრებში. მაყურებელი დამაბულია. ის მესამედ თუ მეოთხედ შემოსული კი პირველი კადრებიდანვე ჩაგახლის ყურში ფინალს და ყოველგვარი ინტერესი იკარგება.

მინდა შევნიშნო, რომ ფილმების ჩვენების დროს გახმოვანების სიძლიერის საკითხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ვფიქრობთ, რომ ეს აპარატურის ბრალი უნდა იყოს, რაც ადვილი გამოსასწორებელია.

№70 (5415) ხუთშაბათი, 15 ივნისი, 1967 წ.

ახალი მიღწევები

წელს მრეწველობის ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაისა და თამბაქოს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განყოფილებამ კიდევ ორი საშუალო წარუდგინა სახელმწიფო კომისიას ჩაის მრეწველობაში დასანერგად. ერთი საშუალო ეხება შავი ბაიხაო ჩაის ღნობის პროცესის ტემპერატურული რეჟიმების ავტომატურ რეგულირებას პარალელურადმოქმევე აგრეგატების შემთხვევაში. მეორე კი არის შავი ბაიხაო ჩაის ფერმენტაციის პროცესის ავტომატური კონტროლის მრავალწერტილიანი ხელსაწყო.

საუწყებატაშორისო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შეყვანილნი იყვნენ სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები, მუშაობას აწარმოებდნენ ლანჩხუთისა და ბათუმის ჩაის ფაბრიკებში.

ორივე საშუალო მოწონებულ იქნა და კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დაინერგოს ისინი ჩაის მრეწველობაში.

№121 (5466) ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 1967 წ.

ავტომატიზაცია კოფეინის მასალის წარმოებაში

როგორც ცნობილია, კოფეინი წარმოადგენს საუკეთესო სამკურნალო საშუალებას. გამოჩენილი მეცნიერის ი. პავლოვის სკოლის წარმომადგენლებმა მთელი რიგი მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დაადგინეს კოფეინის, როგორც საუკეთესო სამედიცინო საშუალების მრავალი დადებითი თვისება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კოფეინი მცირე დოზით გვხვდება კვების პროდუქტებში, როგორცაა ყავა და ჩაი. კოფეინს დიდი რაოდენობით შეიცავს ჩაის ბუჩქის ფოთლები და ყლორტები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის ფაქტი, რომ საქართველო წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ქვეყანას კოფეინის

წარმოების დარგში.

საქართველოს ჩაის ფაბრიკებში წარმოებს კოფეინისათვის საჭირო მასალის პირველადი დამუშავება.

კოფეინის დიდი რაოდენობა ჩაის ფოთლებსა და ყლორტებში არის გაზაფხულზე. თებერვლის თვეში ხდება ჩაის ბუჩქების შეკრეჭა. მასალა მიაქვთ ჩაის ფაბრიკებში, სადაც ხდება მათი თბური დამუშავება ცხელი ჰაერის საშუალებით ე. წ. კოფეინის სახმობში. დამუშავების მიზანია ფოთლებისა და ყლორტებისაგან ზედმეტი ტენის გამოდევნა (60-65 პროცენტადან 11-13 პროცენტამდე) და, რაც მთავარია, მასალაში არსებული კოფეინის რაოდენობის დაფიქსირება.

პირველადი თბური დამუშავების შემდეგ კოფეინის მასალა ჩაის ფაბრიკებიდან მიაქვთ ბათუმის კოფეინის ფაბრიკაში, რომელიც ერთადერთია ევროპაში. აქ კოფეინი მიიღება უკვე სუფთა სახით.

თბური დამუშავების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურული რეჟიმების ზუსტად დაცვას. დღეისათვის ტემპერატურული რეჟიმების რეგულირება ხდება ხელით, რაც ბუნებრივია ხშირად იწვევს ნორმალური პირობების დარღვევას.

გორის „ნიაავტომატპრომის“ ჩაისა და თამბაქოს მრეწველობის ავტომატიზაციის განყოფილება მიმდინარე წელს შეუდგა კოფეინის სახმობებში ტემპერატურული რეჟიმების ავტომატური რეგულირების სისტემის დამუშავებას (თემის ხელმძღვანელი ა. მებადური). ამჟამად სისტემა დაპროექტებულია, შერჩეულია ყველა აუცილებელი ხელსაწყო და საშუალებანი. ნოემბრის ბოლოს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში დამონტაჟებული იქნა აღნიშნული სისტემა. წლის ბოლოს სისტემა გაივლის საწარმოო გამოცდას და საექსპლოატაციოდ გადაეცემა საქართველოს ჩაის ტრესტს.

აღნიშნული სისტემების დანერგვა სახალხო მეურნეობის მასშტაბით ყოველწლიურად მოგვცემს 50 ათას მანეთის ეკონომიას.

№147 (5336) ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 1968 წ.

გორელი მეცნიერები — ხუთწლედს

„უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს საამეცნიერო შრომებში“.
სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებიდან.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის IX განყოფილება კვებისა და ღვინის მრეწველობის ავტომატიზაციას ემსახურება.

განყოფილებაში შექმნილი ყურძნის ობიექტური სინჯის ამ-ლები მოწყობილობა საქართველოს ყველა ღვინის ქარხანასა და რუსეთის, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ღვინის ქარხნებშია გამოყენებული. გასულ ხუთწლედში დაიწყო ამ მოწყობილობების სერიული გამოშვება.

სახელმწიფო გამოცდა გაიარა და დადებითი შეფასება დაიმსახურა პირველადი მეღვინეობის ყურძნის მიმღებმა ავტომატიზებულმა პუნქტმა. იგი რეკომენდირებულია მრეწველობაში ფართოდ დასანერგად. ამჟამად ყურძნის ავტომატიზირებული მიმღები პუნქტი დანერგილია უკრაინის, მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ღვინის ქარხნებში.

ყურძნის ჩაბარება-მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. შაქრიანობის გარდა ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ითვლება სიმჟავე (მჟავიანობა), რომლის სიდიდეც, სხვადასხვა ტიპის ღვინოების წარმოებისათვის დარგობრივი სტანდარტებით არის განსაზღვრული. ყურძნის მჟავიანობის განსაზღვრისა და ავტომატური კონტროლისათვის ჩვენს განყოფილებაში ჩატარდა კვლევითი სამუშაოები. აღნიშნული სისტემის სათავე ეგზემპლარი დანერგილია მცხეთის ღვინის ქარხანაში.

გასულ ხუთწლედში საქართველოს ღვინის მრეწველობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო მეღვინეობის ისეთ ქვედარგის განვითარებას, როგორცაა ყურძნის ნარჩენების გადამუშავება. ამ საკითხები-

სადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩვენს თემატიკაშიც გამოიხატა. მეცნიერულად შესწავლის შემდეგ კვლევის საფუძველზე გურჯაანის სპირტის ქარხანაში დაძუშავდა და დაინერგა ღვინის კირმჟავის გამომუშავებისას ერთ-ერთი ძირითადი პროცესის — ნეიტრალიზაციის ავტომატიზებული მართვის სისტემა; უკანასკნელმა გაიარა საწარმოო და საუწყებო-საშრომისო გამოცდები და რეკომენდირებულია ღვინის მრეწველობაში ფართო დანერგვისათვის.

მოსავლიანობის სისტემატური ზრდა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების წინაშე მზარადი სიმძლავრის მანქანების შექმნის ამოცანას აყენებს. თუ ადრე, „გლეხური“ მეთოდით გადამუშავების დროს ყურძენი და მისი წვენი ძირითადად ხესთან იყო დაკავშირებული, ახლა ფართო ადგილი დაიკავა ლითონმა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა მეტად საჭირობო პრობლემა — როგორ მოვაშოროთ ღვინის პროდუქტებს ზედმეტი რკინა. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ რკინის იონების მოსაცილებლად სხვა ნივთიერებებთან ერთად ეფექტური საშუალებაა ე. წ. სისხლის ყვითელი მარილი. მაგრამ იგი ძლიერ მომწამვლელი ნივთიერებაა და მისი გამოყენება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკების წინაშე დადგა კონკრეტული ამოცანა — შეექმნათ ხელსაწყო, რომელიც მოგვცემდა საშუალებას ავტომატურად აღმოგვეჩინა ღვინო-მასალაში სისხლის ყვითელი მარილის არსებობა. ასეთი ხელსაწყოები მართლაც შეიქმნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა იალტის მეღვინეობის სათავე ინსტიტუტს „მაგარაჩს“.

მრავალმხრივი საინტერესო კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ქართული კონიაკის (განსაკუთრებით ორდინალურის) ხარისხის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ლითონის მომინანქრებულ ჭურჭელში საკონიაკე სპირტის მოძველების პროცესში ჟანგბადის კონცენტრაციის კონტროლის და მისი საჭიროების მიხედვით მიწოდება. ჩვენს ინსტიტუტში გადაწყდა ამ პრობლემის ერთი ნაწილი. კერძოდ, თბილისის კონიაკის ქარხანაში ამჟამად ხანგრძლივ საწარმოო გამოცდას გადის ჟანგბადის დოზირების ორი ავტომატიზებული სისტემა.

საინტერესო სამუშაო შესრულდა გასულ ხუთწლედში შამ-

პანური ღვინოების წარმოების დარგშიც.

დამუშავდა ლიქიორის მოსამზადებელი პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემა.

მეცხრე ხუთწლედში მეღვინეობის დარგში კვლევითი-სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დაინარჯა დაახლოებით 420 ათასი მანეთი, ხოლო დამთავრებული სამუშაოების წარმოებაში დანერგვამ უკვე მოგვცა 1500 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტი.

მიმდინარე ხუთწლედის სამუშაო-პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას.

შამპანური ღვინის წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია ღვინის მრეწველობაში. ამჟამად წარმოებაში გამოიყენება შამპანური ღვინის წარმოების უწყვეტი – ნაკადური ხაზი, რომელშიც განსაკუთრებით არის გაძნელებული ტექნოლოგიური რეჟიმების ზუსტი დაცვა.

მიმდინარე წელს საექსპლუატაციოდ გადავცემთ თბილისის შამპანური ღვინის კომბინატის საფურებისა და ბიოქიმიური საამქროების, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის სისტემებს.

პირველად მეღვინეობაში ერთ-ერთი მთავარი პროცესია ყურძნის წვენი დუღილის პროცესი. ერთ-ერთი სამუშაო, რომელიც ახლა ჩვენთან მიმდინარეობს, გამიზნულია სწორედ ამ პროცესის ავტომატური მართვისაკენ. კერძოდ, კონტროლი გაეწევა შაქრის დაშლასა და სპირტის გამოყოფას, მიღებული ღვინომასალის შაქრიანობას (ნარჩენი), შემავალი ტკბილის საწყის შაქრიანობას და სხვა. ავტომატურად დარეგულირდება დუღილის ტემპერატურა, რეზერვუარებში ზემო და ქვემო დონეები (ტკიბილის), უწყვეტი ნაკადური ხაზის წარმადობა და სხვა.

ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს მეტად საინტერესო სამუშაო კუპაჟის პროცესის შესასწავლად, მისი მათემატიკური და სტატისტიკური არსის დასადგენად, რათა საბოლოოდ შევძლოთ ამ პროცესის ინდუსტრიალიზაცია ან არსებული, ან ახალი ხელ-

საწყობისა და მოწყობილობების საშუალებით.

ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია პირველად მეღვინეობაში ყურძნის წვენის რაოდენობის და მისი საშუალო შაქრიანობის განსაზღვრა, რაზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შიდასაქარხნო ანგარიშგება და პროდუქციის ობიექტური აღრიცხვის საკითხი.

ღვინის და კვების მრეწველობის განყოფილების მეცნიერ-მუშაკებმა მიზნად დაისახეს შეისწავლონ ეს საკითხი და დაამუშაონ კონტროლის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოთვლად წვენის რაოდენობა და მისი საშუალო შაქრიანობა უწყვეტ ნაკადში აღვრიცხოთ მაღალი სიზუსტით.

ინსტიტუტში შექმნილი ყურძნის ავტომატიზირებული მიმღები პუნქტი ათეულ ღვინის ქარხანაშია დანერგილი, იგი საყოველთაო აღიარებით სარგებლობს, მაგრამ, როგორც ყოველ სამუშაოს, მასაც გააჩნია ნაკლი. კერძოდ, იგი რთულია და საექსპლუატაციოდ მოითხოვს კვალიფიცირებულ სპეციალისტს. გარდა ამისა, შაქრიანობის გაზომვა ხდება ირიბი მეთოდით. კერძოდ, ისაზღვრება ყურძნის წვენში მშრალი ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობა და შემდეგ ცხრილების საშუალებით ხდება საკონტროლო პარამეტრის დადგენა.

ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს სამუშაო და ყურძნის გადაამუშავების სეზონში გამოცდას გაივლის აღნიშნული სისტემის გამარტივებული ვარიანტი. პარალელურად მიმდინარეობს სამუშაო იმ მიმართულებით, რომ ყურძნის ჩამბარებელს აღარ დასჭირდება რაიმე ცხრილის გამოყენება.

მიმდინარე ხუთწლედში შეიქმნა მოწყობილობა ყურძნის სინჯის ექსპრესული აღებისა და ავტომატური ანალიზისათვის მის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ხელსაწყობები – მალულარე წვენის შაქრიანობისა და სპირტიანობის გასაზომად; დამუშავდება ღვინის ექსპედიციის დროს მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განმსაზღვრელი ავტომატური ხელსაწყობები, ასევე ხელსაწყობები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას ვაკონტროლოთ ღვინის ამღვრევის გამომწვევი მიზეზები და მრავალი სხვა.

მინდა განსაკუთრებულად გავუსვა ხაზი ერთ მეტად მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს, რომელიც ყოველმხრივ აფერხებს ჩვენს მუშაობას. როგორც ცნობილია ყურძნის კრეფისა და გადამუშავების სეზონი გრძელდება 20-30 დღეს. ამ დროის განმავლობაში ყოველი მანქანა-დანადგარი თუ სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა ისევე როგორც მომსახურე პერსონალი, მუშაობენ მაქსიმალური დატვირთვით. ასეთ პირობებში და ასეთ მოკლე დროში ზედმეტია ლაპარაკი რამდენადმე სერიოზულ ექსპერიმენტულ გამოკვლევაზე. ძალიან ხშირად მიღებული შედეგები ან რაოდენობით არ არის საკმარისი, ან ნაჩქარევია, ან ხარისხობრივად არ არის სრულყოფილი და სხვა. აი რატომ გაგვივრძელდა სამუშაოები. ვფიქრობთ, საჭიროა წლის დარჩენილი 10-11 თვის განმავლობაში კვლევა-ძიება მიმდინარეობდეს ლაბორატორიებში, წარმოებასთან რაც შეიძლება მიახლოებულ პირობებში. ამისათვის კი აუცილებელია, რომ დიდი ყურადღება დაეთმოს ლაბორატორიების მოწყობას და აღჭურვას შესაბამისი მაკეტებით, მოდელებით, ექსპერიმენტალური მოწყობილობებით, საჭირო ნედლეულით და სხვა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას ავამაღლოთ სამუშაოთა ხარისხი და რაც მთავარია, საგრძნობლად შევამციროთ სამუშაოთა დამთავრების ვადები.

ქვეყნის რომელ კუთხეში არ შეხვდებით ჩვენს მიერ დანერგილ სამუშაოებს. გორში კი, (სადაც ათეულობით არსებულ ობიექტში ჩვენ შეგვეძლო გაგვეშალა საინტერესო საკვლევი და საკონსტრუქტორო სამუშაოები), არა. ვფიქრობ, რომ ამ საკითხს დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება.

ძალიან ჭირს კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ჩვენთან კარგად მომზადებული სპეციალისტი იშვიათად მოდის. ინსტიტუტის შიგნით კი არ ხდება კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.

წინ მეთავე, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლეულია, გასაკეთებელი ბევრია. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვებისა და ღვინის მრეწველობის ავტომატიზაციის განყოფილების კოლექტივი არ დაიშურებს ენერგიას, რათა პირნათლად გადაწყვიტოს დასახული ამოცანები.

21 სექტემბერი, 1976 წ.

პროდუქცია რომ ხარისხიანი იყოს...

ისტორიას ჩაბარდა 1933 წელი, როდესაც ქ. გორში საექსპლუატაციოდ გადაეცა ლიმონათის ქარხანა. ცოტა მოგვიანებით (1935 წ.) კი ქარხანამ გამოუშვა ლუდიც.

მიუხედავად 40 წლიანი ბიოგრაფიისა, გორის ახლანდელი ქარხანა მართლაც რომ პატარაა. პატარა იგი ყველანაირი გაგებით. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 90 კაცს. ლუდის დამზადების წლიური გეგმა შეადგენს ორი ათას ტონას, ხოლო ხილის წყლებისა – ორი ათას ოთხას ტონას. ფულად გამოსახულებაში ქარხნის გეგმა შეადგენს 670 ათას მანეთს.

პატარაა ქარხანა დაკავებული ტერიტორიითაც და სასარგებლო სამუშაო ფართობებითაც.

მიმდინარე ხუთწლეულში ქარხნის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ცნობილია, რომ ნებისმიერი პროდუქციის და განსაკუთრებით კვების მრეწველობის პროდუქციის ხარისხს, განაპირობებს კანონზომიერ თუ შემთხვევით მთელ რიგ ფაქტორთა ერთობლიობა., რომელთა შორის გამოყოფდი: ნედლეულის ხარისხს და მისი შენახვის პირობებს, გადამუშავების მეთოდებს და მასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა დაცვას, შრომის მექანიზაციასა და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, კადრების კვალიფიკაციას და სხვა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქარხანაში? ვიტყვოდით, რომ არასახარბიელო.

ქარხნის არსებობის პერიოდში მისი სიმძლავრე შეიცვალა უმნიშვნელოდ, მაშინ, როცა ქ. გორის მოსახლეობა გაიზარდა თითქმის ორჯერ.

მაშ პირველი სერიოზული სიძნელე და გაჭირვება მდგომარეობს იმაში, რომ შრომის ძალად ღონეზე ორგანიზებულობის პირობებშიც კი, ქარხანას არ შეუძლია ყოველთვის დააკმაყო-

ფილოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება (განსაკუთრებით ზაფხულში).

ქარხანა აშენებულია ჭაობიან, წყლიან გრუნტზე, რაც აძნელებს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება-დაცვას., რაც ასე აუცილებელია კვების მრეწველობის ნებისმიერი საწარმოსათვის. აღნიშნული პირობების გამო საგარანტიო ვადაზე ადრე გამოდის მწყობრიდან მანქანა-დანადგარები და სხვა ტექნიკური მოწყობილობა. გაძნელებულია ნედლეულის (ალაოს, სვიის, შაქრის და სხვა მასალების) შენახვის სათანადო პირობების დაცვა, ეს კი საგრძნობლად მოქმედებს მზა პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ფართობის სიმცირის გამო, ქარხანას არ გააჩნია მზა პროდუქციის საწყობი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, შესაბამისი ფართობის უქონლობის გამო, ჩვენ სათავსოს არ შეუძლია დაითიოს ლუდის საჭირო რაოდენობა. ეს თავის მხრივ იწვევს ლუდის დაღულებისათვის აუცილებელი რეგლამენტის დარღვევას (მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემთხვევაში).

წლების განმავლობაში გაისმოდა და ახლაც გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული ლუდის ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას. ეს ხმები უკვე ტრადიციად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქარხნის მიერ გამოშვებული ლუდი დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა, მაინც ავტორიტეტს დაცვა და განმტკიცება სჭირდება,

არის კი პირობები და საშუალებები ლუდის ხარისხის გასაუმჯობესებლად? დიახ, არის მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც გაძნელებულ ვითარებაში.

საჭიროა საწარმოო ფართობების გაზრდა, ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვის პირობების შექმნა, სარდაფის ფართობის გაზრდა და შესაბამისი ტევადობის დამატება. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს არ გადაწყვეტს ყველა პრობლემას. აუცილებელია, პირველ რიგში, ტარდებოდეს სისტემატური ღონისძიებები ლუდის მხარშავებისა და ცვლის ტექნოლოგიების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ლუდი ძნელად დასამზადებელი და მეტად ფაქიზი პროდუქტია. ხარისხიანი ლუდის დაყენებისათვის ათეული ტექნოლოგიური პროცესის ჩატარებაა საჭირო და შედეგი კი ყოველმხრივ შეფასებული შეიძლება იქნეს, მხოლოდ 26-28 დღის შემდეგ.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მაღალხარისხოვანი ლუდის მოსამზადებლად საჭიროა განსაკუთრებული წყალი. გორის წყალი კი, მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნოა სასმელად, ნაკლებად გამოსადეგია ლუდისათვის, მასში მრავალი სახის მარილებისა და სხვა არასასარგებლო ნივთიერებების სიჭარბის გამო.

წლების განმავლობაში ეს საკითხი მსჯელობის საგანი ყოფილა, დღემდე კი ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა.

ამჟამად ჩვენი ქარხნის სპეციალისტები მუშაობენ წყლის მომზადების საკითხზე და იმედია უახლოეს მომავალში შევარჩევთ და დავნერგავთ ერთ-ერთს იმ მრავალთაგანი მეთოდებიდან, რომელიც უფრო მოსახერხებელი და ეფექტური იქნება ჩვენი ქარხნისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლუდის წარმოებაში სვიის გამოყენების მეთოდებს. დიდი პერსპექტივა აქვს სვიის ექსტრაქტის გამოყენებას, მაგრამ არც ამ მიმართულებით არის ჩვენთან გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები, მაშინ, როცა გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის წამყვანი ფირმები ფართოდ იყენებენ სვიის ნაყენს ლუდის წარმოებაში.

მიუხედავად სირთულისა, ჩვენ ამ საკითხის მოგვარებაზეც ვფიქრობთ და იმედი გვაქვს წლის ბოლომდე დადებითად გადავწყვეტთ.

წლების განმავლობაში არ ჩატარებულა ქარხნის მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაიარაღება. მანქანა-დანადგარები მოძველებულია, დაბალია მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე.

გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით სავაჭრო ქსელშიც. ზოგიერთ ობიექტს არ გააჩნია ლუდისა და ლიმონათის შენახვის შესაბამისი პირობები, რაც აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ზოგიერთ შემთხვევაში კი ნაკლები ყურადღება ექცევა ტარის შენახვის

პირობების დაცვას. ეს კი იწვევს ბოთლისა და კასრის ზედმეტად გაჭუჭყიანებას. ჭუჭყიანი ტარა კი ძნელი გასარეცხია.

ქარხანა ოთხი საბარგო მანქანით ემსახურება გორისა და რაიონის ასამდე ობიექტს; უამრავი „წვრილმანი“ საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის ქარხანას აუცილებლად სჭირდება მსუბუქი ავტომანქანა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. ვფიქრობთ დადგა დრო ვიფიქროთ ქ. გორში ლუდის საჭაშნიკოს გახსნაზე.

ზემოდწამოთვლილი საკითხების გარდა, ქარხანას ბევრი სხვა საზრუნავიც აქვს, მაგრამ როგორც ცნობილია არის სიძნელეები, რომლებიც ქარხანამ თავისი ძალებით უნდა დაძლიოს; მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა აღემატება კოლექტივის ძალებს.

დღეისათვის ყველაზე პრობლემატურ ამოცანად მიგვაჩნია ქარხნის გენერალური რეკონსტრუქციისათვის ზრუნვა. აღნიშნული საკითხი დგას დღის წესრიგში, მაგრამ მხოლოდ საკითხის დაყენების დონეზე. საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

21 ივლისი, 1977 წ.

ეს საშვილიშვილო საქმეა

საწარმოო გაერთიანება „დილა“ და მის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მრეწველთმაცხაკი“ ჩამოყალიბებისთანავე შეუდგა საკონტროლო ხელსაწყო-მოწყობილობებისა და ავტომატიზირებული სისტემების დამუშავებას. ამჟამად გაერთიანება ელექტროტექნიკური ხელსაწყოების საკავშირო სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ტრადიციულად საქმის წარმოება გაერთიანებაში მთლიანად და კერძოდ „მრეწველთმაცხაკში“ მიმდინარეობდა და დღეს კი მეტწილად (სამწუხაროდ) მიმდინარეობს რუსულ ენაზე. გამონაკლისია პარტიული, პროფკავშირული და კომიკავშირული ორგანიზაციები.

ქართული ენის კონსტიტუციური უფლების განმტკიცებისა და დამკვიდრებისათვის, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად „მრეწველთმაცხაკის“ დირექტორის 1989 წლის იანვრის და გაერთიანება „დილას“ გენერალური დირექტორის 1989 წლის აგვისტოს ბრძანებით, შექმნილია კომისიები, რომლებსაც დაევალოთ პასიხუსმგებლობა გაერთიანების საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანისათვის.

კომისიებმა შეიმუშავეს პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმები და შეუდგნენ მათ განხორციელებას.

საწარმოო გაერთიანების არაქართველი თანამშრომლებისათვის ჩამოყალიბდა ქართული ენის შემსწავლელი ორი ჯგუფი (ერთი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეორე ანალიზური ხელსაწყოების საცდელ ქარხანაში). ჯგუფებში გაერთიანებულია ორმოცდაათამდე მუშა-მოსამსახურე, სურვილის მიხედვით. მათ შორის არიან რუსები, ოსები, სომხები, უკრაინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქართულ ენას ასწავლიან გორის ეკონომიკურ ინსტიტუტთან არსებული კურსების კვალიფიციური სპეციალისტები.

ქართული ენის სწავლების პროგრამა შეთანხმებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან. აღსანიშნავია, რომ ჯგუფების მუშაობამ გამოიწვია მნიშვნელოვანი დაინტერესება არაქართველ მსმენელთა შორის. პროგრამა ორწლიანია.

სხვა ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ გაერთიანების შიდა რეზერვებიდან სამთვიან კურსებზე მივაკვლინეთ 4 თანამშრომელი და შევასწავლეთ ქართულ საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვა.

რამდენიმე ცალი რუსულენოვანი საბეჭდი მანქანა გადაკეთებულია ქართულენოვანზე და ამჟამად მოქმედებაშია.

ერთ-ერთ ძნელად მოსაგვარებელ პრობლემად მიგვაჩნია და ამას პრაქტიკული საქმიანობაც ადასტურებს, იმ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ცენტრალიზებული (ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული) და შიდასარგებლობის ფორმების გადმოქართულება, რომლებიც ათეული

წლების განმავლობაში სოკოებივით მომრავლებულა. კომისიები უკვე შეუდგნენ შიდასარგებლობის ფორმების თარგმნას და თითქმის ნახევარი უკვე მზად არის გასამრავლებლად და დასაკანონებლად. დანარჩენი ნაწილი, ვფიქრობთ, მზად იქნება 1990 წლის თებერვალში. ამ პრობლემის მოგვარებაში ხელს გვიშლის სპეციალური ქართული ტერმინოლოგიის მოკრძალებული მარაგი.

რაც შეეხება ცენტრალიზებულ საკავშირო სტატისტიკურ თუ სხვა ფორმებს – აქ, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით გამოსავალი ერთია: ან უნდა ველოდოთ როდის გადაწყდება ეს საკითხი რესპუბლიკის დონეზე (ცენტრალიზებულად), ან უკიდურეს შემთხვევაში, რესპუბლიკის შიგნით გასაგზავნი რუსული ფორმები შევავსოთ და გავაფორმოთ ქართულად.

სამუშაო გეგმაში ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხი, როგორცაა ადგილობრივი რადიოკვანძების გამოყენება ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით. ლექსების კითხვა, ქართული სიმღერების, განცხადებების თუ სხვა ინფორმაციის მიწოდება. ინსტიტუტში მთავრდება რადიოგაყვანილობის მონტაჟი და მალე რადიოკვანძი გამოიყენება აღნიშნული მიზნისათვის. რაც შეეხება ანალიზური ხელსაწყოების საცდელ ქარხანას, აქ რადიოკვანძი მუშაობს გამართულად. უახლოეს დროში შემუშავდება რადიოგადაცემათა პროგრამა და რეგლამენტი, მოგვეცემა ქართული ენის დამკვიდრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ინსტიტუტშიც და ქარხანაშიც გამოდის ახალი კედლის გაზეთი სახელწოდებით „სამშობლო“. რედაქტორებად შერჩეული არიან ქართული ენისა და ერის მოსიყვარულე, ჭეშმარიტი პატრიოტი ადამიანები.

გაზეთი „სამშობლო“ მიზნად ისახავს ქართული ენის სიწმინდის დაცვას, მის სრულყოფას, გავრცელებასა და განმტკიცებას, ქართული ისტორიული თუ კულტურული ძეგლების პოპულარიზაციას, ქართული ადათ-ჩვევების გამოძვირებას, მომავალი თაობის ქართული სულისკვეთებით აღზრდას, ქართული ერისათვის მნიშვნელოვან დემოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ თუ ეკოლოგიურ საკითხთა გაშუქებას, საქართველოს ისტორიის

წარმოჩინებას, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცხოვრების საკითხებზე და სხვა მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემებზე გამოხმაურებას. მნიშვნელოვანია ის, რომ გაზეთი არ არის პერიოდული. იგი სისტემატურ განახლებაშია, შესაბამისი ახალი მასალის მოპოვების მიხედვით.

ყურადღების ცენტრშია ისეთი საკითხი, როგორცაა საწარმოო გაერთიანების გარეგანი სახე, მხედველობაში გვაქვს ათასგვარი წარწერები, ლოზუნგები, სტენდები, კედლის გაზეთები და სხვა სახის თვალსაჩინოებები. ინსტიტუტში ეს საკითხი თითქმის მოგვარებულია, რაც შეეხება ქარხანას, აქაც საკითხი ნაწილობრივ გადაწყვეტილია. წარწერების გარკვეული რაოდენობა ქართულენოვანია. ამ მხრივ ქარხანაში დიდი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი, ამჟამად შედგენილია ჩამონათვალი (დაახლოებით 120) იმ აუცილებელი წარწერებისა, ნიშნებისა და სხვა ინფორმაციისა, რომლებიც შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე უახლოეს მომავალში ეს საკითხიც მოგვარდება სათანადო დონეზე. გაერთიანებაში გასაკეთებელია დაახლოებით ათი დიდი თუ პატარა სტენდი, ზოგი მთლიანად ქართულ, ზოგი კი ქართულ-რუსულ ენებზე. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

საახალწლოდ გაერთიანება „დილას“ განყოფილებებმა, ლაბორატორიებმა, საამქროებმა, უბნებმა და სხვა სამსახურებმა თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს ქართულენოვანი სატელეფონო ცნობარი.

ინსტიტუტის შენობაში თვალსაჩინო ადგილებზე გამოეფინა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა პორტრეტები, რომელთა მოპოვება დიდ სიძნელებთან არ ყოფილა დაკავშირებული. ქარხანაში კი გადაწყვეტილია გამოიფინოს ქართული საინჟინრო აზრის გამოძახატველი და ტექნიკის მიღწევათა სურათები. ჩამონათვალი შედგენილია. პრობლემა მათი ფოტოების შოვნა. ჩვენს მიერ შედგენილი სია, რაღა თქმა უნდა, არ არის დოგმა. ამიტომ მკითხველებს მივმართავთ თხოვნით, თუ აქვთ შესაძლებლობა და სურვილი დაგვენმარონ ქართული საინჟინრო დარგისა და ტექნიკის სფერო-

ში სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეთა სურათების მოძიებაში.

ზემოდსახსენებულ ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებულია წელიწადში ორჯერ ჩატარდეს ქართული ენის დღე. ამ დღეს საუბარი გვექნება უკვე შესრულებულის და მომავალი მუშაობის თაობაზე.

საწარმოო გაერთიანება „დილას“ კომისიებისა და დირექციის მიერ დაყენებულია საკითხი რესპუბლიკის საგამომცემლო კომიტეტის წინაშე გამოსაშვებად გათვალისწინებულ ყველა სახის (მათ შორის განსაკუთრებით ტექნიკური ხასიათის) ლექსიკონების მოწოდებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაგვიადვილებდა მუშაობას.

გადაწყვეტილია გაერთიანების არაქართველ თანამშრომელთა შვილებისათვის წელიწადში ერთხელ მაინც მოვაწყოთ ბავშვთა საღამო, რომელზედაც ძირითადად ქართულ ენაზე იქნება საუბარი, ლექსის კითხვა, ქართული მუსიკის მოსმენა და ა. შ. მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია არაქართველი თანამშრომლების ექსკურსია საქართველოს ისტორიულ მუზეუმში, რომელიც 1990 წლის პირველ კვარტალშია დაგეგმილი.

უკვე ვთქვით, რომ საწარმოო გაერთიანება „დილა“ საკავშირო დაქვემდებარებისა და ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის გარეთ გასაგზავნად პროდუქციას თან ახლავს რუსულად ნაბეჭდი და გაფორმებული სხვადასხვა სახის ტექნიკური აღწერილობა, ინსტრუქცია, დოკუმენტაცია, ანგარიში, პასპორტი თუ სხვა მასალა. აქ მართლაც დიდი სიძნელეა შექმნილი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისიები გაართმევენ თავს ამ ამოცანას და მიაღწევენ იმას, რომ გასაგზავნი პროდუქციის თანმხლები დოკუმენტაცია იყოს ქართულ-რუსული, ან ქართული რესპუბლიკის შიგნით, ხოლო რუსული რესპუბლიკის გარეთ. ამ მხრივ შედარებით იოლ მდგომარეობაშია ინსტიტუტი, თუმცა, აქაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ანგარიშები, პროექტები და სხვა ტექნიკური დოკუმენტაცია რესპუბლიკის ფარგლებში იგზავნებოდეს ქართულ ენაზე. ეს არის მიზანი და მას განვახორციელებთ.

ანალიზური ხელსაწყოების ქარხანაში ხმარებაში შევიდა ქართულენოვანი პირადობის მოწოდებები, ხოლო, ინსტიტუტში ეს საკითხი ახლო მომავალში მოწესრიგდება.

გადაწყვეტილია, ასევე მოეწყოს ქარხანაშიც და ინსტიტუტშიც (სადემონსტრაციო კუთხეები, დაფები) ცალკეული ქართველი სიტყვების სწორად და გრამატიკულად მართლწერისა და გამოთქმის შესასწავლად და ცალკეული ტექნიკური ტერმინოლოგიის (მათი მოპოვებისა და დაზუსტების მიხედვით) ათვისების მიზნით.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა ერთად და ცალკე არ ვართ სათანადოდ ორგანიზებულნი; ჯერ კიდევ ვერ ვეკიდებით მთელი სერიოზულობით და გულისყურით ქართული ენის სიწმინდის დაცვასა და განმტკიცებას. ვფიქრობ, ეს ნაკლი დროებითია, და რაც უფრო მეტი დრო გადის, რაც უფრო ინტენსიური ხდება ცვლილებები, პოლიტიკურ, ეროვნულ, დემოგრაფიულ სფეროებში, მით უფრო მკაფიოდ იკვეთება ქართული ენის, დამკვიდრების, განმტკიცებისა და განვითარების აუცილებლობა.

1990 წ. იანვარი

სახელოების დაკაპიწების ჟამი დადგა

*ქვეყნის დამოუკიდებლობას
მაღალი კულტურაც სჭირდება.*

საზოგადოების მატერიალურ სფეროს პირველ რიგში განეკუთვნება საწარმოო ძალები, მშრომელთა შრომის ჩვევები და სხვა, ხოლო, სულიერ ფასეულობათ არსენალში მთავარი ადგილი უჭირავს განათლებას, მეცნიერებასა და ხელოვნებას.

საზოგადოება შედგება ცალკეული ადამიანებისაგან და ამ უკანასკნელთა განათლების დონით, მეცნიერული პოტენციალით, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებით, ყოფით, ქცევით, შრომის ჩვევებით.

დავიწყეთ ამ ბოლო დროს გავრცელებული მიტინგებით. მისი ჩატარების კულტურა რომ გვაკლია, ეს არ არის გასაკვირი, რადგან იგი „ახალი ხილია“ ჩვენთვის. ის კი „ძველი ხილია“, რომ ბევრ ჩვენგანს ოღონდ საბაბი მიეცეს გააცდინოს სამუშაო, გაკვეთილი, ლექცია და არაფრად დაგიდევს, იმას თუ სვალ

(გრძელვადიანი გაგებით) რა შედეგი გვექნება. ხომ შეიძლება, რომ მიტინგები ჩატარდეს არასამუშაო და არასასწავლო საათებში, ბოლოს და ბოლოს დასვენების დღეებში. მიტინგებით ბევრიც მოვიგეთ და ბევრიც წავაგეთ. ახლა არ არის ბალანსის გამოყვანის დრო, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო მეტს მოვიგებდით მიტინგების ჩატარების კულტურას რომ ვფლობდით.

არ ვიცი რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ამბობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დარგის მესვეურებს უკითხავთ იაპონელებისათვის, როგორ და რითი აღწევთ ყველა სფეროში ასეთ მაღალ შედეგებს, რატომ ჩვენ არ გამოგვდის, რა განსხვავებაა ჩვენს შორისო. იაპონელებს უპასუხნიათ – ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ თქვენ როცა გიჭირთ, თათბირებსა და კრებებს იწვევთო, ჩვენ კი გაჭირვების ჟამს ყველანი სახელოებს ვიკაპიწებთ და თავაუღებლად ვმუშაობთო. ღირს დაფიქრებად.

აბა დავაკვირდეთ, სამუშაოსა და სწავლებისათვის განკუთვნილ საათებში რამდენი ადამიანი დაბორიანებს ქალაქის ქუჩებში, ძირითადად ახალგაზრდობა. აბა, ჩამოვიაროთ სოფლებში და ვნახავთ, რომ დღისით, მზისით ასობით ადამიანი უაზროდ ტკეპნის მიწას ე. წ. „ბირჟებზე“.

დღეს ყველა ჩვენთაგანისათვის კარგად არის ცნობილი ელექტროენერჯის დეფიციტი. რამდენჯერ გვთხოვეს, მოგემართეს, გვემუდარნენ, რათა შეძლებისდაგვარად გაგვეწია ეკონომია და არ შექმნილიყო სასიცოცხლო საწარმოო ობიექტების გაჩერების აუცილებლობის პირობა. ტელეგადაცემით გაკვეთილიც კი ჩაგვიტარეს. სწორედ ამ ტელეგადაცემის დროს სტუმრად გახლდით. თორმეტოთახიან სახლის პირველი სართულის ერთ პატარა ოთახში ვიყავით შეყუჟული მასპინძლებიც და სტუმრებიც. დანარჩენ ოთახებში, ეზოში, შემოსასვლელში, ავტომანქანის სადგომში და ხის ფართო ასასვლელ-გადასასვლელ კიბეებზე მრავლად ბრდღვიალებდნენ ჩეხური და გერმანული მრავალნათურიანი ჭალები და სანთურები, რომლებიც უცხოური მრავალსახოვანი ავეჯის, ნივთებისა და ყდების ფერების მიხედვით ჩაწყობილ-გაწყობილი წაუკითხავი წიგნების გუშაგებად თუ გამოდგებოდ-

ნენ, თორემ იმ მომენტში სხვა სარგებლობის მომცემი არ იყო. როდესაც ვაკბედე და მასპინძელს ნახევრადხუმრობით შევაცხენე ელექტროენერჯის დეფიციტზე, „კაი, თუ ძმა ხარ, ე, ფულს ხომ ვიხდი და მე რა ეკონომია გავწიო. ამით ქვეყანას რა შეემატებაო?!“ მიპასუხა. კომენტარი მკითხველისათვის მიგვიწვია.

ავტომანქანების მოძრაობის კულტურა?

ყოველი პროფესიონალი და მოყვარული მძღოლისათვის კარგად არის (უნდა იყოს) ცნობილი, რომ მოძრაობის წესების ცოდნა მანქანის სწორად გაჩერების ცოდნასაც გულისხმობს. ვიცით კი, მაგრამ განა ყოველთვის ვიცავთ ამ წესებს? რამდენჯერ გვინახავს უადგილო ადგილზე გაჩერებული მანქანა, რომელიც არა თუ მოძრაობას ზღუდავს, არამედ ქმნის აშკარა საავარიო სიტუაციას. არც თუ იშვიათია შუა გზაზე პარალელურად გაჩერებული მანქანებიდან ტკბილად მოსაუბრე მძღოლები და მგზავრები. ისიც ხშირად გვინახავს, თუ ასეთი ტანდემიდან როგორ გადმოუყრიათ ასფალტზე ხილის ნაფცქვენები და ა. შ. მთელი უბედურება იმაშია, რომ „ისინი“ ამაში ვერავითარ საჩოთიროს და სამარცხვინოს ვერ ხედავენ და არავითარი უხერხულობის გრძნობა არ აწუხებთ.

ახლა ხმოვან სიგნალებს არ იკითხავთ? რანაირ მელოდიას და ჭყვიტინს არ გაიგონებს კაცი...

ამ ბოლო დროს რამდენჯერ გაგვიგონია, საქართველო მართო თავისი კურორტებით იცხოვრებსო. კი ბატონო, თუ ჰაერის სინარნარე, წყლის ჩხრიალი და ზღვის ღელვა ვალუტას მოგვიტანს და მსოფლიოში სახელს მოგვიხვეჭს, ამას რა სჯობია! მაგრამ ტურისტების მოზიდვას რომ მომსახურებისა და კომფორტის უმაღლესი კულტურა სჭირდება, ხოლო ცოდნა რომ სწავლის გარეშე არ მოდის, აქსიომაა.

არ სჭირდება დიდი პროფესიონალური განათლება იმის დანახვას, რომ საცხოვრებელი ბინები გაკრიალებულ-გაწკრიალებული გვაქვს, ხოლო სახლის გარშემო და ჭიშკრის წინ (განსაკუთრებით მრავალსართულიანი სახლების ეზოები) ქვეყნის ნავაგი და უმსგავსობა გვიყრია. მსოფლიოს ბევრ ქალაქს არ ექნება იმჯდენი

გამდინარე წყალი, რამდენიც გორს აქვს. ხალხმა მთლიანად და ცალ-ცალკე თითოეულმა ჩვენგანმა რომ მოიწადინოს, ჩვენს ქალაქში იდეალური სისუფთავის დამყარება შეიძლება, მაგრამ საჭიროა, როგორც ვთქვით, მონდომება და კულტურა.

ხომ უნდა მოელოს ბოლო ავტოთვიტმცლელების თავნება მძღოლების მოქმედებას, რომლებიც ნაგვისა და სხვა მშენებლობის (ღმერთმა ბევრი აგვაშენებინოს) ნარჩენების გადასაყრელად უმოკლეს მანძილს ირჩევენ. სამარცხვინო მაგალითად „მტკვარწხალმშენის“ ზემო ტერიტორიაც კმარა. სადაც ამხანაგური მებაღეობის ნაკვეთებია.

როდესაც საყოფაცხოვრებო მაღალ კულტურაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წვეულებაზე დაუპატიჟებლად და ასევე დაგვიანებით მისვლა უხერხულია. კიდევ კარგი, რომ მასპინძლობის ქართული წესი შესაშური სულგრძელობით რეაგირებს ამგვარ შემთხვევებზე.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მრავალრიცხოვან პრობლემათა ფონზე განსაკუთრებულად ჩანს ხალხმრავალი (აღბათ უფრო სწორი იქნებოდა – ხალხურიცხვი) ქელები. თუ რა საზარელი მასშტაბები და დამახინჯებული ფორმები მიიღო ჩვენში ამ მოვლენამ ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ერთმანეთს ვეჯობრებით, რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს ქელებს, ხალხის სიმრავლე შეიძლება გამართლებული იყოს, მაგრამ ქელების ორგანიზაციისა და წარმართვის მეთოდები და ფორმები კი, ალბათ ვერ უძლებენ ადამიანურ კრიტიკას. ხომ მოგვწონებია იგივე ქრისტიანების მიერ (ევროპული ცხოვრებიდან) სათუთად და დიდი ადამიანური გრძნობით ჩატარებული მიცვალებულის სამგლოვიარო გაცილება უკანასკნელ გზაზე და მასთან დაკავშირებული ტრაპეზი. მიცვალებულისა და ჭირისუფალთა პატივისცემის მამაპაპური წესი – უნდა შევძლოთ აღვადგინოთ იგი და დავიცვათ. აღარაფერს ვიტყვით იმ დიდ მატერიალურ და მორალურ დანაკარგებზე, რომლებითაც ხასიათდება ზემოთაღნიშნული, სამწუხაროდ, ტრადიციად ქცეული უზომო და უკონტროლო პროცესი.

რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა – ტროლეებუსში დანით

დასერილი სავარძლები და ფეხბურთის 15 ათასიანი აუდიტორიის თვალწინ ფიზიკურად შეურაცხყოფილი მსაჯი.; მამიკოების მანქანებით მოჯირითე შვილიკოები (რომლებიც მოხუცებსა და ბავშვებს გზაზე გადასვლის საშუალებას არ აძლევენ), თუ დამსხვრეული ჯიხურები და ტელეფონების აპარატები; ან იქნებ ის, რომ არც ერთი გასტრონომი არ იწყებს მუშაობას დილის 8 საათზე, ან ღამის მატარებლებს რომ მხოლოდ „ტაქსაობის“ მოყვარულები ხვდებიან, ან იქნებ ის, რომ ბენზინის რიგებში გაუთავებელ შეურაცხყოფას ვაყენებთ ერთმანეთს?

ბოლოს, სიამოვნებით და სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გონივრულმა, ენერგიულმა და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილმა ღონისძიებებმა შეგვაძლეს დიდი სისხლის ღვრის თავიდან აცილება, პოლიტიკური და საზოგადოებრივი დაძაბულობის შესუსტება გარე ძალების ჩაურევლად. გონიერება და მონდომება იმარჯვებდა, იმარჯვებს და მომავალშიც გაიმარჯვებს.

დრო მოსულა, რათა ავამოქმედოთ ჩვენი პოტენციალური შესაძლებლობები. ჟამი გვიდგას კეთილგონიერების მოსახმობად. ჟამო მოსულა სახელოების დასაკაპიწებლად.

1990 წ. 29 მარტი, №38 (8737)

თუკი ლუდის წარმოება აღდგება

ლუდის წარმოება ადამიანებმა იცოდნენ ჯერ კიდევ უძველეს დროში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს მესოპოტამიაში და ეგვიპტეში ცნობილი იყო ორ ათეულამდე დასახელების და ტიპის ლუდის წარმოების ანბანი.

მცირე სპირტიანობის მეშვეობით და ნახშირმჟავების ცილოვანი დექსტრინებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობის წყალობით, ლუდი ადამიანში აძლიერებს მადას და გარკვეულ წილად გვევლინება სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებადაც. კერძოდ, ლუდი, მასში შემავალი სვიის მეშვეობით, ხელს უწყობს დიურეზის

(შარდღენა) ამალლებას და ადამიანის ორგანიზმში საკვების ემულირებას და დისპერგირებას. ლუდი გამოირჩევა კალორიულობითაც. ერთი ლიტრი ლუდი შეიცავს საშუალოდ 500 კალორიას. მდიდარია ასევე ვიტამინებით. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლუდის უზომო მიღება საზიანო არ იყოს.

დაახლოებით 55 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი ქ. გორში ლუდის წარმოებას. გორული ლუდი არ ბრწყინავდა თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლით და ამას ჰქონდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. უკვე რამდენიმე წელია, გორში შეწყვეტილია ლუდის წარმოება და ეს მოხდა არა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მიღებული ცნობილი სამთავრობო გადაწყვეტილების შესაბამისად (ხომ აწარმოებენ ლუდს სხვაგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც), არამედ ძირითადად ვფიქრობ, იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა, თანამედროვე პროგრესული მეთოდების დანერგვა, მთელი რიგი ორგტექნიკური ღონისძიებების განხორციელება და, აქედან გამომდინარე, ლუდის ხარისხის საგრძნობი გაუმჯობესება.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის ლუდის საამქრო აშენებულია ლუდის წარმოებისათვის შეუფერებელ ადგილზე. დაჭაობებული ადგილმდებარეობა, მიწისქვეშა წყლებით ფართოდ დაქსელილი ნიადაგი და აქედან გამომდინარე მუდმივად ამალლებული ტენიანობა აძნელებდა ერთის მხრივ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, რაც ასე მომეტებულად არის საჭირო ლუდის წარმოების ფაქიზი ტექნოლოგიისათვის, და მეორეს მხრივ გაძლიერებულ კაროზიულ პროცესებს სისტემატურად გამოყავდა მწყობრიდან მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები და უვარგისს ხდიდა მათ საგარანტიო ვადებზე ადრე. გაძნელებული იყო მომსახურე პერსონალისათვის ნორმალური სამუშაო მიკროკლიმატის შექმნა, რაც თავის მხრივ იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას და ტექნოლოგიურ პროცესებზე კონტროლის შესუსტებას. თითქმის შეუძლებელი იყო ნედლეულის (ალაო, სვია და სხვა) შენახვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა და, აქედან გამომდინარე, მისი ხარისხობრივი მაჩვენებელიც ქვეითდებოდა, როგორც წესი.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ სასარგებლო ფართის სიმცირის გამო გაძნელებული იყო ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების განლაგების ტიპიური საპროექტო მოთხოვნების დაცვა და სხვა მრავალი.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რატომ აღარ გვაქვს გორში ლუდის წარმოება.

მაგრამ... გვჭირდება?

– დიახ, გვჭირდება.

ნათქვამის ჭეშმარიტებაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მოვუხმობთ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ლუდის რაოდენობრივ სტატისტიკას; ლუდი შემოგვქონდა და შემოგვაქვს რესპუბლიკის რეგიონებიდანაც და რესპუბლიკის გარედანაც. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი რეგიონის ლუდით მომარაგების ასეთ მეთოდს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები. ტრანსპორტირების შედეგად ლუდი ნაწილობრივ კარგავს (განსაკუთრებით სამამულე წარმოებისა) ხარისხს, შორი მანძილიდან შემოტანილი ლუდი უფრო ძვირი ჯდება (რამდენიმე მიზეზის გამო), მომარაგება ხასიათდება შემთხვევითობით და არარითმულობით.

ძნელია ვიმსჯელოთ გორში ლუდის წარმოების ალდგენის შესაძლებლობაზე და პერსპექტივაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საკითხის სათანადო დონითა და შესაბამის ინსტანციებში საკითხის სწორად დაყენების შემთხვევაში, ალბათ, არ უნდა ველოდოთ უარყოფით გადაწყვეტას (ღმერთმა გვისმინოს).

დავუშვათ დროებით, რომ დადებითად გადაწყდეს ქ. გორში (ან რაიონში) ლუდის წარმოების ალდგენა. რა პერსპექტივა გვექნებოდა ასეთ შემთხვევაში როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური თვალსაზრისით?

უპირველეს ყოვლისა, საამქროსათვის (უკეთეს შემთხვევაში ქარხნისათვის) უნდა შეირჩეს ახალი ადგილმდებარეობა ტიპიური მოთხოვნილების გათვალისწინებით. დღეს არც დანადგარების შექმნა უნდა იყოს ძნელი (არსებობს გაუქმებული ქარხნები, გორშიც შემორჩენილია ზოგიერთი მოწყობილობა და ბოლოს ქ. რი-

გის კვების მრეწველობის მანქანათმშენებელი ქარხანა ამზადებს ყველა აუცილებელ დანადგარს და სხვა).

პირველ ეტაპზე შეიძლებოდა დაკავშირებულიყავით მხოლოდ კასრებში ჩამოსასხმელი ლუდის წარმოებით, რაც საშუალებას მოგვცემდა აგვეცდინა თავიდან ბოთლის ჩამოსასხმელი მოწყობილობების კომპლექსის შექმნის ხარჯები. პირველადი დუღილის ჩანების დამზადება (ალუმინისაგან) შეიძლება მოგვარდეს ქ. გორშიც, კერძოდ, ადგილმრეწველობის გაერთიანებაში, ალად დღეს არ წარმოადგენს პრობლემას, ხოლო სვიის საკუთარი ბაზის საკითხი შეიძლებოდა გადაგვეწყვიტა რომელიმე საბჭოთა მეურნეობაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ლუდის წარმოებაში სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს სვიის ექსტრაქტი. თუ გადაწყდებოდა ლუდის თუნუქის ქილებში ჩამოსხმა, ასეთი ტარის შონაც არ იქნებოდა ძნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაბამისი ტექნიკური ბაზა ქ. გორს გააჩნია.

ახლა დიდ ყურადღება ექცევა წარმოების კომპლექსურ მექანიზაცია-ავტომატიზაციას. ამ საკითხსაც მოაგვარებდა გორში არსებული საწარმოო გაერთიანება „დილა“.

ფინანსების წყარო სამია: ცენტრალიზებული (რესპუბლიკური), ადგილობრივი ბიუჯეტი და ბოლოს – სპონსორები (არასაქველმოქმედო გაგებით). სასურველია, სპონსორი იყოს რომელიმე დიდი საწარმო, რომელსაც ექნება წყალი, გაზი, ორთქლი, ლაბორატორია, წყალგამწმენდი მოწყობილობა და ა. შ.

დავუშვათ, რომ ყველა საკითხი (ორგანიზაციული, ტექნიკური, ეკონომიურ-ფინანსური დადებითად გადაწყდა – რა ვუყოთ კადრებს? გვყავს კი გორში სპეციალისტები?

დიახ, გვყავს! საჭირო იქნება მხოლოდ მათი მოძებნა იქ, სადაც ადრე არ (ან ვერ) ვეძებდით. თუ არა და არც კადრების მომზადებაა დიდი თავსატეხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა. კერძოდ, თუკი ქ. გორში დადებითად გადაწყდება ლუდის წარმოების აღდგენის საკითხი, ამით:

1. შემცირდება მაგარი სპირტიანი სასმელების მოხმარება. მრავალ

ვალ მოწინავე ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა კვების მრეწველობის ობიექტების და მათ შორის ლუდის წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებს, როგორც შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს.

2. საგრძნობლად შემცირდება ლუდის სპეკულაციური მიზნებით გამოყენება (აწყობს საზოგადოების დიდ ნაწილს – შეიძლება არ აწყობდეს უმცირეს ნაწილს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის გარედან ლუდის შემოტანას თან ახლავს რესპუბლიკიდან ფულის გასვლა);

3. ქალაქში შეიქმნება რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი (ხელსაყრელია ყველასათვის, პირველ რიგში კი მათთვის, ვინც გორის ლუდის საამქროს გაუქმების შემდეგ უშუშვერები დარჩნენ).

4. ლუდის ნახარშის ნარჩენები გამოგვადგება პირუტყვის საკვებად.

დასმული საკითხისადმი თავისი დამოკიდებულების გამონათვა მიგვიჩვენია მკითხველისათვის და განსაკუთრებით ლუდის მოყვარულთათვის.

1990 წ. 3 ივლისი

სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს

რამდენ უსამართლობას, რამდენ და რანაირი სახის უწესრიგობას და უბედურებას უნდა შევეგუოთ ან შევეჩვიოთ?

ენით აუწერელი უწესრიგობის მოწმენი გავხდით 18 ივნისს ძნელადის ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურში. ასეთი უწესრიგობა, ამდენი ურთიერთშეურაცხყოფა, ასეთი ძალმომრეობა, უზრდელობა და უკულტურობა მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენია. ეს საკუთარი თვალთ უნდა ნახოთ.

უბედურება იმაშია, რომ ვისაც თანამდებობრივად ეკუთვნის წესრიგის დამყარება, თვითონ გვევლინებიან მის პირველ დამრღვევებად.. ყველანაირი გზებითა და ხერხებით ცდილობენ ბენზინის შეძენას და არ ერიდებიან არაფერს, არც გინებას და

არც უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებას და „პრესტიჟული“ თანამდებობით სარგებლობას.

თუ 18 ივნისს არ მოხდა რამე დიდი უბედურება, ეს არ იძლევა გარანტიას ხვალისათვის.

მაშ იქნებ გამოვფხიზლდეთ, იქნებ მოვუხმოთ გონიერებას და კაცთმოყვარეობას.

ნუთუ არავის არ ეკითხება, ან არავინ არ აგებს პასუხს ბენზინის გასამართ სადგურებში წესრიგის დამყარებისათვის?

თუ ჩვენს ხალხს არ შესწევს თვითმოწესრიგების უნარი, ხომ უნდა იყოს ვიღაც იძულებით რომ დაამყაროს საჭირო წესრიგი?

მივხედოთ საქმეს, სანამ ურემი გადაბრუნდება.

05.07.1990 წ.

ტექნოლოგიური სრულყოფისათვის

როდესაც ვლაპარაკობთ ღვინის მრეწველობაზე, რაღა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მისი ტექნოლოგიური სრულყოფა, ახალი მანქანების და უწყვეტი ნაკადური ხაზის დანერგვა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება თვით გამოძველებული ტექნიკის ჩათვლით.

მექანიზაციისაგან განსხვავებით, რომლის დონემ ღვინის მრეწველობაში 80-90 პროცენტს მიაღწია, ავტომატიზაციამ ჯერ ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება. იგი მოიცავს წარმოების მხოლოდ ცალკეულ უბნებსა და მანქანა-დანადგარებს.

ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ყურძნისა და მისი გადაამუშავების პროდუქტების ძირითადი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ექსპრესული ავტომატური კონტროლის ხელსაწყოები, რომელთა გარეშეც ძნელია ვილაპარაკოთ მართვის ავტომატიზირებული სისტემის შექმნასა და დანერგვაზე.

სწორედ ავტომატიზაციის საშუალებებისა და სისტემების დამუშავებას ემსახურება გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში შექმნილი რამდენიმე განყოფილება და ლაბორატორია, მათ

შორის ღვინის მრეწველობის ავტომატიზაციის განყოფილებაც.

უკანასკნელ ათწლეულში განყოფილებაში ბევრი საინტერესო სიახლე დაინერგა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მუშაობის ტემპი და ხარისხი, გაიზარდა დანერგილ სამუშაოთა რაოდენობა, მათი ეკონომიური ეფექტიანობის მაჩვენებლები. პირველი საუწყებათაშორისო გამოცდები გაიარა ყურძნის მიმღები პუნქტის ავტომატიზირებულმა სისტემამ, რომელიც შემდგომ მოიწონა სახელმწიფო კომისიამ, და ამჟამად საბჭოთა კავშირის ღვინის ქარხნებში ინერგება.

საუწყებათაშორისო გამოცდები გაიარა და ამჟამად ფართო დანერგვისთვისაა რეკომენდირებული ყურძნის ტკბილის შაქრიანობის მიხედვით ფრაქციებად დაყოფის და ღვინის კირმჟავის მიღების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა სერიულად უშვებს ჩვენს მიერ დამუშავებულ სინჯამლებს ყურძნისათვის. ცალკეულ ობიექტებზე დანერგილია კონიაკის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემები, მთავრდება თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ბიოქიმიური და საფუარების საამქროების ავტომატიზაცია, მუშავდება ახალი კონსტრუქციის ყურძნის სინჯამლები და ავტომატური კონტროლის სისტემა ყურძნის შაქრიანობისა და წონის საკონტროლოდ მიღების დროს და მრავალი სხვა.

ბოლო ათი წლის შედეგების მიხედვით ღვინის მრეწველობის ავტომატიზაციის დარგში ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების უკუგება ყოველ ერთ მანეთზე შეადგენს 4-5 მანეთს, რაც კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

რაღა თქმა უნდა, ეს წარმატებები არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველაფერი გაკეთებულია. დღეს, როდესაც ღვინის მრეწველობა იზრდება და არნახული ტემპით ვითარდება, გასაკეთებელი ბევრია, კერძოდ, ავტომატიზაციის თვალსაზრისით.

ჩვენი განყოფილების კოლექტივი მზადაა ახალი ზღუდეების დაპყრობისათვის.

1976 წ. 11 დეკემბერი

ბავშვები იცინოდნენ... რაზე?

ამას წინათ ქალაქის კინოთეატრში ვნახე ფილმი „მაფია ნინძას წინააღმდეგ“, ფილმი აღსავსეა ისეთი სცენებით, როგორცაა ძალმომრეობა, მკვლელობა დამამძიმებელ პირობებში. მთელ ფილმს გასდევს სისხლის ნთხევა, წინა სასიკვდილო მანჭვა-გრენა, სადიზმის საშინელი ფორმების კვალი. ამის მსგავსი ფილმების ჩვენება ამ ბოლო დროს განხორციელდა და თითქოს საკვირველი არაფერი უნდა ყოფილიყო. გამაოცა იმან, რომ ამ საშინელი და საზიზღარი სცენების შემყურე დარბაზი განუწყვეტლივ იცინოდა. დიახ იცინოდნენ მაყურებლები (!), ყველაზე შემადრწუნებელი კი ის განხლდათ, რომ როცა ფილმი დამთავრდა და დარბაზი განათდა, ჩემდა (და არა მარტო ჩემდა) სამწუხაროდ, დავინახე: მაყურებელთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ბავშვები.

დიახ, იცინოდნენ ბავშვები – სისხლის ღვრისა და სხვადასხვა მეთოდებით მკვლელობის შემყურენი, ბავშვური აუდიტორიის რეაქციამ უფრო მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა, ვიდრე ფილმმა.

გვემის შესრულებას არ უნდა ვანაცვალოთ მომავალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საკითხი.

1990 წ. 26 ივლისი

მეურნეობრიობის ახლებურ პირობებში

სრულ სამეურნეო ანგარიშიანობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას გააჩნია მთელი რიგი დადებითი ასპექტები – შედარებით გამიზნულად იხარჯება ფულადი სახსრები, მცირდება სამუშაოთა შესრულების ვადები, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც უმჯობესდება ხარისხი, იზრდება მშრომელთა დაინტერესება საბოლოო შედეგებით, იხვეწება შრომის ანაზღაურების მეთოდები. ამასთან აღნიშნულ მოვლენას გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც. ეს პროცესი

შედარებით მოულოდნელად განხორციელდა და ვფიქრობთ, რომ საამისოდ არც მატერიალური ბაზა იყო მომზადებული და არც სპეციალისტთა ბაზა ეკონომიკის საჭირო ცოდნის დონით.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას განსაკუთრებული მტკივნეულობით განიცდიან დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. ამ მხრივ არც „მრეწვაელომატსაკია“ გამონაკლისი.

ცნობილია, რომ ნებისმიერი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, პრობლემების გადაწყვეტას, შედეგების პრაქტიკულ დაწერვას და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს თეორიული თუ ექსპერიმენტალური (ხშირად ორივე) კვლევა-ძიებითი სამუშაოები, რაც უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს საგრძნობ შრომის რესურსებს და მატერიალურ დანახარჯებს. არც ის არის უცხო, როცა წინასწარი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არ იძლევიან დადებით შედეგს. დაიკარგა დრო და ფული. ასეთ შემთხვევაში ამბობენ: არ არსებობს მეცნიერება მსხვერპლის გარეშე. თუმცა ასეთ შემთხვევებსაც გარკვეული სარგებლობა მოაქვს სამომავლო საქმიანობაში.

იყო დრო, როცა სამეცნიერო სამუშაოებს თავიდან ბოლომდე აფინანსებდა სახელმწიფო ბიუჯეტი და სამუშაოთა ფართო დაწერვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტით ხდებოდა ცენტრალიზებული ანაზღაურება. ასევე ცენტრალიზებულად გაწეული დანახარჯებისა და მნიშვნელოვანი მოგების მიღებაც. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა რადიკალურად და უცაბედად აღმოჩნდით საკითხის თვისობრივად ახლებურად დაყენების წინაშე. მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის და მიღებული შედეგების პრაქტიკული დაწერვისათვის აუცილებელი თანხები უნდა გაიღონ უშუალო დამკვეთებმა (ქარხნებმა, ფაბრიკებმა, კომბინატებმა, კომპლექსებმა, მეურნეობებმა). ისიც ცნობილია, რომ ნებისმიერი წარმოება თავისი მოგებიდან გამოყოფს სახსრებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის და ისიც არა სურვილის ან მოთხოვნის მიხედვით, არამედ გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოებში. ამასთან ნებისმიერი ორგანიზაცია ცხოვრებისეულად არის დაინტერესე-

ბული ტექნიკური პროგრესისათვის გაწეულმა ხარჯებმა რაც შეიძლება სწრაფად მისცეს უკუგება და ეს ბუნებრივია, რადგან ამაზე და მოკიდებული მშრომელთა მატერიალური დაინტერესება და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ასეთ პირობებში, როცა ყოველი წუთი თუ კაპიკი, ყოველი გრამი მკაცრ კონტროლზეა აყვანილი და მიცემული აქვს მკაცრი პრაქტიკული აზრი – ცოტა გაძნელდა მეცნიერებაზე ფიქრი, რომ არაფერი ვთქვათ ხანგრძლივი დროისა და მნიშვნელოვანი ფინანსების გამოყოფაზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შესაძლოა კვლევით-სამეცნიერო სამუშაოები დამთავრდეს უარყოფითი შედეგებით, მაშინ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ თუ რა პრობლემები ჩნდება ერთის მხრივ პოტენციალურ დამკვეთებისათვის და მეორე მხრივ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისათვის, რომელთაგანაც ძირითადად უნდა მიმდინარეობდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს წარმოებები დღეს უყენებენ (თუ საერთოდ დაინტერესდნენ) მკაცრ და ხშირად არარეალურ მოთხოვნებს, როდესაც სურთ დააჩქარონ ტექნიკური პროგრესი მიზერული თანხის გამოყოფით და შემჭიდროვებულ ვალებში.

პრაქტიციზმმა პრაქტიკულად ჩააქრო მეცნიერებით დაინტერესება, რაც ჩვენი აზრით, საფრთხეს უქმნის ისედაც ჩამორჩენილ სამამულო მეცნიერების პერსპექტივას. შეიძლება გაზვიადებულად ნათქვამი გამოგვივიდეს, მაგრამ ვშიშობთ, რომ მეცნიერებისადმი სამეურნეო მიდგომამ ახლო მომავალში შეიძლება მიგვიყვანოს ხელოსნობამდის და გადაჭრით ჩამოგვაშოროს მეცნიერულ პერიპეტივებს.

როგორ შეიძლებოდა შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ გადავსულიყავით ახალ ლიანდაგზე? ჩვენი აზრით საჭირო იყო გასული წლების ეფექტური გამოყენება. კერძოდ, საფუძვლის თანდათანობით მომზადება, მნიშვნელოვანი რეზერვის ე. წ. „პოთფელის“ შევსება და ამ პოტენციალის შემდგომში თანმიმდევრული გამოყენება. ასეთი ღონისძიებანი სრულყოფილად არ

ჩატარებულა, რითაც ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია აღმოჩნდა ძნელადგადასაჭრელი ამოცანების წინაშე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საწარმოო გაერთიანება „დილას“ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში?

შეიძლება ითქვას, რომ არც თუ ისეთი ცუდი, თუმცა მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ მოითხოვს მთელი კოლექტივის, მისი თითოეული წევრის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედებას, გამიზნულ და დახვეწილ მუშაობას. დღის წესრიგში დგას ზემოთხსენებული „პოთფელის“ გაფართოება. კადრების კვალიფიკაციის დაჩქარებული წესით ამაღლება, პროფესიონალიზმის გაღრმავება, სრული სამეურნეო ანგარიშობის პირობებში აღარ არის საკმარისი, წინა წლების ცოდნა და გამოცდილება, ძველი მეთოდებით მოღვაწეობა. ახლა ყველა უნდა დავეუფლოთ თითოეული კაპიკისა და წუთის მიზნობრივი და ეფექტური გამოყენების ხელოვნებას. უნდა ვეზიაროთ ეკონომიკის, ფინანსებისა და დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებს. საჭიროა დავეწიოთ და ფუნდაფუნ მიყვეთ სწრაფადცვალებად დღევანდელობას. ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა თვისობრივად ახალი სამეურნეო ურთიერთობანი, რომლებისთვისაც ბევრი არ იყო შესაბამისად მომზადებული. როგორც იტყვიან, სიარულში, ფეხზემდგომელებს გვიწევს ბევრი პრობლემის მოგვარება და სწორედ ამიტომ არის დღეს საჭირო მეტი გარჯა, მეტი პასუხისმგებლობა, მეტი პროფესიონალიზმი.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მეტად მნიშვნელოვანი საკითხებით არის დაკომპლექტებული. გამოვეყოფდით ისეთ სამუშაოებს, როგორებიცაა ჩაის ფოთლის გრენის, ხმობის, ფიქსაციის და ღნობის ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემა ავტომატური სამაზუთე მეურნეობით, ჩაის ფოთლის ხარისხის ექსპრესული ანალიზის ავტომატიზირებული სისტემა, სპეციალიზირებული მიკროელექტრო გამომთვლელი მანქანის დამუშავება, ლაბორატორიული კონტროლერების ბაზაზე, სასაფუარე განყოფილებაში პროცესების მართვა ულ-

ტრამპერიტი მეთოდების კვლევა აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის ტენიანობის გასაზომად, საწარმოო გაერთიანება „დილას“ მართვის ავტომატიზირებული სისტემა, საფეიქრო ნაწარმის ტენიანობის უწყვეტ ნაკადში გაზომვა, ნამცხვრისა და ვაფლის ავტომატური უკონტაქტო ტენზომომი, მინერალური სასუქების ტენზომომი, მშრალი რძის ნაკადში ტენიანობის გამზომი ხელსაწყო, ინფრაწითელი მიკროტენზომომი, თევზის ქონში წყლის შემცველობის ექსპრესული ანალიზის ხელსაწყო. მცენარეულ საკვებ ზეთებში წყლის კონტროლი და მრავალი სხვა.

ინსტიტუტის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელიწადში საკუთარი ძალებით შეასრულოს 1,3 მილიონი მანეთის სამუშაოები.

იმელს გამოვთქვამთ, რომ ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს წლიურ დავალებებს და კარგი მეცნიერული და ეკონომიური მაჩვენებლებით დაამთავრებს ხუთწლედს.

აქვე გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ გორის რეიონის წარმოება-ორგანიზაციათა და მეურნეობათა ხელმძღვანელები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ნედლეულის, მასალების თუ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ისეთი მძლავრი და ეფექტური ბერკეტების გამოყენებისადმი, როგორცაა ავტომატიზაცია, გამონაკლისს (კარგი გაგებით) წარმოადგენენ ბამბეულისა და საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება და პურკომბინატი, რომლებმაც შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და ეს უკანასკნელიც პერიოდულად ასრულებს მათთვის გარკვეულ სამუშაოებს.

1990 წ. 23 აგვისტო



ჩაის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

ჩაი უძველესი კულტურაა. ჩაის მოყვანას და დამუშავებას ადამიანები შორეული წარსულიდან მისდევენ. ამ კულტურის სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და იაპონია. წინათ ეს ქვეყნები ამარაგებდნენ მსოფლიო ბაზარს ჩაის პროდუქციით. უკანასკნელ ხანებში კი დიდი გავრცელება ჰპოვა ჩაის კულტურამ საქართველოს სს რესპუბლიკაშიც.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობა ჩაის მრეწველობის მძლავრი განვითარებისათვის. დღეისათვის ჩაის წარმოება საქართველოში სწრაფად იზრდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უახლოეს მომავალში ქართული ჩაი დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მთელ მოთხოვნილებას. ჩაიზე მოთხოვნილება ძალზე დიდია და ამიტომ მის მოყვანასა და დამუშავებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა. ჩაის მრეწველობა სისტემატურად ვითარდება, მასში ინერგება საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი უახლესი კონსტრუქციის მანქანები.

ჩაის ტექნოლოგია ადამიანისაგან მოითხოვს დიდ გამოცდილებასა და ცოდნას. მაღალი ხარისხის ჩაის მიღება მეტად რთული საკითხია. იგი ძირითადად დამოკიდებულია ნედლეულის ხარისხზე და მისი დამუშავების მეთოდებზე. ამ ორი ფაქტორის გარეშე ძნელია ვიფიქროთ მაღალხარისხოვანი ჩაის მიღებაზე. მაღალხარისხოვანი ჩაის მიღება დამოკიდებულია როგორც ფაბრიკაში მისი დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების აკარგვიანობაზე, ისე ნედლეულის მოყვანისა და მისი თვისებების შესწავლაზე.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ნედლეულისაგან შეიძლება მივიღოთ ორი სახის – მწვანე და შავი ჩაი, რაც დამოკიდებულია ნედლეულის დამუშავების მეთოდების სხვადასხვაობაზე. ქვემოთ ლაპარაკი გვექნება მხოლოდ მწვანე ჩაის შესახებ.

ჩაის ფოთლის დუყში მიმდინარეობს მთელი რიგი ბიოქიმი-

ური პროცესები, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნედლი ფოთლის შენახვას გადაამუშავებამდე. ჩაის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც იწვევენ ზემოხსენებულ ბიოქიმიურ ცვლილებებს ჩაის ფოთლის ორგანიზმში. ჩაის ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შერჩეულ იქნას ფოთლის დამუშავების ოპტიმალური რეჟიმი, შემუშავებულ იქნას წარმოების კონტროლის მეთოდები და მანქანათა კონსტრუქციები ნედლეულის ხარისხოვანი დამუშავებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკას ბევრი ჩაის ფაბრიკა აქვს. მათ შორის ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება ლანჩხუთის ცაის ფაბრიკა, სადაც დანერგილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. ჩაის დამუშავების პროცესის ერთი ციკლი მოკლედ შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად. ჩაის ნედლი ფოთოლი მიმღები პუნქტიდან, აწონვის შემდეგ, სპეციალური ტრანსპორტიორების საშუალებით მიდის საფიქსაციო მანქანაში. ფიქსაციის პროცესის დამთავრების შემდეგ ჩაის ფოთოლი მიედინება საგრეხი მანქანისაკენ და შემდეგ უკვე საშრობისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ჩაის უწყვეტი ხაზის ძირითადი რგოლი, საფიქსაციო მანქანა, სულ რამდენიმე წელია, რაც გადაეცა საქსპლოატაციოდ. მისი პროექტი დამუშავებულია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ა. აშთანის და ტექნოლოგ გ. ლომინაძის მიერ. ეს მანქანა ცნობილია შემდეგი სახელით: „აშთანი – ლომინაძის სისტემის საფიქსაციო მანქანა“.

როგორც ცნობილია, ჩაის ნედლი ფოთოლი 80 პროცენტამდე შეიცავს სინოტივეს. მწვანე ჩაის დამზადებისათვის საჭიროა სინესტე დავიყვანოთ 60 და უფრო ნაკლებ პროცენტამდე. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ჩაის ფოთოლი ზედმეტად არ გახმეს. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ზემოხსენებული ჩაის საფიქსაციო მანქანა.

ჩაის უწყვეტი ხაზის მეორე მნიშვნელოვანი რგოლია ჩაის ფოთლის როლერული ტიპის საგრეხი მანქანა (ვ. პ. შარკოვსკი).

გორის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მიზნად დაისახა გადაჭრას ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის უწყვეტი ხაზის მთლიანი ავტომატიზაციის მეტად რთული საკითხი.

ამ სამუშაოებში ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს ჩაის საფიქსაციო მანქანის სითბური პროცესების ავტომატიზაციის საკითხი. სწორედ აქეთკენ იქნება მიმართული ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების ძირითადი ყურადღება.

მუშაობა წარიმართა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი სამუშაოებისა მოიცავდა ობიექტიდან ე. წ. დინამიური მახასიათებლის მოხსნას, ობიექტის სტატისტიკური და დინამიური თვისებების შესწავლა-დამუშავებას, რეგულატორის ტიპის შერჩევას და ავტომატური რეგულირების სისტემის შედგენას. სამუშაოთა მეორე ეტაპი ითვალისწინებდა შედგენილი და შესწავლილი სისტემის დამონტაჟებას ადგილზე და შემდეგ უკვე მის პრაქტიკულ გამოცდას. ორივე ეტაპი სამუშაოებისა კარგად იქნა შესრულებული „ნიიაავტომატპრომის“ მუშაკთა მიერ. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ ამ სამუშაოთა ხასიათს და მათ დანიშნულებას.

კალორიფერში გამთბარი ჰაერი განსაკუთრებული მიღების საშუალებით მიედინება საფიქსაციო მანქანისაკენ, სადაც ზდება ჩაის ფოთლის ფიქსაცია, პროცესის ნორმალური წარმართვისათვის საჭირო იყო მანქანაში შემავალი და გამომავალი თბილი ჰაერის ტემპერატურათა რეგულირება ტექნოლოგიური რეჟიმის შესაბამისად. ტემპერატურული რეჟიმის ზუსტი დაცვა ჩაის წარმოებაში საგრძნობლად ზრდის პროდუქციის ხარისხს.

ინსტიტუტის თანამშრომლების წინაშე იდგა ამოცანა: საფიქსაციო მანქანაში შემავალი თბილი ჰაერის ტემპერატურა დაეჭირათ ფდარგლებში 19.5 ± 0.5 , ხოლო გამომავალი ჰაერის 9.5 ± 0.4 .

დასმული ამოცანის გადაჭრისათვის და რეგულიატორის ტიპის საფუძვლიანი შერჩევისათვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ექსპერიმენტალური სამუშაოები. მოხსნილი იქნა დინამიური მახასიათებელი, რის შემდეგ მოხდა ცდების შედეგად მიღებული მასალების დამუშავება.

ჩაის ხარისხის ამაღლებისათვის და აშინი-ლომინადის

სისტემის საფიქსაციო მანქანაში სითბური პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის (ტექნოლოგიური რეჟიმის შესაბამისად) საჭირო აღმოჩნდა გამომავალი თბილი ჰაერის ტემპერატურის რეგულირება მანქანაში შემავალი ჰაერის რაოდენობის ცვლილებების საშუალებით, ხოლო მანქანაში შემავალი ჰაერის ტემპერატურის რეგულირება კი კალორიფერში მიწოდებული საწვავის რაოდენობით. ეს გადაწყვეტილება ყოველმხრივ შესწავლილი და შემოწმებული იქნა. შედგენილი იქნა ავტომატური რეგულირების სისტემა, რითაც სამუშაოთა პირველი ეტაპი დამთავრდა.

ექსპერიმენტალური სამუშაოების შედეგად მიღებული მასალების დამუშავების შემდეგ საფიქსაციო მანქანაში ტემპერატურის რეგულირებისათვის საუკეთესოდ იქნა მიჩნეული „რუ-4-16 ა“ ტიპის ელექტრონული რეგულიატორი.

შერჩეულმა რეგულიატორმა მოლოდინს გადააჭარბა. მისი საშუალებით მიღწეული იქნა საუკეთესო ტემპერატურული რეჟიმი. გადახრა არ აღემატებოდა 2-ს. სისტემის დამონტაჟების შემდეგ მიმდინარეობდა მისი გამოცდა. ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში დამონტაჟებულმა ავტომატური რეგულირების სისტემამ მთლიანად და კარგად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობანი. შეიძლება ითქვას, რომ აშინი-ლომინადის სისტემის ჩაის საფიქსაციო მანქანის სითბური პროცესების ავტომატიზაციის საკითხი ბრწყინვალედ იქნა გადაჭრილი. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია მთელი უწყვეტი ხაზის კომპლექსური ავტომატიზაციისა. ჩაის ფოთლის აწონვის, მიწოდების და შრომის სხვა პროცესების ავტომატიზაცია „ნიიაავტომატპრომის“ მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წლის სეზონისათვის.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით გორის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოების განვითარების საქმეში.

სცენაზე არიან ბედნიერი ახალგაზრდები (გორის საქალაქო ოლიმპიადაზე)

18 აპრილს დაიწყო გორის მხატვრული თვითშემოქმედების წრეებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა საქალაქო ოლიმპიადა.

ოლიმპიადის დაწყების პირველ დღეს, საღამოს 7 საათისათვის, მრავალმა გორელმა მშრომელმა მოიყარა თავი გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის დარბაზში.

სცენაზე არიან მეხუთე საშუალო სკოლის ახალგაზრდა შემსრულებლები. ისინი იწყებენ მ. ედიშერაშვილის მიერ დადგმული მუსიკალური მონტაჟის „ტყეში“ ჩვენებას (ცეკვების დამდგმელი მ. ადამოვი). ქართული ეროვნული ტანსაცმლით შემოდიან ნორჩი მოცეკვავეები. სცენის სიღრმეში დგანან პატარა მომღერლები, სცენას აშშვენებს ტყის პეიზაჟი... ცეკვას ცვლის სიმღერა, სიმღერას ლექსები, უმღერიან ბედნიერ ბავშვობას, სიცოცხლეს, ხალხთა მეგობრობას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას.

„...მოდის ტურფა გაზაფხული“... – იწყებს ერთ-ერთი ბავშვი და სცენის სიღრმეში გამოჩნდა გაზაფხული – საგაზაფხულო ფერებით მორთული გოგონა, თავზე ყვავილები აყრია, კაბასაც ფერად-ფერადი ყვავილები უშშვენებს, სცენაზე მოჩანს მწვანე ბუჩქები. ერთ-ერთი ბუჩქიდან სიმღერით ამოძვრება ენძელა-მოსწავლე. „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია...“ – ისმის სცენაზე და მეორე ბუჩქიდან აიმართება ლამაზი „ია“. ყვავილებს „მერცხლები“ და „შოშიები“ მოჰყვნიან.

სცენაზე შემოდიან შემოდგომის განმასახიერებელი მოსწავლეები, ხელში თავთუხებითა და მტევენებით. გაიარა შემოდგომამ, დაიწყო ბავშვების საყვარელი ზამთარი. ბარდნის, სინათლეზე მოჩანან ციყვები, კურდღლები, მელიები, მგლები, დათუნები. ყველა ბავშვი კარგად ასრულებს თავის როლს...

მთავრდება მუსიკალური მონტაჟი. ნორჩ შემსრულებლებს გულთბილი ტაშით აჯილდოებენ მაყურებლები.

მეხუთე საშუალო სკოლის შემსრულებლები 7-წლიანი სკოლის ნორჩმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა შეცვალეს. მოწონება დაიმსახურა მესამე კლასელ ნასყიდაშვილის მიერ წაკითხულმა ლე-

ქსმა „ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან“, სადაც ლაპარაკია ზარმაც, უღისციპლინო მოსწავლეთა შესახებ. მ. ტატალაშვილმა და ც. მოსახნიშვილმა კარგად შეასრულეს ცაბაძის „სიმღერა ჭალარა მამაზე“.

მრავალფეროვანი პროგრამით მოვიდნენ საქალაქო ოლიმპიადაზე გორელი მეკონსერვე ახალგაზრდები. მქუსარე ტაში ხვდათ წილად ე. მანველიანს, გ. ბათიაშვილს და ა. ტატალაშვილს, რომლებმაც მიმზიდველად შეასრულეს სიმღერა „ჩემო ტურფა საქართველოვ“. ასევე წარმატება ხვდათ წილად მათ მიერვე შესრულებულ სიმღერას კინოფილმიდან „ქალიშვილი შავებში“. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ცეკვები „ფერხული“ და „ოსური“, აგრეთვე დები რაზმაძეებისა და კვაჭანტირაძის მიერ შესრულებული სიმღერები „წინანდალი“ და „მდინარე ხიდქვეშ“. მქუსარე ტაშით დააჯილდოვეს თ. კვაჭანტირაძე, რომელმაც მომხიბლავად შეასრულა ტიროლიური სიმღერა.

ასევე წარმატებით გამოვიდნენ ოლიმპიადაზე ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და რკინიგზის საშუალო სკოლის თვითშემოქმედი კოლექტივები. სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი ნომრებიდან აღსანიშნავია ბიბლაშვილისა და გურგენაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები „სიმღერა გორზე“ და „სიმღერა საქართველოზე“.

მაღალოსტატურად შეასრულა რკინიგზის საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდმა სიმღერები „მზად ვართ“ და პიონერული სიმღერა „თბილისზე“.

მაყურებელთა წინაშე წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე აღნიშნული სკოლის მოცეკვავეები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ოლიმპიადის პირველი დღის დასასრულ მაყურებელს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს გორელმა სტუდენტებმა. გორელი სტუდენტები ყოველთვის წარმატებით გამოდიან საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადაებზე და არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი. მათ მიერ შესრულებული თითქმის ყველა ნომერი გულმოდგინედ იყო დაძუშავებული.

სტუდენტმა-შემსრულებლებმა თავიანთი გამოსვლა დაიწყეს სა-

გუნდო სიმღერით „სიმღერა პარტიანზე“, რომელმაც მქუხარე ტაში გამოიწვია. კარგად წაიკითხა კ. ქრისტესიაშვილმა ს. ჩიქოვანის ლექსი „ჰიმნი პარტიას“.

მაყურებელი მოაჯადოვა სტუდენტთა ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა, რომელმაც მგზნებარე ტემპერამენტით შეასრულა ცეკვები „მხედრული“ „განდაგანა“, „წყაროსთან“ და სხვა. შესრულების მაღალი ოსტატობა გამოავლინეს ტრიომ (კაკალოვი, ფაშტიანი, ნადირაძე), კვარტეტმა (ბარბაქაძე, სამაგლიშვილი, ქოჩლაძე, ფაშტიანი), სოლისტებმა ც. ციციშვილმა, ბ. თაბაგარმა და სხვ.

დასასრულ სტუდენტმა მსახიობებმა წარმოადგინეს სცენა პიესიდან „ბარათაშვილი“, რომელმაც ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

* * *

ოლიმპიადის მეორე დღეს, 14 აპრილს სცენაზე პირველნი გამოვიდნენ VI საშუალო სკოლის შემსრულებლები. მოსაწონი იყო ინსცენირება „სასვენი ნიშნების გასაუბრება“. მოცეკვავე გონებმა კარგად შეასრულეს ინდური ცეკვა, რასაც მაყურებელი ტაშით შეხვდა. წარმატება ხვდა აგრეთვე ცეკვებს „სლოვაკური პოლკა“ და „გოპაკი“.

შვიდი ნომრით წარსდგა მაყურებელთა წინაშე IX საშუალო სკოლის მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივი. დაბალი კლასების მოსწავლეებმა მათთვის შესაფერისი ოსტატობით შეასრულეს აზერბაიჯანული სიმღერა „ჩემი წიწილები“ („ჯუჯალარი“), რომელშიც სოლოს ასრულებდნენ პირველკლასელები ე. გელდიაშვილი და ნ. გოვიშვილი. კარგი იყო სიმღერის გუნდის მიერ შესრულებული „გვიყვარს ჩვენი სამშობლო“ (ტექსტი პ. რურუასი, მუსიკა ს. მირიანაშვილის). აღნიშნული სკოლის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა აგრეთვე ცეკვები „მოხეური“, „სვანური“ და „ფერსული“.

საინტერესო პროგრამით მოვიდა ოლიმპიადაზე მუსიკალური სკოლის კოლექტივი. მქუხარე ტაში ხვდა წილად პირველკლასელ ბ. ჩიტაიას, რომელმაც ვიოლინოზე მომხიბვლელად შეასრულა შანიდის „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ და კაბალევსკის „პოლკა“. მაყურებელი დაატკბეს როჩიკაშვილმა და კარიჭაშვილმა, რომლებმაც პიანინოზე ოსტატურად შეასრულეს ნაწყვეტი ოპერა „კარმენი-

დან“. აღსანიშნავია აგრეთვე მომავალი მუსიკოსების მიერ შესრულებული ნომრები „მხიარული წუთები“ (ნ. იარდალაშვილი), შუბერტის „სამხედრო მარში“ (ნ. და ნ. მაკრახიძეები) და სხვა.

მომავალი მუსიკოსები შეცვალა რკინიგზის კლუბთან არსებულმა მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა. წარმატებით გამოვიდნენ მაყურებელთა წინაშე ზ. ასკილაშვილი, ჯ. გორგიშელი და კ. ჯაფარიძე, რომლებმაც მომხიბვლელად შეასრულეს ცაბადის „ღირიული სიმღერა“. ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა მომღერლები ლ. იაკობაშვილი და ჯ. გორგიშელი („პატარას სიმღერა“).

აღნიშნული კოლექტივის გამოსვლიდან ყურადღება დაიმსახურა სიმღერამ „იას სინაზე მოვსტაცე“ და „ქალთა ცეკვამ“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი საშუალო სკოლის გამოსვლები. მათი პროგრამა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, დახვეწილობითა და გააზრებულობით. აღნიშნული სკოლის კოლექტივის მიერ ოლიმპიადაზე წარმოდგენილ ყოველ სიმღერას და ცეკვას ეტყობოდა მზრუნველი ხელი, საფუძვლიანი მომზადება ამ დღისათვის.

მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა ცეკვების „ფარიკაობის“, „მთიულურის“ და სხვათა შემსრულებელნი (დამდგმელი ა. კუპრაძე).

სამედიცინო სკოლის მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივის გამოსვლიდან აღსანიშნავია სიმღერები „მოდინაზე“ (კიკნაძე, კოლოტაშვილი, მჭედლიშვილი, მესხი) და „ყვავილებში დაგეძებ“ (მუსიკა მილორაზასი, ტექსტი გრუზინსკისა).

ოლიმპიადის მეორე დღის დასასრულს მაყურებელს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალგაზრდებმა. მათი პროგრამა არც თუ ისე დიდი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურეს. წარმატება ხვდა უ. სამაგლიშვილს, რომელმაც მისთვის ჩვეული სიტოთი შეასრულა იტალიური სიმღერა „წვიმა მოდის“ და კომპოზიტორ თ. ჩოჩუას „გელი“. საინტერესო იყო გ. სინარულიძისა და შ. გაჩეჩილაძის გამოსვლები („თბილისო“, „მისტერ ვუ“).

15 აპრილს ოლიმპიადა გრძელდებოდა.

რძის ცხიმთანობის განმსაზღვრელი ხელსაწყო

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებთან ერთად შეიღწევიან გეგმით გათვალისწინებული ხელსაწყოთმშენებლობის განვითარება, რაც დიდ გარდატენას მოახდენს საწარმოების მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობისა და ხელსაწყოებით აღჭურვის საქმეში. განხორციელდება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სულ მეტი ყურადღება ეთმობა სასურსათო საქონლის ასორტიმენტის გაფართოებასა და მისი ხარისხის გაომჯობესებას.

ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში და სასურსათო პროდუქტების წარმოების ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს. გასულ წელს ინსტიტუტის მუშაკებმა დაუცხრომელი ძიებით, სხვა მრავალ გამოგონებასთან ერთად, შექმნეს რძის ცხიმთანობის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

ხელსაწყოს მუშაობა დამყარებულია ფოტოელექტრული რეგისტრაციის მეთოდზე. რძეში ცხიმის შემცველობა განისაზღვრება მისი გამჭვირვალობით (რაც უფრო მეტი ცხიმია რძეში, მით ნაკლებია გამჭვირვალობა). გაზომვის მეთოდი კომპენსაციურია, გამოყენებულია წითელი შუქფილტრი, სინათლის წყარო (ელექტრონათურა) იღებს ელექტროდენს ძაბვის სტაბილიზატორიდან, რომელიც ჩართულია 220 ძაბვის ქსელში. სინათლის წყაროდან სინათლე დიაფრაგმების და შუქფილტრების გავლით ეცემა ფოტოელემენტებს. სინათლის ერთი ნაკადი გადის გამოსაკვლევი რძის თხელ ფენაში, რომელიც ჩასხმულია მინის ჭურჭელში. სინათლის მეორე ნაკადი გადის ნეიტრალურ შუქფილტრში – რძის ეტალონში. რძეში გამავალი სინათლის ნაკადი რეგულირდება დიაფრაგმის საშუალებით მანამდე, სანამ ფოტოელემენტების წრედში ჩართული გალვანომეტრის ისარი ნულზე არ დადგება.

ხელსაწყო დემონსტრირებული იყო თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ სამრეწველო გამოფენაზე და პრემიაც დაიმსახურა.



დამშრალი სისხლი

უკვე მერამდენე წელია ადმინისტრაციულ შენობაში ერთმანეთს ხვდება წელში ოდნავ მოხრილი, ჯოხზე დაყრდნობილი ორი ჭარმაგი მამაკაცი.

ახლაც ერთმანეთის გვერდით იდგნენ მოაჯირს მიყრდნობილნი, მოლოდინით აღვსილი თვალებით.

– ნიკო, რაზედაც ხარ მოსული ხომ ვიცი, მაგრამ რაშია საქმე, რატომ გაგიჭიანურდა ტელეფონის დადგმის საკითხი?

– ეჰ, ჩემო მიხო, შენ რა, მაგ დღეში არა ხარ? რამდენი წელია წვალობ და საკუთარი შვილი ვერ ჩაგიწერია საკუთარ ბინაში.

– ჰო, ასეა. ალბათ, მოგვარდება ჩვენი საქმე.

– აბა, რა ვიცი, რა გითხრა. მე კი სისხლი გამიშრა ამდენი ნერვიულობითა და ლოდინით. თუმცა რაღაც იმედი გამიჩნდა, სიაში უკვე პირველ ადგილზე ვარ.

ზედა სართულიდან მოაჯირს ვიღაც სწრაფად ჩამოუყვია და გაისმა ქსოვილის გაფხრეწის ხმა. „ეჰო“, ერთი კი წამოსცდა კოსტუმშემოხეულს და დაღინებული ჩაუყვია კიბეს. ვიღაცას მოაჯირის ხის რიკული დიდი ლურსმით მიუწედებია და ლურსმნის ნახევარზე მეტი ზემოთ იყო ამოშვერილი. დიდი დრო არ გასულა და ახლა სასოწარკვეთილი წყველა გაისმა ქალისა – ძირში შეგახმეს ხელები, ვინც ეგ ლურსმანი ჩააჭედაო.

ნიკომ მძიმე, ბლაგვ საგანს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ. მრავალრიცხოვან ოთახებში გადანაწილებულ ახალგაზრდებსაც შესჩივლა, მაგრამ უშედეგოდ. უფრო მეტიც, ნეტავ რა განერვიულებსო, მაგ ლურსმანზე ერთი ოცმა ადამიანმა მაინც შემოიფხრიწა ტანისამოსი და არავის არ დაუჩივლიაო.

ნიკობ ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღებების გროვიდან ამოარჩია ყველაზე მასიური და მიაწვა ლურსმანს. აკანკალებული, ომგამოვლილი თითები ასხლტდნენ და იხუვლა ჯერ კიდევ დაუმშრალმა სისხლმა. სისხლის დანავხა არ გაჰკვირვებიათ მოხუცებს, სხვა რამ აკვირვებდათ.

ნიკო და მიხო თავდალუნულები მიუყვებოდნენ სახლისაკენ მიმავალ გზას, როცა ადმინისტრაციულ სახლში ხმა გავარდა – უფროსმა

ახალი კოსტუმი მოისვარა მოაჯირზე მინთხეულ სისხლშიო.

ოპერატიულად ამოქმედდა შესაბამისი მანქანა და მოაჯირზე შემშრალი სისხლის ჯგუფის მიხედვით დაადგინეს „დამნაშავე“. სამუშაო დღე ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ცნობილი გახდა განაჩენიც: „სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევისათვის ნიკო ტელეფონების დადგმის სიაში გადაადგილებული იქნეს მეათე ადგილზე“.

1990 წ. №10

ცენტრის მორიგი ფინტი

თითქოს გრძნობდა ხალხი ახალი უბედურების მოახლოებას (დიახ, ხალხი). ამიტომ ხომ არ იყო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ასე ხშირად ეკითხებოდნენ ცენტრს – ფულის რეფორმას ხომ არ აპირებთო. არაო, დაბეჯითებით პასუხობდნენ „ზემოდან“, როგორ ვიკადრებთო. და აი, ახლადმოვლენილმა ლიდერმა, პავლოვმა, ხალხს მეზივით დაატეხა თავს, როგორც ამას ეკონომისტები და ფინანსისტები განმარტავენ, ფულის რეფორმის არნახული ვარიანტი, თანაც ტელევიზორის ეკრანიდან ცინიკური ღიმილით მოახსენა ხალხს, რომ ამ ოპერაციისთვის ერთი წელიწადი ვემზადდებითო. ეს კარგად გამოჩნდა მეორე დღესვე. არც დაწესებულებებში და არც ორგანიზაციებში, არც ბანკებში, ბულალტერიებში და სალაროებში არავინ არ იცოდა თუ რა ხდებოდა. განგაშმა მოიცვა ხალხი. გაოგნებულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. გავრცელდა ათასნაირი ჭორი, დაიმტვრა დახლები და ვიტრინები.

ერთხელ კიდევ გავხდით ცენტრის მოუმზადებელ-მოუფიქრებელი ნაბიჯის მოწმენი. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, თუ როგორ ამზადებენ (თან ერთი წლის განმავლობაში) ხალხისათვის (დიახ, ხალხისათვის) ასე მნიშვნელოვან და სასიცოცხლო პროცესებს.

რეფორმის (თუ ამას რეფორმა ჰქვია) ასეთი მოუმზადებლობისათვის ალბათ ისდა დაგვრჩენია ვიკითხოთ: არის კი პავლოვი მომზადებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პისტიისათვის. ფინტიც ამას ჰქვია.

1991 წ. №1

როგორ ვენდოთ

ყველას კარგად ახსოვს ალბათ გორბაჩოვის ნათქვამი: „შევარდნაძე ვიცეპრეზიდენტად მინდაო“. და მერე, ასე ვთქვათ, გაებუტა მას შევარდნაძის გადადგომით ვითომ განაწყნებული.

ისიც კარგად გვახსოვს, თუ საიდანღაც და როგორღაც გამოძებნეს იანაევი და წამოაყენეს მისი კანდიდატურა ვიცეპრეზიდენტის პოსტზე.

იანაევმა არჩევნების შედეგად ვერ მიიღო დეპუტატთა ხმების საჭირო რაოდენობა და გორბაჩოვს დასჭირდა მთელი თავისი „უნარის“ გამოყენება, რათა მის კანდიდატს გაემარჯვა განმეორებით არჩევნებში.

იანაევმა „გაიმარჯვა“, მაგრამ...

საერთაშორისო ყოველკვირეული გაზეთი „მეგაპოლის ექსპრესი“ (1991 წ. №2) იუწყება შემდეგს: „არჩევნების ჩასატარებლად დეპუტატებზე გასცეს 1828 ბიულეტენი; ურნებში აღმოჩნდა 1823 ბიულეტენი. ე. ი. ამომრჩევლებმა არ ჩააგდეს 5 ბიულეტენი. ასეთი იყო ხმის დამთვლელი კომისიის უფიციალური განაცხადი.

როგორც დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის წარმომადგენლები ამტკიცებენ, ეს ოფიციალური ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს – ურნებში ჩაუშვებელ ბიულეტენტა რაოდენობა შეადგენს რამდენიმე ათეულს.

დეპუტატთა ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა ჩაატარეს გამოკითხვა, შეაგროვეს ურნაში ჩაუშვებელი ბიულეტენები, დაურთეს თან მათი მფლობელების განცხადებები და მასალები წარუდგინეს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ალექსეევს, პრეზიდენტ მ. გორბაჩოვს და ა. ლუკიანოვს, როგორც ფარული კენჭისყრის პროცედურის უხეში დარღვევის უპრეცედენტო მაგალითი.

რეგიონთაშორისი დეპუტატთა ჯგუფის თანათავმჯდომარეები ი. აფანასევი და გ. პოპოვი მოითხოვეს საქმის გამოძიებას და სათანადო დასკვნების გაკეთებას.

მართლაც რომ საოცარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. დევერხანა

ქვეყნის ვიცეპრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულა კრემლისათვის დამახასიათებელი ხრიკების გამოყენებით.

ვაი ჩვენი ბრალი. როგორღა უნდა ვენდოთ ნობელის პრემიის ლაურეატ პრეზიდენტს, ან ასეთ ვიცეპრეზიდენტს.

1991 წ. №2

კულტურული ველურები

რამდენჯერ თქმულა და რამდენჯერ დაწერილა, ვის და როდის რა უსაუბრია ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის კულტურული ქცევისა და ცხოვრების შესახებ.

არა გვგონია, რომ მაღალცივილიზებულ ქვეყნებში საერთოდ იწერებოდეს რაიმე ან ტელეგადაცემებში მოუწოდებდნენ ადამიანებს – იყავით კულტურულნი და ზრდილობიანიო. ეს ალბათ ჩვენს „დიდ“ ქვეყანაში და არანაკლებ საქართველოში ხდება. ჯერ მარტო ის ლოზუნგები რად ღირს (რომელთა ნაწილი დღესაც შემოგვრჩა): „გაზონებზე გადასვლა აკრძალულია, ჯარიმა ... მანეთი“, „ნუ მოსწევთ“, „ნუ დაანაგვიანებთ“, „დაიცავით სიჩუმე“, „გაუფრთხილდით ტყეს“, „აქ ნაგვის დაყრა აკრძალულია“, „დაუთმეთ ადგილი მოხუცებს“ და მრავალი სხვა.

განა ჭეშმარიტად განათლებულ, ზრდილობიან და კულტურულ ადამიანს უნდა სჭირდებოდეს ამგვარი შეგონებები? მაგრამ ალბათ ღრმად და ვითარებამ მოიტანა ეს და ისევე ღრმად უნდა ველოდეთ, რათა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება განთავისუფლდეს ამგვარი ჭკუისსასწავლებელი რეცეპტებისაგან.

გვჭირდება კი დღეს ასეთი შეხსენებანი? ფაქტი ერთია, რომ შვიდი ათეული წლის განმავლობაში სასიკეთოდ არაფერი არ შეცვლილა. ნათქვამის დასტურად ასეთი ჩამონათვალიც საკმარისი იქნება: კინოთეატრებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ღანით დასერილი სავარძლები, ქუჩებში მზესუმზირის წკაპუნითა და ჩენჩოს ფურთხებით მოსეირნე ქალიშვილები თუ ვაჟები, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (მათ შორის კინოდარბაზებში) სიგარეტის წევა, ჩამტვრეული ლამპიონები და ვიტრინები,

ჩამოგლეჯილ-ჩამომტვრეული ტელეფონ-ავტომატები, მოურიდე-ბელი და ხმამაღალი გინება საზოგადოების თანდასწრებით, სა-მუშაო საათებში ქელესებში ჯდომა და სადღეგრძელოებში საქა-რთველოს სიყვარულის მტკიცება, შუაგზაზე გამოტანილი ნაგავი და მრავალი სხვა.

ქართულ სუფრას ვერ ვნახავთ, რომ ქართველობის მაღალკულ-ტურულობით არ მოგვწონდეს თავი. ვაი, რომ ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი შორსაა ასეთი ჭემარიტებისაგან. მოჭარბებ-ული მატერიალური უზრუნველყოფა და თანამედროვე ჩაცმულობა, სულაც არ ნიშნავს ადამიანის მაღალ კულტურულობას.

აღბათ იმის მტკიცებაც ძნელია, რომ სრულყოფილი ყოფიერების მიღწევით შეიძლება სრულყოფილი ცნობიერების ჩამოყალიბება, რომელსაც როგორც შედეგი, უნდა მოჰყვეს საყოფაცხოვრებო კულტურის დონის ამაღლება. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს სპეციალისტებმა უნდა გაარკვიონ და დაასაბუთონ. ეს მათი, სოციოლოგებისა და პედაგოგების ამოცანა და მიზანი უნდა იყოს.

ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება მატერიალური სფეროს კატაკ-ლიზმებით გამართლდეს სულიერი და ზნეობრივი უკულტურობა, უკულმართობანი, უეციკობა და თავხედობა (რომ აღარაფერი ვთქვათ მოძალებულ ხულიგნობაზე, გარყვნილობასა და გახრწნილობაზე).

უკულტურობისა და უზნეობის საწყისები ადამიანთა აღზრდის სათავეებშია ჩამარხული და აღბათ სადავეებსაც იქ უნდა ვეძე-ბდეთ.

1991 წ. №3

რისი გვჯეროდეს?

მხოლოდ თავგამოდებული და კეთილსინდისიერი შრომის. აი, ჩემის აზრით, მოკლე პასუხი სათაურში დასმულ შეკითხვაზე. საქართველოში ოდითგან იცოდნენ შრომის ფასი. იცოდნენ, რომ შრომის გარეშე არ განხორციელდება მატერიალური კეთილ-დღეობა, რომ შრომის უგულვებელყოფას მივყავართ ეკონომიკურ

კრიზისებამდე. დღეს უკვე დასაბუთებულად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ კომუნისტურმა სისტემამ ჩვენს ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) გააუფასურა შრომა. სისტემამ ვერ უზ-რუნველყო ადამიანი თავისი შრომის შედეგებით. ნელნელა, თან-დათანობით დაიკარგა რწმენა შრომის ფუნქციონირებაში. არადა, კა-ცობრიობის ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი თუ გონივრულმა, სისტემურმა და გამიზნულმა შრომამ რამდენი ქვეყანა გაიყვანა მსოფლიოში მოწინავე ქვეყნების რიგებში და რამდენად დაბალია იმ ქვეყნების ეკონომიური პოტენციალი, რომლებმაც ვერ მოახ-ერხეს შრომის დაფასება და შეფასება, ასეთ ქვეყნების რიგს მივეკუთვნებით სამწუხაროდ ჩვენც.

შეიძლება მკითხველი შემოგვეკამათოს, რომ როგორც არის შრომის ანაზღაურება, ისეთია შრომის ხარისხიცო და იგი (მკითხ-ველი) ნაწილობრივ სწორი იქნება. ნაწილობრივ იმიტომ, რომ აქ საქმე არა გვაქვს კვერცხისა და ქათმის ცნობილ, ბანალურ მაგალითთან. გვჯერა, რომ პირველადი მაინც შრომა უნდა იყოს. მეორე საკითხია და მნიშვნელოვანიც შრომის ანაზღაურების ამა-თუიმ ქვეყანაში დაკანონებული ნორმები.

დღეს, როდესაც ასე მკაცრად დადგა დღის წესრიგში ადამი-ანთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი, ვფიქრობთ, რომ დროის დაუკარგავად, ამავე წუთიდან უნდა მივხედოთ შრომის საქმეს. ყველამ კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. ყველამ უნდა აკეთოს ის, რისთვისაც არის მოწოდე-ბული. ციდან დოვლათი არ ჩამოვა და არც მხართეძოზე წამო-წოლით გამოვა რამე.

როცა სამუშაო საათებში ქალაქების ქუჩები და სოფლის ე. წ. „ბირჟები“ სავსეა ხალხით, უკვე ცხადია შრომის როგორ დისციპლინასთან გვაქვს საქმე. ნუთუ ყველა შვებულებაშია ან მივლინებაში? რა თქმა უნდა, არა. საქმე გვაქვს ადგილებზე, ორ-განიზაციებში, საწარმოებში, სასწავლებლებში არსებულ უფრო სწორად, არარსებულ შრომის დისციპლინასთან.

1990 წ. №11

როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი

**დიდ გაერო-ს ტრიბუნაზე ფენსაცმელის ბრახუნით
კარგად გვახსოვს ჩვენ ნიკიტა უხნეობის მსახური.
დღესაც დგანან ტრიბუნაზე გულგრილები, კუმტები.
არ გვაკლია ორლესული, არ გვაკლია მუშტები.**

ვ. ჭანკოტაძე

საქართველოში რადიკალურად და გადაწყვეტით ძირფესვიანად ინგრევა ძველი, დრომოჭმული კომუნისტური მმართველობითი სტრუქტურები. ახალ, დემოკრატიულ და სამართლებრივ საწყისებზე წარმოებს როგორც რესპუბლიკური ისე ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების არჩევნები. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ სახელდობრ ვის აირჩევს ხალხი, ვის ხელში იქნება XXI საუკუნის საქართველოს ბედი, ვინ დაანთებს სიბნელისა და ძალადობის დამთრგუნველ ჩირაღდანს.

ცალკეულ პიროვნებებზე რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული, ეს ჭეშმარიტებაა და სწორედ ახლა დგას საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემის წინაშე. უნდა აირჩნენ ის ადამიანები, რომლების საკუთარი სიცოცხლით იქნებიან პასუხისმგებელნი ხალხის აწმყოზე და მომავალზე, რომლებიც თავდაუზოგავად, პატიოსნებით და მაღალი თვითმეგნებით (აუცილებელია მაღალი კვალიფიკაცია) ემსახურებიან ხალხს.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ხელმძღვანელები (დირექტორები, უფროსები) გვინახავს: ახალგაზრდა და ხანშიშესული, განათლებული და უმეცარი, ზრდილობიანი და უზრდელი, კულტურული და უკულტურო (ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ).

შეგერდები მხოლოდ რამდენიმე კატეგორიის ხელმძღვანელზე, რომლებსაც ყველა ჩვენგანი არაერთხელ შეხვედრია ავადმოსახსენებელ 73 წლის განმავლობაში და რომელთაგან ზოგჯერ ტკბილი და ზოგჯერ კი მწარე მოგონებები შემოგვრჩენია მეხსიერების უძირო კიდობანში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხელმძღვანელობის (დირექტორობის, უფროსობის) ხელოვნებას არ ასწავლიდნენ. ჩვენში კარგ ხელმძღვანელებად ან კარგ დირექ-

ტორებად მონათლული ადამიანები ძირითადად ბუნების მიერ მინიჭებული ორგანიზატორული უნარით იყვნენ შეიარაღებულნი.

ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე (ჩვენთან, გორშიც) თუ ერთი „ამოჩეიებული“ დირექტორი როგორ მოგზაურობდა ერთი სავარძელიდან მეორემდე 3-4 წლის ინტერვალთ, თანაც სპეციფიკით და მასშტაბებით რადიკალურად განსხვავებულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელად. ვერ ელეოდნენ ასეთ „დირექტორებად დაბადებულ“ ადამიანებს, ვერ „წირავდნენ“, უფროსილდებოდნენ და შედეგიც სახეზეა.

მეც და თქვენც ხშირად გვინახავს ხელმძღვანელის (დირექტორის, უფროსის) საწერი ე. წ. სამუშაო მაგიდა, რომლებიც ალბათ ძირითადად სამი კატეგორიისაა.

ერთი – გადატვირთული ქაღალდებით, წერილებით, ათასგვარი ფორმებით რამდენიმე სართულად დაგროვილ-დახროვებული და ბუნნამუსრევი მასალებით, რომელთა შორის საჭირო საბუთის პოვნას საათები სჭირდება. რაშია საქმე, რა დასკვნა შეილება გაკეთდეს? ხელმძღვანელი (დირექტორი) ხელოვნურად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას აუარებელი საქმე აქვს, რომ დღედაღამ საქმეშია ჩაფლული და მოცლა არა აქვს. ზოგიერთ ხელმძღვანელს კი არ შესწევს უნარი დროზე და ოპერატიულად გაერკვეს საკითხებში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ღიმილს იწვევს ისეთი ხელმძღვანელის საქციელი, რომელსაც სისტემატურად, დიან სისტემატურად, მიაქვს სახლში ქაღალდების გროვა. შეკითხვაზე თუ რა გიჭირავს ხელშიო – გაასუხობს, სახლში მიმაქვს მასალები, უნდა ვიმუშავოო. როდესაც ასეთ მოვლენას აქვს სისტემატური ხასიათი – ეს უკვე ბლეფია.

ახლა შევაფასოთ ხელმძღვანელის სამუშაო მაგიდა, რომელიც თითქმის ცარიელია. ეს მეორე უკიდურესობაა. ხელმძღვანელმა „ოპერატიულად“ მოიშორა ყველა საბუთი, ყველაფრის გაკეთება სხვებს დაავალა, არცთუმივითად თავისი გასაკეთებელიც. თვითონ კი სავარძელში მოკალათებული სისტემატურად საუბრობს თავის მეგობარ-ამხანაგებთან და ნათესავებთან ტელეფონით, ან საერთოდ მიდის სამსახურიდან განუსაზღვრელი ვადით „თავისი“ საქმეების გამო.

ალბათ განახლებულ საქართველოს ისეთი ხელმძღვანელები და

სამუშაო მაგიდები სჭირდება, როცა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, საქმეც დროზე კეთდება, როცა დღეისთვის გასაკეთებელი ხვალისთვის არ გადაიტანება.

რამდენი ხელმძღვანელი ე. წ. „ამხანაგი“ გვინახავს, რომელსაც ვერ შეატყობ ესმის თუ არა თქვენი ლაპარაკი. ზოგიერთი ხელმძღვანელი ისეთია, რომ მართლა არ ესმის რაზე ესაუბრებით და ეს ამბავი არც აწუხებს; ზოგიერთს კი ბრწყინვალედ ესმის ყველაფერი, მაგრამ არ ამჟღავნებს, არ გაგრძობინებს რომ გაგიგო, რათა ემინია თავისი ამ „გაგებით“ რაიმე თქვენთვის იმედისმომცემი დაპირება არ წამოსცდეს, კომპრომისულ მიდგომას ამჯობინებს: „ვნახოთ, შევხედოთ, მოვიფიქროთ, შემახსენეთ“...

გთხოვთ გაინსენოთ – გექნებოდათ ასეთი შემთხვევები თქვენს ცხოვრებაში.

ო, რა ვეებერთელა გულისხმიერება, განსწავლულობა, აღზრდა და კომპეტენტურობაა საჭირო ყველა რანგის ხელმძღვანელისათვის.

ისეთი ხელმძღვანელიც ბევრი გვყავს, რომლებიც თავიანთი უმეტრების გამო ე. წ. ბიუროს სხდომებზე ვერ პასუხობდნენ მათი სახელმძღვანელო ორგანიზაციის სპეციფიკურ საკითხებზე, არც წითლდებოდნენ.

როდესაც ხელმძღვანელს არ შეუძლია ხელმძღვანელობა, დირექტორს – დირექტორობა და უფროსს კი უფროსობა, იგი უნდა გადადგეს თუ კი რაიმე პრეტენზია გააჩნია საკუთარ თავმოყვარეობაზე. მართალია ეს პროცედურა ჩვენთან არ არის დამკვიდრებული, მაგრამ თითოთოროლა შემთხვევა გამოჩნდა და ვფიქრობ ეს მისასაღებელია.

თუ ხელმძღვანელი (დირექტორი, უფროსი) ვერ გრძობს თავის უნიათობას და უსუსურობას, დროისთვის შეუსაბამობას – მაშინ მას ეს უნდა აგრძობინონ და გააგებინონ და ეს პირველ რიგში ხალხმა უნდა გააკეთოს, ხალხმა, რომელიც დღეს დგას დიდი არჩევანის წინაშე.

ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ერთ-ერთ ჟურნალში ამოკითხული იუმორისტული დიალოგით: ერთი ამბობს – წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როცა ოპერის მომღერალი იგრძობს, რომ ხმა აღარ აქვს და სიმღერა აღარ შეუძლიაო; მეორე კი პასუხობს – უფრო დიდი უბედურებაა, როცა მომღერალი ამას ვერ იგრძობსო.



გასაღებები, ბოქლომები, გისოსები

ადამიანის წარმოშობის შემდეგ (დაახლოებით 30 მილიონი წელი) დედამიწაზე ყოველთვის იყო და დღესაც არის ქურდობა, მეტნაკლები მასშტაბებით.

რამდენი კარგი რამ მოხდებოდა, რომ არ იყოს ქურდობა: ადამიანებს უფრო მეტად ეყვარებოდათ ერთმანეთი, მოიხსნებოდა ნერვიული სტრესები, შემცირდებოდა პატიმართა რაოდენობა, ამადლდებოდა ურთიერთნდობა, ერთის „ბედნიერება“ არ შედგებოდა მეორის უბედურების ხარჯზე, ბავშვებს აღარ მოაკლდებოდათ დაპატიმრებული მშობლების ყურადღება, მშობლები აღარ ივლიდნენ კარდაკარ პატიმარი შვილების ბედის შესამსუბუქებლად, დამსვენებლებს აღარ შეაწუხებდათ დროებით მიტოვებული სახლკარის ბედი, აღარც ოქროულობის გადამაღვისთვის იქნებოდა საჭირო ტვინის ჭყლეტა და ა. შ.

მაგრამ რაკი იყო და არის ქურდობა, მისგან დაცვა იყო და არის საჭირო და ადამიანებიც, უნსოვარი დროიდან დღემდე, იგონებენ ათასნაირ დამცავ საშუალებებს: საკეტებს, ურდულებს, ბოქლომებს, გასაღებებს, საგმანებს, საიდუმლო („სეკრეტი“) თუ უბრალო ტექნიკურ მოწყობილობებს – მექანიკურს, ელექტრონულს თუ ელექტრონულს. ასიათასობით მეცნიერ-მკვლევარი, კონსტრუქტორი, ტექნოლოგი, დამპროექტებელი, მხაზველი, ინჟინერი, დიზაინერი, ხარატი, ზეინკალი და სხვა სპეციალისტი მუშაობს ახალი საკეტების შექმნაზე. მერე მათი შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება, ტარის დამზადება, რეალიზაცია და სხვა. ათასობით ქარხანა მუშაობს და ახალი საკეტების გამოშვებით ებრძვის ქურდობის სენს.

ადამიანებს გასაღებებით ევსებათ ჯიბეები, ღიახ, გასაღებებით, რომელთა ზიდვა-ტარება და მოფრთხილება ყოველდღიური ზრუნვის ნორმად ქცეულა. ვაი იმის ბრალი, ვინც გასაღებს დაკარგავს. არის ნერვიულობა და შიში. დაკარგე?! კეთილი ინებე და საკეტი გამოცვალე.

ზოგიერთ გულმაგიწყ და დაბნეულ ადამიანს იმდენჯერ

დაუკარგავს გასაღები და შესაბამისად იმდენჯერ გადაუკეთ-გადაუხვრეტია კარები, რომ ეს უკანასკნელიც შესაცვლელი გამხდარა.

ადამიანებს ჯიბეები ევლიჯებათ გასაღებების სიმძიმით. ნებისმიერ საცხოვრებელ სახლში (რომ არაფერი ვთქვათ სამსახურებრივ სათავსოებზე) ყველა სახის საკეტებისა და შესაბამისი გასაღებების წონა საშუალოდ, ალბათ, მიაღწევს ათ კილოგრამს მაინც; ჭიშკრის (რამდენიმე), ბინაში შესასვლელი კარების (რამდენიმე), ცალკეული ოთახების, ავტოფარეხის (რამდენიმე), სარდაფის (ების), საქათმის, საღორის თუ საძროხის, საკუჭნაოს, ბოსტნის, ბალ-ვენახის, სხვენის, ავტომანქანის (ძრავის, საბარგულის, საბურავის დისკების, „ბარდაჩოკის“, საწვავის ავზის), საჭის სპეციალური ბერკეტული ჩამკეტის, აგარაკის (რამდენიმე) სეიფის (ების) (რამდენიმე), საწერი მაგიდის, კარადების, ჩემოდნების, „დიპლომატების“, სპეცზარდახშების და მრავალი სხვა. ყველაფერ ამას დაუმატოთ ახლა გისოსების ტყე კარებებზე და ფანჯრებზე!!! (ერთ უცხოელს ჩვენში უკითხავს, რატომ გაქვთ პირველ სართულზე გისოსებიო. დაბნეულ მასპინძელს უპასუხია – სამიშია, ბავშვი არ გადავარდესო. კი მაგრამ, უკითხავს უცხოელს, რატომ მესამე სართულზე არ გაქვთ გისოსები, იქიდან გადმოვარდნა, ზომ უფრო სამიშიაო! პასუხმა დაავგიანა თურმე გაურკვეველი დროით)!!!

ახლა წარმოვიდგინოთ (თუმცა ძალიან ძნელია), რომ საქართველოში არ არსებობს ქურდობა და არაფრის ჩაკეტვა-ჩაგმანვა აღარ არის საჭირო.

არიქა! ჩვენს ქვეყანაში გამოთავისუფლდება სულ ცოტა ათი მილიონი კილოგრამი ჯართი.

სამართალდამცველნო! მოსპეთ ქურდობა საქართველოში და გადაარჩინეთ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გაკოტრებას.

2004 წ.

რაციონალური წინადადება

ერთ დროს, თითქმის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა ჩინეთში მოსახლეობის აღწერა და ამ მიზნით მიმართავდნენ ისეთ პრიმიტიულ ხერხს, როგორცაა წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული მარილის რაოდენობის განსაზღვრა, რაც, რა თქმა უნდა, იძლეოდა მნიშვნელოვნად დამახინჯებულ სურათს.

დღევანდელ საქართველოში, მიუხედავად კომპიუტერული ტექნიკის არნახული მოძალებისა, გაძნელებულია მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

– გაუქმებულია საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოქალაქეთა ჩაწერის ინსტიტუტი;

– საარსებო საშუალებების ძებნით დაკავებული მოსახლეობა იმყოფება მუდმივი ადგილმონაცვლეობის პროცესში;

– მრავალჯერადი არჩევნების დროს შედგენილი სიების დამახინჯება ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე და ამ სიებით ნაწილობრივ სარგებლობა აღწერის პროცესში;

– აღწერის პროცესში ჩართულ მოხელეთა უპასუხისმგებლობა და მოსახლეობის სრული ინდეფერენტობა ამ მნიშვნელოვან პრობლემასთან მიმართებაში.

საქართველოში მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა რომ არ იქცეს გადაუჭრელ პრობლემად, შემომატყვს რაციონალიზატორული წინადადება:

განისაზღვროს მოსახლეთა საერთო რაოდენობა გაცემული ღირსების ორდენების მიხედვით.

იმედი მაქვს, რომ რიცხვი საკმაოდ ზუსტი იქნება.

2004 წ.

ხელსუფლებამ მათ ზურგი შეაქცია 10-15 წელიც და მომჩივანიც აღარ დარჩება

გასული საუკუნის 60-იან წლებში, მთელ მსოფლიოში ქუხდა ქართული მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სხვა სკოლების სახელი.

მეცნიერებათა აკადემიის ქსელის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცალკეული სამეცნიერო ლაბორატორიების გარდა ქვეყანაში ფუნქციონირებდნენ სამინისტროების ე. წ. დარგობრივი კვლევითი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები, თითქმის ყველა მსხვილ სამრეწველო ობიექტს გააჩნდა თავისი პატარა სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფი და შესაბამისი ბაზა. ამ ორგანიზაციებში მოღვაწეობდა ათეულათასობით მეცნიერ-მუშაკი, ინჟინერი, ტექნიკოსი, კონსტრუქტორი, ლაბორანტი და ა. შ.

სამწუხაროდ ეს ყველაფერი იყო, დიან იყო.

უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში მოიშალა, დაინგრა და გაპარტახდა თითქმის მთელი სამეცნიერო მანქანა, დაიხურა და გაუქმდა ბევრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, საკონსტრუქტორო ბიურო თუ ლაბორატორია. ჯართად იქცა და მიმღებ პუნქტებს ჩაბარდა უნიკალური ტექნიკა და აღჭურვილობა, ქვეყანამ თითქმის უარი თქვა მეცნიერების გლობალური განვითარების აუცილებლობაზე, უმუშევრად და ფაქტიურად საარსებო წყაროს გარეშე დარჩა მეცნიერ-მუშაკთა მთელი არმია. ხელისუფლებამ მათზე ფაქტიურად თქვა უარი, ზურგი შეაქცია და გაწირა სასიკვდილოდ, არა მარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც ფიზიკური არსება-ადამიანი.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერება ფინანსდებოდა ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არც თუ ურიგოდ. სხვანაირად, სოციალისტური საზოგადოება ვერ მიაღწევდა სარიოზულ აღმასვლას და განვითარებას. კავიდან – ატომურ იარაღამდე. აი, ის ნახტომი, რის გაკეთებაც შეძლეს ახალი საზოგადოების მშენებლებმა და მხარში ამოუდგნენ და ზოგ შემთხვევაში, გაასწორეს კიდევ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს ყველაფერი კი

განაპირობა მეცნიერებისადმი და მეცნიერ-მუშაკებისადმი დიდმა ყურადღებამ და გრანდიოზული მასშტაბების დაფინანსებამ.

დღეს კი რა ხდება? როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოიშალა და დაინგრა ეროვნული მეცნიერება.

გასაგებია, რომ საბაზრო ეკონომიკას გააჩნია თავისი წესები და კანონები, რომ ყველაფერი უნდა განვითარდეს მკაცრი კონკურენციის პირობებში, მათ შორის მეცნიერებაც, მაგრამ სად, როდის და როგორ? კონკურენტუნარიანი გარემოსა და პირობების შექმნას ხომ ესაჭიროება სამეცნიერო ქსელი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და დაფინანსებით (საწყის პერიოდში მანც). ხომ აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღება?! ერთი წუთით დავეშვათ აბსურდული რამ, რომ ქვეყანა უარს ამბობს მეცნიერების განვითარებაზე (და ვფიქრობ ეს ასეც არის), მაშინ რა მოხდება. მოხდება ის, რომ რაც გვაქვს (თუკი რამ კიდევ დავგრჩა) იმასაც დავკარგავთ და ქვეყანა, მთელი ქართველი ერი ჩაეფლობა ჩამორჩენილობის წუმპეში და ვეღარასოდეს ამოძვრება იქიდან. საზოგადოების (ერის) ლოგიკურად განვითარების უწყვეტი აუცილებლობის ჯაჭვი გაწყდება და ამ შემთხვევაში, ერი დაიღუპება. არ მინდა ვიყო პესიმისტი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდის.

სამეცნიერო დაწესებულებების შენობა-ნაგებობები იყიდება და შემდგომ იქ იხსნება რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, სახამუები და სახინკლები, აზარტული თამაშების კლუბები, ბორდელები, ვიდეოთეკები, ჭინჭების მაღაზიები და ათასი სხვა რამ – ეს უკვე დაღუპვაა, ეს უკვე კატასტროფაა. კატასტროფა ერისთვის და ქვეყნისთვის ის, რომ პროფესორს უკეთეს შემთხვევაში 40 ლარი აქვს ხელფასი; ის რომ ფიზიკოსი თევზს ჰყიდის ბაზარში, ქიმიკოსი გაზეთებს ყიდის (ხშირად წონით!), ბიოლოგი ერგნეთში დადის სავაჭროდ, მწერალი საკუთარ წიგნებს ქუჩაში ყიდის, პროფესორული კონსტრუქტორი ვაჭრობს ბენზინით, მათემატიკოსი მიწისქვეშა გადასასვლელში სიმღერით შოულობს „პურის ფულს“ და ა. შ.

ეს საშინელებაა, ეს მართლაც კატასტროფაა. ისმის კითხვა: ვინ ან რა ძალამ მიიყვანა ამ კატეგორიის (ვეგულისხმობ მეცნიერ-

მუშაკებს) ხალხი ასეთ სავალალო მდგომარეობამდე? პასუხი ძნელი მოსაძებნი არ გახლავთ.

ერთი მაგალითის მოყვანაც კი საკმარისი იქნება იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ქაოსთან და განუკითხაობასთან, როგორ თვითნებობასთან და უკანონობასთან გვაქვს საქმე.

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის უკანონოდ გაუქმების შემდეგ (რის შესახებაც არაერთხელ დაიწერა რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ პრესაში). უმუშევრად და ფაქტიურად საშიმშილოდ და ე. ი. სასიკვდილოდ გაიწირა ასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი. თითქოს „სამართალმა პური ჭამა“ (ასეთი იყო გაზეთში გამოქვეყნებული წერილის სათაური) და რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის აღდგენის შესახებ, მაგრამ რა? უკვე თითქმის სამი წელი გავიდა და ათასი ჯურისა და გვარის ბიუროკრატიული აპარატის და ინდივიდის წყალობით საქმე წინ არ მიდის. არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. აი, ამას ჰქვია ზრუნვა მეცნიერებაზე ზოგადად და მეცნიერ-მუშაკებზე – კერძოდ. აღარც ჩივილს აქვს აზრი და აღარც სხვა ფორმის პროტესტს. ერთი 10-15 წელი და მომჩივანიც ალბათ, ნაკლებადლა შემორჩება ამ წუთისოფელს.

ხელისუფლებამ (მთლიანად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ნუ დავაბრალებთ ყველაფერს, მითუმეტეს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, თავისი არსით, მეცნიერების უგულვებელყოფას – უფრო პირიქით) სასიკვდილოდ გაიწირა ის ხალხი, ის მეცნიერები და სპეციალისტები, რომელთა სწავლაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ჩამოყალიბებაზე თავის დროზე დაიხარჯა ათეულმლარდობით მანეთი. ხელისუფლებამ წიხლი კრა და დაამსხვრია ის ჭურჭელი, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი იყო მოთავსებული. ამ ჭურჭლის და შიგთავსის ნამსხვრევები მთელ საქართველოშია მიმოფანტული და ელის გამამთელებელი, ჯადოსნური ჯოხის დაქნევას.

გამოჩნდება კი ასეთი ჯოხის პატრონი?

2002 წ.

ჯიმას თავგადასავლები

სულ ახლახანს გორის შპს „პრიმო-გორის“ სტამბამ დაბეჭდა ჯიმა კაპეტივაძის, შეიძლება ითქვას, ავტობიოგრაფიული წიგნი სახელწოდებით „ჯიმა კაპეტივაძის „იუმორი“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯიმა კაპეტივაძე სხვის შესახებ კი არ ცდილობს თავისი იუმორის წარმართვას, არამედ ყველა საკუთარ თავზე გადატანის, სხვადასხვა დროს განცდილ თავგადასავლებისა და შთაბეჭდილებების შესახებ.

საინტერესოა მისი გულახდილი და მართლაც რომ სიცილის მომგვრელი თხრობის მანერა.

არ შეუდგები ცალკეული თავგადასავლების გარჩევას, ერთს კი ვუსურვებ ყველას, წაიკითხონ ეს პატარა ბროშურა და ორი-ოდე საათით ჩაეფლონ რეალურ სამყაროში.

გამოცემის რედაქტორ-წამქეზებელი განსლავთ ჯემალ ინჯია, მხატვარი – ბესო ზუბაშვილი.

2002 წ.

14 ლარი – სასიკვდილო დოზაა

პენსიონერი, მარტოხელა მოხუცი კაცი მზეს ეფიცებოდა სახლის კედელთან. ის იყო ბებერი ძვლები ოდნავ შეითბო რომ ღრმად ჩაფიქრებულს შეუმჩნევლად ჩაეძინა.

სიზმარში მეზობლის ბავშვმა ჩამოიბინა სიცილ-კისკისით, შეჩერდა მის წინ, მიესალმა და ჰკითხა: „რატომ ხარ პაპა, ასე დაღონებული, რა გაწუხებს?“ „შენ რა გინარია, რომ სკოლიდან ასე გაბადრულ-გაბრწყინებული მოდიხარო“ – კითხვა შეახვედრა მოხუცმა. „მათემატიკაში ხუთიანი მივიღე“ – იყო პასუხი.

– მაშ, თუ მათემატიკა ასე კარგად იცი, მოდი მომეხმარე ერთი საკითხის განგარიშებაში და ჩემი დაღონების მიზეზსაც შეიტყობო – გამომცდელად შეხედა მოხუცმა მომღიმარ ბავშვს.

– აბა, რაშიაო საქმე, – დაინტერესდა პატარა მრავლისმცოდნე მოზრდილივით და მიუჩოჩდა გვერდით.

– აი, შვილო, ჩემი ტვინის საჭყლეტავი: პენსია მაქვს 14 ლარი, იმასაც თვეობით არ მაძლევენ. მინდა შენი მათემატიკური ცოდნა მომაშველო და მასწავლო, თუ როგორ ვიარსებო.

სიამოვნებით, მიუგო ბავშვმა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაყინს მიყიდო. – ეგ შენზეა დამოკიდებული, როგორ გაანაწილებ ჩემს პენსიასო, – მიუგო პაპამ.

დაიწყო ბავშვმა ზეპირი მიმატება-გამოკლება, გამრავლება-გაყოფა, მერე თითები მოიშველია, ბოლოს კი საქმეში კალკულატორი და საწერ-კალამი ჩართო. საკმაო ჯაფა დაადგა, ოფლში გაიწურა, თმები აეჩეჩა, წიგნები და რვეულები მიეფანტა-მოეფანტა, მაგრამ განგარიშებას სასიკეთო პირი არ უჩანდა. რა იცოდა ნაყინის მოყვარულმა პატარამ, თუ რა სიძნელებთან ჰქონდა საქმე. ვერა და ვერ შეძლო ისეთი მათემატიკური ოპერაციის ჩატარება, რომ 14 ლარით უზრუნველყო მოხუცის არსებობა. გულით სწაღდა მოხუცის განარება, მაგრამ ამაოდ. თავისთავად გამოჰქონდა დასკვნები: პურს იყიდი – სიცივით გაიყინები, გაზის დანახარჯს გადაიხდი – სინათლეს გაგითიშავენ და სიბნელეში კისერს მოიტეხ, სინათლეს მიხედავ – ტელეფონს გაგითიშავენ და ზედ ერთლარიან ჯარიმასაც მოგაწერენ, ტელეფონსაც თუ დაუთმობ „ბიუჯეტიდან“ ცოტაოდენს, მერე წყურვილი დაგახრჩობს, წყალს მიაპყრობ გულისყურს და ნაგავში შეგფუთავენ, ნაგავსაც თუ მიხედავ – პური შემოგაკლდება. ყველაფერს თუ ცოტა-ცოტას მიხედავ – გარეთ გამოსვლის შეგრცხვება, ვერავის დაენახვები დაფხრეწილ-დაგლეჯილი ტანსაცმლით და ა. შ.

ჰოდა, აღარ ისურვა სხვისი დანახვა გაჭირვებულმა მოხუცმა და მზისმყუდროზე მისვენებულმა სამუდამოდ დაიძინა.

ღრო კი თავისი გზით მიდის და უღმობლად უსწორდება ადამიანებს მათმიერვე შექმნილი კანონებით.

ღრო გავიდა, ბავშვი წამოიზარდა და დავაჟაკადა. სასურველი და საყვარელი ნაყინიც დაივიწყა, მაგრამ არ ეშვება „მათემატიკას“ და ისევ „თოთხმეტლარიანი“ პრობლემის გადაწყვეტაზე ოცნებობს.

რა იცოდა მაშინ ბავშვმა და რა იცის ახლა უკვე მოზრდილმა,

რომ განუხორციელებელ პრობლემათა კატეგორიას მიუკუთვნება შეუძლებელის შეძლება.

სავალალოა, მაგრამ ჯადოსნური მათემატიკური ფორმულის ძიება კვლავ გრძელდება, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ და ეჭვიც არ მეპარება – უპერსპექტივოდ – 14 ლარი მხოლოდ სასიკვდილო ღირსაა.

№11. 2002

„დაჰკა უბედურსაო!“

ანუ საფრთხე ციდან, მიწიდან და... მიწისქვეშეთიდან(!)

ღიას, არსებობს ასეთი ფიგურალური გამოთქმა, რაც დაახლოებით (ან შეიძლება მეტადაც) იმის მსგავსია, როდესაც იტყვიან ხოლმე, რომ „გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“. ეს ორივე გამონათქვამი კი საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიური უკუღმართობანი, შეუსაბამობანი თუ წვრილწვრილი უბედურობები, სწორედ მას დაატყდება ხოლმე თავს (მრავალწლიანი დაკვირვების შედეგი და ხალხური სიბრძნის სკვირი), ვისაც ისედაც უჭირს, როგორც მატერიალურად, ისე მორალურ-ფსიქოლოგიურად.

ჰოდა, სწორედ ასეთ გაჭირვებულ კაცზე მსურს მოგიყვით. მისი პირობითი სახელია მიხო და მისი პროტოტიპია მოსახლეობის 80% მაინც (თუ მეტი არა) სათითაოდ და ერთად.

მშიერ-მწყურვალი მიხო დილაადრიან გავიდა სახლიდან იმ იმედით, რომ რაიმე სამუშაოს იშოვნოდა და ცოლ-შვილს გამოკვებავდა.

უნდა ითქვას, რომ მიხოს ნაწილობრივ გაუმართლა. თუ რატომ ნაწილობრივ, ამას ქვემოთ მიხვდებით.

რომელიღაც ქუჩაზე, ვიღაცას მიეხმარა მანქანაში ფქვილით საესე ტომრების დატვირთვაში, ვიღაცამ ცოტაოდენი შეშა დააჩენინა, ვიღაცამ ეზო-კარი დააგვევინა, ერთმა ქალბატონმა ქათამი დააკვლევინა (ასეთიც აღმოჩნდა) და შემოდგომის დღეც მალე მიიღია.

შედეგებით კმაყოფილმა მიხომ სირბილ-სირბილით ჩამოუქროლა უკვე სახლში წასასვლელად გამზადებულ ბაზრის გამყიდველებს, მერე „ოპტავოი“ მალაზიებიც მოინახულა და „აღნარა-ზოვი“ პარკებით ხელდამშვენებული ღიღინ-ღიღინით გაემართა სახლისკენ.

უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო ქალაქის ცენტრში, მაგრამ მიხოს სიბნელე არ აწუხებდა. უკვე წარმოიდგინა, როგორ შეხვდებოდნენ სახლში და სიამოვნებით ააქშუტუნებდა უაქციზო „პრიმას“. მალე შემოდგომის შხაპუნა წვიმაც წამოვიდა.

მოულოდნელად სიბნელიდან კამეჩისხელა ძაღლი გამოვარდა და გაავებული ღრენითა და კბილების ღრჭიალით გაექანა მიხოსკენ. მიხომ სცადა მისი მოგერიება, მაგრამ ამაოდ. მერე დაიხარა და მოახდინა ქვის ალებისა და სროლის იმიტაცია და ისევ უშედეგოდ, ძაღლი არ ეშვებოდა. შემდეგ ფეხი ამოუქნია და ძაღლს კბილებში შეარჩინა შარვლის ერთი ტოტი. რა ექნა, აღარ იცოდა. გადაავლო ერთი პარკი იმ იმედით, რომ ქოფაკი საჭმელს დახარბდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად...

მეტი გზა აღარ ჰქონდა მიხოს და გაიქცა რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ძაღლმაც უმატა სისწრაფეს და საცაა კბილებით გაგლეჯდა მიხოს, რომელმაც ისლა მოახერხა, რომ რაც ხელში შემორჩა, გადაყარა და კატასავით აცოცდა ელექტრობოძზე. ეს ეპიზოდი იმით დამთავრდა, რომ გაავებულმა ძაღლმა შარვალი მთლიანად ჩამოავლიჯა.

მიხოს ეგონა მეშველაო, მაგრამ რა იცოდა უბედურმა, რომ ახალი საფრთხე ელოდა. სიჩქარეში და უკონტროლო ფაციფუცში ბუზივით გაიხლართა ობობას ქსელივით აბურდულ ელექტროსადენებში. სიკვდილმა ჩახელა თვალებში. ხელების პანიკურ ქნევამი ერთი ელექტროსადენი გაწყდა და სველ ასფალტზე ატყდა ერთი ბაგაბუგი და ნაპერწკლების ცვენა.

ძაღლი სადღაც გაქრა ელექტრონაპერწკლების შიშით. მიხომ დრო იხელთა, ჩამოცურდა ბოძიდან და ტრუსიკის ამარამ კურდღელივით გაჰკურცხლა ბნელ ქუჩაში. უცებ ძლიერი ტკივილი იგრძნო ნიკაპისა და მუხლის არეში, ერთი შეყვირება მოასწრო

და გონებაც დაკარგა.

რამდენ ხანს იყო უგონოდ, არავინ უწყის. მერე კი მის სმენას მისწვდა რაღაც ჩოჩოლის ხმა.

გამოერკვა, მისხვდა და იგრძნო, რომ ვიღაც-ვიღაცები ზემოთ ექაჩებოდნენ და ცდილობდნენ ამოეყვანათ საკანალიზაციო ჭიდან.

კეთილმა ადამიანებმა (საბედნიეროდ ასეთები კიდევ გვყავს) საავადმყოფოში მოათავსეს ფენხმოტენილი და ნიკაპჩამოგლეჯილი მიხო.

თუ ვინ გადაიხდის მისი მკურნალობის საფასურს, ამის შესახებ გაცნობებთ გაზეთის შემდეგ ნომრებში.

№12. 2002

რატომ გვჭირდებიან ბალცეროვიჩები

XX საუკუნის დაახლოებით 70-იან წლებში განათლების სისტემაში ფენი მოიდგა მექრთამეობამ, ინსტიტუტებში მოწყობაში და შემდეგ გამოცდების თუ ჩათვლების პროცესში სტუდენტები და მათი მშობლები ფულს იხდიდნენ ნიშანში და ჩათვლაში. უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა ხომ ზღაპრული თანხის გადახდამდე ავიდა.

რამდენადაც მე მახსოვს ეს პროცესი სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო. შემდეგ წლებში უკვე მთელმა საქართველომ იცოდა, რომ პრესტიჟულ სპეციალობაზე სტუდენტის მოწყობა (მიღება) მშობლებს 60-80 ათასი მანეთი უჯდებოდათ. შემდეგ ეს სენი სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც თანდათან გადაედო და დღეს აღარავინ მალავს იმ ამბავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფულის აღებაა გაჩაღებული. იგი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და აღარც იფარება. ამ საკითხზე უკვე ღიად, ყოველგვარი მორიდების გარეშე საუბრობენ თვით სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და მშობლები.

რალა თქმა უნდა, რომ ასეთ პირობებში ძნელია ხარისხიან

და ეფექტურ სწავლებაზე საუბარი და საქართველოში უმეტარი, დიპლომიანი, გაუნათლებელი, უვიცი, დილეტანტი, ბაქია, ზარმაცი და ამაგდროულად უკულტურო და უინტელექტო ახალგაზრდობა მომრავლდა.

ვის რაში სჭირდება ამდენი უმაღლესი სასწავლებელი (სახელმწიფო თუ კერძო), ვინ რაში უნდა გამოიყენოს ასეულათასობით დიპლომიანი, მაგრამ დებილი და უტვინო სპეციალისტი?!

№14-15, 2002 წ.

ბოგდან ხმელნიცკი გურჯაანში?!!

თელავის რაიკომის პირველი მდივანი გიორგი საბას ძე რამდენიმე თანამდებობის პირთან ერთად სტუმრად ეწვია გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანს, ამხანაგ ავთანდილ ტარიელის ძეს.

სტუმრობის ოფიციალურ მიზეზად სახელდებოდა სარაიონო-თაშორისო სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობათა შემდგომი გაფართოებისა და დახვეწის საკითხები.

შედგა ოფიციალური შეხვედრები პარტიული აქტივის წარმომადგენლებთან, შრომით კოლექტივებთან. შემდეგ ტრადიციადქცეული ცერემონიაც ჩატარდა და გიროგი საბას ძეს რომელიღაც ახლადამოქმედებული ობიექტის გახსნის პატივი არგუნეს, წითელი ლენტის გაჭრის თანხლებით.

იყო ერთი ტაშის გრიალი და აღფრთოვანებული ოვაციები. ბოლოს კი, როგორც წესი გაიმართა ე. წ. „მეორე განყოფილება“. თამაძობდა, რალა თქმა უნდა, გურჯაანის „პირველი“, რომელმაც მთელი პურმარილი თელავის რაიონის და მისი „პირველის“ ქებაში გაატარა.

დადგა სტუმრების გამგზავრების დრო.

თელავის „პირველის“ მანქანაში გურჯაანელებმა სასწრაფოდ ჩალავეს „წარაფად“ წოდებული ღვინო, შემწვარი გოჭვი, შოთის პურები, „ცოცხალი“ და სხვა სანოვაგე.

ავთანდილ ტარიელის ძე თელაველის მანქანის უკანა სავარ-

ძელზე მოკალათდა, თელაველი კოლეგის გვერდით, თავისი მანქანა კი კვალდაკვალ გაიყოლა. ტრადიციად იყო ქცეული, რომ მასპინძელს უნდა გაეცილებინა სტუმარი ორი რაიონის გამყოფ საზღვრამდე.

ის იყო გასცდნენ გურჯაანს და მთავარი საავტომობილო გზიდან მარცხნივ, ტრიალ და სრიოკ ველზე, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მოშორებით, ჩამავალი მზის სხივებზე რაღაც ალაპლაპდა.

გაუკვირდა თელავის „პირველს“ – ეს რა არისო. ბოგდან ხმელნიცკის ძეგლიაო, უპასუხა შეფარული ღიმილით ავთანდილ ტარიელის ძემ და იქვე დაამატა:

„უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკის რომელიღაც ეროვნული მნიშვნელობის იუბილესთან დაკავშირებით, საკავშირო მინისტრთა საბჭომ ლენინგრადში ჩამოასხმევინა ბოგდან ხმელნიცკის ბრინჯაოს ხუთასი ძეგლი, რომლებიც გაანაწილეს მოკავშირე რესპუბლიკებში დასადგმელად. გურჯაანის რაიონს, როგორც სოც-შეჯიბრში გამარჯვებულს, სამი ასეთი ძეგლი შეახვედრეს. ერთს, ხომ ხედავ როგორ ბზინავს მზის სხივებზე, ორი კიდევ გვაქვს და ჯერჯერობით არ ვიცი, სად დავდგამთო“ – დაამთავრა გურჯაანის „პირველმა“ თავისი ახსნა-განმარტება და გამოჩნდა კიდევ ორი მეზობელი რაიონის გამყოფი სასაზღვრო ხევი.

2002 წ.

სამჯერ დასაფლავებული გენერალი

მართლაც რომ უცნაური რამ არის ადამიანის ბედი. ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცის მრავალი ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც (სხვადასხვა მიზეზის გამო) მეტბოლს ერთხელაც არ ღირსება დასაფლავება. აი, პეტრე ბაგრატიონი კი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი გენერალი სამჯერ დასაფლავეს.

ცნობილია, რომ პეტრე ბაგრატიონი იყო ერთ-ერთი იმ გენერალთაგანი, რომლებმაც გამარჯვება მოაპოვებინეს რუსეთის არმიას 1812 წლის სამამულო ომში, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ბარძაყის არეში, ჭურვის ნამსხვრევით მძიმედდაჭრილი პეტრე ბაგრატიონი განგრენის შეტევით გარდაიცვალა და მისი ნეშტი სოფელ სიმაში 1812 წლის 12 სექტემბერს დაასაფლავეს.

1839 წელს, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის სურვილით და მონდომებით, პეტრე ბაგრატიონის ნეშტი გადაასვენეს (გადასაფლავეს) ბოროდინოს ველზე, სადაც იმდროს გაიხსნა 1812 წლის ისტორიული ბრძოლების მემორიალი. ცნობილია, რომ ამ ცერემონიალს დაესწრო რუსეთის იმპერატორი, რომელმაც თან 120 ათასიანი რუსული არმია იახლა.

ასი წელიც არ იყო გასული ამ მომენტიდან და 1932 წელს ბოლშევიკებმა, ჩათვალეს რა პეტრე ბაგრატიონი მეფის რუსეთის ვინმე გენერლად (პეტრე ბაგრატიონთან ერთად 1812 წლის სამამულო ომში, ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა 10-ზე მეტი ქართველი გენერალი – იაშვილები, ფანჩულიძეები, ქუთაისოვი, ვახვანიშვილი და სხვა) და დინამიტი არ დაიშურეს, რათა ნამსხვრევებად ექციათ უბრწყინვალესი მხედართმთავრის ობელისკი და საფლავი. პეტრე ბაგრატიონის ნეშტის ნარჩენები უმოწყალოდ იქნა მიმოხეული ბოროდინოს ველზე, იმ ველზე, რომელიც მან დიდების მწვერვალზე აიჭანა და შარავანდელით შემოსა რუსული საბრძოლო იარაღი და იმპერიის დროშა.

გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ისტორიის და ისტორიულ გმირთა ფასი. შეაგროვეს პეტრე ბაგრატიონის ნეშტის გადარჩენილი ნაწილები და სათუთად შეინახეს უკეთესი დღეების მოლოდინში.

ყველაზე სასაცილო კი აღბათ ის გახლდათ, რომ ხუთი წლის შემდეგ, 1937 წელს გენერალი პეტრე ბაგრატიონი რეაბილიტირებული იქნა და ცარიელ ადგილზე დადგეს ბეტონის პატარა ფილა, რომ თითქოს იქ განისვენებდა გენერალი. სინამდვილეში ამ ფილის ქვეშ არაფერი არ იყო ჩამარხული.

მესამე დასაფლავება 1987 წლის აგვისტოში შედგა, როდესაც გადაწყვიტეს აღედგინათ ცნობილი რაევსკის ბატარეების მემორიალი და მის ქვეშ მოეთავსებინათ პეტრე ბაგრატიონის „ნეშტი“.

ჯარისკაცების სულ რაღაც ერთმა ოცეულმა და ოთხმა ოფი-

ცერმა ჩაატარა დასაფლავების ცერემონიალი.

ამ ამბის ერთ-ერთი თვითმხილველი და მონაწილე, შემდეგში პოლკოვნიკი ლაპტევი, იგონებს, რომ კუბო ცარიელი იყო, მაგრამ არქეოლოგი ევგენი მორევი ამტკიცებს, თითქოს კუბოში იდო აბრეშუმის პატარა პარკი პეტრე ბაგრატიონის ნეშტის რამდენიმე ნარჩენით.

აი, ასეთი ბედი დაჰყვა ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომელიც მთელი თავისი არსებით შეეწირა რუსეთის იმპერიის ინტერესებს და რომელსაც სამარხზე საფლავის ქვაც არ აღირსეს. ესეც არ აკმარეს დიდ მხედართმთავარს და 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველომ რადიკალური ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებლობისაკენ, რუსმა ნაციონალ-ვანდალებმა ორჯერ წაბილწეს და ააოხრეს პეტრე ბაგრატიონის საფლავი ბოროდინოს ველზე. ამ ამბების მოწმე გახლავართ და ლექსითაც კი გამოვეხმაურე ამ ფაქტებს (გაზეთი „შემოქმედება“, 2002 წ. №4-5).

2002 წ. დეკემბერი

ველიკორუსული ფსიქოლოგიის ნიმუში (ნამდვილი ამბავი)

იღვა 1956 წლის აგვისტო. ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საწარმოო პრაქტიკაზე („უფროს ძმებთან“) მყოფი თბილისელი სტუდენტები დააბინავეს საერთო საცხოვრებლის მესამე სართულზე.

პურმარლიში გატარებული ღამის შემდეგ, ბიჭებს გვიანობამდე ეძინათ, მერე კი რაღაც მწყობრი ყიჟინის ხმებზე გამოეღვიძათ და თვალების სრესითა და ზმორებით მიაშურეს ღია ფანჯრებს.

საერთო საცხოვრებლის წინამდებარე სკვერში, სამხედრო ნაბიჯებით და რაღაც რევოლუციური სიმღერით, შემოვიდა წითელყელსაბამიან პიონერთა ჯგუფი და საზეიმო წყობით განლაგდა ლენინის ბიუსტის წინ (თხუთმეტოლოდ მეტრის მოშორებით იღვა

სტალინის ბიუსტიც).

მერე, დაახლოებით ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის, ალისფერთმიანმა ჭორფლიანმა გოგონამ (ალბათ პიონერთხელმძღვანელმა) დასჭექა რაღაც ბრძანების მსგავსი. ამის გაგონება იყო და პიონერებმა (კომუნისმის პატარა მშენებლებმა) გაშლილი ხელის გულები, ცულის პირივით, მიიბჯინეს შუბლზე, ერთხმად შესძახეს „მუდამ მზად ვართ“ და კალიებივით შეესივნენ ლენინის ბიუსტის წინ მდებარე მიწის ფართობს. სულ რაღაც ოც წუთში გააწვრიალ-გააპრიალეს იქაურობა და ისევე მწყობრი ნაბიჯებით და სიმღერით გასწიეს იქითკენ, საიდანაც მოვიდნენ. წინ მიუძღვოდათ შესრულებული სამუშაოთი ფრიად კმაყოფილი, თავაწეული პიონერთხელმძღვანელი. პიონერთა რაზმმა ისე დატოვა იქაურობა, რომ სტალინის ბიუსტისკენ არც კი მიუხედავთ.

– უყურე ერთი ამ ლაწირაკებს, ეს რა გააკეთესო, – კბილების ღრჭილით გამოსცრა სერგო ქანთარიაძე.

– მაგ ლაწირაკებს უფროსი მუტრუკები მართავენო, – გამოეპასუხა მანაველი მიშა საგინაშვილი და არყის ბოთლს მისწვდა.

მთავარი საოცრება წინ ელოდათ პრაქტიკაზე მყოფ ქართველ სტუდენტებს.

ის-ის იყო პიონერებმა მიატოვეს სკვერი და ეზოში სტვენა-სტვენით შემოვიდა ქალაქის ქუდებიანი ზეთის საღებავით აჭრელებულ-მოთხუპნილი, სპეცხალათებში გამოწყობილი ორი გაუპარსავი მამაკაცი, რომლებსაც თან მოჰქონდათ ხის პატარა კიბე, ქილები, ვედროები, ფუნჯები და სხვა. რაღაც ნახევარ საათში შემოფიქვს, გაასუფთავეს და თეთრად შეღებეს ლენინის ბიუსტი, აკრიფეს თავიანთი ბარგიბარხანა და სტვენა-სტვენით წავიდნენ გასასვლელისაკენ ისე, რომ სტალინის ბიუსტისკენ თავიც კი არ მიუჭრიალებიათ.

– უჰ, თქვენი დედაო, – შეუკუროთხა სერგო ქანთარიაძე და კისრისმტვრევით დაეშვა კიბეებზე.

ბიჭები ფანჯრებს მიაწყდნენ. სერგო ტრამვაის გაჩერებასთან წამოეწია მღებავებს, შეაჩერა და ხელების ქნევით რაღაცას უხსნიდა, სკვერისკენ ექაჩებოდა ენერგიულად.

სულ რამდენიმე წუთში სტუდენტურ სუფრას შემოუსხდნენ ქართველი ბიჭები და ცხვირაწითლებული რუსი მღებავები. მიმა საგინაშვილის კახურმა „ჭაჭამ“ თავისი გაიტანა და მალე სტალინის ბიუსტიც თეთრად აბრღვიალდა. გაიხარეს ქართველმა სტუდენტებმა.

მეორე დღეს, ჯერ კარგად არ იყო გათენებული, რომ ბიჭების კარებზე გაისმა ფრთხილი კაკუნი. კარი სერგომ გააღო და ხელში შემორჩა ცხვირაწითლებული, მუდარისგამომხატველი გამოხედვის, ვანიასი და კოლიას ტანდემი. ვანია თითქოს რაღაცას ზომავდა, საჩვენებელი და ცერა თითები შვიდიოდე სანტიმეტრით დაეშორებინა ერთიმეორისაგან და მორიდებით ცხვირწინ უტრიალებდა სერგოს.

ეგრე არ გამოვაო, გამომწვევი ღიმილით შეეგება სერგო და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

ვანია და კოლია თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ და ერთი საათის შემდეგ გახარებულები ამოცვივდნენ მესამე სართულზე – ყველაფერი რიგზეაო. ბიჭებმა სკვერს გადახედეს. ლენინის ბიუსტი ცისფრად იყო გადაღებილი, სტალინის ბიუსტი კი ისევ თეთრად ბრღვიალებდა.

ვანიამ და კოლიამ ორი ბოთლი არაყი შეისისხლხორცეს და სტვენა-სტვენით ჩაუყვნენ კიბეებს.

ასე გრძელდებოდა კარგახანს. ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ იცლებოდა არყის ბოთლები, კახური „ჭაჭა“ ძვალში და რბილში უჯდებოდათ „შრომისმოყვარე“ მღებავებს და ლენინის ბიუსტიც „მიმზიდველად“ ბრღვიალებდა აგვისტოს მზის სხივებზე ხან ყვითლად, ხან მწვანედ, ხან ლურჯად და ხანაც თეთრად.

ყოველდღიურად, ტრამვაის გაჩერებასთან მოგროვილი მგზავრები მოწმენი ხდებოდნენ ლენინის ბიუსტის უცნაური მეტამორფოზისა, მაგრამ, აბა რას მიხვდებოდნენ, თუ რაში იყო საქმე.

სტალინის (რომელიც სულ ხუთი თვის გარდაცვლილი იყო) ბიუსტი კი კვლავ თეთრად ბრწყინავდა მოახლოებული შემოდგომის მზის ირიბ, მაგრამ ჯერ ისევ თბილ სხივებზე.

2003 წ.

საბაზრო ეკონომიკა?

რკინიგზის სადგურის წინამდებარე მოედანზე „ათასერთი წვრილმანის“ მალაზიის წინ, ტრანსპორტის მოლოდინში, ხიდისთავი-ატენის მიმართულებით, მგზავრები გაჩერებაზე შეკრებილიყვნენ. თვალში გეცემოდათ ცარიელი კალათების, ვედრებისა თუ ჩანთების სიმრავლე.

ავტობუსი აგვიანებდა. რამდენიმე ქალი შევიდა მალაზიაში და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა დახლები.

უიო, წამოიძანა ერთმა ქალმა. როგორ დამავიწყდა, მამამთილმა დამაბარა, ხილს და ბოსტნეულს რომ გაყიდი, ერთი ახალი ვედრო მიყიდე, ისე სახლში დაბრუნებული არ გნახო.

კიდევ კარგი აქაც იყიდება, წარმოთქვა გახარებულმა და ფასით დაინტერესდა.

– ხუთი ლარი ღირსო, მიუგო გამყიდველმა.

როგორ თუ ხუთი ლარი, ზუსტად ასეთი ვედრა ბაზრის მალაზიაში ოთხი ლარი ღირსო, გაკაპასდა დიაცი.

– არა, ქალბატონო, ეს ვედრები გასაყიდად ერთიდაიგივე კაცს მოაქვს და ყველგან ხუთ ლარად იყიდებაო, გაცხარდა გამყიდველიც.

– ისემც თავი გაგინებო, მიაყარა ქოქოლა გამყიდველს და ქალი გარეთ გავარდა. მერე მეგობარ ქალს სთხოვა, წავიდეთ ბაზარში სანამდის ჩვენი ავტობუსი მოვა, იქნებ მივუსწროთ მალაზიას დაკეტვამდეო.

– რას ამბობ, ქალო, ავტობუსი სადაცაა მოვა და სოფელში თავის დროზე ვეღარ ჩავალთო.

– არა, არა, შენი ჭირიმე, მამამთილი სახლში არ შემიშვებს დანაპირები თუ არ შევუსრულეო, – აფორიაქდა ვედრის შეძენის მსურველი. ადექი და შენც იყიდე, მიეცი ერთი ლარით მეტი, ეგ გერჩივნოს ბაზრისკენ და მერე უკან ტროლეიბუსში ჩაქჩაქს.

არაო, ქვა აავლო და თავი შეუშვირა, მამამთილის მოყვარულმა; ჩაავლო ხელი თავის მეგობარ ქალს და თითქმის ძალით ჩასვა მიკროავტობუსში. მეც წამიყვანეთო მიაძანა ცარიელ კალათებზე შემოსკუპებულმა ბიჭმა და სანამ თანხმობას მიიღებდა

ერთი ნახტომით მოკალათდა რბილ სავარძელში.

ბაზრის მალაზია დაკეტილი დაუხვდათ. ვიტრინაზე მიაბჯინეს ცხვირები და თვალების ცეცებით მონახეს დახლზე თავმომწონედ მდგომი ვედრო, რომელზეც თითქოს სპეციალურად, კარგა დიდი ქალაქი გაეკრათ ცისფერი ხუთიანი.

მამამთილის მოყვარულმა სიმწრისგან ტუჩები მოიკვნიტა და რაღაც ჩაიდუღუნა.

არიქა, ახლა ავტობუსმაც არ გაგვასწროს სოფელში, ჩქარა გავბრუნდეთ სადგურშიო – იხუვლეს ერთდროულად. პატარა ბიჭი თავისთვის იცინოდა. მას სამარშრუტო მიკროავტობუსით სეირნობა უფრო ეფინებოდა გულზე, ვიდრე ვედროს პრობლემა.

სოფლის ავტობუსი წასულიყო სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ. მომდევნო კი ერთი საათის შემდეგ უნდა ყოფილიყო.

„ათასერთი წვრილმანის“ მალაზიის გამყიდველმა ხუთლარიანი მარცხენა ჯიბეში მოაყუჩა და რაღაცნაირი, ირონიული ღიმილით შეხედა მამამთილის მოყვარულ ქალს, რომელიც წარბშეხრილი იდგა და ალბათ უკვე მესხედ მაინც იხედებოდა მოცინკული თუნუქის მოელვარე ვედროში.

პატარა ბიჭს კი კალკულატორი დაელო მუხლზე და ჩაბჭირებული რაღაცას ანგარიშობდა.

– შენ რაღა გააწყალე გული მაგ ეშმაკის მანქანის ჩხაკუნტკაცუნით, შეუტია გამყიდველზე (შეიძლება მამამთილზეც) განაწყენებულმა ქალმა. განა რა გადაუდებელი საქმე გაქვს, რომ სახლამდე ვერ მოითმენო.

– რა საქმე გაქვს და ისა, რომ ხუთლარიანი ვედროში შვიდი ლარი და ოცდაათი თეთრი გადაიხადე და ამას ყველაფერს პაპაჩემს მოვასხენებო.

– როგორაო, იკივლა ქალმა.

– როგორ და ასეო, უპასუხა ბიჭმა და ჩამოკაკლა: აქედან ბაზრამდე მგზავრობა – ოთხმოცდაათი თეთრი. მეზობლის ქალი რომ „დაპატიჟე“, ეგეც ოცდაათი თეთრი, მე რომ ნაყინი მიყიდე, ეგეც ოცი თეთრი. დაჯექი და ახლა შენ იანგარიშე, დრო მაინც ბევრი გაქვს ავტობუსის მოსვლამდეო.

№3 (19)

გაზეთი წონით?!

გაზეთი, როგორც ინფორმაციის მიღების საშუალება, სათავეს იღებს პირველი საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე, ოღონდ არა ბეჭდვითი სახით, არამედ ხელნაწერი ბიულეტენებისა და ცალკეული ფურცლების სახით, ამასთან არაპერიოდულად და არარეგულარულად.

პირველი გაზეთის სათავეებს მიყვართ ჩინეთში, ხოლო ევროპაში პირველი ნაბეჭდი ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა პარიზში 1612 წლიდან.

რუსეთში პირველი ნაბეჭდი გაზეთი გამოიცა 1703 წელს იმპერატორ პეტრე პირველის თაოსნობით. გაზეთს ერქვა „უწყებები“.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს გაზეთი უკვე ადამიანისათვის პირველადი აუცილებლობის საგანს წარმოადგენს. დღევანდელი, მეტნაკლებად ინტელექტუალური პიროვნება, ძნელად წარმოსადგენია გაზეთის გარეშე. გაზეთები კი, გიხაროდეს, იმდენი და იმნაირი გამოდის, რომ მათი აღრიცხვა შეუძლებელია და, როგორც ჩანს, არც არავის აინტერესებს.

გაზეთების უმრავლესობა კერძო პირებს ეკუთვნით და ისინიც წერენ და წერენ ათასნაირ სისულელეს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. სადღაა ცენზურა? ახლა, რაც გინდა გამოაქვეყნე, არაფერზე პასუხს არ მოგთხოვენ: ტყუილები, შეუმოწმებელი ინფორმაციები, ჭორები, ცილისწამებები, ვულგარიზმით აღსავსე პუბლიკაციები, საშინაო ინტიმური ურთიერთობების მზეზე გამოფენა, მკვლევლობებისა და დაყაჩაღების მეთოდები და საშუალებები, მიმბაძველობითი და ხშირად, გაუგებარი რეკლამები და ა. შ.

მოკლედ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ხალხი ასე თუ ისე გაერთოს და ყურადღება გადაიტანოს მთავარი და სასიცოცხლო ეკონომიკური პრობლემებიდან თითქმის უმტკივნეულო ყოველდღიურ ვაკანალიაზე და ოღნავ მაინც იგრძნოს შვება. ხალხიც

ცხვარივით მისდევს ამ საკენკს და ყურადღებაც უღუნდება.

გორში შემოდის ასამდე ჟურნალ-გაზეთი, ემატება ადგილობრივი ათზე მეტი დასახელების გაზეთი და შეიძლება ითქვას, რომ გაზეთების წარღვნამ ლამის წალეკოს საზოგადოება.

შედეგმაც არ დააყოვნა. გაზეთები იყიდება წონით (!!). დიახ, წონით. ესეც, ალბათ, ქართველური მენტალიტეტის საკმაოდ ზღვარგადასული უკიდურესობაა.

გაზეთების უმრავლესობამ დაკარგა თავისი პირდაპირი დანიშნულება და შეიძინა დღევანდელი გაუკუღმართებული ცხოვრებისათვის დამანასიათებელი კომერციული ჩალიჩის ელფერი.

გონებადაბინდულ და ჯეროვნად დაბნეულ ქართველობას ის ვერ შეგვიძინებია, რომ უქალაქობის გამო დიდი შეფერხებით გამოდის „ქართული პროზა“ – საშვილიშვილო გამოცემა, რომელიც ბნელში მანათობელი სანთელივით უნდა შემორჩეს მომავალ თაობებს, რომ ქართველ მწერალთა ნამოღვაწარზე უნდა აღიზარდონ ეროვნული კადრები, რომ ქართველი ბავშვი ჯერ ქართულ ზღაპარს უნდა ეზიაროს და მერე შეიძლება კორეულს.

დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთი არ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ საკუთარი, ეროვნული გაზეთები გაყიდოს წონით – ის ჯერ გააკეთებს ანალიზს, მერე უკვე პირველ რიგში გამოუშვებს სომხური ბავშვებისთვის ისტორიის, გეოგრაფიის, ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს, რაც შეიძლება დაბალ ფასებში, მოახდენს მათ რეალიზაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს იმაზე, თუ რა სახის გაზეთის გამოშვებაა აუცილებელი საზოგადოების განვითარებისათვის, ეროვნული სულისკვეთების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ კი, ქართველები წონით ვყიდით საკუთარ გაზეთებს, ან უკეთეს შემთხვევაში, ვიყენებთ ვაშლის შესაფუთავად და რუსეთში გასატანად, იმ რუსეთში, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ცდილობდა ქართული ენისა და ეროვნული კულტურის განადგურებას, დაკნინებას, გაუფასურებას.

წარმოვიდგინოთ ძნელადწარმოსადგენი (ისევ და ისევ ქარ-

თული მენტალიტეტის გამო) რამ: შეიქმნას სპეციალური ფონდი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის დასაფინანსებლად და საქართველოში გამომაგალმა ყველა გაზეთის რედაქციამ ან გამოცემლობამ წელიწადში ერთხელ გადასცეს სპეციალურ ფონდს (ორგანიზაციას) ნახევარი ტონა ქალაქი – საჩუქრად.

დარწმუნებული ვარ, საგრძნობლად გაიაფდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები და საერთოდ საბავშვო ლიტერატურა. შევებით ამოისუნთქავდნენ მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები.

აი, ეს იქნებოდა ეროვნული საქმე, უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი, ვიდრე შვილების სადღეგრძელოდ ღვინით გაპიპინებული ჭიქის გამოცლა.

ჩვენ კი ვაგრძელებთ და ვაგრძელებთ (ჯიუტად) გაზეთების გამოშვებას, რათა შემდეგ გაყვიდოთ წონით.

ახლა ვაშლის რუსეთში გატანის საუკეთესო დროა და, ალბათ, უნდა ველოდოთ ახალი სავაშლო გაზეთის გამოცემას!

2003 წ. №6 (22)

ჩასუნთქვიდან ჩასუნთქვამდე

ნებისმიერი ადამიანი ამყობს თავისი მშობლიური ენით, მოსწონს იგი და ყველა სხვა ენათა შორის მიაჩნია ულამაზესად და უმდიდრესად. არც ქართველები ვართ გამონაკლისნი და სავსებით ლოგიკურია მშობლიური ენისადმი ჩვენი თავყვანისცემა, სიყვარული მისი და მასზე მზრუნველობა.

ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ ჩვენს წინაპრებს და თანამედროვეთაც ხშირად უწევდათ და უწევთ თავგანწირული ბრძოლა ისეთი სიმანინჯეების წინააღმდეგ, როგორებიცაა: უცხო სიტყვების დამკვიდრება ქართულ ენაში, ჟარგონების მომრავლება, არალიტერატურული თუ უწმაწური და უხამსი სიტყვების ხმარება, არარსებული, შედგენილი სიტყვების შეთხზვა (სხვა ენის გავლენით), კუთხური კილოკავების კლასიკურობის

დონემდე აყვანის მცდელობა და მრავალი სხვა.

ყველა ამ უბედურებას ბოლო დროს დაემატა კიდევ ერთი საშიშროება. კერძოდ ის, რომ მომრავლდა ტელე და რადიო კომენტატორების რიცხვი, რომლებიც აბსოლუტურად უარყოფენ სასვენ ნიშნებს და ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვინ უფრო მეტი სიტყვის თქმას მოასწრებს ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.

ქართველები ხომ ყოველივე უკუღმართობის და ცუდის მიმბაძველობით ვართ ცნობილი და გაიმართა თავაწყვეტილი სირბილ-შეჯიბრი სიტყვათა რახარუხით, ვითომდა ქართული ენის გამოყენებით.

სასვენი ნიშნების გამოყენების აუცილებლობაზე საუბრით ბევრს აღარ გაგაცდენთ და მოვიყვან მხოლოდ ერთ, მეტად ცნობილს, მაგრამ მივიწყებულ ფაქტს. მეფეს სთხოვეს შეწყალება გაელო და სიკვდილმისჯილისათვის შეენარჩუნებინა სიცოცხლე. მან ბრძანა: „კაზნიტ ნელზია პრასტიტ“. მეფეს სურდა სიცოცხლე შეენარჩუნებინა დამნაშავეისათვის, მაგრამ დაავიწყდა (გამორიცხულია, რომ არ სცოდნოდა) სასვენი ნიშნის დასმა ორი სიტყვის შემდეგ. ამით ისარგებლა ბოროტმა კარისკაცმა და მძიმე დასვა პირველი სიტყვის შემდეგ, რაც სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო.

დღევანდელ საქართველოში მშობლიური სამეტყველო ენის დამახინჯებისათვის კი არა, ბავშვებით და საერთოდ, ადამიანებით ვაჭრობისთვისაც კი არ სჯიან თითქმის არავის და რა გასაკვირია, რომ ტელევიზიით და რადიოთი გვიხდება ისეთი კურიოზების მოსმენა, როგორებიცაა:

(ჩასუნთქვა) „...დღეს ქართველმა მინისტრმა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელი ქალბატონი რობსონი დახურულ კარს მიღმა მცდელობა ჩაეშალა...“ (ამოსუნთქვა).

(ჩასუნთქვა) „...მოედნის ცენტრი ისე გაიარა არავის წაწყდომია ბურთი გადასცა რაულს რომელმაც ძლიერი დარტყმით კარში გაიტანა ბექჭემი...“ (ამოსუნთქვა).

(ჩასუნთქვა) „...დღევანდელი სელმძღვანელმა მასპინძლები დაარწმუნა იმაში რომ საქართველოში თავდადებული შრომით მოვა აყვავება და ბედნიერება დღესვე...“ (ამოსუნთქვა) და ა. შ.

ასეთი მაგალითების მოყვანა გაუთავებლად შეიძლება. ალბათ, უნდა მოვუწოდოთ და ვთხოვოთ ტელე-რადიო კომპანიების მესვეურებს და კომენტატორებს, ცოტა დრო „მოპარონ“ მუსიკალურ ბრახაბრუნს, „უჟასებს“ ან „ბოევიკებს“ (საერთო ჯამში ალბათ, 5 წუთი იქნება საკმარისი დღე-ღამეში) და ისაუბრონ ნორმალური ტემპით და გამართული ქართული ენით.

ამ ენაზე ხომ ჩვენი მომავალი თაობები უნდა აღიზარდონ.

2003 წ.

ჩვენო გურამ

(გურამ მაჩაიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით)

კაცურკაცობას რომ ჭედი, სითბო გიძლოდა გულის, არა ყოფილხარ მომხვეჭი, ქონებისა თუ ფულის. დროა გახვიდე ჩეროდან, თვალი მოავლო მყობადს, უანგარობა გჩვეოდა და ახლაცა გაქვს ჰობად. ღმერთის და კაცის მონატრეს – გაქვთ ოსტატს და მკურნალს, ვიცი, ვერაფერს მოგაკლებს ჟამთა უკულმა ბრუნვა... ბევრისთვისა ხარ ძმობილი, თავი გეჭიროს თალხნად, ხალხის წიაღში შობილი, კერპად მიგილო ხალხმა! ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, ვიგულოთ ახლო კაცად, ხუთი ჯვრის დროშა – ჩვენთანს, არ დაგეხაროს არსად!

ვანტანგ ჭანკოტაძე
აკაკი ბიძინაშვილი
15.01.2004 წ.

მეგობრულ ნოტაზე

შოთა ნიშნიანიძე

ლექსს ლექსზე წერდა ფენებად
პოეტი ნიშნიანიძე,
კითხულობ და გეჩვენება
უბნელეს ნიშშიც არის მზე.

მიხეილ ქვლივიძე

შენი ლექსების მაღალ ხმებს,
ვეტრფი, მიხეილ ქვლივიძე,
საამოდ მატკობს, მაღაღებს –
ისე, ვით დედის თბილი რძე.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ლექსის კითხვას ძალას აძლევს ჩარკვიანი,
თითქოს ღვინო დაელიოს ჩაფიანით.

ვანო ჩხიკვაძე

გვატკობს ლექსებით და რომანებით,
ვუცქერით, ვუსმენთ ჩხიკვაძე ვანოს,
შევყურებთ აისს, სამო ზმანებით,
გულისფანცქალით მოველით ანონსს.

შერვილ სუხიტაშვილი

არც ჭადრაკი არის უცხო,
არც სპორტი და არც სტატია,
ეფერება ნაცნობს, უცნობს,
გულს სიკეთე ახატია.
ბევრს ვეტყოდი ჯერაც უთქმელს,
ძმაკაც-პოეტ სუხიტაშვილს,
თავის მამულს, თავის კუთხეს
გაუზრდიდა თუკი რვა შვილს.

რეზო ამაშუკელი

ხმა მოგვენატრა
ამაშუკელის,
გვირავს გასცქერის,
ალბათ შუქს ელის.

აკაკი ბიძინაშვილი

ვამაყობთ კაცით, აკაკით,
ლექსი მოუღის რაკრაკით.
აკაკი! წიგნს ველოდებით,
მუხლებზე ვდგავართ გოდებით.
არა სთქვა: „თქვენ ვინ გაკითხებს“,
თორემ დაგისვამთ სხვა კითხვებს.

ვაჟა შიუკაშვილი

ცაც აღარ ჰყოფნის მეშვიდე,
ამაყობს სიტყვით თავისით,
რისთვისაც გინდა შეხვიდე,
წინ შემოგხვდება ხალისით.
ენაფხიანას „გაჯახებს“,
ლიმილს უებარს განიჭებს,
უტევს ლექსების სანახებს,
სიტყვით მთარღვევს კარიბჭეს.

ჯემალ ინჯია

ნაპერწკლებად ისვრის ლექსებს,
ჩვენი ჯემალ ინჯია –
კითხვის ტემპით არ ჰგავს ლექს-სენს,
ზომიერად დინჯია.

ვალაკტიონი

ეჯიბრები ლექსით თუკი
ვალაკტიონ ტაბიძეს,

აამღერე ლერწმის ბუკი,
ხალხი ლტოლვას გაგიგებს.

გიორგი ლეონიძე

არ ვივიწყებთ გოგლას,
ლექსით დღესაც მორცხვობს,
პოეზია ბორგავს,
პოეზია ცოცხლობს.

მუხრან მაჭავარიანი

ლექსები მთუთქავს მუხრანის,
თუმც წყალში ვდგავარ მუხლამდის,
და, მუხრან, მაინც იცოდე,
მსურს შენი ლექსით ვიწვოდე.

ვახტანგ ჯავახიძე

ადულაბებს, ჰკრავს კირის ქვით,
ლექსებს ვახტანგ ჯავახიძე,
ბობოქრობით, ხან პირიქით,
ხანაც მჭახედ – ჯარას ხმაზე.

ირაკლი აბაშიძეს

ყამირ სიტყვის მადნით ჰპოვებს,
ლექსის მწვერვალს აბაშიძე,
დაემსგავსე ამ დიდ პოეტს,
თუ ბიჭი ხარ, აბა სინჯე.

2004 წ.

ლომჭაბუკი

№14 (96), 31 მარტი - 6 აპრილი, 2008 წელი

ფასი 30 თეთრი

№16 (98), 14 - 20 აპრილი, 2008 წელი

ფასი 30 თეთრი

იმრავლონ!

ბევრი გორელისთვის ნაცნობია მისამართი: სტალინის ქ. №24. ე. წ. „კვლევის ბინა“.

1958 წლიდან ამ სახლში და მის ეზოში ბევრი რამ მოხდა გულდასაწყვეტიც და სასიხარულოც. დღეს უკვე პირველმოსახლეთა შვილიშვილების მხიარული ჟრიაბული ისმის საკმაოდ მყუდრო, სუფთა და ჩაკეტილ ეზოში.

გასული 42 წლის მანძილზე კარგი მეზობლობით ამაყობდნენ. ყოველწლიურად ეზოდან რამდენიმე ბავშვი მიდის პირველ კლასში. ამჯერად მათმა რიცხვმა რვას მიაღწია. უფროსებმა გადაწყვიტეს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა საზეიმოდ აღენიშნათ და ბავშვებს მოუწყეს შეხვედრა-გასაუბრება.

გაჩაღდა შეჯიბრი კითხვაში, ანგარიშში, სიმღერასა და ლექსის თქმაში. გაიხარეს გვანცა გვერდწითელმა, ზურიკო კიკნაველიძემ, თორნიკე ლომსაძემ, ლევან ტეტუნაშვილმა, ლევან თაყველიშვილმა, გიორგი იმერლიშვილმა, თათია ნადირაშვილმა, გიორგი ჩხეიძემ.

ვინ იცის, სურათზე აღბეჭდილ ბავშვთაგან 25-30 წლის მერე რომელიმე დღიად გაახაროს ეზო, გორი და სრულიად საქართველოც.

გზა დაგვილოცნია XXI საუკუნის მოქალაქეებისთვის.

2000 წ. 10-16 ნოემბერი

ხალხური მედიცინის საოცრება

ძნელად თუ მოიძებნება დღეს ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ ჩვენი დროის უმძიმესი დაავადება კიბო დაემორჩილა მკურნალობას და ავადმყოფი განიკურნა.

კი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია და ამ ფაქტების შესახებ მსურს ვაცნობო მკითხველს.

1999 წელს თბილისში გამოვიდა თამაზ თავაძის წიგნი „აგნი-იოგა“, ექიმებისთვის „უკვდავების მოძღვრება“. ავტორი შესავალში წერს: „კუძღვნი ამ წიგნს ტანჯულ კაცობრიობას, რათა

ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს და დაივიწყოს ყოველგვარი სნეულება...“

კვითხულობდი წიგნს და ვფიქრობდი, ნუთუ ყველაფერი მართალია და ეს ხდება ყოველგვარი მედიკამენტების და ქირურგიული ჩარევის გარეშე?..

მკურნალობის „ოქროს საწმისად“ წოდებული მეთოდი შეიცავს „აგნი-იოგას“ ელემენტებს და ეფუძნება გონებრივ ვარჯიშებს, რის შედეგადაც ადამიანი ეუფლება და იძენს საკუთარი ორგანოების მართვის უნარს, ანუ ადამიანს შეუძლია თავისი შიდა ენერგია ისე არეგულიროს, როგორც სურს და ესაჭიროება მიზნის მისაღწევად. აკი მთავარი დევიზიც ეს გახლავთ: „შეიცან თავი შენი“. მეთოდის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით დავუკავშირდი კაკასიის ხალხების მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებულ წევრს, საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელს ჯემალ რობაქიძეს და ვთხოვე ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

– ბატონო ჯემალ, მოკლედ გვიამბეთ „ოქროს საწმისის“ მეთოდით ვარჯიშების შესახებ, სად და როდის გაჩნდა „ოქროს საწმისის“ სახელწოდებით ცნობილი მკურნალობის მეთოდი?

– მკურნალობის მეთოდი სრულყოფილი სახით მოგვევლინა თამაზ თავაძის ინტერპრეტაციით და გარჯით. თამაზ თავაძემ დაუბრუნა საქართველოს 17 საუკუნის წინ „ოქროს საწმისთან“ ერთად ტიბეტში გატანილი ქართული ხალხური მედიცინის საოცრება, მისცა მას ახალი ფორმა და შინაარსი, რითაც მიაღწია და შექმნა მძიმე სნეულებათა განკურნების უნიკალური მეთოდი.

– რაში მდგომარეობს მკურნალობის (ვარჯიშების) არსი?

– ადამიანის ორგანიზმში კოდირებული წესით ჩადებულია პოტენციური შესაძლებლობა, რომ ადამიანმა საკუთარი ძალით და ენერგიით შეძლოს ამათუიშ სნეულებისგან თავის დაღწევა და „ოქროს საწმისის“ ვარჯიშების მეთოდიც, რომელშიც ასევე გამოყენებულია „აგნი-იოგას“ ელემენტებიც, წარმოადგენს სწორედ ამ პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციის გზას, გონებრივი ვარჯიშების საშუალებით და შინაგანი ორგანოების და სისხლის მიმოქცევის რეგულირებით.

– რომელი სნეულებები ექვემდებარება მკურნალობას?
– როგორც ბატონი თამაზ თავაძე ბრძანებს თავისი მეთოდის შესახებ, მკურნალობას ექვემდებარება ყველაფერი – სურდოდან შიღსამდე.

– მაინც რა დაავადებებს არჩენთ?
– ტუბერკულოზს, ინფარქტს, სქოლიოზს, დამბლას, ცერე-ბლარულ დამბლას, ონკოლოგიურ დაავადებებს, ნევროზს, ეპი-ლეფსიას, ლეიკოზს, შაქრიან და უშაქრო დიაბეტს, გულის მანკს, კენჭოვან დაავადებებს, ნერვის ანთებას, ხერხემლის დაავადებებს, ქოლევსტიტს, ნეფრიტს, პროსტატას, ანთებით პროცესებს, ჰიპ-ერტონიას, განგრენას და ა.შ.

– რამდენადაც ვიცი, თქვენც იყავით ავად. რა გაწუხებდათ და ახლა როგორ გრძნობთ თავს?

– მაწუხებდა შაქრიანი დიაბეტის ფონზე სისხლძარღვთა შე-ვიწროვება, მხედველობის მკვეთრი დაქვეითება, ნევროზი და ხან-გრძლივი უძილობა, კბილების ემალის დაშლა და მორყევა.

ვივარჯიშე „ოქროს საწმისის“ მეთოდით. ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ. სამი წელია არ ვღებულობ არავითარ წა-მალს. ვცხოვრობ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით. უფრო მეტიც, ტკბილ საჭმელსაც ვღებულობ და ღვინოსაც მივირთმევე. ვვარჯიშობ სისტემატურად.

– რამდენი წლის ისტორია აქვს „ოქროს საწმისს“?

– ამ სასწაულის ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ქართვე-ლი ხალხია, რომელსაც ისტორიის უკუღმართობის გამო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-15 საუკუნეში მოსტაცეს ცხვრის ტყავზე დაწერილი მკურნალობის საიდუმლო. ბატონმა თამაზ თავაძემ კი დააბრუნა, აღადგინა და დახვეწა ვარჯიშების ეს უნიკალური მეთოდი და ჩააყენა საკუთარი ხალხის სამსახურში. უკვე ოცი წელია ამ მეთოდით კურნავს ადამიანებს. ასეულობით უიმედო ადამიანი დაუბრუნა მან საზოგადოებას, ოჯახს, ქვეყანას.

ეს არის ერთადერთი კაცი, რომელსაც შეუძლია მაჯის პულ-სის მიხედვით დიაგნოზის უშეცლოდ დასმა.

მკურნალობის პროცესში მან გადმოცა ყველაფერი ის, რაც

იცოდა, დამიბრუნა სიცოცხლის რწმენა და შემაიარაღა ავადმყო-ფობის მორჩენის ამ უნიკალური და საოცარი მეთოდით, რასაც „ოქროს საწმისი“ ჰქვია.

– მხოლოდ საქართველოში არის დანერგილი ეს მეთოდი თუ სხვაგანაც იყენებენ?

– „ოქროს საწმისის“ ვარჯიშების მეთოდი აქ აღმოცენდა და ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია დანერგილი, უახლოეს მომავალში ველოდებით მის მსოფლიო აღიარებას, ამის ყველა წინაპირობა არსებობს. საუბარია იმაზეც, რომ ბატონი თამაზ თავაძე წარდგენილი იქნება ნობელის პრემიანზე.

– შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე განკურნებული ავად-მყოფი?

– ისინი ბევრი არიან. დავისახელებთ რამდენიმეს (იხ სუ-რათზე): გია დარჯანია (უშაქრო დიაბეტი), ლამარა მალრაძე (მრავალრიცხოვანი მოტენილობები), ეთერ გოგოლაძე (მკერდის კიბო), ელენე ბეჟანიანი (ლიმფების სიმსივნე), ვიქტორია გაბრი-ჩიძე (კიბო), სიმონ ლულელაური (კიბო), გივი ქორიძე (პროსტა-ტის კიბო), ხვიჩა წიკლაური (შიღსი) და სხვ.

– მაინც ვინ განკურნეთ?

– ვ. ცერაძე (გულის მანკი, ორჯერადი ინფარქტი), გ. ბერუ-აშვილი (გემატომა, ნევროზი), კ. ხაპირაშვილი (სისხლძარღვთა შევიწროვება, ქვედა კიდურების ატროფია), ე. გოგოლაური (ინ-სულტი), გ. ძიძიგური (მვალსახსრების თანდაყოლილი დეფორმა-ცია), გ. ხაპირაშვილი (ნევროზი) და სხვა.

– ყველა ექვემდებარება მკურნალობას, თუ რაღაც განსა-კუთრებული თვისებები უნდა გააჩნდეს პაციენტს?

– არაფერია დაუძლეველი და შეუსრულებელი ჩვენი მეთო-დისთვის. მთავარია პაციენტი არ აღმოჩნდეს ზარმაცი, ჯიუტი და თანმიმდევრულად შეასრულოს ის ვარჯიშები (გონებრივი), რომელსაც დაუნიშნავს სპეციალისტი.

– ნებისმიერ ეტაპზე კურნავთ პაციენტს, თუ დაავადების საწყის სტადიაზე?

– ნებისმიერი სნეულება, ნებისმიერ სტადიაში ექვემდებარება

მკურნალობას და განკურნებას, თუ ავადმყოფი (პაციენტი) ფიზიკურად შეძლებს იმ გონებრივი ვარჯიშების შესრულებას, რომლებიც მას დაენიშნება.

რალა თქმა უნდა, ავადმყოფის მორჩენა გაცილებით ადვილია დაავადების საწყის ეტაპზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანებს (სხვადასხვა მიზეზთა გამო) სჩვევიათ დაავადების უკიდურესად მძიმე ფორმამდე მიყვანა.

– მკურნალობის (ვარჯიშების) დაწყების წინ გჭირდებათ თუ არა ოფიციალური სამედიცინო დიაგნოზი?

– სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი.

– რა პირობებში ვარჯიშობენ თქვენი პაციენტები?

– ნებისმიერ ადგილზე (სახლში, ქუჩაში, თეატრში, ბაღში, ეზოში...), ნებისმიერ დროს (დღით, საღამოს, ძილის წინ, გაღვიძებისას) და ნებისმიერ პირობებში (სიცივე, სიცხე, წვიმა, თოვლი...).

– რა დროის შემდეგ გრძნობს პაციენტი შედეგს და საერთოდ რამდენ ხანს გრძელდება ვარჯიშები?

– ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტი პირველივე სეანსის შემდეგ გრძნობს შევას. გააჩნია დაავადების რაობას, სირთულეს და ხანგრძლივობას.

– სად უტარებთ ვარჯიშებს თქვენს პაციენტებს?

– ვარჯიშების ხასიათი არის ჯგუფური (ერთდროული სეანსი) და ინდივიდუალური. პაციენტს, რომელსაც ამათუიმ მიზეზის გამო არ შეუძლია მოსვლა ჯგუფურ ვარჯიშზე (სეანსზე), ვარჯიშები უტარდება ბინაზე ინდივიდუალურად.

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენმა „სკოლამ“ სცადა დაკავშირებოდა კრივში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს კასიუს კლეის (მუჰამედ ალი) მისი განკურნების მიზნით. რა სჭირს ყოფილ ჩემპიონს და რა სიტუაციაა ახლა მასთან დაკავშირებით?

– კასიუს კლეი დაავადებულია ე. წ. პარკინსონის სენით. ჩვენი წერილი გაუგზავნეთ მას და შევთავაზეთ გარანტირებული სამსახური. ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

– მოგეხსენებათ ხალხის დღევანდელი მატერიალური შესაძლებლობები და. აქედან გამომდინარე საინტერესოა მაინც რა

ღირს გამოჯანმრთლება?

– გააჩნია ავადმყოფობის (სნეულების) რაობას, სირთულის სტადიას და ვარჯიშების ჩატარების ფორმას (ჯგუფური, ინდივიდუალური). მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენი მეთოდით მკურნალობა მოითხოვს შედარებით ნაკლებ ფინანსურ ხარჯებს, ვიდრე დღემდე გავრცელებული და ხშირ შემთხვევაში ნაკლებადშედეგიანი და მცირეეფექტიანი მეთოდები.

ჩვენი სამკურნალო ოფისის მისამართია: ქ. გორი, მშვიდობის გამზირი №15, ბინა 31. ჯემალ რობაქიძე. ტელ: 2-23-71, 2-81-81 (ასისტენტი).

2002 წ. 26 აპრილი – 2 მაისი

გეორგიევსკის ტრაქტატის დაისი

ორასოცდაორი წლის წინ ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

რა მოუტანა საქართველოს ამ ტრაქტატმა?

გამოჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც დაიწყებენ მტკიცებას, რომ რუსეთმა საქართველო იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. ამ მოსაზრებაში არის სიმართლის ელემენტები.

ნათქვამია: „რა მნიშვნელობა აქვს, მგელი შეგჭამს თუ მგლის შვილი“, ერეკლე მეფემაც მართლმადიდებლური მრწამსის გათვალისწინებით, აირჩია უმცირესი ბოროტების ვარიანტი, დაუკავშირა რა საქართველოს ბედი რუსეთის სამეფოს.

სინამდვილეში რუსეთის იმპერიული ამბიციების ქვეშ გმინავდა ჩვენი ხალხი: ეგზეკუციები, ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა, მონასტერ-ეკლესიების საწყობებად გამოყენება და უძვირფასესი ფრესკების გადაღება, არნახული ბეგარა, ქართული გვარების რუსულ ყაიდაზე გადაკეთება, გუბერნიებად და მაზრებად დაყოფა, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების აკრძალვა, რუსი ჯარისკაცების აღვირახსნილი თვითნებობა და ა. შ.

მერე რუსეთის იმპერია დაინგრა, ხოლო ბოლშევიკურმა რუსეთმა იკისრა „უფროსი ძმის“ როლი, რომელსაც სამოცდაათი წლის განმავლობაში თამაშობდა. ადრე თუ მეფეებს გვინიშნავდნენ, ახლა უკვე ცკ-ს პირველ მდივნებს გვიმტკიცებდნენ და მეორე მდივნად აუცილებლად რუსი უნდა ყოფილიყო, დისერტაციებიც რუსულ ენაზე უნდა დაეცვათ, სამეცნიერო ხარისხებს ანიჭებდნენ მხოლოდ მოსკოვში; პრინციპულ სპორტულ შეჯიბრებაზე მთავარი მსაჯები ყოველთვის რუსები იყვნენ და თუ ათი თავით მაღლა არ იყავი, რუს სპორტსმენს ვერ დაამარცხებდი (ექვსი ქვემ დგებოდა კარიერა იმ არბიტრის, რომელიც რუსებს არ მოაგებინებდა); ქართველების მხრიდან ყოველგვარ ეროვნულისკენ სწრაფვას სასტიკად სჯიდნენ, დისიდენტების მიმართ უმკაცრესი კატორღული რეჟიმიდან დაწყებული 9 მარტის (1956) და 9 აპრილის (1989) სისხლიანი დღეებით დამთავრებული.

დაინგრა საბჭოთა კავშირი და რუსეთმა ახლა „კეთილი მეზობლის“ როლი შეარჩია, გამოიყენა სამხედრო უპირატესობა, წაგვართვა აფხაზეთის ტერიტორია და რუსეთ-საქართველოს საზღვარი „დააკანონა“ მდ. ენგურზე, ბითუმად ჩამოურიგა რუსული პასპორტები აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, თითის ქნევით დაგვეპუქრა, ჩვენს მოქალაქეებს არაფერი აწყენინოთ; სეპარატისტული რეგიონებიდან აძევებს ყოველივე ქართულს და იქამდეც კი მიდის, რომ აპირებს განიხილოს აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების საკითხიც კი. სეპარატისტულ ტერიტორიებზე რუსული ხიშტი, ჩექმა, განუკითხაობა და მანეთი პარპაშებს.

ახლა ე. წ. რუს მშვიდობის დამცველთა შესახებ არ იკითხავთ?! ათასზე მეტი ქართველია ნაცემი, გატაცებული, შეურაცხყოფილი და დახვრეტილი.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორ აჭიანურებენ რუსები სამხედრო ბაზების გატანა-გაყვანას. დაარღვიეს სტამბულის 1999 წლის საერთაშორისო შეთანხმება, ექვსი წლის განმავლობაში ნაბიჯი არ გადაუდგამთ ამ მიმართულებით. მერე 25 წელი მოითხოვეს, ცოტა ხნის შემდეგ 15 წელზე ჩამოვიდნენ. ბოლოს

8 წელზეც თანახმანი იყვნენ, თუმცა საქართველომ და მისმა მეგობარმა ქვეყნებმა აიძულეს რუსეთი ბაზების გატანის ვადა სამნახევარი წლით შეემცირებინა.

ამ ეტაპზე იძენს საქართველოს სტრატეგიული ობიექტებს (ძირითადად ენერგეტიკულს), რათა ნებისმიერ დროს კისერზე ჩამოგვაცვან ე. წ. ეკონომიკური ბლოკადის ყულფი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსი პოლიტიკოსები ისევ გეორგიევსკის ტრაქტატის ილუზიებით ცხოვრობენ და ვერ გაუგიათ, რომ მსოფლიომ ოცდამეერთე საუკუნეში შეაბიჯა და სხვა რეალიებითაა საჭირო აზროვნება და ცხოვრება.

თავის დროზე დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, პორტუგალიამ, საფრანგეთმა და ა. შ. მრავალწლიანი ინვესტიციების შემდეგ მოხსნეს ანექსიის რეჟიმები კოლონიებს და მისცეს საშუალება ხალხებს ეცხოვრათ სუვერენიტეტის პირობებში, თუმცა არ გაუწყვეტიათ მათთან ეკონომიკურ-კულტურული (თანაბარ პირობებზე დამყარებული) ურთიერთობები.

იმედი ვიქონიოთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მალე გადაკვეთს ფინიშის ზღუდეს – დაამთავრებს თავის არსებობას რუსეთის ყველა სამხედრო ბაზის საქართველოდან გაყვანით.

2005 წ. 12 აგვისტო

ქართული სიმღერა ცხინვალის მისადგომებთან

„სიამაყის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედება. ვინც მარმარის გაურანდავი ნაკვეთიდან სილამაზეს, სითბოსა და სიყვარულს აღძრავს, იგი უეჭველად ჯადოქარია“.

(კ. გამსახურდია)

მართლაც რომ ჯადოქრები ყოფილან ტირმნისის სამუსიკო სკოლის დირექტორი ნაზო ფარცხალაძე და პედაგოგები ც. კაპანაძე, მ. მაისურაძე, გ. სომხიშვილი, გ. ახალკაცი, თ. სომხიევა და ქ. ფარცხალაძე, რომლებმაც გორის რაიონის გამგეობის კულტურის და სპორტის სამმართველოს (უფროსი რ. მაღლაკელიძე)

და გორის მწერალთა სახლის (დირექტორი ჯ. ინჯია) ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს წარმოშობით ტირძნისელ და ამჟამად გორში მოღვაწე მწერალს – გერონტი გოგინაშვილს.

სამუსიკო სკოლის პედაგოგების ჯადოქრობა კი იმაში გამოიხატება, რომ მათ ფარღალაა შენობაში, ინვენტარის, მუსიკალური ინსტრუმენტების სიმცირის და სიმწირის პირობებში ბრწყინვალედ წარმოაჩინეს როგორც კლასიკური, ისე ქართული ხალხური მუსიკალური ნაწარმოებები, მელოდიები და მრავალხმიანი სიმღერები.

გაიმართა გულახდილი საუბარი გ. გოგინაშვილის ლიტერატურული შემოქმედების ირგვლივ, კერძოდ ახლახანს გამოცემული მისი წიგნების („ქალბატონი“, „დაწყველილი“) შესახებ. მწერალმა ვრცლად ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, უპასუხა ბავშვების და პედაგოგების შეკითხვებს.

ტირძნისის სამუსიკო სკოლის პედაგოგებს და მათ აღსაზრდელებს ესაუბრნენ ჯ. ინჯია და ვ. ჭანკოტაძე, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები. არც ბავშვები დარჩნენ ვალში და დაიწყო ნამდვილი ზეიმი, წარმოაჩინეს ლიტერატურულ-მუსიკალური შესაძლებლობები, წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს საფორტეპიანო ნაწარმოებები. შემდეგ ფოლკლორულმა ანსამბლმა „მერცხლებმა“ (ხელმძღვანელი გ. ახალკაცი) იმღერეს „ია და ვარდო თამარო“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „სალალობო“ და სხვ.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შეხვედრას ლაიტ-მოტივად გასდევდა სიტბო, სილამაზე და სიყვარული. მართლაც რომ მერცხლებივით ჭიკჭიკებდნენ და მღეროდნენ ანსამბლის წევრები (თორნიკე და თინიკო დათაშვილები, რუსუდან, ეთერ, თამარ ტეტუნაშვილები, თეონა, ეთერ კასრაძეები, ნათია, არჩილ ილურიძეები, თინიკო სამადაშვილი, ნაზი სომხიშვილი, თეონა დარბუაშვილი, ნაია, თეა კაიდარაშვილები, მარი ბუჩუკური, მარი ცაბაძე, ანი მაზმიშვილი, ციცინო ჩუტკერაშვილი, ლიკა ნასყიდაშვილი, ანი ზახლებნაია, ნანი ხმიადაშვილი) და თითქოს ეხმიანებოდნენ, ორიოდ კილომეტრით დაშორებულ ე. წ. კონ-

ფლიქტის ზონაში მცხოვრებ თანატოლებს, ეხმიანებოდნენ და არწმუნებდნენ, რომ მხოლოდ სიკეთით, ურთიერთპატივისცემით და სიყვარულით არის აუცილებელი სასურველი თანაცხოვრება.

აღსანიშნავია, რომ ტირძნისის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა შორის ბევრია ცხინვალიდან დევნილი და ნიშნდობლივია ის, რომ ისინი აღსაზრდელებს უნერგავენ მოყვასის სიყვარულს, მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობას და, რაც მთავარია, ქართული ხალხური სიმღერის თაყვანისცემას, რომელთაც ჯადოსნურად ახმანებს სალამურის და ფანდურის თანხლება.

დადგა სტუმარ-მასპინძლის განშორების ჟამიც.

მომავალ შეხვედრამდე, პედაგოგებო და ბავშვებო! უფრო ხმამაღლა და სიამაყით გემღეროთ მძლავრი ხალხური სიმღერა. არც ისე შორსაა ცხინვალი და მშვიდობა.

2006 წ. №18

შეხვედრა ბალეტის ჯადოქართან

**„...მისი სასცენო სახეები იყო როგორც ადვილად მისაწვდომი და გასაგები, ისე ღრმა საიდუმლოს შემცველი...“
(ვერა წიგნაძე)**

მაშინ (1965 წ.) ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ჩემი ოცნება ბორისპოლის (ქ. კიევი) აეროპორტის ტერიტორიაზე ასრულდებოდა.

სტუდენტობის პერიოდში ხშირად დავდიოდი თბილისის თეატრების სპექტაკლებზე. განსაკუთრებით მიყვარდა მუსკომედიის, ოპერის და ბალეტის თეატრების წარმოდგენები. როდესაც პირველად ვნახე მსოფლიო ვარსკვლავად აღიარებული ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვა, თავი ზღაპარში მეგონა. მაშინ გავიფიქრე, რომ ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ კი მომეცემოდა მისი გაცნობის საშუალება. და აი, თორმეტი წლის შემდეგ კვლავ მოვხვდი იმ უცნაური ზღაპრის ბურუსში, როცა ბორისპოლის აეროპორტში

დავინახე ვახტანგ ჭაბუკიანი და მისი განუმეორებელი პარტნიორი ვერა წიგნაძე. მაშინ მეცნიერ-კოლეგებთან ერთად მივლინებაში ვიყავი ლენინგრადის სამეცნიერო ცენტრში და ტრანზიტული რეისი დროებით შეჩერდა კიევში. როგორც შემდეგ გავიგე, ვახტანგ ჭაბუკიანი და ვერა წიგნაძე დაკავებულნი იყვნენ გასტროლებით და ვინ იცის, ოტელო – ვახტანგს მერამდენედ უნდა „დაეხრჩო“ ღებღებონა – წიგნაძე ამჯერად უკვე ლენინგრადის საბალეტო სცენაზე. არადა, მეგობრების მოგონებების მიხედვით ვ. ჭაბუკიანი კეთილი და გულთბილი ადამიანი ყოფილა. ძალიან ჰყვარებია ყვავილების და თევზების მოვლა. „მისი თანდასწრებით ჭიანჭველასაც ვერ გაუბედავდი ფეხის დაღმას“, – იგონებს მისი დისშვილი თამარ გორდონი.

როგორც იქნა გამოვედი ზღაპრის ტყვეობიდან. თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოვიდა „ცეკვის ჯადოქარი“ და ვ. წიგნაძესთან ერთად გაემართა აეროპორტის მოსაცდელი დარბაზისკენ. არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, ერთს კი ვგრძნობდი, რომ ახლო, ძალიან ახლოს ვიყავი ჩემი ოცნების ასრულებასთან, მაგრამ როგორ, როგორ გავცნობოდი სიცოცხლეშივე ლეგენდაქცეულ „საუკუნის მოცეკვავეს“?

მივყვებოდი განუმეორებელ წყვილს. მოსაცდელ დარბაზში ცოტა ხანს შეყოვნდნენ და მერე გეზი ვაგზლის უკა მდებარე სკვერისკენ აიღეს. გამბედაობა არ მყოფნიდა წინ გადავდგომოდი, რა უნდა მეთქვა, ვინა ვარ, რა ვარ?!

გამახსენდა ადრეწაკითხული, რომ ვახტანგ ჭაბუკიანი ხუთ დამამსთან ერთად ადრეული ასაკიდან შრომობდა და მცირე შესაძლებლობების მქონე ოჯახს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. განსაკუთრებით ეხერხებოდა კალათების დაწვნა. თვალს არ ვუჯერებდი – მოედნის ტროტუარი მოფენილი იყო უკრაინული მარწყვით სავსე კალათებით, რომლებსაც ქალბატონები ყიდდნენ. გადაწყვეტილება უცბად მივიღე, ლამაზი კალათა შევიძინე და მორიდებით წარვსდექი ჩრდილშიმდგომი წყვილის წინაშე. კარგად აღარ მახსოვს რას ვლულულულებდი, მაგრამ იმას რა დამავიწყებს, რომ ვახტანგ ჭაბუკიანიმა მადლობა გადამიხადა და მხარზე

მომითათუნა ხელი, ხოლო ვერა წიგნაძემ ლოყაზე მაკოცა. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა სტალინის პრემიის ორგზის ლაურეატთან და სახალხო არტისტთან.

იგი მთაწმინდაზე დაკრძალული...

ვახტანგ ჭაბუკიანი ახლა 95 წლის იქნებოდა.

2006 წ. №19

რა არის ეს, შემთხვევითობა თუ?..

**„ვინც ძველთა ქმნილებებს არ გაცნობია –
მშვენიერებისა არაფერი სცოდნია“
(ფრიდრიხ ჰეგელი)**

ყველა ერს, ქვეყანას გააჩნია (და არაერთი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალები, სხვადასხვა ეპოქის ძვირფასი და უნიკალური ნივთები, შრომის ინვენტარი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, უძველესი ხელნაწერები და სხვ.

გორშიც გვაქვს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც იუბილარი გახლავთ (დაარსებიდან 70 წელი).

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში გორის შესახებ გამოიცა რამდენიმე წიგნი-ალბომი, ასევე წიგნი-ცნობარი და მხოლოდ ერთ მათგანშია ნახსენები (1966 წ. ი. ბერძნიშვილი. გზამკვლევი. გორი) ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობის შესახებ. რა არის ეს, – შემთხვევითობა, თუ ამ ტიპის მუზეუმის დიდი ეროვნული მნიშვნელობის უგულვებელყოფა? ასეა თუ ისე, მინდა გაუწყოთ, რომ გორის ეთნოგრაფიული მუზეუმი ერთ-ერთი საუკეთესო და საინტერესო საქართველოს მუზეუმებს შორის, აქ წარმოდგენილია ჩვ. წთ. აღ-მდე III საუკუნის საყოფაცხოვრებო ნივთები, მონეტები, სამკაულები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 5000 წლის წინ თურმე ქართლის გულში მცხოვრები ტომები მისდევდნენ ხენა-თესვას, მოჰყავდათ თავთავიანი კულ-

ტურები, განვითარებული იყო მეცხოველეობა, აკეთებდნენ თიხის ჭურჭელს და სხვ.

ამ დღეებში გორის ქუჩებში მოფუსფუსე 98 მოქალაქეს მივმართე: რა არის ეთნოგრაფია, არის თუ არა გორში ეთნოგრაფიული მუზეუმი, სად მდებარეობს, დაუთვალე რეგია თუ არა და რა შთაბეჭდილება დაუტოვა ნანახმა?

პასუხებმა გამაოცა: მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა იცოდა რა არის ეთნოგრაფია; სამმა მათგანმა მითხრა რომ გორში არსებობს ეთნომუზეუმი, მაგრამ არ იცოდა სად მდებარეობდა. მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა იცოდა სიტყვის მნიშვნელობა, მუზეუმის ადგილსამყოფელიც და მუზეუმში გამოფენილი ექსპონატების შესახებაც.

თუ დავეუჯერებთ ცნობარს, რომ გორის მოსახლეობა შეადგენს 49 ათას კაცს (2003 წ. მონაცემებით) და განვაზოგადებთ გამოკითხვის შედეგებს, აღმოჩნდება, რომ სამწუხაროდ, მოსახლეობის თითქმის 95%-მა, ანუ თითქმის 47 ათასმა კაცმა არ იცის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობის შესახებ.

2006. ივნისი

მერე შეიძლება გვიან იყო...

**„ენა საღვთო რამ არის, მას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“
(ილია)**

მრავალჯერ ითქვა და დაიწერა იმის შესახებ, რომ მომრავლდა გაუმართავი, მართლწერის ჩარჩოებს გაცდენილი და დამახინჯებული ქართულად მეტყველების შემთხვევები, სპეციალურ სატელევიზიო გადაცემებიც არაერთხელ მიეძღვნა ამ მეტად საჭირობო საკითხს, მაგრამ ქართული მეტყველების (და არამართო მეტყველების) სფერო სულ უფრო და უფრო მახინჯდება და ჟარგონებით, უცხოური სიტყვებით ბინძურდება და, რაც ყველაზე უფრო პრობლემატურია, სასაუბრო გრამატიკული

წესების უხეში დარღვევებით.

აბა დააკვირდით – საზოგადოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, საუბრის დროს რა ხშირად იყენებს სიტყვებს „კარონი“, „ბონტი“, „ტენავს“, „დავაი“, „სპასიბო“ ა. შ. „სპასიბო“ რომ არ ვინმართ, განა ცუდად ჟღერს ქართული სიტყვა „მადლობა“?! ამ სიტყვის ფუძე ხომ „მადლიდან“ მოდის და მადლზე უკეთესი რა უნდა იყოს?! ანდა, ყველა თქვენგანი შეამჩნევს ყოველადმიუღებელ საფირნიშო წარწერებს: „სმაზკა“, „პერაშკი“, „მოიკა“, „ბუტკა“, „პესოკი“, „გრეჩიხა“ და ა. შ. როგორც ჩანს, ქართული ენის სიწმინდეს აღარავინ იცავს. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ტელეჟურნალისების ყოველად გაუმართლებელი სინქარით ლაპარაკი, როდესაც აბსოლუტურად არის იგნორირებული სასვენი ნიშნები. ხშირად ისეთ მომენტში გამოელევით ხოლმე ჰაერი ფილტვებში, რომ აბსურდებიც გვხვდება მათ ინფორმაციაში. მაგალითად: „...პრეზიდენტი, სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად წავიდა ბრიუსელში ხვალ... – აქ ჰაერი გაუთავდა ტექსტის მკითხველს და თქვენ თვითონაც ხედავთ რაც გამოვიდა... ასეთი მაგალითების მოყვანა გაუთავებლად შეიძლება.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა რადიოარხებზეც.

საგანგაშოდ გამოიყურება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ქართული წინადადების წყობა და არსებითი სახელის მხოლობითი და მრავლობითი ფორმის შემასმენელთან შეთავსებადობა. მოუსმინეთ: „...გაგაცნობთ რამდენიმე კულტურის სიახლეს...“ უნდა იყოს „...გაგაცნობთ კულტურის რამდენიმე სიახლეს...“, შემდეგ „...ჩემთან ერთად მიდის მინისტრები...“, „...დაჭრილია ერთი პოლიციელის თანამშრომელი...“ „...თავად-აზნაურთა საზოგადოებას გადაეცა ასი თუმანი ღარიბების დასარიგებლად...“ „...მოსკოვიდან ჩამოდის წარმომადგენლები,“ „...მოწვეულ იქნება წარმომადგენლები...“ „...არის ფავორიტები...“ და ა. შ.

რა არის ეს, უყურადღებობა თუ უცოდინარობა?! ალბათ, ორივე და კიდევ – მშობლიური ენისადმი უპატივცემულობა.

ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, თითქოს ჩრდილში რჩე-

ბა ზემოდანნიშნული საკითხი, რაც კარგს არაფერს გვიქადის. სისტემატურად, მარცვალ-მარცვალ ბინძურდება სამეტყველო ქართული ენა, საუბრის მანკიერი ფორმა და შინაარსი წვეთ-წვეთად იბუღებს თითოეული ჩვენგანის შექცევაში და შეგნებაში.

ღიას, მით უფრო დღეს არ უნდა დავუშვათ დიდებული ქართული ენის შებილწვა, დამახინჯება და გადაგვარება, მერე შეიძლება „გვიან იყოს თითზე კბენანი“.

2006. ივლისი

ყველაზე დიდი მხატვარი

იშვიათად თუ ვინმე დაინტერესებულა მრავალფეროვანი, ულამაზესი მოხატულობის ბუმბულის სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ჩვენ, უბრალოდ, ვიზუალურად ვტკბებით მშვენიერების ხილვით და მეტი არაფერი.

მაგრამ ადამიანის ფანტაზიას არა აქვს ზღვარი და მანაც მიავნო...

ფრინველის ბუმბულის საშუალებით აპლიკაციური (აპლიკაცია – ლათ. ნახატის, ორნამენტის შექმნა სხვადასხვა ფერის ქალღლის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით) სურათების შექმნის შესახებ გორში მომუშავე მხატვარ-გრაფიკოსს ნუგზარ ჟოჟუაშვილს ვესაუბრე (დაამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი, სამხატვრო აკადემია, სწავლობდა ასპირანტურაში).

– ბატონო ნუგზარ, თქვენს გარდა თუ მუშაობს ვინმე გორში ბუმბულის აპლიკაციით სურათების შექმნაზე?

– რამდენადაც ვიცი – არავინ. ადრე გორში ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალი, თამარი (გვარი არ მახსოვს), რომელიც ოჯახური პირობების გამო გადასახლდა ესპანეთში. გამიგია, რომ მას რამდენიმე სურათი შეუქმნია.

– თქვენ როდის გადაწყვიტეთ, რომ ბუმბულებით შეგექმნათ აპლიკაცია?

– ჩემს მეგობარს სახლში ადრე თუთიყუშები ჰყავდა. მასთან

სტუმრობისას შევაძინე, რომ იატაკზე და ეზოში დაყრილი ბუმბული მოაგროვა და გადაყრას უპირებდა.. გული მეტკინა – რად უნდა დაიკარგოს ასეთი სილამაზე მეთქი და დაიბადა ბუმბულის გამოყენების იდეა.

– რამდენი წელია, რაც ამ საქმიანობას ეწევი და სად შოულობ მასალას?

– თბილისის ზოოპარკში მყავს ახლობელი, რომელიც საჭირო „მასალით“ ყოველგვარი ანგარების გარეშე მამარაგებს. იყო შემთხვევა, როცა ბუმბული ფრინველთა ბაზრობაზე შევიძინე.

– რამდენადაც ვიცი, თქვენ პედაგოგად მუშაობთ გორის სამხატვრო ტექნიკუმიში, რას ასწავლით ბავშვებს და თუ იცნობენ ბუმბულით აპლიკაციის მეთოდს?

– ძირითადად ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას ვასწავლით. აპლიკაცია არ ისწავლება. ეს უკვე მათ სურვილზე და ნიჭზეა დამოკიდებული.

– როგორ იქმნება სურათი?

– ჯერ გონებაში მოიაზრება ესა თუ ისე პეიზაჟი, ან პორტრეტი, შემდეგ ფანქრით კეთდება ესკიზები, ძირითადი მონახაზები, კონტურები. იხვეწება კომპოზიცია და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვება საქმეში ამათუიშ ფერის ბუმბული, მაკრატელი და წებო. მერე კი, ყველაფერი ტექნიკასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

– გიცდიათ თქვენი ნამუშევრების გაყიდვა?

– სურათებს გასაყიდად თბილისის სამხატვრო გალერეაში ვაბარებ. ძნელად იყიდება, ალბათ, ნაკლებ პოპულარობის გამო და რაც მთავარია, ძვირია. მოწონებით კი ძალიან მოსწონთ, ალფრთოვანებულები არიან ხელოვნების მოყვარულნი, მაგრამ...

– რა სახის სიძნელეებს ზვდებით მუშაობაში?

– დავით აღმაშენებლის პორტრეტის შექმნისას შემომაკლდა ყვითელი ფერი და მუშაობა შევწყვიტე. ახლა, როგორც იქნა, ვიშოვე საჭირო ბუმბული და დიდი მეფის პორტრეტი დავამთავრე.

– თქვენი ნამუშევრების გამოფენაზე თუ გიფიქრიათ?

– მთავაზობენ თბილისში გამოფენის მოწყობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მაქვს საჭირო რაოდენობის სურათი. გამოფენისთვის მინიმუმ 30 ნამუშევარი მაინც არის საჭირო, თუ არა მეტი. ახლა სრულიად დამთავრებული მაქვს ათამდე სურათი, ესენი ძირითადად გორის პეიზაჟებია...

გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ შევუქე ოსტატობა შემოქმედს...

ბუნება ყველაზე დიდი მხატვარიაო, – ამ სიტყვებით გამომაცილა ნუგზარ ჟოჟუაშვილმა.

2006. სექტემბერი



ათენიდან ათენამდე

ოლიმპიური თამაშების განახლების (იმართებოდა ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე) იდეა წამოაყენა ფრანგმა ბარონმა პიერ დე კუბერტენმა 1893 წელს. მისივე ინიციატივით პარიზში გაიმართა სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობის პერიოდშიც ჩამოყალიბდა ოლიმპიური მოღვაწეობების ხელმძღვანელი ორგანო – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი). შემუშავებული იქნა ოლიმპიური ქარტია – ძირითად კანონთა და დებულებათა კრებული.

1894 წლის 23 ივნისს ოლიმპიური კომიტეტის პირველ გენერალურ მდივნად აირჩიეს პიერ დე კუბერტენი. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება განახლებული პირველი ოლიმპიური თამაშების საბერძნეთში (ათენში) 1896 წელს ჩატარების შესახებ. ამ მომენტისათვის ათენს არც შესაბამისი ფინანსური სახსრები გააჩნდა და არც საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ბაზები და რაც დღეს საოცრად გვეჩვენება, არც სურვილი (?).

სოკ-მა თავისი გაიტანა და აიძულა ოლიმპიური მოძრაობის სამშობლო, საქმე ბოლომდე მიეყვანა.

ოლიმპიური თამაშების მოწინააღმდეგე იყო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ტრიკუპისი. პრობლემა მოაგვარა ქვეყნის პრინცმა კონსტანტინემ ერთი ომანიანი შეთანხმებით: „მე მწამს ოლიმპიური თამაშების“. ტრიკუპისი გადადგა, ათენი კი გამოცხადდა განახლებული პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების მთავარ ქალაქად. თამაშების ათენში ჩატარებას მხარი დაუჭირა საბერძნეთის მეფემაც.

აუცილებელი ფინანსური სახსრების მოსაპოვებლად პრინცმა გაატარა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ქალაქ ალექსანდრიაში მცხოვრებმა მილიონერმა გიორგიოს ავეროფამ ამ დროისათვის ნანგრევებად ქცეული პანათინაიკოსის მარმარილოს სტადიონის რეკონსტრუქციისათვის მილიონი დრაკმა გაიღო. სტადიონს ავეროფას სახელი უწოდეს, შესასვლელში კი მისი ძეგლი აღმართეს.

აღნიშნულ სტადიონზე 1896 წელის 6 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელიც ცხრა დღეს გაგრძელდა. მონაწილეობდა 14 ქვეყნის 245 სპორტსმენი. პროგრამაში შეტანილი იყო შემდეგი სახეობები: მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ჭიდაობა, ძალოსნობა, ტყვიით სროლა, ფარიკაობა, ველოსპორტი და ჩოგბურთი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბერძენი სპირიდონ ლუისი, რომელმაც მარათონული დისტანცია (42 კმ. 192 მ.) 2 საათში, 58 წუთსა და 50 წამში გაირბინა (დღევანდელი რეკორდი ეკუთვნის პორტუგალიელ კარლოს ლოპესს. მისი დროა 2 საათი 9 წუთი და 21 წამი. რეკორდი დამყარდა ლოს-ანჯელესის 23-ე ოლიმპიურ თამაშებზე 1984 წელს).

1900

მეორე ოლიმპიური თამაშები ჩატარდა პარიზში. გაიხსნა 1900 წლის 14 მაისს და დაიხურა 28 ოქტომბერს (!). მონაწილეობა მიიღო 19 ქვეყნის 1078 სპორტსმენმა. გათამაშდა მედლების 86 კომპლექტი. ოლიმპიური თამაშები საოცრად გაიწელა დროში და სარეკორდო, 145 დღეში დამთავრდა.

ეს ოლიმპიადა იმით იყო აღსანიშნავი, რომ მასში პირველად გამოჩნდნენ სპორტსმენი ქალები. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, ლვინ კრენცელეინმა მოიპოვა ოქროს 4 მედალი (60 მ. რბენა – 7 წმ; 110 მ. თარჯრბენი – 15,4 წმ; 200 მ. თარჯრბენი – 25,4 წმ; სივრცეზე ხტომა – 7,18 მ). დღეს კი ასეთი შედეგებით ქალი სპორტსმენი ათეულშიც ვერ მოხვდება.

1904

მესამე ოლიმპიური თამაშები ჩატარდა ქალაქ სენტ-ლუისში 1904 წელს. მონაწილეობდა 13 ქვეყნის 689 სპორტსმენი. გათამაშდა მედლების 89 კომპლექტი. ზოგიერთი მონაცემებით მონაწილეობა მიიღეს 12 ქვეყნის 625-მა სპორტსმენმა.

1908

დიდი ბრიტანეთის მთავარ ქალაქში 1908 წლის 27 აპრილს

საზეიმო ვითარებაში აღიმართა ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების აღმები, მეოთხე ოლიმპიური თამაშების ოფიციალურად გახსნის აღსანიშნავად. თამაშები მიმდინარეობდა ექვს თვეზე მეტ ხანს და ასევე საზეიმოდ დაიხურა 31 ოქტომბერს. თამაშებში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 22 ქვეყნის 2035 სპორტსმენმა.

შემორჩენილია პირველი ოლიმპიური თამაშების ოქროს ორი მედალი. ცნობარების მიხედვით ერთი ინახება ბენაკისის მუზეუმში (ქ. ათენი), ხოლო მეორე კი ცნობილი ბერძენი ფილატელისტის და ნუმიზმატის პავლოს პილანიროსის კერძო კოლექციაში.

აღნიშნულ ოლიმპიადაზე ბრიტანელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 132 მედალი და დაიკავეს პირველი ადგილი. შემდეგი ადგილები: ამერიკის შეერთებული შტატები (47 მედალი), შვედეთი (22), საფრანგეთი (19).

სპორტული ასპარეზობების მკვლევართა აზრით, ოლიმპიადების აღდგენის იდეა ჩაისახა მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, ხოლო პრაქტიკულად განხორციელდა მხოლოდ 200 წლის შემდეგ.

1912

ევროპის კიდევ ერთმა ქვეყანამ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს. 1912 წლის 5 მაისს შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში სტარტი აიღო მეხუთე ოლიმპიურმა თამაშებმა. საგრძნობლად იმატა თამაშებში მონაწილე ქვეყნებისა და სპორტსმენების რაოდენობამ და შეადგინა შესაბამისად 28 და 2437.

ამ ოლიმპიადაზე გათამაშდა სამივე ხარისხის მედლების 102 კომპლექტი.

ზოგიერთი ცნობით, ოლიმპიადაში მონაწილეობდა 2547 სპორტსმენი და თამაშების დახურვის დღედ მითითებულია 22 ივლისი, ნაცვლად 27 ივლისისა.

ოლიმპიური მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა აქაც მასპინძლებმა – შვეციის სპორტსმენებმა მოიპოვეს, 64 (23 ოქროს, 24 ვერცხლის, 17 ბრინჯაოს) და სულ რაღაც ერთი მედლით გაუსწრეს აშშ-ს სპორტსმენებს. წინა ოლიმპიადის მასპინძლები და თამაშების გამარჯვებული ბრიტანეთის სპორტსმენები ამ-

ჯერად გუნდურ მესამე ადგილს დასჯერდნენ 41 მედლით (10 ოქროს, 15 ვერცხლის, 16 ბრინჯაოს).

1920

რიგით მეექვსე ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარებულიყო 1916 წელს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის გამო. თამაშებს კი რიგითი ნომერი შეუნარჩუნდა.

ბელგიის ქალაქ ანტვერპენის მოსახლეობა დიდხნის სამზადისის შემდეგ საზეიმო განწყობილებით შეხვდა მეშვიდე ოლიმპიური თამაშების გახსნას. ეს მოხდა 1920 წლის 4 აპრილს. ეს ოლიმპიადაც დროში „გაიჭიმა“ და დამთავრება 12 სექტემბერს იზემეს.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აუკრძალეს პირველი მსოფლიო ომის გამჩალებელ ქვეყნებს გერმანიის მეთაურობით. ანტვერპენის თამაშებზე პირველად აღიმართა ოლიმპიური დროშა და წარმოსთქვეს სპორტსმენთა ოლიმპიური ფიცი.

აღდგენილ იქნა ფიცის დადების ძველბერძნული ცერემონია: მასპინძელი ქვეყნის სპორტსმენი ადის ტრიბუნაზე, მარცხენა ხელში უჭირავს ოლიმპიური დროშა, მარჯვენა ხელს აღმართავს ზევით და საზეიმოდ წარმოსთქვამს ფიცს.

ოლიმპიურ თამაშებს საფუძვლად უდევს ანტიკური ოლიმპიური თამაშები, მისი შექმნით არის გასხივოსნებული და ისტორიაში შესულია „ოლიმპიას“ სახელწოდებით. ფიცი კი ასე იკითხება: „ყველა სპორტსმენის სახელით გაირდებით, რომ ჩემი გუნდის სპორტული დიდებისა და ღირსებისათვის, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით ვიასპარეზებ ოლიმპიურ თამაშებში, პატივს ვცემ და დავიცავ მის კანონებს“.

აი, ასე, ანტვერპენის მოსახლეობას წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა და ერწმუნა ოლიმპიური ფიცი.

მეშვიდე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 29 ქვეყნის 2607 სპორტსმენი,

VII-VIII-IX-X ოლიმპიური თამაშები

პარიზში ორჯერ გაიმართა ოლიმპიური თამაშები – 1900 და 1924 წელს.

პარიზის 1924 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები რიგით მერვე ოლიმპიადა იყო. საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი გაშენებულია მდინარე სენის სანაპიროზე, ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად პარიზს უკავია, უძველესი ტომის – პარიზების დასახლება, ლუტაცია იყო. ამ ფაქტს სხვებთან ერთად იხსენებს იულიუს კეისარი. 497 წელს ფრანკთა მეფე ხლოდვიგმა დაიპყრო რა ქალაქი დარგი, იგი თავისი ქვეყნის დედაქალაქად აქცია. საფრანგეთის სამეფო დედაქალაქად პარიზი 987 წელს გამოცხადდა. პარიზს მუდამ შეჰქონდა წვლილი ცივილიზაციის განვითარების საქმეში. პარიზი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის აკვანიცაა და ამ მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის (1863-1937) მშობლიური ქალაქიც. პარიზის მერვე ოლიმპიური თამაშები იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ პარიზის გარეუბან კოლომბოში აშენდა სპეციალური სტადიონი, რომელიც მიეძღვნა ოლიმპიური მოძრაობის ოცდაათი წლისთავს. ამ ოლიმპიადაზე პირველად დაიწყო ექვსი საუკეთესო შედეგის რეგისტრაცია. პარიზის პირველი ოლიმპიადა გაგრძელდა 145 დღეს, მეორე, 1924 წლის – 84 დღეს. მერვე ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა 1924 წლის 4 მაისს და დამთავრდა იმავე წლის 27 ივლისს. ოლიმპიური მედლები-სათვის 44 ქვეყნის 3092 სპორტსმენი ასპარეზობდა. ზოგიერთი ცნობარის მიხედვით, სპორტსმენთა რაოდენობა 2972 იყო. ოლიმპიადა მიმდინარეობდა პაპანაქება სიციხეში. ჩრდილში ჰაერის ტემპერატურა ორმოცდახუთ გრადუსს აღწევდა, რაც უჩვეულო მოვლენა იყო პარიზისთვის. გათამაშდა ოლიმპიური მედლების 126 კომპლექტი. მიუხედავად არნახული სიციხისა, ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. როგორც ყოველთვის წარმატებით იასპარეზეს აშშ-ის წარმომადგენლებმა. მათ 99 ოლიმპიური ჯილდო მოიპოვეს (45 ოქრო, 27 ვერცხლი, 27 ბრინჯაო). საფრანგეთის წარმომადგენლებმა სულ 38 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს (13 ოქრო, 15 ვერცხლი, 10 ბრინჯაო). მასპინძლებს ერთი მედლით

ჩამორჩნენ ფინეთის წარმომადგენლები (14 ოქრო, 13 ვერცხლი, 10 ბრინჯაო). დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებმა 9 ოქროს, 13 ვერცხლის და 12 ბრინჯაოს – სულ 34 მედალი მოიპოვეს. შვეიციას 29 მედალი ერგო (4 ოქრო, 13 ვერცხლი, 12 ბრინჯაო). მერვე ოლიმპიურ თამაშებზე საბოლოოდ დადგინდა მართონული დისტანციის სიგრძე – 42 კმ და 195 მ. წინა ოლიმპიადებზე ეს მანძილი იცვლებოდა და 40-43 კილომეტრს შორის მერყეობდა. ამ ოლიმპიადაზე, პირველად მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ურუგვაელმა ფეხბურთელებმა და ეს შედეგი მათ ოთხი წლის შემდეგაც გაიმეორეს ამსტერდამში, მეცხრე ოლიმპიურ თამაშებზე. ამ წარმატების გამო, ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფიფა“, მიანდო ურუგვაის ფეხბურთში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა 1930 წელს და ურუგვაელებმა ორ ოლიმპიურ ჩემპიონობას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაუმატეს. მათ ფინალში დაამარცხეს არგენტინის ნაკრები ანგარიშით 4:2, თუმცა, თამაშის პირველი ნახევარი წააგეს 1:2.

ურუგვაელი ფეხბურთელები, მსოფლიოს ჩემპიონები მეორედ გახდნენ 1950 წელს, როდესაც მათ, ფინალში, ბრაზილიის უდიდეს სტადიონზე, „მარაკანაზე“, ანგარიშით 2:1 სძლიეს მასპინძლებს – ბრაზილიელებს.

№23-24-25, 2004 წ.

გალაკტიონი ვნახე ქუჩაში (მოვონება)

1952 წლის გაზაფხული იდგა თბილისში. რამდენიმე სტუდენტმა გადავწყვიტეთ, კვირა დღეს დაგვეთვალიერებინა თბილისის ძველი უბნები. გვარიანად დაღლილები ლესელიძის ქუჩით ვბრუნდებოდით ქალაქის ცენტრისაკენ. შიმშილმაც შეგვაწუხა და გადავწყვიტეთ ერთ-ერთ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ, სარდაფში ჩავსულიყავით. იქაური დახლიდარი ყოველთვის სიხარულით გვიმასპინძლდებოდა და ხშირად „ჯიბეგახვრეტილ“

სტუდენტებს შეღავათსაც გვიწვედა.

ჩვენს წინ, ტროტუარზე, მძიმე და ღინჯი ნაბიჯებით მიდიოდა მკერდზე წვერდაფენილი ხანში შესული მამაკაცი, რომელსაც ცალ მხარეს ოდნავ გადახროდა სხეული, მძიმე ხელჩანთის წყალობით. იგი ღუქნის წინ, ჩამავალ კიბესთან ოდნავ შეყოვნდა, მერე კი ნაბიჯიც ჩადგა პირველ საფეხურზე და გაუჩინარდა პირდაღებული კარების მიღმა.

— გალაკტიონია, ბიჭებო, გალაკტიონი — გვამცნო თითქმის ჩურჩულით იუზა კვინიკაძემ და დაამატა — პოეზიის მეფე.

— ვაი, რა ვქნათ ახლა, — იკითხა მიმა საგინაშვილმა და სწრაფი მოძრაობით ღუქნის ფანჯრის მინაში თავის გამოსახულებას თმები შეუსწორა.

— რა უნდა ვქნათ და ჩვენც უნდა ჩავიდეთ, გადაწყვეტით მოჭრა გურამ მექანარიშვილმა. — ამაზე კარგ შემთხვევას, ვინ იცის კიდევ, როდის მოგვცემს ღმერთი. ახლოდან მაინც შევათვალიერებთ და იქნებ გავეცნოთ და გავესაუბროთ კიდევ.

ნახევრად ბნელ სარდაფში ჩასულებს თავდაპირველად გაგვიჭირდა მაგიდებთანმსხდომ პურისმჭამელთა სახეების გარჩევა. მერე კი თვალი შეეჩვია გარემოს და გალაკტიონიც შევნიშნეთ. ჩაბნელებულ კუთხეში მაგიდას მისჯდომოდა, მუხლებზე დადებული განსნილი ხელჩანთიდან ქაღალდებს იღებდა და მაგიდაზე აწყობდა. ეტყობოდა, რომ რაღაცას ეძებდა.

დახლიდარმა დაგვინახა, ხელისაწევით მოგვესალმა და პოეზიის მეფის მაგიდასთან ახლოსმდგომ ტაბლაზე მიგვითითა.

ჩვენ ჯერ შევეყოვნდით, მერე გამბედაობა მოვიკრიფეთ და მუხლების კანკალით ფრთხილად ჩამოვსხედით სამეფნა სკამებზე. ხმის ამოღებას ვერ ვბედავდით. ჩურჩულით დავიწყეთ საუბარი და შიგადაშიგ, სათაყვანებელი პოეტისკენ ვაპარებდით მზერას.

რა შევკვამეთ, ან რა დავლიეთ, კარგად აღარც მახსოვს. ის კი შევამჩნიეთ, რომ გალაკტიონი საჭმელს არ მიჰკარებია. რამდენიმე ჭიქა ღვინო მიირთვა, ასევე რამდენიმე ჩანაწერი გადაათვალიერა.

ჩვენსკენაც გამოიხედა ინტერესით რამდენჯერმე. ღიმილიც შე-

ვამჩნიეთ სახეზე. ჩანდა, რომ რაღაცით კმაყოფილი იყო. წასვლის წინ დახლიდარს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

ჩვენ ისევ მონუსხულები ვისხედით და ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდით.

როდესაც ჩვენი წასვლის დროც მოვიდა და ფეხზე წამოდგარებმა ჯიბეების ქექვა დავიწყეთ, დახლიდარმა მხიარული შედახილი მოგვაწოდა — ბიჭებო, ნუ წუხდებით, თქვენი დანახარჯი გადახდილიაო.

აღარ მახსოვს ქუჩაში როგორ გამოვედით. ის კი კარგად მახსოვს, რომ მეორე დღეს ლექსი დავწერე:

ქუჩაში ვნახე გალაკტიონი,
(ნატვრა ამისდა მაისის თვეში),
იქ, სადაც ბრწყინავს თავად სიონი,
და „ნარიყალა“ ჩამდგარა კლდეში.
ღუქნის ღრმა კიბეს ჩაუყვა უტყვად,
სულგანაბულმა ვადევნე თვალი,
ამბობენ: ლექსებს მაშინ წერს უკვდავს,
ოდნავ როცაა „კახური“ მთვრალი.

№6 (57), 2005 წ.

ვაიაკადემიკოსები და უისტუდენტები

**„...მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს, არის ცოდნა, განათლება“
(იაკობ გოგებაშვილი)**

ძნელია ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი არ დაეთანხმოს საქართველოს სასიტყალო მამულიშვილის მოყვანილ, მართლაც რომ ჭეშმარიტ მოსაზრებას.

მკითხველს ვთხოვ მიმოიხედოს გარშემო და ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ ნივთზე. ის მალე დარწმუნდება იმაში, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას ავსებს

და ალამაზებს, რაც გამოყენებულია და რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანებისთვის – შექმნილია ცოდნა-განათლებით შეიარაღებული სპეციალისტების, მეცნიერების, თეორეტიკოსების თუ პრაქტიკოს-ინჟინერებისა და მკვლევარების მიერ უბრალო ჭიკარტიდან დაწყებული და კოსმოსური ზომალდებით დამთავრებული-ყველაფერი განათებული ადამიანების შემოქმედების ნაყოფია, რაც ცხადია, თავისთავად არ მოდის და ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოვს ფართო სწავლა-განათლებაზე დაფუძნებულ დაულალავ შრომას. ისიც ხომ უდავო ჭეშმარიტებაა, რომ უსწავლელი და გაუნათლებელი ადამიანი ვერაფერ სასიკეთოს ვერ შექმნის და ვერ მოიმოქმედებს.

მაშ, თუ სწავლა-განათლებაა ის ფენომენი, რომელმაც უნდა განაპირობოს ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციის ყოველმხრივი განვითარება და შემდგომ, ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა, ბუნებრივია, რომ ყველა ერი, და რა თქმა უნდა ქართველი ერიც, თავის მოვალეობად მიიჩნევს განსწავლული მომავალი თაობის აღზრდას, ანუ ისეთი თაობის, რომელიც სრულად და ყოვლისმომცველი მასშტაბებით იქნება აღჭურვილი წინაპართა მიღწევით და გამოცდილებით, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი მონაპოვრებით და ერის მენტალიტეტიდან და შორეული ისტორიული მიზნებიდან გამომდინარე, პერსპექტიული ხედვითა და დაუოკებელი მისწრაფებით.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნებისმიერი, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება თუ ერი არ იშურებს ძალისხმევას საიმისოდ, რათა დაამკვიდროს თავის ქვეყანაში განათლების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოს განსწავლული მომავალი თაობის აღზრდას და ისეთი საგანმანათლებლო კომპლექსის შექმნას, რომელიც ამათუიშებს ერს ჩააყენებს მსოფლიოს მაღალცივილიზებულ ერების რიგებში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვფიქრობ, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებამდე მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, ნორმალური იყო, უფრო მეტიც – მსოფლიოში ქუხდა ფიზიკის, ფიზიოლოგიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ენათმეც-

ნიერების და სხვა ქართული სკოლების სახელი. მსოფლიოს მეცნიერ-ვარსკვლავთა რიგებში ამაყად იდგნენ ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, ი. ბერიტაშვილი, თ. გამყრელიძე, ე. ხარაძე, ნ. კეცხოველი, ა. რაზმაძე, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და მრავალი სხვა.

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში (ძველმა თაობამ ე.წ. „მეცნიერთა გვარდიამ“ ძალაუნებურად დატოვა ასპარეზი) კი საქართველოში განათლების სისტემას. ჩემი აზრით, შეექმნა სერიოზული პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი, მე ვიტყვოდი, სრული დეგრადაცია.

თავიდათავი განათლების სისტემის გახრწნის გახლდათ და დღესაც გახლავთ ყველა სახისა და დონის სასწავლებელში ფესვებამდგარი კორუფცია.

ყველფერი კი დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტიდან, როცა 60-იანი წლების დასაწყისში დედაქალაქში გავარდა ხმა, რომ მისაღებ გამოცდაზე კომისიის წევრებმა აიღეს ქრთამი, აბიტურიენტის სასწავლებელში ჩარიცხვის სანაცვლოდ.

სამედიცინო ინსტიტუტს მიჰყვა სასოფლო-სამეურნეო, შემდეგ ვეტერინარული, ცოტა უფრო გვიან პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტები, ცდუნებას დიდხანს უძლებდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველი ერის უდიდესი და უწმინდესი სამეცნიერო-სასწავლო და კულტურული ცენტრი, მაგრამ ბოლოს იქაც შეაღწია კორუფციის საშინელმა სენმა. საქართველოში დღეისათვის 20-მდე უნივერსიტეტი. აბსურდული და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ახლა, კერძო უმაღლესი სასწავლებლები? ისინი, ხომ სოკოებივით არიან მომრავლებული. ლამის ყველა სოფელშია უმაღლესი სასწავლებელი. ვინ ასწავლის, რას ასწავლის, ვინ სწავლობს ან რას სწავლობს ძალიან ძნელია გაარკვიო. უმაღლესი განათლების სისტემაში ისეთი ქაოსია, რომ ზედგამოჭრილია გამოთქმა „ძალი პატრონს ვერა სცნობს“-ო.

უმაღლესი სასწავლებლების ამგვარ სიმრავლეს, არ შეიძლება არ გამოეწვია სწავლა-განათლების პროცესის საგრძნობი გაუ-

ფასურება (ალბათ გახსოვთ, ერთ დროს როგორ ვტრაბახობდით დიპლომიანი სპეციალისტების სიმრავლით!), უმაღლესი განათლების მქონე პირთა რეიტინგის დაცემა და სრული კრახი მშენებლობის ტრანსპორტის, სამედიცინო მომსახურების, უცხო ენათა ცოდნის, ვეტერინარიის, აგრონომიის, დენდროლოგიისა და თავად განათლებისა და კულტურის სფეროში.

განათლების (განსაკუთრებით უმაღლეს) სისტემაში, რომ კორუფცია მძვინვარებს – ეს ყველამ იცის, განსაკუთრებით კი სტუდენტების მშობლებმა, რომელთა ჯიბესაც აწვევა მისაღებ გამოცდებში, ჩათვლებში თუ საგნების ჩაბარებაში გადახდილი ფული.

ყველამ ვიცით, უკვე რამდენი ათეული წელია, რომ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების დიპლომების ალბათ ოთხმოც პროცენტზე მეტი ფულით არის შეძენილი, ე.ი. შესაბამისად ამ დიპლომების პატრონებს არ შეუძლიათ, საჭირო დონეზე, შეასრულონ რაიმე სასიკეთო საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი სამუშაოთი უზრუნველყოფის პრობლემაზე და ისიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ნათქვამს თუ იმასაც დაუვმატებთ, რომ ჩვენ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სამრეწველო და სამეურნეო ობიექტების დიდი უმრავლესობა – გასაგები იქნება თუ რა პრობლემების წინაშე დგანან ე.წ. დიპლომიანი სპეციალისტები და საერთოდ რა პერსპექტივა აქვთ ახალგაზრდებს, რომლებიც იძულებულნი არიან ქუჩაში გამოვიდნენ და ათასნაირ სიბინძურეში ჩაყონ ხელი.

მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ ამ მიმართებით უნდა მიმართოს რადიკალურ ზომებს და რაც მთავარია – თვით სტუდენტმა ახალგაზრდობამ უნდა აღიმადლოს ხმა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ არცერთ სდუტენტს არ სურს იყოს საქართველოს უსწავლელი, გაუნათლებელი და მე ვიტყვოდი, უეცი რეპუტაციის მოქალაქე. განა უნდა აწყობდეთ მათ და მათ მშობლებს, იმ ტოტების მოჭრა, რომლებზეც უნდა იხდნენ? რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გაუთვალისწინებელ და ყოვლად უაზრო ფულს, რომელსაც მშობელთა არმია იხდის იმაში, რომ შვილი

ჰყავდეს უსწავლელი. აი, ეს არის სწორედ მშობლების დათვური სამსახური შვილების მიმართ. ხოლო, რაც შეეხება პედაგოგებს, რომლებიც ფულზე სძალავენ – ისინი მე ერის მოღალატეებათ მიმაჩნია. მათ დაამახინჯეს და გაანადგურეს რამდენიმე თაობა, ისინი იმსახურებენ უმკაცრეს სასჯელს, როგორც ქართველი ერის შეგნებული მტრები.

სიტყვა ისევ სტუდენტობას ეკუთვნის, მათ უნდა, მიხედონ საუკუთარ თავს, თუ არ უნდათ, რომ გარიყული იქნან ცხოვრების ნორმალური ფერხულიდან.

ზემოთაც ვთქვი და ახლა მინდა გავიმეორო, რომ განათლებული მომავალი თაობის გარეშე, ერი განწირულია დასაღუპავად, რის დასტურადაც არაერთი მაგალითია ცნობილი კაცობრიობის ისტორიიდან.

ამასწინად ტელეგადაცემას ვუცქირე, რომელშიც ახალგაზრდა მკაცრად მოითხოვდა კორუფციის წინააღმდეგ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ერთერთი ქალაქის უმაღლეს სასწავლებელში. ამ სასწავლებლის პრორექტორი გაწიწმაცებული უარყოფდა მექრთამეობას და თავმომწონედ მოითხოვდა ფაქტების დასახელებას. სამწუხაროდ, დღევანდელი კანონმდებლობა ერთნაირად სჯის ქრთამის მიმცემსაც და ამღებსაც, რაც ბუნებრივია ხელს უშლის კორუფციის ცალკეული შემთხვევების გამოაშკარავებას.

მინდა ვუპასუხო ზემოდსწინებულ პრორექტორს: ფაქტები გნებავთ, კი ბატონო – გაესაუბრეთ ნებისმიერ ქალაქის ქუჩებში გამოფენილ, უაზროდ მობოდილეს სტუდენტებს და დარწმუნდებით, რომ მათგან უდიდეს უმრავლესობას არ ეცოდინება არა თუ ის საგანი, რომელსაც მას ვითომდა ასწავლიან, არამედ ისიც, თუ რა ჰქვია მათ სასწავლებელს, რა საგნებს “ასწავლიან” ან მომავალში რა უნდა ისწავლონ, ან რა სჭირდებათ ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ბევრმა მათგანმა ქართული წერა-კითხვაც არ იცის ნორმალურად და გამრავლ ების ტაბულა მისთვის რაღაც უმაღლეს მათემატიკურ პრობლემად ქცეულა. ქართველ ახალგაზრდებს უნიჭობას ვერ დავწამებთ. მაშ, რაშია საქმე??

ახლა კი მინდა მივიტანო მკითხველის ყურადღებამდე რამდენ-

იმე, ჩემი ყურით მოსმენილი, სინამდვილიდან აღებული ამბავი.

ერთი ქალბატონი ეკითხება მეორეს: რა ქენი, პიანინო იყიდე? არა, ცოტა ფული დამაკლდა, მაგრამ არა უშავს, სადაცაა გამოცდები დაიწყება და ჩემი დებილი სტუდენტებიდან ამოვიღებ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საუბრის უნებური მოწმე გავხდი მატარებელში. ორი ქალბატონი საკმაოდ ხმამაღლა და მოურიდებლად საუბრობდა.

მეორე მაგალითი. ქუჩაში საუბრობენ მამაკაცი და ქალბატონი. მიიღო შენმა ბიჭმა ფიზიკაში ჩათვლა? არა, არ ჩაუთვალა. ჩათვლის წიგნაკი, შიგნადებული ათლოლარიანით, მეზობლის ქალმა უკან მომიტანა, ასე დამაბარა, რომ ტაქცია გაიზარდა და ოცი დოლარიო საჭირო.

მესამე მაგალითი: პურმარილზე მიმიპატიჟეს ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახში. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ე.წ. საპატივცემულო სტუმარმა, რომელსაც ყველა მოწიწებით ეპყრობოდა და ზოგიც ელაქუცებოდა, საკმაოდ რიხიანი ხმით მოითხოვა, ჩათვლის წიგნაკი მომართვითო და იქვე, სუფრაზეგაცნობილ მოზვერვით ბიჭს ფრიალი ნიშანი მიაართვა მათემატიკაში.

აი, პატივცემულო (!) პრორექტორო, ფაქტები, რომლებსაც სახალხოდ მოითხოვდით ტელეგადაცემაში. ამბობენ ამ პრორექტორს რექტორობაზე აქვსო პრეტენზია. როგორც იტყვიან „დიდება შენდა ღმერთო!“

აქვე მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორ-მასწავლებლებში, გვყავს გამონაკლისები კარგი ვაგებით, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან და ვერც ახლა და ვერც შემდეგში ერის მომავალსათვის საჭირო ამინდს ვერ შექმნიან.

ახლა, რამდენიმე სიტყვა მომრავლებულ თვითმარქვია აკადემიკოსებზე.

ჯერ ვნახოთ რას ნიშნავს სიტყვა აკადემიკოსი, ვინ შეიძლება იყოს აკადემიკოსი და რა თვისებები, ჩვევები და განათლება უნდა ჰქონდეს ან რა ღვაწლი უნდა მიუძღოდეს სამშობლოსა და ერის წინაშე.

აკადემიკოსმა უმაღლესი სამეცნიერო მიღწევაა და ნიშნავს ამათუიმ ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევას ღიას, არჩევას და ისიც უმკაცრეს საკონკურსო პირობებში.

მასხოვს, გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ჰყავდა ორმოცი ნამდვილი წევრი. ვერაინ და ვერასდროს ორმოცდამეერთე ვერ გახდებოდა. მეორმოცე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ნამდვილი წევრი გამოაკლდებოდა აკადემიკოსთა ოჯახს.

საინტერესო უნდა იყოს მკითხველთათვის ისიც, თუ ვის ირჩევდნენ აკადემიის ნამდვილ წევრად.

ასარჩვევი მეცნიერი უნდა ყოფილიყო აუცილებლად დოქტორის სამეცნიერო ხარისხით (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა), რომელსაც უნდა ჰქონოდა: ფუნდამენტალური გამოკვლევები და სამეცნიერო ნაშრომები ამათუიმ დარგში, გამოქვეყნებული წიგნები მსოფლიო მნიშვნელობის პრობლომებზე, „საკუთარი“ ლაბორატორიები და ინსტიტუტები რომლებიც მუშაობენ მის მიერ წამოყენებულ ჰიპოტეზებზე, იდეებზე და პოსტულატებზე, მის მიერ გამოზრდილი და დაკვალიანებული ათეულობით ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორიც კი, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წევრობის საპატიო წოდება, პრაქტიკაში დანერგილი მაღალეფექტიური ტექნოლოგიები და ა.შ.

ახლა გადავხედოთ დღევანდელ ვითარებას. ვისაც კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში ცხვირი შეუყვია, ან მის გვერდით ქუჩაზე ჩაუვლია – ყველას თავი აკადემიკოსი ჰგონია თუ კი მეცნიერებათა აკადემიის რომელიმე განყოფილებას, საქართველოს რომელიმე კუთხეში გახსნილი აქვს რომელიღაც ფილიალი, ამ ფილიალს აქვს რაღაც „ჭ“ ლაბორატორია და სატიტულო ფურცელში სადღაც სახელწოდებაში გაჩნირულია სიტყვა „აკადემია“ – მორჩა, ამ ლაბორატორიის თანამშრომლებს თავი უკვე აკადემიკოსებად მიაჩნიათ და რაღაცნაირი მანქანებით წიგნაკებსაც კი იღებენ ჯიბეში, რომლის შიგთავსშიც რაღაცნაირი ფორმით ფიგურირებს ასე მიმზიდველი და მაცდუნებელი

სიტყვა „აკადემია“. ამაზე მეტი სასირცხვილო რამ და ამაზე მეტი უვიცობა ნამდვილად ძნელად წარმოსადგენია.

კიდევ ერთი რამ აკადემიკოსების (ნამდვილი) შესახებ, რაც მათი ღირსების სფეროს შეიძლება ნაკლებად განეკუთვნებოდეს, მაგრამ მათ გარეგნულ თუ შინაგან ნაირსახეს ნამდვილად ახასიათებს.

როგორც წესი ნამდვილი აკადემიკოსები არ გამოირჩევიან ფიზიკური ძალით. ისინი მრავალწლიანი გონებრივი შრომის შედეგად არიან ფერმკრთალნი, სუსტი აღნაგობის, წელში მოხრილნი, სუსტი გამხმარ თითებით, მიმქრალი მზერით. საუბრობენ დაბალი ხმით, ნაკლებად ეტანებიან სასმელს და გამოირჩევიან მკაცრი ლოგიკური მსჯელობით. არცთუ იშვიათად არიან ოდნავ დაბნეულნი, გონებაგაფანტულნი. (გამონაკლისებიც არიან რათქმაუნდა)

ახლა გადავხედოთ ჩვენი დროის აკადემიკოსებს, უფრო სწორად ვაიაკადემიკოსებს.

მათი უმრავლესობა ტანისამოსში ვერ ეტევა, ისეა ღორმუცელობით ხორცგატენილი, გადმოკარკლული თვალებით, ბუღასავით კისერით და მორგვივით თითებით. ახლა საუბარს აღარ იკითხავთ – ყვირიან, ხელებს იქნევენ, არ შეუძლიათ გაიგონ თქვენი ნათქვამი (არ ვგულისხმობ მექანიკურ ბგერით ზემოქმედებას ყურის მემბრანებზე) ამ სიტყვის სრული და კარგი მნიშვნელობით. (რათქმაუნდა გამონაკლისებიც არიან).

ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორის კაბინეტში შემთხვევით შევესწარი ასეთ საუბარს:

რედაქტორი – შევეკითხოთ იმას, ბოლოსდაბოლოს პროფესორი კაცია და რაიმე სასიკეთოს გვირჩევს.

სტუმარი – იმან რა უნდა გვირჩიოს, რა იცის. ის თუ პროფესორია, მე აკადემიკოსი ვარო – დასჭეჭა ისეთი ხმით, რომ ფანჯრის მინები აზანზარდა, თვალები დაუსისხლიანდა, მორგვივით მარჯვენა ჩაიყო უბეში, როგორც იქნა ამოაძვრინა და მაგიდაზე უხეშად დაახეთქა მოწითალო ფერის რაღაც წიგნაკი. დაახეთქა და წარმოქმნილმა ჰაერის ტალღამ ქალაქები გადმოყარა რე-

დაქტორის მაგიდიდან.

მე ჩუმად ვისმენდი მათ კამათს და მერე, როცა ისინი სხვა ოთახში გავიდნენ, წამით ავიღე ხელში მაგიდაზე უდიერად დახეთქებული მოწითალო წიგნაკი, გადავშალე და წავიკითხე: „საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის, იმერეთის მხარის, №1-ე ხერგილის დაცვის უმცროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი“.

ახლა მე დავახეთქე ეს წიგნაკი მაგიდაზე, გუნებაში შევიგინე და სწრაფად გავეცალე იქაურობას და რედაქტორთან მოკამათე „აკადემიკოსს“. ვაი, უბედურო საქართველო!

აი, ძვირფასო მკითხველო, სადამდის მივეყვართ გაუნათლებლობას რაც თავისთავად (წლების განმავლობაში) ბადებს, როგორც წესი – უსაფუძვლო ამბიციურობას, უკულტურობას, უზრდელობას, უვიცობას და თავხედობასაც კი.

კიდევ მინდა გავიმეორო, რომ უსწავლელ-გაუნათლებელი თაობა – ეს არის ერის კატასტროფა, განსაკუთრებით კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მასიური უსწავლელობა უმოკლესი გზაა კრიმინალისკენ და ათასგვარი უკულმართობისაკენ.

ვფიქრობ, რომ ხელისუფლების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა იყოს (და ვთვლი, რომ ეს ასე იქნება) ახალგაზრდა თაობების ცოდნით შეიარაღება და მათი შესაბამისი საქმიანობით დაკავება, რაც თავიდან აგვაცდენს ერის სრულ დეგრადაციას და თუ გნებავთ – კატასტროფას.

ნათქვამია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი, გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. გამოვიყენებ პერეფრაზირების ხერხს და ვიტყვი, რომ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტების რამდენიმე ათეული ვერ შექმნის ქვეყანაში სასურველ ამინდს. საჭირო და აუცილებელია ერის მაღალი დონის მასიური განათლების უზრუნველყოფა და შესაბამისი სისტემის სრულყოფა.

№6-7-8, 2005 წ.

მოკვდა თუ მოკლეს?

ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტია გასული იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ. ძნელია რაიმე ახლის თქმა და წერა მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პიროვნებაზე, მითუმეტეს, არასპეციალისტი, რიგითი ადამიანისთვის, მაგრამ მაინც შევეცდები ჩემი ზოგიერთი შეხედულება თუ მოსაზრება გავუზიარო მკითხველს.

ჩემი ცხოვრებიდან ორი მეტად მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, ისტორიული მომენტი დამამახსოვრდა სტალინის პიროვნებასთან მიმართებაში.

1945 წლის მაისის დღით, ელექტროგანათების ბოძზე ქოლგასავით გადმოფენილმა რადიორეპროდუქტორმა ხალხს აუწყა ომის დამთავრება. ხალხის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ უჩანდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხი ქუჩაში იყო გამოსული და სკანდირებდა. ყველაზე ხშირად ისმოდა: გამარჯვება და სტალინი.

1953 წლის მარტის პირველ რიცხვებში კი, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში, სხვებთან ერთად მეც ვგლოვობდი სტალინის ამქვეყნიდან წასვლას. უნივერსიტეტის კედლებში სამგლოვიარო ატმოსფერო იდგა. გვირგვინებისა და სურათების სიმრავლეს დღე და ღამე ფონად გასდევდა სამგლოვიარო მუსიკა.

ვინ იყო სტალინი და რა გააკეთა მან ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის, ან მსოფლიოსთვის – ამის თქმას და აღწერას უკვე ორმოცდაათი წელია მიმართეს ათასობით ისტორიკოსმა თუ პოლიტიკოსმა და, ალბათ, კიდევ ერთი საუკუნე არ ეყოფა სტალინის ფენომენის ღირსეულ წარმოჩინებას.

ერთს კი ვიტყვი, რომ სტალინს აფასებდნენ და უდიდეს პატივს მიაგებდნენ მსოფლიოს თვალსაჩინო პოლიტიკური, სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ჩერჩილი, რუზველტი, მათ ძედუნი, დე გოლი და თვით ჰიტლერიც კი. რუსებმა კი (პირველ რიგში სრუშჩოვმა) მას არ აპატიეს

ქართველობა.

აკი თავად სტალინმა იწინასწარმეტყველა – ჩემი სიკვდილის შემდეგ მომდგებიან და მიწასთან გამასწორებენო. აუხდა კიდევ და ეს სამარცხვინო მისია ხომ პირველ რიგში რუსებმა აიღეს თავის თავზე, იმ რუსებმა, რომელთა კეთილდღეობას და ეროვნულ ამბიციებს შესწირა სტალინმა არა მარტო თავისი ცოდნა და გამოცდილება, არამედ თავისი პირადი ცხოვრებაც.

მეოცე საუკუნის გრანდიოზულიტიკოსების უმრავლესობა დღეს უკვე აღარ არის ცოცხალი. ორი მათგანის სიკვდილი კი კვლავ საიდუმლოებითაა მოცული – იოსებ სტალინის და ჯონ კენედის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოესი მომავალი ამომწურავად უპასუხებს კარგახნის მომწიფებულ შეკითხვაზე: ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა სტალინი თუ მოკლეს?

№9 (60), 2005 წ.

ლეგენდარული შურა (მოგონება)

შურას ეძახდნენ მეგობარ-ახლობლების წრეში. მართლაც, რომ ლეგენდარულ მეკარეს, ალექსანდრე დოროხოვს.

დოროხოვი პროფესიით ზეინკალი გახლდით. იგი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩნდა ფეხბურთის ჰორიზონტზე, ანუ მაშინ, როცა ფეხის ადემას იწყებდა საკლუბო ფეხბურთი საქართველოში. დოროხოვი თავდაპირველად თბილისის ე.წ. „ნიტ-ფაბრიკის“ გუნდში თამაშობდა თავდამსხმელად, შემდეგ კი გადაინაცვლა „მეტალისტში“. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დოროხოვის მომავალი კარიერის ბედი ერთმა შემთხვევამ განაპირობა: „მეტალისტის“ მეკარის ავადმყოფობის გამო მას შესთავაზეს კარის დარაჯის მაისური და... იქიდან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აღარ გაუხდია მეკარის ფორმა. ხანდაზმულობამიც უყვარდა მეკარის მაისურით ქუჩაში სიარუ-

ლიო, – წერს მ. ჩოგოლაშვილი წიგნში „მოხურთალსა მოედანი“.

მკითხველს ეხსომება, როგორ მიაწერეს მოსკოვის „დინამოს“ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარეს ლ. იაშინს სიახლის დანერგვა მეკარის თამაშში, როცა ის მთელ საჯარიმო მოედანზე თამაშობს და არ იფარგლება მხოლოდ ე.წ. მეკარის მოედნით.

ისტორიული ფაქტები კი მეტყველებენ, რომ მეკარის ასეთი მანერით თამაში დამახასიათებელი იყო სწორედ რომ შურა დოროხოვისათვის, ჯერ კიდევ 1934 წელს (იაშინი შეიძლება არც იყო დაბადებული) თბილისის „დინამოში“ მოსვლისთანავე.

ცნობილი რუსი მეკარე ა. აკიმოვი თავის მოგონებაში წერს: „მაღალი, ძლიერი, ტანადი დოროხოვი გაბედულად მოქმედებდა მთელს საჯარიმო მოედანზე, გამოირჩეოდა სწრაფი რეაქციით და ბურთის დაჭერის ჩინებული უნარით“. (გ. მახარაძე „მოედანზე არიან ბასკი ვირტუოზები“).

დოროხოვმა სამჯერ ითამაშა ბასკების მსოფლიოში გახმაურებული ნაკრების წინააღმდეგ და აღტაცებაში მოიყვანა ესპანელები, რომლებმაც იგი ლეგენდარულ მეკარე ზამორასაც კი შეადარეს. (ბასკების წინააღმდეგ ნათამაშები აქვს აწვარდაცვლილ, გორელებისთვის საყვარელ ფეხბურთელს ლ. ლოლაძესაც).

ჩემი შეხვედრა დოროხოვთან და მისი გაცნობა მოხდა შემდეგ ვარემოებაში.

გასული საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს, შურა დოროხოვმა მიატოვა აქტიური ფეხბურთი და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. იგი სამუშაოდ (მწვრთნელად) გაგზავნეს ჩემს მშობლიურ ქ. თელავში (მაშინდელი თელავის „დინამო“ მონაწილეობდა საქართველოს პირველობაში).

საინტერესოა, რომ დოროხოვს საწვრთნელად ჩააბარეს ფეხბურთის ყველა გუნდი, რომელიც კი თელავის რაიონში იყო („დინამო“, სპორტსკოლის პირველი და მეორე ნაკრებები, სკოლების გუნდები, კოლმეურნეობების გუნდები და ა.შ.).

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ა. დოროხოვს ბევრი სამუშაო

ჰქონდა და ისიც, დილიდან გვიან საღამომდე სტადიონზე იყო და მთელი მონღომებით გადასცემდა თავის გამოცდილებას ახალბედებს, თუ შედარებით უკვე ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებს. იქნება შურა დოროხოვის ღვაწლის შედეგი იყო ის, რომ თელავის „დინამოს“ მეკარე დოდიკ სხირტლაძე (ცნობილი მსახიობის, დუტა სხირტლაძის პაპა) საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ მეკარედ იყო მიჩნეული და გივი ჩოხელმა კი მსოფლიოში გაითქვა სახელი (გივი მაშინ სპორტსკოლის პირველ გუნდში თამაშობდა).

სპორტსკოლის მეორე გუნდში კი ვთამაშობდი მე. კვირაში ორჯერ მიხდებოდა დოროხოვთან შეხვედრა და ვარჯიში. დიდი ფეხბურთელი არ ვიყავი, მაგრამ დოროხოვს რატომღაც მოეწონდა. ტანად ყველაზე პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან სწრაფი. მერე მითხრეს, ციბრუტივით რომ ტრიალებ, ალბათ ეგ მოსწონს და ახალისებსო შურას, თუმცა ხშირად მიყვიროდა: „ტიკჩორ“, „ტიკჩორ“ („ჭ“-ს ვერ გამოთქვამდა) შეეშვი „მატაობას“, მორჩი ფინტებსო“ (შემირცხვენია ის კახელი, რომელსაც არ აქვს ზედმეტი სახელი. ჰო, და მეც რატომღაც შემარქვეს „ტიკჭორა“).

შურა დოროხოვს ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა: თუ სკოლაში დაბალ ნიშანს მივიღებდით, თავისებურად გვსჯიდა, ან ვარჯიშზე არ დაგვიშვებდა, ან ოფიციალურ შეხვედრას გამოგვატოვებდა, რაც ჩვენთვის ტრაგედიის ტოლფასი იყო. იძულებულები ვიყავით კარგად გვესწავლა.

კახელები რის კახელები არიან, თუ კაცი ღვინის სმაში არ ჩაითრიეს, განსაკუთრებით სტუმარი. ჰოდა, დოროხოვიც, ვარჯიშის მერე, ყოველ საღამოს სუფრასთან უჯდათ ხან სპორტის მესვეურებს, ხან ხელისუფლების წარმომადგენლებს და ხანაც მომავალი ფეხბურთელების მშობლებს.

ჩემი და დოროხოვის განშორების დროც დადგა, გავხდი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი.

არდადეგებზე ჩასულს ჩემი ბავშვობის ძმაკაცები მიყვებოდნენ, რომ ბოლო დროს დოროხოვი წვრთნას ტრიბუნაზე მჯდომი ხელმძღვანელობდა და განუყრელად გვერდით არყის ბოთლი

ელგაო.

არ ვიცი, ეს რამდენად სწორია, მაგრამ თელაველები მას რომ სასმელს არ მოაკლებდნენ – ეს ცხადია.

სამწუხაროა, რომ დღევანდელ ქართულ ფეხბურთს აღარ ჰყავს ისეთი ყალიბის მეკარე, როგორც გასული საუკუნის 40-იანი წლების ალექსანდრე (შურა) დოროხოვი იყო. იგი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

№10 (61), 2005 წ.

„...რასაცა ახლავს ბნელია“ ანუ ქართული პროზის გასაჭირი

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1979 წელს წარმოებას გადაეცა გამოსაცემად „ქართული პროზის“ პირველი ტომი და დაიწყო მართლაც რომ საშვილიშვილო საქმე. ხელმძღვრებმა მხოლოდ 1982 წელს მიიღეს იგი და ამის შემდგომ მოუთმენლად ელოდნენ მომდევნო წიგნებს. სარედაქციო კოლეგიამ და შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა მშვენიერი საჩუქარი შესთავაზეს ქართველ მკითხველს, დაიწყეს რა ქართული ლიტერატურული შედეგების თავმოყრა მრავალტომეულში მ-5 საუკუნიდან დღემდე.

პირველი ათი წლის განმავლობაში მრავალტომეულის გამოცემა მიმდინარეობდა ნორმალურად, შემდეგ კი აირია საქმე, ისე როგორც მრავალ სხვა სფეროში. დღეს უკვე 2-3 წელი გაივლის, ისე რომ ერთი ტომიც კი არ გამოდის, მიზეზი კი მართლაც რომ კურიოზულია. როგორც თბილისში (მარჯანიშვილის ქ. ყოფილი „წიგნების სახლი“) ამიხსნეს, თურმე უქალაღლობის (!) გამო ფერხდება მეტად მნიშვნელოვანი და ვიტყვოდი, ეროვნული საქმე. ეს მაშინ, როდესაც ასეულობით გამომცემლობა და რედაქცია ყოველდღიურად, კერძო ინიციატივისა და საკუთრების უფლების გამოყენებით, ასეულათასობით ტირაჟით ავსებენ ისედაც გადატ-

ვართულ დახლებს და არცთუ იშვიათად ისეთი პროდუქციით, რომელიც ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს ვერც ლიტერატურულ და ვერც ჟურნალისტურ სტანდარტებს.

გამოვლივარ რა ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანისა და მკითხველის პოზიციებიდან, მინდა ჩემი მოკრძალებული თხოვნით მივმართო კერძო გამომცემლებს: იქნებ მოინდომოთ და გაერთიანდეთ იმ მიზნით, რომ ას-ასი კილოგრამი ქალაქი მიაწოდოთ „ქართული პროზის“ გამომცემლობას – ამით თქვენ გააკეთებთ დიდ საშვილიშვილო საქმეს, მომავალი თაობები ღირსეულად დააფასებენ თქვენს ღვაწლს, მითუმეტეს, რომ მომდევნო სამ-ოთხ ტომში (როგორც დაგეგმილია) თავმოყრილი იქნება ქართველი ერის უსაყვარლესი და საამაყო მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები.

„ქართული პროზის“ გამომცემლებს კი, ალბათ, არ გაუჭირდებათ, თუ ნაწარმოებთან ერთად დაბეჭდავენ მწერლის ფოტოსურათსა და მოკლე ბიოგრაფიას – ამით მოიგებს როგორც თითოეული ტომი, ისე მკითხველი.

№11, 2005 წ.

ქართველი გენერლები (1680-1918)

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელს, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს...
...ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა“
(ილია ჭავჭავაძე)

ალექსანდრე ბაგრატიონი

შორეული შვეციის ქალაქ სტოკჰოლმის ცენტრში, ძველი, მაგრამ კარგად შემონახული ისტორიული შენობის ფასადს ამშვენებს მემორიალური დაფა ალექსანდრე ბაგრატიონის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ვინ იყო ა. ბაგრატიონი და რით დაიმსახურა მისმა სახელმა

ასეთი პატივი და ისიც შვეციაში?

იგი იყო ცნობილი ქართველი განმანათლებლისა და სამხედრო მოღვაწის, არჩილ მეორის უფროსი ვაჟიშვილი. ყრობის ასაკიდან ალექსანდრე ბაგრატიონი იზრდებოდა რუსეთის სამეფო კარზე. მან თავისი პირადული თვისებებით და განსწავლულობით მალე მიიპყრო წარჩინებულთა წრეების ყურადღება, რამაც განაპირობა მისი მეგობრობა რუსეთის მეფე პეტრე პირველთან. ამ უკანასკნელმა „დიდ ელჩობასთან“ ერთად, თან იახლა ალექსანდრე ევროპაში მოგზაურობის დროს.

ორი წლის განმავლობაში ალექსანდრემ ჰააგისა და სხვა ქალაქების ე. წ. „რანდთა აკადემიაში“ საფუძვლიანად შეისწავლა საარტილერიო საქმე, რაც შემდეგ პრაქტიკულად განამტკიცა ინგლისის საარტილერიო პოლიგონებზე.

ევროპიდან დაბრუნებისთანავე, პეტრე პირველმა ალექსანდრე ბაგრატიონს მიანიჭა გენერალ-ფელდციოხმაისტერის წოდება და ჩააბარა მას რუსეთის არტილერიის ორგანიზაციის ფრიალ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე.

ალექსანდრე ბაგრატიონი იყო პირველი ქართველი გენერალი (ლ. დოლიძე „გენერლები საქართველოდან“).

საინტერესოა ერთი ეპიზოდი ალ. ბაგრატიონის ცხოვრებიდან. შვედეთის წინააღმდეგ ომში იგი ტყვედ ჩაიგდეს. შვეციის მეფემ, კარლოს მეთორმეტემ ალექსანდრეს განთავისუფლებისათვის რუსეთის იმპერატორს პეტრე პირველს, მოსთხოვა ათასი (!) ტონა ოქრო. ალექსანდრემ პეტრე პირველს შეატყობინა, რომ არამც და არამც გამოსასყიდი არ გადაეხადა: „არ მინდა, სახელმწიფოს მიაღვეს ზარალი. ჩვენ იმისთვის ვართ, მოწოდებულნი, ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულისათვის“.

ტყვეობის დროს, ალ. ბაგრატიონი ეწეოდა სალიტერატურო მუშაობას. მან ჩამოასხმევინა შვეციის ერთ-ერთ სტამბაში ქართული შრიფტი და გამოუგზავნა მოსკოვში მამას – არჩილ მეფეს. სწორედ ამ შრიფტით დაისტამბა მოსკოვში ქართული „დავითიანი“.

აღსანიშნავია, რომ შვეციის მეფე, კარლოს მეთორმეტეც მოხიბლულა ალ. ბაგრატიონის სილამაზით და განსწავლულობით. დი-

დი ვოლტერი კი სინანულით წერდა, „კავკასიის მთების ძირას დაბადებული აზიელი პრინცის შესახებ, რომელსაც სიცოცხლის გარკვეული ნაწილი უნდა გაეტარებინა „ყინულოვანი შვეციის მიწაზე“.

პირველი ქართველი გენერალი, ალექსანდრე ბაგრატიონი გარდაიცვალა 1711 წელს. დაკრძალულია დონის მონასტრის მირქმის ეკლესიაში. აქვე შემდგომში დამარხეს მისი ორი ძმა და მამა – მეფე არჩილი.

სამშობლოს მიწის დაყრა არ არგუნა ღმერთმა სახელოვან სამხედრო და საზოგადო მოღვაწეს, პირველ ქართველ გენერალს და საქართველოს მეფის გვირგვინის უდავო მემკვიდრეს. მან გაიზიარა საქართველოდან შურითა და მტრობით განდევნილ მრავალ მეფეთა და უფლისწულთა სავალალო ბედი.

2005

ვასილ სტალინის ფავორიტი (მოგონება)

ვერ მოვახერხე დიდიხნის ჩანაფიქრის განხორციელება – შევხვედროდი და ინტერვიუ ამელო თბილისის „დინამოს“ დიდი თაობის უბრწყინვალესი ფეხბურთელისაგან, ვისაც გაიოზ ჯეჯელავად იცნობდა ფეხბურთის მოყვარულთა სამყარო. იგი სულ რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა და დაიმკვიდრა თავისი კუთვნილი სასუფეველი იმ მრავალრიცხოვან გარდაცვლილ სპორტსმენტა შორის, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ, სამშობლოს სადიდებლად, მსოფლიოს სხვადასხვა სტადიონებზე. გაიოზ ჯეჯელავას უწოდებდნენ ბურთის ჯადოქარს (მ. ჩორგოლაშვილი „მოზურთალსა მოედანი“). 1948 წელს თამაშს თავი გაანება და საფეხბურთო სკოლას ჩაუდგა სათავეში. მან აღზარდა ფეხბურთელები, რომლებმაც დიდება მოუტანეს თბილისის „დინამოს“: ა. ჭკუასელი, ძმები კოტრიკაძეები, ზ. კალოევი, შ. იამანიძე, მ. მესხი და სხვა.

ამ წერილში კი მინდა გავიხსენო ჩემი შეხვედრა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავთან.

1950 წლის ზაფხული იდგა. თელავის „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ქალაქს ეწვია მოსკოვის ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელთა გუნდი „BBS“. იმ წლებში მოსკოვის ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გახლდათ გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სტალინი, რომლის ინიციატივითაც ჩამოყალიბდა „BBS“-ი.

მაშინდელი სპორტული ჟურნალისტების ჩანაწერებს თუ გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩინებთ, რომ ახალი საფეხბურთო გუნდის უფროს მწვრთნელობაზე მრავალი სპეციალისტი „ისწორებდა ჩოხა-ახალუხს“ (მოსკოვში რა გამოლევს მწვრთნელებს), მაგრამ, ვინ აღუდგებოდა წინ ვასილ სტალინის სურვილს – მან კი არ ჩევიანი შეაჩერა გაიოზ ჯეჯელავაზე.

და აი, მოსკოვის „BBS“-ი ეწვია ქ. თელავს, გაიოზ ჯეჯელავას ხელმძღვანელობით. რუსულ დელეგაციაში, ფეხბურთელების გარდა, წარმოდგენილი იყვნენ მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებისა თუ კოლმეურნეობების მოწინავე გლეხები და მუშები, სულ დაახლოებით 50 კაცი. მაშინდელ თელავს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა დელეგაციის მაღალ დონეზე დაბინავება. კომუნისტი ხელმძღვანელები და მწვრთნელები როგორც იქნა განათავსეს ერთადერთ პატარა სასტუმროში, დანარჩენებს კი, ფეხბურთელებთან ერთად, თავი უკრეს სამხედრო-საავიაციო ნაწილის კაზარმებში.

შედგა ამხანაგური მატჩი. გაიხარეს თელაველებმა. ზეიმად იქცა ის დღე სადღესასწაულოდ გამოწყობილ დიდისა თუ პატარასათვის. არც საჩუქრები მოუკლიათ სტუმრებისათვის კახელებს და არც საპასუხო მიწვევაზე უთქვამთ უარი.

თამაშის შემდეგ მე და ჩემი თანატოლები (მაშინ 16-17 წლისანი ვიყავით) სასწრაფოდ გავემართეთ მესამე სკოლის ეზოსკენ (ჩვენს მუდმივ სათამაშო ადგილას), გავიყავით ორ გუნდად და დიდი ფეხბურთის ნახვით აღფრთოვანებულები დავეტაკეთ ერთმანეთს გამარჯვებისათვის. მაშინ დაბნელებამდე ვიცოდით თამაში, ვერ ვძლებოდით ბურთის თრევიტ, ამიტომ ანგარიში ხშირად იყო თვრამეტი-თხუთმეტი, ოცით-ჩვიდმეტი და ა. შ.

საკმაოდ ვიყავით გაოფლიანებულნი, როცა სკოლის ეზოს ღობეს ათიოდე მამაკაცი გადმოეყუდა და ჩვენს თამაშს ცნობის-

მოყვარეობით დაუწყო თვალის დევნება. მერე ერთმა ქერათმიანმა, ათლეტურმა ახალგაზრდამ გამოგვიძახა – აქ მოდიოთ. მასში ამოვიცანით „BBS“-ის ერთ-ერთი თავდამსხმელი (ბანკეტის შემდეგ მიდიოდნენ სამხედრო კაზარმებში დასაძინებლად და გზად ჩვენსკენ უნდა ჩამოევლოთ). მათ შორის ერთმა მოგვმართა ქართულად და ის ერთი სწორედ გაიოზ ჯეჯელავა იყო.

შეგვეკითხა, კაპიტანი ვინააო. მე ვარ, წამოიყვირა „მეხინკლემ“ (ასე ვეძახდით ჩვენზე ორი-სამი წლით უფროსს და ფიზიკურად საკმაოდ ძლიერ ჩვენუნებელ თენგიზს), ორი ნაბიჯი წინ გადადგა. მეზღვაურის მაისურში გამოსკვართული მკერდი ძალუმად აზიდა და ჭორფლიანი და ოფლიანი სახე ხელის ზურგით ჩამოიწმინდა.

აი, ეს თქვენ, საჩუქრად, ყველას გაუნაწილე, არავინ დაგრჩეს უკმაყოფილო, წარმოთქვა გაიოზ ჯეჯელავამ და „მეხინკლეს“ უზარმაზარ გაწვდილ მკლავებზე დაუწყო წიგნების, ჟურნალების, ბროშურების დიდი შეკვრა და კიდევ მუყაოს რამდენიმე პატარა ყუთი. კოლოფები მაშინვე გავხსენით. მათში აღმოჩნდა მოსკოვური კანფეტები. ერთ-ერთ კოლოფში კი იდო ოცამდე სპორტული სამკერდე ნიშანი. წიგნებიც და ჟურნალ-ბროშურებიც სპორტს შეეხებოდა, უმეტესად კი ფეხბურთის (წიგნი, ბროშურა და სამკერდე ნიშანი მეც შემხვდა).

გაიოზ ჯეჯელავამ, გამომშვიდობებისას, ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი და წარმატებები გვისურვა, როგორც სწავლაში, ასევე ფეხბურთში.

ახლა უკვე მე მის ხმას ვეღარ გავიგონებ. მაშინდელი მისი ბოლო სიტყვები კი ახლაც ყურში მიჟღერს: „ბევრი ითამაშეთ ფეხბურთი, იქნებ რომელიმე თელაველი ბიჭიც ვიხილოთ დიდ საფეხბურთო ასპარეზზე“.

აკი აუსრულდა ნატვრა ქართველ ფეხბურთელთა გვარდის თვალსაჩინო წარმომადგენელს – გივი ჩოხელი უკვე შემდგარიყო საფეხბურთო ოლიმპისკენ მიმავალ ბილიკებზე.

P.S. თელაველებმა მატჩი წააგეს ანგარიშით 1:4. მოსკოველთაგან გატანილი ერთ-ერთი გოლის ავტორი გახლდათ „BBS“-ში მოთამაშე ქართველი, ვინმე კახიანი.

№13, 2005 წ.

ორთავიანი არწივი

**„ღერბნი არიან ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფერსა ზედა ანუ გულსა ზედა ღერბისა განსხვავებით გვართა, ანუ შთამომავლობათა და საკუთართა ადგილთა და ქვეყნიერებისასათა“
იოანე ბატონიშვილი („კალმასობა“)**

მეცნიერება „ჰერალდიკა“ (გერბთმცოდნეობა) სათავეს იღებს მე-7-მე-6 საუკუნეების მიჯნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გერბული ფიგურა (გამოსახულება), როგორც წესი ითვლება ძალის, ერთიანობისა და ძალაუფლების თავისებურ სიმბოლოდ და სხვა მრავალ სპეციფიურ ნიშანთვისებებთან ერთად, ასახიერებს ყოველივე იმას, რაც ამ წერილის ეპიგრაფიაშია მოხსენებული.

ორთავიანი არწივი, როგორც სახელმწიფო გერბის ძირითადი ატრიბუტი, სულ პირველად გამოჩნდა ბიზანტიის იმპერიის სიმბოლიკაში და განუწყვეტლივ ფიგურირებდა (დროშებზე, მონეტებზე, იარაღზე, სიგელებზე და ა.შ.) ჩვენი წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნემდე, მცირედი, მუდმივცვალებადი გარეგნული ნიშნებით, რაც განპირობებული იყო ამათუიმ იმპერატორის პირადი შეხედულებებით, თუ სურვილებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეტნაკლებად შეცვლილ გერბში ორთავიანი არწივი, როგორც სიმბოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპყრობის (არწივთაგან ბასრი მზერა ერთს აღმოსავლეთისაკენ აქვს მიმართული – მეორეს დასავლეთისკენ), მიერთებისა და მათზე ბატონობისა, თავს ახსენებდა ყველას თითქმის ცხრა საუკუნის განმავლობაში.

როგორც ისტორიული ფაქტები ადასტურებენ, რუსეთის მეფეებს მოეწონათ ორთავიანი არწივის გამოსახულებით შემკობილი გერბი, როგორც დამპყრობლური ხასიათის მატარებელი სიმბოლო და მიეცათ თუ არა ამის საშუალება, სასწრაფოდ „აითვისეს“ და

დაამშვენეს ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ პრინციპის შენარჩუნებით (მეფე ივანე მესამე).

რუსეთის იმპერიის (არა მარტო იმპერიის) არსებობის შემდგომ პერიოდს თუ გავანალიზებთ, მივხვდებით, რომ მათ არ ეყოთ ფანტაზია, ან შერცხვათ (თუმცა სად რუსეთი და სად სირცხვილი), რომ არწივისთვის ოთხი თავი გამოებათ, რომელთაგან მესამე ჩრდილოეთს მიაპყრობდა მრისხანე მზერას, მეოთხე კი – სამხრეთს.

არადა ისტორია უტყუარი ფაქტებით ადასტურებს ამ მოსაზრებას: ჯერ იყო და ურალს გაღმა სივრცეები დაიპყრეს წყნარ ოკეანემდე და დღესაც ბრჭყალებით არიან ჩაჭიდებული კურილიის კუნძულებს; მერე ჩრდილოეთით გააძლიერეს თავიანთი „ინტერესების სფერო“ (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და შვეციასა და ფინეთს გაჰკრეს კბილები. არც დასავლეთის მიწები აძლევდათ მოსვენებას და პოლონეთს მუდმივად მიიჩნევდნენ გემრიელ ლუკმად. ახლა მივხედოთ ორთავიანი არწივის წარმოსახვით მეოთხე თავს და მეოთხე წყვილ ბრჭყალებს – რუსის ჯარისკაცების ჩექმებით გადაითელა შუა აზიის ქვეყნები და გადაიქცა საბჭოთა რესპუბლიკებად, შეიქმნა რა პლაცდარმი ინდოეთის ოკეანეში გასასვლელად და სამხრეთ აზიის ნაწილი ქვეყნების საკონტროლოდ. საქართველოს დასაპყრობად ხომ მუდმივი ქიშპი ჰქონდა მას სპარსეთთან და განსაკუთრებით ოსმალეთთან. ბევრს მიაღწია, თუ ცოტას – ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ სოჭის რეგიონი რომ წაგვეგლიჯა და მიითვისა, ეს ხომ ისტორიული ფაქტია“

ორთავიანი არწივის მეოთხე თავი დღესაც ილესავს ნისკარტს და ბრჭყალებს და სურს წაგვართვას აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი. დრო კი, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენს სასარგებლოდ იცვლება და ვფიქრობ, თავს დავაღწევთ სისხლიან ბრჭყალებს.

ახლა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ გერბთა ისტორიას საქართველოში. როგორც ცნობილია, გერბი არის ემბლემა, შემკვიდრების განმასხვავებელი ნიშანი, მრავალი სახის ფიგურებისა და საგნების ერთობლიობით, რომლებიც გამოხატავენ მფლობე-

ლის ისტორიულ ტრადიციებს.

საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანას, ჰქონდა როგორც სახელმწიფო გერბი (რამდენიმე სახის – საზოგადოებრივი ფორმაციის შესაბამისი), ისე ცალკეული სახელმწიფო შემადგენლობაში მყოფი სუბიექტების, სამთავროების, საგვარეულოების, საოჯახო და სამიწაწყლო გერბები. თვალის ერთი გადავლებითაც კი ადვილად შესამჩნევია, რომ არცერთი გერბი (იხ. გამსახურდია, შოშიაშვილი, ხიდურელი „საქართველოს დროშები და გერბები“) არ არის ისე „აგრესიული“ და შემზარავი, როგორც ორთავიანი არწივით „დამშვენებული“ რუსეთის გერბი.

აბა დააკვირდით საქართველოს ერთ-ერთ სახელმწიფო გერბს: ლომის ორი ბოკვერი ერთმანეთს უცქერის (არ მიუპყრიათ დამპყრობლური მზერა დასავლეთ-აღმოსავლეთისკენ) და თითქოს თანხმდებიან, რომ გაერთიანდნენ და ერთიანი ძალით გაუფრთხილდნენ ქრისტეს კვართს. ახლა ცალკეული კუთხეებისა თუ ისტორიული სამთავროების გერბებს არ იკითხავთ? – ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გერბების ერთ-ერთი სიმბოლური ნიშანი მფლობელის ისტორიული ტრადიციებისა და საგვარეულო თუ ტერიტორიული თვისებების გამოსატყაა, ჰოდა ქმნიდნენ ჩვენი წინაპრებიც „არააგრესიულ“ გერბებს და თაობიდან თაობებს გადასცემდნენ მოწიწებით. ქართული გერბების უმრავლესობა ტოტემური ხასიათის იყო და მათზე გამოსახული იყო: ლომი და ხარი (ქართლი), ირემი (გურია, იმერეთი), ცხვარი (სამცხე საათაბაგო), ტახი (ოდიში), ჯიხვი (აფხაზეთი), დათვი (სვანეთი), ფოცხვერი (ოვსეთი), შველი (შირვანი), ცხენი (კახეთი) და ობობაც კი (რანი).

საქართველოს დღევანდელი გერბიც ხომ გამოირჩევა არააგრესიულობით – პირიქით, იგი არის ჩვენი რწმენის, ჩვენი სამართლიანობის, ჩვენი კაცთმოყვარეობისა და ქართველთა ნანატრი გაერთიანების მტკიცე და ურყევი სიმბოლო.

№19 (70), 2005 წ.

ენაო ჩვენო

**„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“
(ილია)**

ეს პატარა საგაზეთო წერილი, მსურს დავიწყო შეკითხვებით: ვინ ასწავლის, სად სწავლობენ, ვინ აკონტროლებს, ვინ აგებს პასუხს და ა.შ.

საუბარი ეხება ქართული ენის დანაგვიანება-დამახინჯებას, როგორც მეტყველების დროს, ისე ბეჭდვითი გამოცემების ფურცლებზე.

შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ მაინც გავიმეორებ არაერთხელ დაწერილსა და ნათქვამს: ქართულმა ენამ მრავალგაჭირვებას და ქარტუხილს გაუძლო, მედგრად ებრძოდა ათასი ჯურის დამპყრობლების შემოსევას და მრავალწლიან ბატონობას, უფრთხილდებოდა თავის სიწმინდეს, თუმცა ბოლომდე ვერ აიცდინა თავის სხეულში უცხო სიტყვების შეღწევა და დამკვიდრება. ან კი როგორ შესძლო თავის გადარჩენა და იმის მიღწევა, რომ არ „აღველიყო პირისაგან მიწისა“, როგორც ეს დაემართა არაერთ ენას.

ქართული ენის გადარჩენაში უზომო ღვაწლი მიუძღვით ჩვენს განსწავლულ მეფეებს, დიდ საზოგადო მოღვაწეებსა და განმანათლებლებს, სამშობლოს პატრიოტებს. მარტო რამდენიმე სახელის გახსენება რად ღირს: დავითი, არჩილი, საბა, თეიმურაზი, ილია, აკაკი, იაკობი...

დღეს კი რა გვჭირს, რა გვემართება?!

ამჟამად გამოკვეთილი დამპყრობელი არ ჩანს. თითქოს არც მონობის უღელი გვადგას კისერზე. რომ იტყვიან „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნის“. იქნებ მოვიდა დრო, რომ მივხედოთ ჩვენს ენას, ერის უპირველეს საგანძურს და ერობის უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს, რომელიც, ჩვენ თვალწინ ყოველდღიურად ბინძურდება და იხრწნება, ამჯერად უკვე ჩვენს მიერ, ჩვენი მონაწილე-

ობით და ჩვენივე გულგრილობით.

ჟარგონებით საუბარი, მეტნაკლები სიუხვით, დამახასიათებელი იყო ნებისმიერი ენისათვის და ნებისმიერ დროში, თუმცა იგი ვერანაირად ვერ შეაღწევდა ბეჭდვით გამოცემებში. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, რა დღეშია ქართული ენა? მე ვიტყვოდი, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და ქართულ ენას უჭირს ძალიან. ქართული ენა შევლას ითხოვს.

აბა დააკვირდით, რა სიტყვები ისმის საზოგადოებრივი თავშემყრის ადგილებში და ქუჩებში თუ ტრანსპორტში: „შეჩემა“, „ჩემი დედა“, „რა პონტია“, „კაროჩე“, „ხო აზრზე ხარ“, „მოტვიწე“, „ნუ მებაზრები“, „რას ბლატაობ“, „საით მიტასაობ“ და მრავალი სხვა ყურისმომჭრელი და გულში მოსახვედრი ჟარგონი. ძნელია ასეთი „ტერმინოლოგიით“ მოსაუბრეთა მოსმენას შეეგუოს ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ ალბათ ქუჩას ნაკლებად მოეკითხება და ჩვენც თითქოს შევეჩვიეთ ამ განუკითხობას და სისამაგლეს. საკითხავია, ეს „მეჟარგონები“ ქუჩაში დაიბადნენ და გაიზარდნენ? თითოეული მათგანი ხომ ოჯახიდან მოდის და მოზრდილ ასაკამდე მიღწეულს გავლილი აქვს საბავშვო ბაღი, სკოლა და ბევრ მათგანს უმაღლესი სასწავლებელიც (?).

მამ რა ხდება, სად არიან და რას აკეთებენ მშობლები ან პედაგოგ-მასწავლებლები?

ფრიად სამწუხარო, და მე ვიტყვოდი საგანგაშოა ის გარემოება, რომ ქართული ენის დამახინჯების ფაქტებმა უკვე (თუმცა თანდათანობით) შეაღწია ელიტარულ საზოგადოებაში.

ორი ცნობილი პარლამენტარი საუბრობს ბენზინგასამართ სადგურთან. ციტირება მიჭირს, მაგრამ რაც დამამახსოვრდა მოგახსენებთ:

- რა არის „შეჩემა“, რაღა ამ გადაკარგულში მომიყვანე.
- რო იცოდე ტო, როგორ „მისწორდება“, როცა ეს როჟა ბენზინს მისხამს (!).
- რას გეტყვი ძმაო, იცი? ამ რაიონში ყოფნა მაგრა „ტეხავს“, „კაროჩე“, აღარ გვინდა „ბაზარი“, დროზე „ავახვიოთ“.

აი, ძვირფასო მკითხველო, როგორ საუბრობს ხალხის ზოგიერთი რჩეული. ასეთი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, გაუთავებლად შეიძლება.

ახლა მივხედოთ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს. საინტერესოა, ვინმე თუ ამოწმებს იმას, რაც გაზეთებში იწერება: თუ არსებობს რაიმე სახის კრიტიკა ან ცენზურა?! კი ბატონო, გაზეთი კერძოა და თავისუფალი, მაგრამ ხომ არ შეიძლება წერო და ბეჭდო როგორც მოგეპრიანება და როგორც „გაგისწორდება“. ვილაც ან რაღაც ხომ უნდა იცავდეს ქართული ენის სიწმინდეს და გამართულობას.

რამდენიმე მაგალითი: „პრეზიდენტმა და პრემიერმინისტრმა ევროკავშირის წარმომადგენელი მიიღო (!?), „აფეთქებულის მდგომარეობა სტაბილურია (?), „თბილისის აეროპორტში, სადამოს თვრამეტი საათისათვის, მსოფლიო ბანკისა და ეუთოს წარმომადგენლები ჩამოვიდა (!?), „დაზარალებული მუცელში ტყვიით დაჭრილია“ (!!)) და მრავალი სხვა. ენა არ მიბრუნდება იმ პედაგოგების საგინებლად, რომლებმაც ასეთი ქართული ასწავლეს (და არ „ასწავლა“) ჟურნალისტებს, უფრო სწორედ კი ვაიჟურნალისტებს.

ახლა, წამით თვალი გადავავლოთ დიდ ქალაქებში, თუ რაიონულ ცენტრებში (ალარაფერს ვამბობ სოფლებზე) არსებულ აბრებს და წარწერებს: „სმაზკა“, „პერაშკი“, „მოიკა“, „წონის გაზეთი“ (!), „პონჩიკები“, „ტუპიკი“, „კალბასი“, „იყიდება ბილიარდის სტოლი“, „პეჩენიე რუსეთის“, „მაღალხარისხიანი ფქვილები“ და ა. შ.

ძალაუნებურად მახსენდება ლ. ღვინჯილიას სატელევიზიო გადაცემები ენის სიწმინდესთან დაკავშირებით. კარგი იყო ის გადაცემები. კარგი დრო იყო მაშინ...

მარტი, 2005 წ.

ინფლაცია, დეფლაცია, თუ კიდევ სხვა რამ?

სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელ და აუცილებელ ატრიბუტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ეროვნულ ვალუტას (ქალაქის ნიშნებს, თუ ლითონის მონეტებს), როგორც შინაარსით (მყიდველობის უნარი, კონკურენტუნარიანობა, კონვენტირებადობის გარანტია) ისე გარეგნული სილამაზით, ეროვნული მრავალფეროვნებით და ფიზიკური გამძლეობით.

მქონდა ბედნიერება მოვსწრებოდი ყოფილი საბჭოთა კავშირის სამ ფულად სისტემას და დამოუკიდებელი საქართველოს ორ სისტემას – კუპონებს და დღევანდელ ვალუტას.

ფულის ყოველი რეფორმის შემდეგ, ადამიანები, დიდი გული-სყურით ათვალიერებენ ფულის ნიშნებს, მის ღირსეობას, ერთეულთა განრიგს, გამოთქვამენ აზრს მათი მყიდველობითი უნარის შესახებ, ადარებენ ძველ ფულს და ხშირად არც კრიტიკას იშურებენ (კუპონები, რომლებმაც ისე სწრაფად დაკარგეს ღირსება, რომ გაცვეთაც ვერ მოასწრეს). დღევანდელი ქართული ვალუტა საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობისაა (მარტო ის რად ღირს, რომ მათზე გამოსახულნი არიან საქართველოს ღირსეული შვილები, ვისაც მაღლიერი ქართველი ხალხი, დიდი სიყვარულითა და პატივისცემის გამოხატვით, მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს: ნიკალა, ზაქარია, ივანე, აკაკი, ილია, შოთა, თამარი, დავითი) და არც სხვა ძირითადი მაჩვენებლებით უღებს ტოლს გაფეტიშებულ უცხოურ ვალუტებს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ და ორთეთრიანმა მონეტებმა ვერ იპოვეს თავისი ადგილი (ასე დაემართათ ერთ და სამკაპიკიან მონეტებს სსრკ-ს არსებობის გარკვეულ პერიოდში) სამომხმარებლო ბაზარზე და ვერ ჩაერთვნენ აქტუალურად საქონელბრუნვის პროცესში. ყველა ქვეყნის ვალუტას გააჩნია მინიმალური ნომინალური ღირებულების მონეტა (როგორც ჩანს ეს აუცილებელია), მაგრამ საკითხავია – რამდენად არიან ისინი ჩართულნი, ანუ რა აქტიურობით ან მასშტაბებით გამოიყენებიან

ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ერთი და ორთეთრიანი მონეტები საერთოდ გაქრა ასპარეზიდან (სულ რამდენიმე თვე იჩხრიალეს ქართველთა ჯიბეებში და ისიც, ალბათ როგორც ახალმა გასართობმა, თუ სათამაშო რამ საგანმა), რაც ვფიქრობ, მიუთითებს მათ აბსოლუტურ არამყიდველობითობაზე.

ჩვენთან ყველაფერი იყიდება ხუთი თეთრის ჯერადობის ფასეში და ერთ და ორთეთრიანების ბრუნვაში ჩართვის შანსი მინიმუმამდე დასული. ამიტომაც გაქრა ისინი ხმარებიდან.

ამას წინათ, გურამიშვილის ქუჩაზე სიგარეტის საყიდლად ჩავედი ერთ სავაჭრო სარდაფში და გავვოცდი: უფილტრო სიგარეტ „პრემას“ ეწერა ფასი 27 თეთრი. ეს ნამდვილად სიურპრიზია! იქნებ ეს პირობითი ნიშანია ერთ და ორთეთრიანი მონეტების „ბრძოლის ველზე“ დაბრუნების? ღმერთმა ქნას!

ოცდაშვიდი თეთრი ვახსენე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი დაგებრუნებს სამ თეთრს (თუ ოცდაათი მიეცი), რომ უნდოდეს მაინც ვერ მოგცემს, რადგან არ აქვს. და არა აქვს მარტო მას კი არა საერთოდ, თითქმის არავის არ აქვს სავაჭრო და სამომხმარებლო ქსელში ერთ და ორთეთრიანი მონეტები.

№20, 2005 წ.

თაყვანისმცემელი თუ „ციგანკა“ ანუ ვარსკვლავები ცაში იწვიან

**„ბუნების მიერ ერთად ჰქონდა მომადლებული სილამაზე, დიდი არტისტული ნიჭი და იშვიათი კეთილშობილება“
(ელისაბედ ბაგრატიონი)**

თანამედროვე „ჰოლივუდის“ ბევრ კინოვარსკვლავ ქალს შემურდებოდა მისი არამარტო ღვთაებრივი სილამაზე, არამედ მდიდარი კინემატოგრაფიული კარიერაც.

ნატო ვაჩნაძემ, 28 წლის განმავლობაში, ოცზე მეტი კინო-

როლი შეასრულა, რომელთაგან („ქაჯანა“, „კრაზანა“, „მამის მკვლელი“, „ამოკი“, „გიული“, „ნათელა“, „არსენა“, „აკაკის აკვანი“, „სამი სიცოცხლე“, და ა.შ.) ნახევარზე მეტი ე. წ. „მუნჯი“ კინოს პერიოდში, როდესაც რეჟისორები, ოპერატორები და განსაკუთრებით მსახიობები, ტექნიკის არასრულყოფილების გამო, მოკლებულები იყვნენ შესაძლებლობას შინაგანი განცდების გამოხატვისა ისეთი მძლავრი და აუცილებელი „იარაღის“ საშუალებით, როგორც არის ხმა, მეტყველება. და მაინც ნატო ვაჩნაძემ (ქართული კინორეჟისორების ელდარ და გიორგი შენგელაიების დედამ), თავისი უზადო ნიჭის, სილამაზის და შრომისმოყვარეობის წყალობით მიაღწია კონომსახიობობის უმაღლეს მწვერვალს. მთავრობის მრავალ ჯილდოსთან ერთად მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის და რუსეთის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებები.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნატო ვაჩნაძე შემთხვევით აღმოაჩინეს. რეჟისორის ასისტენტს მოეწონა ფოტოატელიეს ვიტრინაში გამოკრული სურათი და ფიტოგრაფის დახმარებით მიაგნო მის მისამართს.

პირველი ფილმი, რომელშიც ნატო ვაჩნაძემ ითამაშა მთავარი (ნინო) როლი, იყო „არსენა ყაჩაღი“ (1924 წ.). მისი ბოლო ფილმი იყო „მწვერვალთა დამპყრობნი“ (1952 წ.).

უბედურმა შემთხვევამ (თვითმფრინავის კატასტროფა) შეწყვიტა უპირველესი ქართველი კინომსახიობი ქალის უმშვენიერესი სიცოცხლე. ტრაგედია მოხდა 1953 წლის 14 ივნისს.

იმ ავადმოსავონებელ დღეს, ნატო ვაჩნაძე სასწრაფოდ აპირებდა მოსკოვიდან გადმოფრენას. საჭირო რეისზე ბილეთები აღარ იყო. დაღონებულმა და ჩაფიქრებულმა გაიარა მგზავრთა დარბაზში. მას მიუახლოვდა მკითხავი ციგანი ქალი, ხელისგული „გაუსინჯა“ და ავისმომასწავებელი მზერითა და ხმით მიმართა: „ნუ დაღონდები, ლამაზო ქალო, კარგია, რომ ამ რეისით არ მიფრინავ“. ვერაფერი ნუგეში იყო „ციგანკას“ შთაგონება კინოვარსკვლავისათვის.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნატო ვაჩნაძეს წინ დაუდგა ახ-

ალგაზრდა გოგო სახის აღტაცებული და გახარებული მზერით: „თქვენ ხომ ნატო ვაჩნაძე ხართ, მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. დღეს ბედნიერი ვარ თქვენი ნახვით. მე თბილისში არ მეჩქარება. აი ჩემი ბილეთი, გთხოვთ ნუ მეტყვი უარს. მე შემდეგი რეისით გადმოვფრინდები“.

რა იცოდა ნატო ვაჩნაძემ, რომ მისი თვითმფრინავი ელვაქუხილის ზოლში მოხვდებოდა და მეხის დაცემის შემდეგ ცეცხლწაკიდებული დაენარცხებოდა მიწას.

ქართულმა საზოგადოებამ და ათიათასობით გულშემატკივარმა და თაყვანისმცემელმა მხოლოდ მისი ფერფლია მიაბარა მშობლიურ მიწას.

წერილი მინდა დავამთავრო ერთი პოეტის (სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს) ლექსის სტრიქონებით:

„შენ ჩვენი კინოს ვარსკვლავი იყავ
და ვარსკვლავივით ცაში დაიწვი“.

№20, 2005 წ.

ორიენტირი — დასავლეთი

**„...მოვიკლათ წარსულ დროებით დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“.
(ილია)**

**„ჩვენ რუსეთში მივეჩვიეთ „უფროსი ძმის“ როლს და
მოვუსპეთ ქართველებს საშუალება იცხოვრონ საკუთარ
სახლში, როგორც მისმა პატრონებმა“
ლ. კუზმირევა (რუსი საზოგადო მოღვაწე)**

ქართველები რომ ცოტა (თუ ბევრად არა) ამბიციური ხალხი ვართ — ეს მკითხველისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი. თუნდაც რად ღირს, უკვე კარგად ფესვებგადგმული შეგონება „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“.

რამდენად კარგები ან არაკარგები ვართ, ამაზე საუბარი შორს

წავიყვანს. ისე, საამაყო და სატრაბახო რომ ბევრი გვაქვს – ესეც უდავოა, მაგრამ მხოლოდ დიდებული და ღირსეული, შორეული თუ ახლო წარსულის იმედით ყოფნა ბევრ სიკეთეს ვერ მოგვიტანს.

მთავარია – რანი ვართ და რანი ვიქნებით.

ბევრი რამ დავკარგეთ და საგრძნობლად ჩამოვრჩით მსოფლიო ცივილიზაციას იმ ისტორიულ პერიოდში, როდესაც დაკარგული გვქონდა დამოუკიდებლობა.

დღეს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ეძებს გზებს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ და მზერა აქვს მიპყრობილი დასავლური ცივილიზაციებისაკენ – ამ ფაქტს, ალბათ ყველა ჩვენგანი მიესალმება.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ ისტორიული მნიშვნელობის მქონე მისწრაფებაში, მთავარი ვექტორი მიმართულია დემოკრატიული საზოგადოებრიობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ.

კარგად გავიხედოთ დასავლეთისკენ, შევისწავლოთ მათი ცხოვრების წესი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნისა და მართვის არსი, განათლების სისტემები, კულტურა, ლიტერატურა, თუ ხელოვნება და მაშინ უფრო რეალურად შევძლებთ ზემოთმოყვანილი ფრთოსანი გამოთქმის ავკარგვიანობის შეფასებას.

ვიცნობთ კი ამ მიმართებით ჩვენ მომავალ სტრატეგიულ მეგობარს, აშშ-ს? ვფიქრობ, რომ ნაკლებად. ჩვენ მართო გაცემა ვიცით იმის გამო, რომ აშშ-ში ნაკლებად თუ იცის ვინმემ, რამე საქართველოს შესახებ. გავიხსენებ უბრალო ჭეშმარიტებას – პატარები და სუსტები უფრო მეტად ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ კარგად იცნობდნენ დიდებსა და ძლიერებს, ვიდრე პირიქით. ჰო, და მოდით ჩვენც გავიზიაროთ ეს შეგონება და შევისწავლოთ დასავლეთი და კერძოდ აშშ. ერთბაშად ამის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ თანდათან და ცოტა-ცოტა საინტერესო ამბების მიწოდება მკითხველისათვის არ იქნება ურიგო საქმე.

ამ წერილში მოგიხსენებთ აშშ-ის ჰიმნის შექმნის მოკლე ისტორიას.

ამერიკელი გოგონა კატრინ ლი-ბეიტსი (დაიბადა 1859 წელს

ქალაქ ფალმუტში) იყო ჩვეულებრივი მოსწავლე. არაფრით, განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისაგან, თუმცა მაინც ეტყობოდა ზედმეტი სიმორცხვე და მორიდებულობა.

ოცდაერთი წლისამ დაამთავრა კოლეჯი და შემდეგ, თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სწავლობდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურას თავის მშობლიურ ქალაქში. კატრინ ლი-ბეიტსი გამოირჩეოდა პატრიოტიზმით, რაც კარგად გამოჩნდა მის ლექსებშიც (გამოცემული აქვს ლექსების ოცდაათზე მეტი კრებული).

ერთხელ კატრინი ავიდა ე. წ. ქარიყლაპიას მთის წვერზე (კოლორადოს შტატი) და ნანახმა მასში გამოიწვია ისეთი აღფრთოვანება, რომ იქვე დაწერა ლექსი სათაურით „მშვენიერი ამერიკა“. ლექსმა სულ მალე მოიპოვა აღიარება. ლექსის ტექსტს მუსიკა მოარგო კომპოზიტორმა საილას პარტმა და 1913 წლიდან მოყოლებული იყი გვევლინება ამერიკის ჰიმნად.

როგორც მიმომხილველები წერენ, აღნიშნული ჰიმნის მოსმენისას ამერიკელებს თვალზე ცრემლები მოსდით, ხოლო სტუმრებს კი განაწყობს სასიამოვნოდ მოსასმენად.

ლესბოსური ცხოვრების წესის მიმდევარი კატრინ ლი ბეიტსი, ოჯახის შეუქმნელად, გარდაიცვალა 1929 წელს.

№22, 2005 წ.

საინტერესო ამბების სამყაროში

(ჭა ფსკერის გარეშე)

ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებს, თუ რა არის დედამიწის სიღრმეში, მის ცენტრში. გასულ, ადრეულ საუკუნეებში მიიჩნეოდა, რომ დედამიწა მთლიანად მყარი სხეული იყო. მოგვიანებით დაიწყეს საუბარი, რომ დედამიწის შუაგულში თავმოყრილია თხევადი სუბსტანციები, ზოგნიც ვარაუდობენ, რომ დედამიწის ე. წ. ბირთვი შეადგენს თხევად, მაღალი ტემპერატურის მქონე გავარვარებულ მასას და გაზისებრ, დიდი წნევის მქონე მატერიას.

ასეა თუ ისე, დღემდე, ბოლომდე არ არის ცნობილი დედამი-

წის შუაგულის ზუსტი აგებულება და შემადგენლობა.

წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწა გახვრეტილია გვირახით პოლუსიდან პოლუსამდე. რა მოუვა ადამიანს, თუ იგი მონდომებს ამ უძირო ჭაში ჩასვლას, დედამიწის შუაგულის შესწავლის მიზნით?

იგი გვირახის საწყისიდან (დედამიწის მიზიდულობით) გაექანება მეორე ბოლოსკენ, მისი სიჩქარე თანდათან მოიმატებს და დედამიწის ცენტრს გასცდება ისეთი გაშმაგებით, რომ მიაღწევს მეორე მხარეს (ჰაერის წინააღმდეგობა გამოვრიცხოთ). ცენტრს რომ გასცდება, მისი სიჩქარე თანდათან იწყებს კლებას (ისევე დედამიწის მიზიდულობის გამო) და გვირახის მეორე ბოლოში, სულო რადაც წამის მეთასედში მისი სიჩქარე გაუტოლდება ნულს და მერე დაიწყებს უკან (გვირახის საწყისისკენ) სვლას, ისეთივე აჩქარებით, როგორც დასაწყისში. მერე წარმოუდგენლად დიდი სიჩქარით გაივლის დედამიწის ცენტრს და მიაღწევს გვირახის (უძირო ჭის) დასაწყისს. აქაც „შეყოვნდება“ და ყველაფერი დაიწყება თავიდან. ისე რომ ადამიანი თვალის შევლებასაც ვერ მოასწრებს დედამიწის ცენტრზე, მითუმეტეს ვერ მოახერხებს ბირთვის შესწავლას. ასე გაგრძელდება გაუთავებლად. ადამიანი წინ და უკან გზას, 28 ათას კმ-ს, მონდომებს დაახლოებით 85 წუთს.

ახლა წარმოვიდგინოთ რეალური პირობები, კერძოდ ის, რომ უძირო ჭაში ჰაერი (ხანუნი) გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს ადამიანის თავაწყვეტილ რხევას გვირახში. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? მოხდება ის, რომ ადამიანის რხევის ამპლიტუდა დედამიწის გასწვრივ თანდათან შემცირდება და რამდენიმე ათეული რხევის შემდეგ გაუტოლდება ნულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გაჩერდება დედამიწის ცენტრში და გაჩერდება სამუდამოდ. ახლა კი შეისწავლე, ადამიანო, დედამიწის ბირთვი, როგორც გინდა და რამდენიც გინდა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი მიწის სიღრმეში არ ჩასულა 400 კმ-ზე მეტით (დედამიწის რადიუსი 7 ათას კილომეტრამდეა), ისე, რომ საინტერესო გამოკვლევები და მოვლენები ჯერ კიდევ წინ აქვს ადამიანს. ვიქონიოთ იმედი.

ივნისი, 2005 წ.

ვინ მოიპოვებს ჩარლი ჩაპლინის მილიონს

უბრალო და საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის მრავალი და მრავალნაირი ანდერძია ცნობილი საზოგადოებისათვის.

დავით აღმაშენებელმა ინება დაესაფლავებინათ გელათის უწმინდესი ტაძრის შესასვლელში, რათა ყოველ მლოცველს მის მკერდზე დაეხეებინა.

ცნობილმა შვედმა მეცნიერ-მკვლევარმა და ინჟინერმა ალფრედ ნობელმა ისურვა, რომ სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სიმდიდრე გამოყენებული ყოფილიყო პრემიებად მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩენებისთვის და მისი ანდერძი უკვე ას წელიწადზე მეტია მოქმედებს (ფიზიკა, მედიცინა, მშვილობა და სხვა).

გერმანელი როტშილდების დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაიბარა, რომ მისი დანატოვარი გამოყენებული ყოფილიყო ქველმოქმედების მიზნით, ოღონდ არავის არ უნდა სცოდნოდა, თუ რა რაოდენობის სიმდიდრე დაუტოვა მან კაცობრიობას. როტშილდის მიერ ანდერძით დატოვებული სიმდიდრის ოდენობა დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის, თუმცა ხარჯვაშია თითქმის ოთხმოცი წელია.

ცნობილმა ფინანსურმა მაგნატმა ტორკასმა კი მართლაც, რომ უცნაური რამ მოიმოქმედა – სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე შეადგინა და ნოტარიულად გააფორმა ანდერძი, რომლის თანახმადაც, მთელი მისი აურაცხელი სიმდიდრე რჩებოდა მის საყვარელ ძალღს (!), ცოლს კი მან სულ ერთი ცენტტი უანდერძა.

მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი მსოფლიოს პირველი კომიკოსის, ჩარლი ჩაპლინის სახელი (გარდაიცვალა მეოცე საუკუნის ბოლოს). ბევრ პირად უცნაურობასთან ერთად, მან ანდერძიც უჩვეულო დატოვა. მართალია იგი არ იყო ისე მდიდარი, როგორც ზემოთ დასახელებული მაგნატები, მაგრამ თავისი, სულ რაღაც ერთი მილიონი დოლარი, თავისებურად განკარგა. მისი უკანასკნელი სურვილია ერთი მილიონი დოლარი გადაეცეს თამ-

ბაქოს იმ მწვეველს, რომელიც ზედიზედ გამოუშვებს ბოლის ხუთ რგოლს, ხოლო მეექვსეს კი გაატარებს მათში.

მიუხედავად თამბაქოს მწვეველთა მრავალათასიანი არმიის მცდელობისა – დღემდე ასეთი ტრიუკის გაკეთება ვერავინ შეძლო.

იქნებ თამბაქოს ქართველ მწვეველს გაუმართლოს?!

№26, ივლისი, 2005

მადონა ყარყუმით

ცუნცულამ შესვენების დროს შეალო უფროსის კაბინეტის კარები. მაგიდას ოთხი თანამშრომელი მისჯდომოდა და მსუბუქად იხემსებოდა.

ოჰ, მოდი, მოდი, სიდედრებს ჰყვარებიხარო, შეაგება უფროსმა. ცუნცულას არ გაჰკვირვებია უფროსის მიერ კარგად ცნობილი გამონათქვამის დამახინჯება, თუმცა „სიდედრის“ მრავლობითმა რიცხვმა (ჯერ ერთი სიდედრი რად ღირს!) ხუმრობის ხასიათზე დააყენა: „პირველ სამს კი ვუყვარდი, მაგრამ მეოთხე რას იზამს არ ვიცი, ახალიაო“. დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. „უყურე ამ ხვითოს, რა მაგარი ყოფილაო“. ამის შემდეგ ყველამ იცოდა რომ ცუნცულას მეოთხე ცოლი ჰყავდა. ხშირად დაუჭერია ცუნცულას მასზედ მიპყრობილი ცნობისმოყვარე მზერა. ჩურჩულით ნათქვამი მოუსმენია ხშირად: „ნამდვილი კვაჭიაო“.

ამ შემთხვევიდან ერთ წელზე მეტი იყო გასული. ცუნცულა ეწვია თავის მეგობარ მხატვარს, რომელიც გამოფენისთვის ემზადებოდა. დიდხანს ათვალიერებდა საგამოფენო ექსპონატებს და ყოველ ავლა-ჩავლზე ყველაზე დიდხანს აკვირდებოდა და ჩანდა ყველაზე უფრო მოსწონდა ლეონარდო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილი სურათის („მადონა ყარყუმით“) რეპროდუქცია. მეგობარმა მხატვარმა, შეამჩნია რა ცუნცულას დაინტერესება, უთხრა: „გამოფენის შემდეგ, შენთვის მიჩუქნია, კაბინეტში მოგართმევო“.

ათი დღის შემდეგ, მხატვარმა, თავისი ხელით ჩამოჰკიდა სურათი ცუნცულას კაბინეტში და სთხოვა: „ჯერ ნუ წაიღებ სახლში, გეკიდოს აქ. შენთან ბევრი ხალხი მოდის და რეკლამა

გამიწიო“.

ორ თვეზე მეტ ხანს ეკიდა სურათი ცუნცულას კაბინეტში. უამრავმა ადმიანმა ნახა იგი და ყველა მხოლოდ იმას კითხულობდა, თუ ვის მიერ არის რეპროდუქცია შესრულებული (დედანის ავტორის ვინაობა კარგად იცოდა თითოეულმა).

ერთხელ ცუნცულას კაბინეტში ეწვია უფროსი და გამოჰკითხა საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. საუბრისას უფროსმა ბევრჯერ შეაჩერა მზერა სურათზე. ცუნცულამ შეამჩნია, რომ უფროსი დაინტერესდა რეპროდუქციით. ისიც შეამჩნია, რომ უფროსს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ როგორღაც ვერ ბედავდა. ბოლოს უფროსს ცნობისმოყვარეობამ სძლია და იკითხა, ეს ქალი ვინ არისო. ცუნცულა კიდევ ერთხელ განეწყო ხუმრობის ხასიათზე და სრული სერიოზულობით უპასუხა, ჩემი პირველი ცოლიაო. უფროსმა ჯერ გაიოცა, მერე ისევ სურათს მიაშტერდა, დაფიქრდა, ღრმად ჩაისუნთქა და რაღაც სინანულით აღნიშნა – რა ლამაზი ქალი გყოლია პირველი ცოლი, შე ეშმაკოო. შემდეგ ისევ ფიქრებში ჩაფლულმა ერთი ღრმად ჩაისუნთქა და სიგარეტის კოლოფი გახსნა.

ცუნცულამ ამცნო, რომ სურათი მეგობარმა მიართვა საჩუქრად და ამ დღეებში სახლში წაიღებდა. უფროსი დაინტერესდა: სახლში რომ ჩამოჰკიდებ, მეოთხე ცოლს არ ეწყინებაო? არაო, უპასუხა ცუნცულამ, უკვე შეჩვეულია ასეთ რამეს, მეორე და მესამე ცოლების სურათები უკვე მიკიდიო სახლში.

ისინიც ასე ლამაზები იყვნენო, იკითხა უფროსმა. ეს რა არის, ამაზე მშვენიერები იყვნენო, უპასუხა ცუნცულამ და ფარული ღიმილით შეხედა ტურჩებზე ასევე ღიმილშერჩენილ მადონას.

მეორე დღეს ცუნცულამ სახლში წაიღო მეგობრის ნაჩუქარი რეპროდუქცია და თავისი ადგილი მიუჩინა სურათების საოჯახო კოლექციაში.

ყარყუმი სიამოვნებით ნებივრობდა მადონას სანთლადჩამოქნილ თითებში. ლეონარდო და ვინჩი კი გაოცებული იცქირებოდა იმქვეყნიდან

№27, ივლისი, 2005 წ.

ვიციტ ჩაის ნაყენის მომზადება?

„ჩაი – მსოფლიო განძია“
(უკერსი)

საქართველოში ჩაის კულტურას სულ რაღაც ასი წლის ისტორია აქვს.

ჩაის კულტურის ისტორიულად ტრადიციული ქვეყნებია ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და სხვა. მსოფლიოში ჩაის მოხმარების მხრივ პირველ ადგილზეა ინგლისი. საქართველოში კი ამ კულტურამ ვერ დაიმკვიდრა მტკიცე საფუძველი. თუმცა მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში ჩვენმა მზა პროდუქციამ გარკვეულ მსოფლიო აღიარებას მიაღწია.

საქართველოს მოსახლეობა მოიხმარდა და მოიხმარს ძირითადად ე. წ. შავი ბაიხის ჩაის (არსებობს კიდევ მწვანე ბაიხის ჩაი, ყვითელი ჩაი, ჩაი გრანული და აგურა ჩაი. ამ უკანასკნელს შუა აზიის ქვეყნებში წვნიანი კერძის მოსამზადებლადაც კი იყენებენ).

დაწვრილებით იმის აღწერა, თუ რა გზას გადის ჩაი, როგორც კვების პროდუქტი, ბუნჯის ფესვებიდან მაღაზიის თარომდე, საგაზეთო წერილში შეუძლებელია, მაგრამ იმის შესახებ კი მოგახსენებთ, რომ თუ გვსურს შევიგრძნოთ ჩაის ღირსება, მისი მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის, გავლენა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე – საჭიროა მისი სისტემატური მოხმარება და დაკვირვება. თუმცა, აუცილებელია, ვიცოდეთ ჩაის მზა პროდუქციის შენახვა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაყენის მომზადება.

კარგი ხარისხის ჩაი შეიძლება გავაფუჭოთ (დავაქვეითოთ მისი მაჩვენებლები) ნაყენის არასწორი მომზადებით. კარგად დაყენებული და არომატული ჩაის მიღება შეიძლება მხოლოდ გარკვეული წესების დაცვით.

არსებობს ჩაის ნაყენის მომზადების მრავალი მეთოდი (ჩინური, ცეილონური, ინდური და ა.შ.) მაგრამ ჩვენ შევჩერდებით ყველაზე უფრო უნივერსალურზე და პოპულარულზე.

წყალი უნდა იყოს რაც შეიძლება „რბილი“, ანუ ნაკლებმა-

რილიანი. ნაყენი ყოველთვის უნდა მომზადდეს ახლადმოდულებული მდულარე წყლით და არა ადრე მოდულებულის გაცხელებით. ჩაის ნაყენი უნდა გამოვიყენოთ ერთხელ – მისი შეცხელება ან მოდულება არ არის მიზანშეწონილი.

ნაყენის ჩაიდანს წინასწარ უნდა გამოვავლოთ მდულარე წყალი, შემდეგ ჩავყაროთ ჩაი და 4-5 წუთით დავდგათ მდულარე წყლის ჩაიდანზე (ამ დროს ჩაი ცხელდება და წარმოიქმნება ძლიერი არომატი). შემდეგ დავასხათ ქაფქაფა მდულარე წყალი და შევავსოთ ნაყენის ჩაიდანს მისი მოცულობის ორ მესამედამდე. შევფუთოთ ტილოში (რუსები ბალიშებსაც კი აფარებენ ხოლმე) და გავაჩეროთ დაახლოებით 5 წუთი. ნაყენის ჩაიდანს შევავსოთ ბოლომდე მდულარე წყლით, მოვურიოთ კოვზით და ჩამოვასხათ ჭიქებში.

მკითხველმა ალბათ შეამჩნია, რომ არაფერი გვითქვამს შაქარზე. თუ გვსურს სრულად აღვიქვათ ჩაის სურნელი და გემო – ნუ ჩავყრით შიგ შაქარს ან მის ფხვნილს, თუ მაინცდამაინც არ შეგვიძლია ტკბილის გარეშე – მაშინ ჩავაკნატუნოთ შაქრის პატარა ნატეხი და ასე მოვსვათ ჩაი.

ჩაის მზა პროდუქცია (ფხვნილი) თავისი ფიზიკური აგებულობის წყალობით, ადვილად ითვისებს ტენს და სხვა პროდუქტების სუნს, ამიტომ იგი უნდა მოვათავსოთ მინის ან თუნუქის ჰერმეტიკულად დახუფულ ჭურჭელში და მშრალ და გრილ ადგილზე, მძლავრი სუნის მქონე სხვა პროდუქტებისგან მოშორებით.

როგორ უყვარდა არსენას

„ოძელაშვილი არსენა
ღმერთმა კურთხევით ახსენა“
(მესტვირული)

რანაირი სახელი აღარ შემორჩა ლეგენდარულ არსენას ხალხის მეხსიერებაში: დიდი ყაჩაღი, არსენა ოძელაშვილი, არსენა ყაჩაღი, არსენა მარაბდელი და სხვა. არსენას სახე განსაკუთრებით შთამბეჭდავია უბრალო და მშრომელი ადამიანების შექცევაში.

უმღერა რა არსენას პირად გმირობას, გამბედაობას და ალალობას, ამით ხალხმა გამოხატა თავისი თავისუფლებისმოყვარეობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა და მჩაგვრელთა მიმართ სიძულვილი.

არსენა იმდენან პოპულარული იყო ხალხში, რომ მის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, ახლადშობილ ყოველ მეორე-მესამე ვაჟს, მის სახელს არქმევდნენ. და მაინც, არსენა გახლდათ ჩვეულებრივი მოკვდავი, რომლისთვისაც ნებისმიერი ადამიანური განცდა თუ გრძობა ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც ყველა დანარჩენისთვის.

უყვარდა თუ არა არსენას? ვინ უყვარდა და როგორ?

ისტორიამ შემოგვინახა რამდენიმე ეპიზოდი მისი სასიყვარულო თავგადასავლებიდან.

როგორც ცნობილია, არსენას უყვარდა ზაალ ბარათაშვილის მეუღლის პირისფარეში ნენო, რომელიც დანიშნული ჰყავდა.

ქალბატონმა ნენოს აჩუქა თავისი ფარჩის კაბა, ქოშები და აბრეშუმის თავსაკრავი. ნენოს ისე მოურგია, ტანთ ისე მოხდენია საქალბატონო სამოსელი, რომ ტოლ-ამხანაგებს ვერ უცვნიათ. საღამო ხანს ნენოსთვის წყაროზე წასვლა და ათი თუნგი წყლის მოტანა უბრძანებიათ. წყაროსთან გოგოები დახვედრიან ნენოს და სასაცილოდ აუგდიათ, თუნგის ავსებაც არ დაუნებებიათ.

ამ ამბავს არსენა შესწრებია, დაბნეულ-დარცხვენილ ნენოს მიხმარებია – ათი თუნგი წყალი თვითონ აუზიდავს ზაალ ბარათაშვილს ეზომდე. როგორც მემატთანე გადმოგვცემს, ამ საქციელით არსენამ პირველად მიანიშნა სოფლელებს, რომ ნენო უყვარდა და მის გამასხარავებას თუ დამცირებას არავის აპატიებდა.

ისიც ცნობილია, რომ ზაალ ბარათაშვილი სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა ნენოსა და არსენას შეუღლების. ერთხელ გაბრაზებული არსენა თავს დაესხა ბატონის სახლ-კარს (ზაალი ოჯახთან ერთად თბილისში ყოფილა წასული). მოურავსა და შინამოსამსახურეებს წინააღმდეგობის გაწევა უცდიათ, მაგრამ ვერას გამხდარან. არსენას უბრძანებია, სასახლე უნდა გადავუგო და ვისაც რა გინდათ, გამოიტანეთ და წაიღეთო. არავის ხელი არ

უხლია ბატონის ნივთებისთვის. არსენას ერთიანად გადაუბუგავს კარ-მიდამო. მერე გუთანში ცხრა უღელი ხარ-კამეჩი გამოუბამს და ის ადგილი ძირ-ფესვიანად გადაუხნავს.

აი, ასე გამოხატავდა არსენა თავის სიყვარულს.

№29, ივლისი, 2005 წ.

როგორ ვისწავლეთ თვლა და ანგარიში

თვლა და ანგარიში მათემატიკის ელემენტარული საკითხებია და სათავეებს იღებს მრავალი საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ირკვევა, რომ ადამიანები რიცხვის ცნებამდე მივიდნენ ცდების შედეგად. ველური ტომების ყოფა-ცხოვრების შესწავლისას გაირკვა, რომ მათ თვლა არ იცოდნენ, ან თუ რომელიმემ იცოდა – მხოლოდ სამამდე. დაბალ საფეხურზე მყოფი ველურები თითებზე თვლასაც ვერ ახერხებდნენ. რიცხვების მათი სახელწოდებანი გამოსახავდნენ რომელიმე საგანს, საგანთა ჯგუფს ან რომელიმე მოქმედებას.

ჩინურ ენაზე „ორის“ სახელწოდება იმავე დროს ყურების სახელწოდებაა. „სამის“ სახელწოდება ნიშნავს გადასვლა-გადაადგილებას. აქ მთავრდებოდა მათი მაშინდელი „მათემატიკა“.

განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ტომების ენის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათ სამზე, ან ოთხზე მეტი რიცხვებისთვის უკვე აქვთ სახელწოდებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელის თითებთან. მაგალითად: „ხუთი“ – ცალი ხელი, „ათი“ – ორი ხელი.

უძველესი დროიდან დაწყებული, ცნობილია თვლის სხვადასხვა სისტემები. ყველაზე უფრო მეტად იყო ხმარებაში ხუთობითი, ათობითი და ოცობითი სისტემები, როგორც ხელებისა და ფეხების თითების რიცხვთან დაკავშირებული.

მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში თუ ცალკეულ ქვეყანაში

თვლათა სისტემის ჩამოყალიბების პროცესის სწორი და სრულყოფილი წარმოდგენისთვის ისტორიკოსებმა გამოყვეს თვლის სკოლები შემდეგი სახელწოდებებით: ეგვიპტელების, ბაბილონელების, საბერძნეთის, რომაელების, ინდოელების, არაბების და ბოლოს, ევროპელების.

დაახლოებით ხუთიათასიან წლებში, ჩვენს ერამდე, ეგვიპტელებმა დაიწყეს ნილოსის წყლების გამოყენება უდაბნოების მოსარწყავად. ბუნებრივია, რომ მათ დასჭირდებოდათ არხები, რაც მოითხოვდა შესაბამის გაზომვებს და გაანგარიშებებს. წარმოიშვა გეომეტრიის საწყისები, რამაც მოითხოვა მათემატიკის განვითარება. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ეგვიპტელების იმდროინდელი მათემატიკა მოკლებული იყო ყოველგვარ დამტკიცებებს და ამოცანების ამოხსნის ზოგად წესებს.

ბაბილონელების რიცხვთა ნიშნები შემოიღეს შემერებმა (ახლანდელი ერაყის ტერიტორია) დაახლოებით ოცდათხუთმეტი საუკუნის წინ. ბაბილონელთა მათემატიკური საქმიანობის შესახებ მონაცემები შემორჩენილია თიხის პატარა ფირფიტებზე და პრიზმებზე ჯოხის წვერით ჩაჭყლეტილი ნიშნების სახით. ბაბილონელები ერთეულის აღსანიშნავად იყენებდნენ ვერტიკალურ სოლს, ხოლო ათეულისთვის ჰორიზონტალურს.

ცნობილია, რომ ბაბილონელებმა საფუძველი ჩაუყარეს გაყოფისა და გამრავლების ცნებებსაც. ამ დროს იყენებდნენ თვლის სხვადასხვა სისტემებს, ძირითადად კი „სამოცობითს“.

საბერძნეთის მათემატიკურ სკოლას საფუძველი ჩაუყარა მილეეთელმა თალესმა. ამ უკანასკნელმა კი მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნა შეიძინა ეგვიპტეში. თალესს შემდეგ მოყვნენ „პითაგორელები“, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მათემატიკის განვითარებაში. სწორედ მათ სახელს მიაწერენ მათემატიკის იმ დარგის შექმნას, რომელსაც „რიცხვთა თეორია“ ეწოდება. მათვე ეკუთვნით ე. წ. „ბრტყელი“, „მეგობრული“ და „სრულყოფილი“ რიცხვების ცნება.

რომაელებმა „თავისი“ რიცხვთა თეორია განავითარეს ეტრუსებისგან გადმოღებული მონაცემების საფუძველზე. ეგვიპტელების მს-

გავსად, რომლებიც ასოებით აღნიშნავდნენ რიცხვებს: 5 – V, 10 – X და ა. შ.

რომაელებს ჰქონდათ რიცხვთა სხვანაირი აღნიშვნებიც, რომელთაც შეცდომით ვეძახით არაბულს. სინამდვილეში ეს სისტემა ინდური წარმოშობისაა. მათგან წარმოიშვა ჩვენი დღევანდელი ციფრები.

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში და „ქართული მათემატიკის“ საწყისებში.

სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, თუ ქართული ტომის წარმომადგენლებმა როდის ისწავლეს თვლა და ანგარიში, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში შეიქმნა სამი მნიშვნელოვანი ტრაქტატი, რომლებიც „ასტრონომიული ხასიათისაა“, რაც თავისთავად უკვე ნიშნავს მათემატიკის ცოდნას. ეს ტრაქტატებია: იოანე შავთელის კალენდარი, ვახუშტი ბატონიშვილის კალენდარი და ე. წ. „ქრონოლოგიური ტრაქტატი (X ს.). ისიც ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა შორის თვლას წერილობით მხოლოდ ქართველები აწარმოებდნენ. რიცხვების აღსანიშნავად ისინი ანბანის ასოებით სარგებლობდნენ. მაგალითად: 1 – ა, 2 – ბ, 10 – კ, 100 – რ, 200 – ს, 1000 – ჩ და ა. შ.

წერილობითი თვლა ქართველებს ათობით სისტემაზე აქვთ აგებული, ზეპირი თვლა კი (ასამდე) – ოცობით სისტემაზე. მაგალითად, რიცხვ 32-ს გამოთქვამდნენ (და ახლაც ასეა) „ოც და თორმეტი“, ხოლო წერდნენ, როგორც „ლდ“, ანუ 30-4. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, წერილობითი თვლის ასეთი წესი ბერძნულის მსგავსია.

ქართველები კვირეულის დღეებს ციფრებიც აღნიშნავდნენ: კვირა – 1, ორშაბათი – 2 და ა.შ.

სხვათა შორის, ამავე აღნიშვნებს, თავის დროზე, იყენებდნენ ებრაელები და ბერძნები.

თბილისის „დინამო“ 80 წლისაა

ცნობილია, რომ ფეხბურთმა თბილისში შეაღწია მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე და მჭიდროდ მოიკიდა ფეხი ისეთი სანახაობების გვერდით, როგორებიც იყო დოლი, ჯირითი და ყაბანი. ფეხბურთმა თანდათან მოიპოვა პოპულარობა. იქმნებოდა საფეხბურთო წრეები. პირველი საფეხბურთო გუნდი სახელწოდებით „სოკოლი“ ჩამოყალიბდა თბილისის ტანვარჯიშის (?) საზოგადოების ინიციატივით და „ახალმა ხილმაც“ დაიწყო ხანგრძლივი განვითარების რთული გზა.

„სოკოლს“ მოსდევს სხვა გუნდებიც („რაკეტა“, „პოლიტექნიკი“, „არსრაიონი“, „სახუნტი“, „ლენრაიონი“, „დურუჯი“, „წაფსი“ და სხვა), რომლებიც მონაწილეობდნენ თბილისის ჩემპიონატში, შემდეგ კი საქალაქთაშორისო მატჩებში და ტურნირებში.

არც ჩამოყალიბების პირველი სტადიისათვის დამახასიათებელ მოვლენებს დაუგვიანიათ: ხშირი იყო გუნდების დაშლა, სახელწოდების შეცვლა, ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა, ახალი გუნდების შექმნა და ა. შ.

სწორედ ასეთ მოვლენების შედეგად 1925 წლის ბოლოს დაიბადა ე. წ. მეორე კატეგორიის გუნდი, რომელსაც სახელად „დინამო“ დაანათლეს. გუნდი „დინამო“ ორი თვის შემდეგ, ანუ 1926 წელს ჩაება ოფიციალურ ჩემპიონატებში და პირველი საქალაქთაშორისო მატჩიც კი ჩაატარეს ბაქოს „დინამოსთან“. თბილისის „დინამოში“ მაშინ თამაშობდნენ: დ. ცომაია, ვ. ცომაია, ა. ჟორდანიას, ა. გალპერინი, ა. იმნაძე, ე. ფრუიძე, ვ. ამბოკაძე, ნ. ამბოკაძე, გ. ქსენოფონტოვი, დ. მდივანი და სხვა.

თბილისში იმ წლებში ტარდებოდა საგაზაფხულო და საშემოდგომო შეჯიბრებები და თბილისის გუნდი „დინამო“ მუდამ ფავორიტი იყო.

გადიოდა წლები, იცვლებოდა გუნდის შემადგენლობა, იხვეწებოდა ტექნიკა და ტაქტიკური აზროვნება, მეტი ყურადღება ექცეოდა ტექნიკურ ბაზას, ჩამოყალიბდა მსაჯთა კორპუსი, ფეხბურთმა ფეხი აიღვა სხვა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში,

საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პირველობის გათამაშებას და ა. შ. ამ დროს შეიქმნა თბილისის პირველი და მეორე ნაკრები, რომელთა შემადგენლობებშიც შედიოდნენ: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, პ. ყალიჩავა, შ. რამიშვილი, ა. ვორონოვი, ვ. რამიშვილი, ნ. სომოვი, ა. პოდშივალოვი და სხვა.

1927 წლიდან საქართველოს პირველობაში მონაწილეობდა ოთხი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და სოხუმი) გუნდები. ცოტა მოგვიანებით კი საქართველოს პირველობაში ჩაერთვნენ ზუგდიდის, ფოთის, მახარაძის, თელავის და სხვა ქალაქების გუნდები.

შემდეგი იყო ამიერკავკასიის ჩემპიონატი და დედაქალაქების გუნდების ჩემპიონატები, რომლებიც გრძელდებოდა 1936 წლამდე, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის რანგის თამაშები. თბილისის „დინამო“ ჩაერთო საბჭოთა კავშირის საშემოდგომო (1936) ჩემპიონატში და მას შემდეგ მუდმივად (53 წლის განმავლობაში) მონაწილეობდა უმაღლესი დონის შეჯიბრებებში, მატჩებში თუ ტურნირებში. თბილისის „დინამომ“ მალე აულო ალლო ფეხბურთში საერთაშორისო შეხვედრების სულისკვეთებას და აქაც, ისევე როგორც საკავშირო ჩემპიონატებში, მიაღწია მთელ რიგ წარმატებებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში (თბილისის „დინამოსათვის“ – პირველში) 1936 წელს სათავეში ჩაუდგა ჩეხი ეროვნების მწვრთნელი ყიულ ლიმბეკი, რომელიც გამოირჩეოდა მომთხონილობით და სიმკაცრით. მან პირველმა შემოიღო ფეხბურთელთა ღია ცის ქვეშ ვარჯიში.

1936 წლის 7 სექტემბერს დაიწყო საკავშირო გათამაშების საშემოდგომო ჩემპიონატი და მასში შვიდ გუნდთან ერთად (მოსკოვი – 5, ლენინგრადი – 1, კიევი – 1) პირველად გამოჩნდა თბილისის „დინამო“ ასეთი შემადგენლობით: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, ვ. ჯორბენაძე, გ. გაგუა, მ. მინავეი, ნ. ანიკინი, ი. პენინი, ე. ნიკოლაიშვილი, ა. ფონხუა, ბ. ფროლოვი, ბ. პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი, ს. ელიავა, მ. ბერძენიშვილი, ბ. ბერძენიშვილი, თ. გავაშელი, ვ. ბერძენიშვილი, კ. სოლონინი და სხვა. გუნდის

მწვრთნელი ჟ. ლიმბეკი.

დაარსებიდან 10 წლის შემდეგ თბილისის „დინამომ“ პირველად მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. იყო თვალსაჩინო წარმატებებიც და სერიოზული ჩავარდნებიც; იყო სიხარულის ყიჟინაც და სიმწრის ცრემლებიც, იყო იმედიც და გულგატეხილობაც. არც ტაში მოჰკლებია „თბილისის“ დინამოს და არც ქებადიდება, თუმცა გზადაგზა ტრიბუნებიდან სტვენაც ისმოდა... რას ვიზამთ, ასეთია სპორტული ცხოვრება, სავალი გზის ეკლიანი ბილიკები. სპორტული უმაღლესი მწვერვალები-საკენ სწრაფვა ხომ აუცილებლად მოითხოვს შრომას, წვრთნას, ოფლს, სისხლს, უძილო ღამეებს, ოჯახის წევრებთან ხანგრძლივ დაშორებას და ა. შ.

არც ერთი მოჰკლებია თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა თაობას და ისინიც იბრძოდნენ თავგამოდებით ქართველ გულშემატკივართა გასახარებლად.

„დინამოელთა“ მიზანსწრაფულობა და შემართულობა თამაშმა მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა, მრავალი ტიტული, სიგელი თუ მედალი დაიმსახურა და 1981 წელს კი ამჟამად ჩაღდა ევროპულ საფეხბურთო გუნდებს შორის, როცა მოიპოვა ევროპის თასი; მანამდე კი იყო მრავალი წარმატება: 1936 წ. – პირველი ადგილი „ბ“ ჯგუფში, რამაც ადგილი დაუშკვიდრა „ა“ (შემდგომში უმაღლეს) ლიგაში.

უმაღლეს ლიგაში ყოფნის 53 წლის განმავლობაში თბილისის „დინამომ“ ორჯერ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები, ორჯერ დაეუფლა საკავშირო თასს, ოთხჯერ იყო თასის ფინალისტი (თასის მოპოვების შემთხვევების გარდა), ხუთჯერ მიიღო ვერცხლის მედლები და თერთმეტჯერ იყო ბრინჯაოს პრიზიორი.

მართლაც რომ შთამბეჭდავი შედეგია („დინამოს“ მოპოვებული აქვს კიდევ: ორჯერ ფედერაციის თასი, ორჯერ ვერცხლის მედლები საკავშირო სპარტაკიადებზე და მრავალი სხვა თასი, თუ პრიზი, მათ შორის საერთაშორისოც), თუ გავითვალისწინებთ

იმას, რომ „დინამო“ მუდმივად განიცდიდა მსაჯების არაობიექტურობით გამოწვეულ ზეწოლას საკავშირო ფედერაციის მხრიდან. ხშირ შემთხვევაში, შოვინისტური და ვიწრონაციონალური გამოხდომების ზეგავლენას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობის 53 წლის პერიოდში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებად მოღვაწეობდნენ: ჟ. ლიმბერკი, მ. ბუტუსოვი, პ. ფილიპინოვი, მ. მინაევი, ა. გალპერინი, ანდრო ჟორდანი, ა. სოკოლოვი, მ. იაკუშინი, ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. ლოლობერიძე, გ. კაჩალინი, ა. კოტრიკაძე, ვ. სოკოლოვი, გ. ჩოხელი და ნ. ახალკაცი.

მართლაც რომ დიდია ამ მწვრთნელების დამსახურება. ქართველი გულშემატკივრების განსაკუთრებული სიყვარული კი დამსახურებულად მოიპოვეს ა. ჟორდანიამ, გ. კაჩალინიამ და ნ. ახალკაცმა, რომელთა თავკაცობითაც თბილისის „დინამომ“ მოიპოვა თავისი ძირითადი ჯილდოები, თასები, პრიზები და სხვა წარმატებები.

თბილისის „დინამოში“ სხვადასხვა წლებში თამაშობდნენ ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორებიცაა: მ. ბერძენიშვილი, ა. ლოლობერიძე, ბ. პაიჭაძე („ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებული), ა. ლოროსოვი, გ. გაგუა, შ. შავგულიძე, მ. მესხი („მტკვრის ნაპირების გარინჩა“), ს. მეტრეველი, გ. ჩოხელი, მ. ხურცილავა, შ. იამანიძე, ვ. ბარქაია, ვ. მარღანია, ს. კოტრიკაძე, თ. სულაქველიძე, ვ. გუცაევი, რ. შენგელია, ა. ჩივაძე, ვ. დარასელია, რ. ურუშაძე, ო. გაბელია, ა. არველაძე, თ. ქეცბაია, ა. იაშვილი, დ. ყიფიანი, გ. სიჭინავა და მრავალი სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის „დინამომ“, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ბევრი ვერაფრით გაახარა გულშემატკივარი, მაგრამ ვიქონიოთ იმედი, რომ იგი უახლოეს მომავალში წარმატებებს მიაღწევს საევროპო საკლუბო ტურნირებში და ჩვენც მოგვანიჭებს ჩვეულ, მაგრამ დავიწყებულ სიხარულს.

დიდი „დინამო“ – ევროპული ტრიუმფის 25 წელი

როდესაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი პირველად (1964) გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი – მათ ოქროს ბიჭები უწოდეს და სავსებით დამსახურებულადაც.

1981 წელს კი თბილისის დინამოელებმა, პირველად არსებობის ისტორიაში მოიპოვეს ევროპის თასის მფლობელთა თასი. აი, ამ გუნდს კი (გაბელია, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, დარასელია, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. უფ. მწვრთნელი ნ. ახალკაცია), გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ „დიდი“ „დინამო“ (უნგრეთის ლეგენდარული „დიდი გუნდის“ ანალოგიურად).

„დიდმა დინამომ“ გადალახა მრავალი ტექნიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა (საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა სპორტულმა ორგანიზაციებმა და მედიამ ჟურნალისტებიც კი არ მიავლინა ფინალური მატჩის გასაშუქებლად) და საქართველოს აჩუქა ისტორიული მნიშვნელობის სიხარული.

საიუბილეო წელთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ ვახტანგ ჭანკოტაძის მეგობრულ სტრიქონებს ცნობილი ქართველი კარიკატურისტის, გიგლა ფირცხალავას ნახატებთან ერთად.

ნ. ახალკაცს

თამაშს იგებდი გაგებით,
ვით სასტიკ ბრძოლას – სარდალი,
აღარ ჰყოლია „დინამოს“
გამწვრთნელი შენი სადარი.

თ. კოსტავას

მოედნის დაცვის ზონაში,
ბუმბერაზად დგას კოსტავა,
ვერა დააკლო ფორვარდმა
გამხდარმა, მთხლემ და ხბოსთავამ.

ვ. დარასელიას

ტრიალებდა ციბრუტივით
ბურთს „ჰპარავდა“ მეტოქეს,
დუსელდორფში გატანილი
გოლი ახსოვთ მეგობრებს.

ო. გაბელიას

გულშემატკივრებს აოცებ,
ანდამატისებრ ხელებით,
ბურთს იმონებდი, როგორც მწერს
აბლაბულების ქსელები.

ზ. სვანაძეს

ვაქებდეთ ერთგულ მობურთაღს,
ყოველთვის, განა ხვალ ან ზეგ,
თასის ფლობაში წილი აქვს,
ოფლში გაწურულ სვანაძეს.

ვლ. გუცაევს

ვლადიმერი ყველას ახსოვს.
ფინტის სკივრი სავსე ჰქონდა
და მეტოქის კარის ახლოს,
როგორც ქარი ისე ქროდა.

დ. ყიფიანს

ტექნიკით ფილიგრანულით,
ფლობდი თამაშის დინებას,
ხსენება და სინანული
შემოგვრჩა შენს სადიდებლად.

ალ. ჩივაძეს

კაპიტნობაც გშვენოდა,
„დაცვის ბურჯის“ წოდებაც,

თუნდაც სიცხე გქონოდა,
ნაღდი გვქონდა მოგება.

თ. სულაქველიძეს

გაიჭირვა და გვარუქა
თენგიზმა – თასი ევროპის,
ასეთი თავგამოდება
განა „ერთ ქილა ერბოდ“ ღირს!?

რ. შენგელიას

ფანები, თუ ტიფოზები,
გალმერთებდნენ შენგელიას,
ფეხბურთის ცას შესცქერიან
შენ გოლებს და შენ გელიან.

„დიდი მოურავი“ მოსკოვს იცავდა!?

„დიდ მოურავად“ წოდებულმა, ისტორიულმა გმირმა, გიორგი სააკაძემ, იგივე ქართველმა აქილევსმა (ლ. სანიკიძე) ბევრ მეცნიერსა და მწერალს (ი. თბილელი, ა. ფურცელაძე, ს. ქვარიანი, ჯ. ღვინჯილია, ლ. სანიკიძე, ს. კაკაბაძე და სხვა) ააღებინა ხელში კალამი. ა. ანტონოვსკაია იყო ერთადერთი იმათგანი, რომელმაც გიორგი სააკაძის ბობოქარ წუთისოფელს და მის ავკარგიანობით აღსავსე ცხოვრებას მიუძღვნა ფუნდამენტური ისტორიული ნაშრომი სახელწოდებით „დიდი მოურავი“.

სწორედ ეს წიგნი გამოიტანა სოფლის ბიბლიოთეკიდან კახელმა ალექსანდრე ნანობაშვილმა, მაგრამ ბოლომდე წაკითხვა არ დასცალდა. ორი ათეული ფურცელიც კი არ ჰქონდა წაკითხული, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ალექსანდრეც სხვა თანატოლებთან ერთად მოხალისედ წავიდა ფრონტზე – წიგნიც თან გაიყოლა.

1941 წლის შემოდგომის მრისხანე და სისხლისმღვრელი დღეე-

ბი იდგა. მოსკოვის მისადგომებთან სოფ. პოდსონოჩნოში ტანკისტ ალექსანდრე ნანობაშვილს იერიში მიჰქონდა მტრის სიმაგრეებზე. უცებ, ფაშისტების ერთმა ყუმბარამ შეანგრია ტანკის ჯავშანი და მოხდა საოცრება – ყუმბარის ნამსხვრევებმა დაკარგეს მომაკვდინებელი ძალა. ტანკის კედელთან თაროზე დაწყობილმა ტექნიკურმა აღწერილობებმა და წიგნებმა შეაჩერეს ლითონის ცხელი და ბასრი ნამსხვრევები. წიგნების წყალობით ტანკის ეკიპაჟი უვნებლად გადარჩა. ამ წიგნებს შორის იყო „დიდი მოურავიც“.

ქართველმა ტანკისტმა შორეული და ქარიშხლიანი გზები განვლო და თავისი სიცოცხლის გადამრჩენი, ნატყვიარი წიგნი სამშობლოში ჩამოიტანა.

როგორც იტყვიან – წიგნებიც ადამიანებივით ცხოვრობენ, შრომობენ და იბრძვიან.

ომგადასდელი მოსკოვის დამცველი და ნატყვიარი „დიდი მოურავი“ ინახება საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში (თბ. ჯორჯიაშვილი, 8).

„წყეული იყოს ის, ვინც ჩემს ძვლებს შეაწუხებს“

რას არ გაიგებს და წაიკითხავს კაცი. ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი ჯონ როსი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მეთექვსმეტე საუკუნის უდიდესი ინგლისელი პოეტი უილიამ შექსპირი დაავადებული ყოფილა იმ დროისთვის განუკურნებელი ვენერიული დაავადებით – ათაშანგით (სიფილისით).

მანც რას ემყარება ჯონ როსის მოსაზრება? იგი მიმართავს გენიალური პოეტის ერთ-ერთ სონეტს და ამტკიცებს, რომ შექსპირი პირადად რომ არ ყოფილიყო დაავადებული სიფილისით, ასე დეტალურად და ყოველი ნიუანსით ვერ აღწერდა, უაღრესად ცხელი წყლის პროცედურებით, დაავადების მკურნალობის მაშინდელ მეთოდს (!). როსი განაგრძობს: „ძალიან ძალაღ ტემპერატურაზე სიფილისის გამომწვევი მიკრობი კვდება და გამორ-

იცხული არ არის პოეტს თავის თავზე გამოეცადა ეს ხერხი“.

როსის მეორე მოსაზრება კი ასეთია. ცნობილია, რომ შექსპირი, სიცოცხლის ბოლო ეტაპზე, ეწეოდა კარჩაკეტილ ცხოვრებას, ერთიანად გამელოტდა და ხელების კანკალიც დასჩემდა. ეს კი იმის მაუწყებელია, ამტკიცებს ჯონ როსი, რომ შექსპირი სამკურნალოდ ხშირად იყენებდა ვერცხლისწყლის ორთქლით ინგალაციის ხერხს, რასაც მაშინ იყენებდნენ სიფილისის სამკურნალოდ. არც მეტი და არც ნაკლები – სწორედ ასეთი ირიბი გზებით ცდილობს როსი ამტკიცოს ინგლისელი პოეტის სიფილისით დაავადების შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია. ვენერიული დაავადებებით სნეულდებიან არა მარტო ჯარისკაცები, არამედ მაღალი წრეების და ელიტის წარმომადგენლებიც, მითუმეტეს შექსპირის დროში, როცა დიაგნოზის დასმაც ძნელი იყო და არც ეფექტური სამკურნალო საშუალებები არსებობდა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჯონ როსის მოსაზრებების შემოწმება შეიძლებოდა შექსპირის ჩონჩხის ნარჩენების ეკსგუმაციით (ძვლები ინახავს ვენერიული დაავადების კვალს), მაგრამ ვინ გაბედავს ამის გაკეთებას, დიდი ინგლისელი პოეტის ნებით მისი საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერის წაკითხვის შემდეგ: „წყვეული იყოს ის, ვინც ჩემს ძვლებს შეაწუხებს“.

რა უნდოდათ ლეკებს საბუეში?

(მოვონება)

სოფელი საბუე მდებარეობს ენისელიდან (გრემიდან) ორი-სამი კილომეტრის მოშორებით, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე.

დიდი სამამულო ომის წლებში ოჯახის უფროსი დათა კი-დურის ღეფექტის გამო ჯარში არ გაუწვევიათ, მაგრამ არც სოფელში აკლდა ჯაფა. იგი მუშაობდა კოლმეურნეობის სამჭედლოში და ოფლის ღვრით (პირდაპირი გაგებით) ინახავდა ოჯახს, ეხმარებოდა ნათესავებს და მეზობლებს. მოკლედ, მუხლმოუხრე-

ლად შრომობდა და დაფასებულაც იყო. იგი ერთ-ერთ შეძლებულ კაცად ითვლებოდა ომისდროინდელ გაჭირვებულ სოფელში.

დათას სამჭედლო წარმოადგენდა სოფლის ე. წ. ბირჟას. აქ იკრიბებოდა ყველა, ვისაც სიარული შეეძლო, ვისაც რაიმე გამოსატყედი ჰქონდა, ვინც ახალი ამბავი იცოდა და ა. შ. მოკლედ, დათას სამჭედლოში სიცოცხლის რიტმი ერთი წუთითაც არ წყდებოდა.

დათა იყო სოფლის სული და გული, მას ბევრი რამ გამოსდიოდა ხელიდან: ღურგლობა, კალატოზობა, ექიმბაშობაც კი, მაგრამ შემოსავლის ძირითადი წყარო მაინც სამჭედლო იყო. იგი ყოველთვის ახერხებდა დაკვეთების შესრულებას.

განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ცხენის დანალვა. საჭირო იყო ცხენის დაჭერა, ღეფორმირებული ჩლიქის შემოთლა-შემოსწორება, ყაირებისა და ნალების გამოჭედვა და მერე კი, ახალი ნალებით ჩლიქების მოჭედვა. მცირედი შეცდომა და ჩლიქიდან მრუდედ წასული ყაირის გამო, ცხენს შეეძლო წიხლით მძიმე ტრავმის მიყენება.

საბუეში და ახლომახლო სოფლებში, თუ სადმე იყო ბარი, თოხი, ნაჯახი, წალდი, ანჯამები, ათასგვარი საკეტები, ჯაჭვები, დანები, შეშის ღუმელები და ა. შ. სუყველაფერი დათას ნახელავი იყო. კვირა დღეს, სამჭედლოში ერთი ლეკი ეწვია და აცნობა: ცხენები გვყავს დასანალი და როდის გადმოვიყვანოთო. შეთანხმდნენ და დანიშნულ დღეს ასამდე ცხენი შემორეკმა შვიდმა თურვა ლეკმა საბუეში. სამჭედლო, რომ იტყვიან მართლაც გახურდა. ასე ცხენის დანალვას დიდი შრომა და დრო სჭირდებოდა. მეც ვეხმარებოდი დათას, ჩაბარებული მქონდა ქურის საბერველი.

საინტერესოა, რომ ლეკებს ფული არ ჰქონდათ და შრომის ანაზღაურებას აწარმოებდნენ ე. წ. ნატურით. ყველა ცხენს, ჩამოყვანისას უნაგირზე გადაკიდებული ჰქონდა გულები ცხვრის ყველის კვერებით – თითოეულს 60-70 კგ. თუ ლეკს ყველი არ ჰქონდა, საფასურს იხდიდა ან თაფლით ან მატყლით; ისე რომ, ამ დოვლათით ივსებოდა დათას სარდაფები, მერე კი ყველაფერი ეს ფულად იქცეოდა თელავის ბაზარში. ლეკებს იჯარით ჰქონდათ აღებული ორსართულიანი სახლი დიდი ეზოთი. საღამოობით

ანთებდნენ კოცონს და სოფლელებთან ერთად თითქმის ყოველ-
დღე მხიარულობდნენ და ერთობოდნენ. მალე გამონახეს საერთო
ენა თანატოლ სოფლელებთან. ამ ენოში მოდიოდნენ სოფლელი
ახალგაზრდები და ლეკებთან ერთად უკრავდნენ ფანდურზე და
ცეკვავდნენ კოცონის გარშემო.

ორი კვირა იქნებოდა გასული, როდესაც ხმა გავარდა, რომ ახა-
ლგაზრდა ლეკმა სოფლის თვალი მაყვალა გაიტაცა და გაუჩინარდაო.

სასწრაფოდ შეიკრიბა მდეგარი ხუთი თუ ექვსი ბიჭის შემად-
გენლობით. კაზმავენენ ცხენებს, აჟღარუნებდნენ იარაღს და თან
ერთმანეთს აჩქარებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ქერა,
მოხდენილი ახალგაზრდა ბიჭი, სახელად იულონი. თურმე მას
ძალიან ჰყვარებია გატაცებულის უმცროსი და, ამიტომაც ცდი-
ლობდა თავის გამოჩენას.

მდეგართა ჯგუფმა მოთავედ იულონი დაასახელა. მან შეიფ-
ერა ეს პატივი და გასცა პირველი განკარგულება – თან უნდა
ვიახლოთ ლეკთაგან ყველაზე უფროსიო. ასეც მოიქცნენ და ჯერ
კარგად არც კი იყო გათენებული, რომ მდეგარმა გეზი კავკასიო-
ნის ერთ-ერთი გადასასვლელისკენ აიღო.

სოფლელები შემახილებით აცილებდნენ მდეგარს: „აბა, თქვენ
იცით ბიჭებო, სოფელს სირცხვილი არ აჭამოთ, დაუბრუნეთ
გოგო გულშეწუხებულ მშობლებს და უღირს სტუმარს სამ-
აგიერო მიუზღეთო“.

ლეკებიც შეწუხებულები იყვნენ. არ ელოდნენ ახალგაზრდა
თანამოდმისგან ასეთ თავხედობას და თავის მხრივ სოფლელებს
ჰპირდებოდნენ ლეკი ბიჭის სამაგალითოდ დასჯას.

მეორე დღეს, შებინდებისას სიმღერის შემახილმა მოაღწია
სოფლელების სმენამდე: „მოვდივართ, მოგვიხარია“. გაიხარეს სო-
ფლელებმა. საღ-საღამათი გოგო მშობლებმა ჩაიბარეს ვაი-ვიშითა
და ხვევნა-აღერსით.

გამტაცებელი ლეკი ბიჭი კი მათმა უხუცესმა შემოისვა უკან.
ქამარ-ხანჯალი ართმეული ჰქონდა. ხელები შეკრული და ფაფახი
თვალებზე ჩამოფხატული.

უხუცესმა ბოდიში მოუხადა სოფლელებს და ცხენს შემოჰკრა.

„ორ-სამ დღეში დაგბრუნდები და ამ ბიჭის მშობლების ბოდიშსაც
მოგკვრით სიტყვიერად, შვილის მიერ სტუმრის წმინდა მოვა-
ლეობების უგულვებელყოფისთვის“.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ „ახალფენსაცმლიანმა“ ცხ-
ენების რემამ გადაკვეთა კახეთ-დაღესტნის საზღვარი.

მას შემდეგ არ შეწყვეტილა კეთილმეზობლური ურთიერთო-
ბები ლეკებსა და საბუელ კახელებს შორის. ყოველ ზაფხულს
ჩამოჰყავდათ ლეკებს დატვირთული და ჩლიქებდევორმირებული
ცხენები, მაგრამ ის ლეკის ბიჭი აღარავის უნახავს.

ავისტო, 2005 წ.

უცხოეთის მიწებს მიბარებული ქართველი მხედართმთავრები

„...ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, ...სად წაიყვან სადაურსა,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!.. სად აღუფხვრი სადით ძირსა!?“

(შოთა რუსთაველი)

ქართველი ერის ოფლითა და სისხლით დაწერილმა ისტორიამ
მრავალი ფაქტი შემოგვინახა იმისა, თუ როგორ იღწვოდნენ და
იბრძოდნენ ჩვენი თანამემამულენი უცხო ქვეყნების ინტერესები-
სათვის და როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს: ზოგი ნებაყოფლი-
ბით, ზოგი ფიცის გამო და ზოგიც იძულებით. ფაქტია ისიც, რომ
მათ უმრავლესობას, სიკვდილის შემდეგ, არ ეღირსა მკერდზე
მშობლიური მიწის დაყრა, ვერ „იგრძენს“ მისი „სიმსუბუქე“.

ქვემოთ მოყვანილია არასრული ჩამონათვალი იმ ქართველი მხედ-
ართმთავრებისა და სამხედრო, სახელმწიფო მოღვაწეებისა, რომელთაც
ბედმა არგუნა უცხო მიწაში სამუდამო სასუფეველის დამკვიდრება.

მათი რიცხვი რამდენიმე ათასია. დიდება მათ ხსოვნას.

№	სახელი, გვარი	გარდ. წელი	სამხედრო წოდება, თანამდებობა	დაკრძალვის ადგილი
1	იოსებ სტალინი	1953	გენერალ-სიმუსი	მოსკოვი
2	ჰეტრე ი. ბაგრატიონი	1812	ინფანტერიის გენ.	ბოროდინო
3	გიორგი სააკაძე	1629	სახალხო გმირი	ჰალაბი (თურქ.)

ქარჩოხი 380

ზეიმი ქარჩოხის ციხესთან

„მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონე იყო“.
(თურქი მემატთანე მუსტაფა ნაიმა)

17 სექტემბერს ქსნის ხეობაში ქარჩოხის ციხე-კოშკის მიძღვრულ ტერიტორიაზე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ქართველთა მიერ სპარსი ყიზილბაშების 12 ათასიანი ლაშქრის განადგურებიდან 380 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიება პირველად ჩატარდა ამ ბოლო, თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში. საზეიმო დღესასწაული მოეწყო ახალგორის რაიონის გამგეობის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით. მნიშვნელოვანი როლი, საზეიმო იუბილის აღნიშვნაში და მის ორგანიზებაში, ითამაშა ქსნის ერისთავთა სასახლე – მუხეუმის შრომითმა კოლექტივმა და კერძოდ, მისმა დირექტორმა ვლადიმერ ლუნაშვილმა. ორგანიზატორთა შორის გამოირჩეოდნენ აღორძინებული საზოგადოება „ცოდნის“ რეგიონული განყოფილების აქტივისტები დოცენტ ჯემალ ბაშარულის ხელმძღვანელობით.

თბილმა და მზიანმა დღემ აამაღლა სადღესასწაულო განწყობა. ვის არ ნახავდით ამ მართლაც რომ ეროვნულ დღესასწაულზე. აქ შეხვდებოდით ცნობილ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, სოფლების (წირქელის, იკოთის, კორინთის, ალევის, ქურთას, საზეგურის, ცხავანის, ლარგვისის, შველეთის, ხარბალის, პავლიანის, მიდელაანთ კარის და სხვა) თავკაცებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

საზეიმო კონცერტს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ვასილ მალაფერძე.

№	სახელი, გვარი	გარდ. წელი	სამხედრო წოდება, თანამდებობა	დაკრძალვის ადგილი
4	არჩილ გელოვანი	1978	მარშალი	მოსკოვი
5	ალექსანდრე ნადირაძე	1987	გენ/პოლკოვნიკი	მოსკოვი
6	გიორგი აბაშიანი	1982	ვიცე-ადმირალი	სანკტ-პეტერბურგი
7	ვასილ სტალინი	1962	გენ/ლეიტენანტი	ყაზანი (გადმ. მოსკ.)
8	ბორის კობიაშვილი	1978	გენ/ლეიტენანტი	მოსკოვი
9	ალ. ამბროსაძე	1897	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
10	ნიკოლოზ ამბროსაძე	1814	გენ/ლეიტენანტი	რუსეთი
11	უდისურ ამილახვარი	1780	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
12	გიორგი ანდლუაძე	1948	გენ/ლეიტენანტი	პარიზი
13	მოსე არღუთაშვილი-მსარგბელი	1855	გენ/ლეიტენანტი	სომხეთი
14	ბაგრატ ბაგრატიონი	1841	გენ/ადიუტანტი	სანკტ-პეტერბურგი
15	დიმიტრი ბაგრატიონი	1919	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
16	პეტრე. დ. ბაგრატიონი	1876	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
17	ნიკოლოზ. ნ. ბარათაშვილი	1932	გენ/ლეიტენანტი	პარიზი
18	გრიგოლ ბიბილოვი	1849	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
19	სიმონ განგუბიძე	1827	გენ/მაიორი	დნეპროპეტროვსკი
20	ივანე გელაგანიშვილი	1907	ინფანტერიის გენ.	რუსეთი
21	გიორგი ვოთუა	1936	გენ/მაიორი	ბელგრადი
22	დავით გუნცაძე	1922	გენ/ლეიტენანტი	იუგოსლავია
23	ივანე გურიელი	1818	გენ/მაიორი	მოგილიოვი
24	ალექსანდრე დადეშქელიანი	1888	გენ/მაიორი	მელიტოპოლი
25	ალექსი დონაური	1897	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
26	სიმონ გირგოლავა	1957	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
27	მ. ყარანგოზიშვილი	1951	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
28	ივლიანე თოფურიძე	1960	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
29	ნესტორ კალანდარიშვილი	1922	აკუტ. ჯარების სარდ.	ირკუტსკი
30	ანატოლი კამკაძე	1999	გენ/პოლკოვნიკი	მოსკოვი
31	ვასილ კიკვიძე	1919	ურ. IV არმიის სარდ.	ლვოვი
32	დიმიტრი ნამგალაძე	1957	გენ/მაიორი	სევასტოპოლი
33	შალვა ჟიჟილაშვილი	1993	გენ/ლეიტენანტი	მოსკოვი
34	სიმონ რამიშვილი	1973	კონტრ-ადმირალი	მოსკოვი
35	კონსტანტინე სუხიაშვილი	1955	კონტრ-ადმირალი	მოსკოვი
36	თენგიზ ტარიელაშვილი	1995	გენ/მაიორი	კიევი
37	პროფილე ჩინჩიბაძე	1950	გენ/პოლკოვნიკი	მოსკოვი
38	ლავრენტი ცანავა	1955	გენ/ლეიტენანტი	მოსკოვი
39	ჰასან ხარაზია	1989	გენ/ლეიტენანტი	რამენსკოე
40	ოუსტინე ჯანელიძე	1950	გენ/ლეიტენანტი	სანკტ-პეტერბურგი
41	დავით ერისთავი	1910	კავალერიის გენ.	სანკტ-პეტერბურგი
42	თორნიკე ვახვახიშვილი	1909	გენ/მაიორი	ვარშავა
43	დიმიტრი ვეზირიშვილი	1898	გენ/ლეიტენანტი	რუსეთი
44	გიორგი თუმანიშვილი	1933	გენ/ლეიტენანტი	პარიზი
45	ლევან თუმანიშვილი	1948	გენ/მაიორი	კემბრიჯი
46	ლევან იაშვილი	1836	არტილერიის გენ.	კიევი
47	დიმიტრი იოსელიანი	1900	გენ/ლეიტენანტი	ხერსონი
48	ავლიპ კიზირია	1925	გენ/მაიორი	ბერლინი
49	მიხეილ რუსიშვილი	1952	გენ/მაიორი	პარიზი
50	დიმიტრი საგინაშვილი	1921	გენ/მაიორი	სტამბული

საპატიო სტუმართა შორის იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თელიაშვილი.

მრავალი მისასალმებელი სიტყვა გაისმა სახელდახელოდ მოწყობილი სცენიდან, რომელიც გამართული იყო მდ. ქსნის ნაპირზე, ქარჩოხის ციხის კალთებთან. ციხის ქონგურზე ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა. არაერთხელ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

უნდა აღინიშნოს დღესასწაულის ჩატარების მაღალი ორგანიზაციული დონე. მრავალმა თვითშემოქმედებითმა კოლექტივმა (ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა) უჩვენა დამსწრე საზოგადოებას თავისი შესაძლებლობა. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო ვაჟთა ვოკალური გუნდის „ლომისის“ მიერ შესრულებული სიმღერები.

გაიმართა დოლი და ჭიდაობა. ერთ რამედ ღირდა ცხენებზე შემართული გოგო-ბიჭებისა და ჯერ კიდევ უწვერულვაშო ყმაწვილების ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ცქერა. გამარჯვებულებს იქვე აჯილდოვებდნენ სამახსოვრო პრიზებითა და საჩუქრებით.

სიტყვით გამომსვლელთა შორის ასევე იყვნენ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი, დოცენტი ჯემალ ბაშარული და მწერალთა კავშირის შიდა ქართლის რეგიონული განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი ჯემალ ინჯია, რომლებმაც ისაუბრეს ქარჩოხის ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობაზე და ასევე წაიკითხეს საკუთარი ლექსები. მასპინძლებმა არც ე.წ. „მეორე განყოფილებით“ შეირცხვინეს თავი და მართლაც რომ ღირსეული დახვედრა და გაცილება მოუწყვეს მრავალრიცხოვან სტუმარს. სტუმართა პატივისცემაში და მათ მოვლა-პატრონობაში ხეობის მესვეურებს მხარში ედგნენ უფლისციხის ნაკრძალის ხელმძღვანელი კარლო სადალაშვილი და მისი ვაჟი ზურაბი.

საზეიმო დღესასწაულს ლაიტმოტივად გასდევდა ქარჩოხის ბრძოლების მონაწილეთა ღირსეული ხსოვნის სულისკვეთება.

მთელი დღის განმავლობაში გონებაში საამოდ მესაღბუნებოდა გიორგი სააკაძის ფენომენტან განუყრელად დაკავშირებული სიტყვები: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული“.

№37, 2005 წ.

გამოცხილი

კარგად არის ცნობილი, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილებმა (დიდი ილიას აქტიური მონაწილეობით) საფუძველი ჩაუყარეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ფართო მასშტაბით შეუდგნენ მუშაობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. მიზანი იყო უკეთილშობილესი და ერთადერთი: ერი ეხსნათ გადაგვარებისა და განადგურებისგან, რადგან დავით გურამიშვილს თუ დავესესხებით, „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

ისიც ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა საშვილიშვილო საქმე, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ, ოდნავ შეფერხებით, მაინც გაგრძელდა მუშაობა, მცირედი ფორმა და შინაარსშეცვლილი სახით. მე-20 საუკუნის ოციან წლებში აღნიშნული საზოგადოება გვევლინება სახელწოდებით „წერა-კითხვა“, უფრო გაფართოებული და საინტერესო შინაარსით და გვეგებით. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას „წერა-კითხვა“ ჰქონდა თავისი ყოველთვიური ბეჭდვითი ორგანო (ჟურნალი) სახელწოდებით „მთლიანი მცოდნეობა“ (იხ, სურათზე).

ჩემს საოჯახო არქივში აღმოჩნდა ამ ჟურნალის 1931 წლის 7 ნოემბრის ე. წ. საიუბილეო ნომერი, რომელიც ეძღვნება რევოლუციის მე-14 წლისთავს.

თანამედროვე ბეჭდურ გამოცემებზე თვალშეჩვეული მკითხველი ბევრ უცნაურ (ზოგჯერ კურიოზულსაც) და მნიშვნელოვნად (წერის სტილით) განსხვავებულს შეამჩნევს მაშინდელ მსჯელობაში, შრიფტში, სტრუქტურაში და შინაარსში, რომ არაფერი ვთქვათ ნომენკლატურულ იდეოლოგიაზე და სოციალისტურ პათოსზე. ასე მაგალითად: „ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავზე ფართოდ გამოვიყენეთ კულტურულ ფრონტზე შრომის სოციალისტური ფორმები: სოცმეჯიბრება, დამკვრელობა, ბრიგადული სისტემა და საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა“, „მუშებს და გლეხებს ახლა სწავლა უნდა მამულისა და კაპიტალისტის სარგებლობისთვის

მოგების მისაცემად კი არა, არამედ თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად“, „სულ საზოგადოებას დღიდან თავისი არსებობისა დღემდის შეუსწავლეს 114 ათასი უცოდინარისთვის“, „მწვავედ დავარტყათ წ.კ.უ. ლიკვიდაციის ოპორტუნისტულ შეფასებას“;

პოეზიაც არ დავიწყებიათ და გამოუქვეყნებიათ ვინმე ალექო მანიძის ლექსები. აი, ერთი მათგანი:

„ზევით სახერხი მანქანა გვიდგას
და შეგვიჩერდა მხოლოდ ამ ხანად,
თუ დავგახანა დარულ ამინდმა,
აქ შემკეთებელს ვიწვევთ ამხანაგს“.

კიდევ ციტატა: „...უხეშად ამახინჯებდნენ წ.კ.უ. ლიკვიდაციის საკითხს, კერძოდ სტეფანე მახარაძე, რომელსაც აღმოაჩნდა ფაქტიური ჯგუფები (ჩვენებურად „მკვდარი სულები“), რომლებიც მხოლოდ სიებში არსებობდნენ და სინამდვილეში კი არა. მახარაძე უწერდა ჯამაგირს და თვითონ იდებდა ჯიბეში“. „საერთოდ, მახარაძის საქმე აფიორობით და სიყალბით სავსეა. დასჯის ნაცვლად, დააწინაურეს“.

ძვირფასო მკითხველო, ხომ არ გეცნობათ აღწერილი მომენტები, ხომ არ გახსენებთ დღევანდლობას?! გავაგრძელოთ ციტირება: „გორის რაიონში, გაზაფხულზე ჩატარებული აღწერით ითვლება 3700 წ. კ. უცოდინარი.“ (საინტერესოა, რამდენი უცოდინარი გვყავს დღეს? ავტ.).

ვაგრძელებ ციტირებას: „წ. კ. თბილისის გამგეობამ წითელ დაფაზე შეიტანა ორჯონიკიძისა და 26 კომისრების რაიონების რაიგამგეობები“.

აი, მკითხველებო, ასე იბრძოდნენ და იღვწოდნენ ჩვენი წინაპრები ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის. იქნებ განათლების სისტემის დღევანდელი რეფორმა გამოძახილია, კარგი გაგებით გამოძახილი, ჩვენი ღირსეული მამულიშვილების საქმიანობისა — ღმერთმა ქნას, ასე იყოს. განსწავლულობა და განათლება ხომ უპირველესი გარანტიაა ერის ბედნიერებისთვის და მსოფლიო ელიტარულ დონეზე დამკვიდრებისთვის. თუ ადრე ვკმაყოფილდებოდით მოწოდებით: „წერა-კითხვის არც ერთი

უცოდინარი ჩვენს შორის“. მხოლოდ განსწავლულობისა და განათლებულობის გზით სიარული მიიყვანს ქართველ ერს სანუკვარი ოცნების აღსრულებამდე, რასაც მსოფლიო მოწინავე ერებს შორის, მოწინავე ადგილის დაკავება ჰქვია.

და ბოლოს, როდესაც დავინტერესდი ჟურნალ „მთლიანი მცოდნეობის“ რედაქტორის ვინაობით, ბოლო გვერდზე შევნიშნე მინაბეჭდი: „რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია“.

№38, ოქტომბერი, 2005 წ.

„ჰა ბურთი, ჰა მოედანი“

შუახნის მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ერთდროს საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებდა საზოგადოება „ცოდნა“, რომლის ძირითადი ფუნქცია იყო ხალხის ფართო მასებამდე, თითოეულ მოქალაქემდე მიეტანა სახელმწიფო იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები, მეცნიერული მიღწევები და საინჟინრო-პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება მასიური აგიტაცია-პროპაგანდის განხორციელების გზით.

ცნობილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კატაკლიზმების გამო თითქმის დავიწყებას მიეცა მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე. დღეს კი, თითქმის 15 წლის საყოველთაო ნგრევა-გაპარტახების შემდეგ, შესანიშნავი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ნ. წერეთელის ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით და პატრონაჟით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოება „ცოდნის“ ალორძინების შესახებ. შექმნილია რესპუბლიკური ცენტრი-გამგეობა ნ. წერეთელის თავმჯდომარეობით და თვალსაჩინო ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების შემადგენლობით.

შემუშავებულია საზოგადოების წესდება და პროგრამა. „ცოდნის“ მოღვაწეობა (ლექციები, ტრენინგები, სემინარები, კონსულტაციები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, ლექტორთა შრომის ანაზღაურება) დამყარებულია თვითდაფინანსებისა

და თვითანაზღაურების პრინციპებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოება „ცოდნას“ ამჯერად მინიჭებული აქვს საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი და არის ილია ჭავჭავაძის სახელობის.

დღევანდელ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს საზოგადოება „ცოდნის“ რეგიონული (მათში შემაგალი რაიონული) ორგანიზაციების დაფუძნებისა და ლექტორთა ჯგუფების დაკომპლექტების პროცესი.

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს, გორის რაიონის გამგეობისა და გორის რაიონში „ცოდნის“ პასუხისმგებელი მდივნის დოცენტ ჯ. ბაშარულის ინიციატივით ჩატარდა დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლობა და საზოგადოება „ცოდნის“ მომავალ ლექტორთა (აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, ინჟინერ-ტექნოლოგ-ტექნიკოსები და სხვა) დიდი ჯგუფი.

კრება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ვ. ჭანკოტაძემ. მანვე დამსწრეთ გააცნო საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალური რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის ნ. წერეთლისა და მისი მოადგილის ტ. სტურუას მისასალმებელი და მისალოცი სიტყვები რაიონული ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

საზოგადოება „ცოდნის“ წესდებისა და პროგრამის შესახებ, ასევე მუშაობის მეთოდებისა და ლექტორთა უფლება-მოვალეობების საკითხებზე ვრცლად ისაუბრა დოცენტმა ჯ. ბაშარულმა. მანვე პასუხი გასცა მრავალ საინტერესო შეკითხვას. დამფუძნებელი კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და თავიანთი მოსაზრებებიც გამოთქვეს პროფ. ვ. ავალიანმა, პროფ. ე. მამისთვალიშვილმა, გ. უბირიამ, ჯ. ინჯიამ, მ. გიგუაშვილმა, გ. ვაშაკიძემ, მეცნ. კანდიდატმა ვ. აბრამაშვილმა და სხვა.

კრებამ გადაწყვიტა რაიონული საზოგადოების ფორმირების ორგანიზაციული საკითხებიც. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გორის გამგეობის გამგებლის მოადგილე ბატონი გ. აბრამიძე, ხოლო მოადგილედ ვ. ჭანკოტაძე.

მაშ ასე, როგორც იტყვიან – „მწვანე შუქი აინთო“ და სხვადასხვა მიზეზთა გამო, უმუშევრად დარჩენილ (და არა მარტო მათ) შემოქმედებით ინტელიგენციას ეძლევა შესაძლებლობა დაკავდნენ მათთვის ფრიად მისაღები და სასურველი საქმიანობით, ამასთან არცთუ მცირე ანაზღაურებით.

წერილის დასასრულს მინდა მივმართო შიდა ქართლში მოღვაწე მეცნიერებს (თეორეტიკოსებს, ინჟინერ-პრაქტიკოსებს), კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს და ლექტორთა ჯგუფის თითოეულ წევრს: „ძვირფასო კოლეგებო, თქვენ გეძლევათ ბრწყინვალე შესაძლებლობა, ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება (დაულაღავი სწავლისა და შრომის შედეგი) გადასცეთ, გაუზიაროთ შრომით კოლექტივებს (სააქციო საზოგადოებები, შპს-ები, ფერმერული მეურნეობები, ასოციაციები, ბანკები და სხვა), სასწავლო და აღმზრდელობით ორგანიზაცია-დაწესებულებებს, სამართალდამცავ ორგანოებს, სპორტის, კულტურის და ხელოვნების მუშაკთა კოლექტივებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამსახურებს და ა. შ.

როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, ძვირფასო კოლეგებო – „ჰა ბურთი და ჰა მოედანი“.

№39, 2005 წ.

მაშინ სხვანაირი პაემანი სცოდნიათ

(ვეებე სამშოს შთამომავლებს)

რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძემ 1927 წელს დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი (მეტყვევ-ინჟინერი) სამუშაოდ გააგზავნეს გორში, სატყეო მეურნეობაში. მალევე გაუჩენია მეგობრები. მათთან ერთად პატიოსნად და ერთგულად ემსახურებოდა ტყეების მოვლისა და შენარჩუნების საქმეს. გორშივე სწვევია პირველი სიყვარული მარიამ ჯავრიშვილის სახით.

შემდეგში, სამუშაოდ თელავში გადასული, ხშირად იხსენებდა ხოლმე გორში გატარებულ წლებს და მაშინდელ საძმოს. განსაკუთრებული სიფაქიზით იხსენებდა სასიყვარულო ამბებს და პირველ მეუღლეს, რომელთანაც მომავალში ბედმა განშორება არგუნა. იტყოდა ხოლმე: „ჩვენ დროს სხვანაირი სიყვარული ვიცოდით. სამეფო ქუჩაზე ერთ მხარეს მე ჩავივლიდი, მეორე მხარეს კი ის. შევხედავდი, შევათვალე რეზიდენტობით ერთმანეთს და უკეთეს შემთხვევაში ხელის მორიდებული დაქნევით ვატყობინებდით, დაგინახეო. რამდენი სიტბო და სიყვარული იყო ამ ხელის დაქნევაში – ალბათ მთელი მომავალი სიცოცხლის ტოლფასი“.

აი, ასე იყო ჩვენ დროს – დაამთავრებდა მოსაგონს და სუფრასთან მჯდომ მშინახეებს მომავალ სადღეგრძელოს შესთავაზებდა. რევაზ ჭანკოტაძის მშინახეები კი მასავით ახალგაზრდა, ან ოდნავ უფროსები იყვნენ და არც მათთვის იყო უცხო სასიყვარულო პერიპეტები.

ბუნდოვნად მახსოვს ერთ-ერთი გორელის სტუმრობა თელავში. მაშინ 6-7 წლის ვიქნებოდი, შუალამემდეგ მესმოდა სუფრიდან მათი ხმადაბალი საუბარი. იგონებდნენ გორში ერთად გატარებულ წლებს და საძმოს წევრებს, მათ გარჯას, ვაჟკაცობას და ოინებსაც კი. სამწუხაროდ, იმ გორელის არც სახელი მახსოვს და არც გვარი.

ახლახანს, საოჯახო ალბომში, აღმოვაჩინე ფოტო, რომელიც გორშია გადაღებული და სავარაუდოდ მასზე ზემოთაღნიშნული საძმოს ნაწილია აღბეჭდილი.

იქნებ მკითხველმა ამოიცნოს მათში თავისი ახლობელი (ცენტრში რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძე). გთხოვთ გამოემხმანო, მომწოდოთ მათზე საინტერესო ამბების ისტორია, ერთობლივად პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

№40, 2005 წ.

ნაბიჯი ჰუმანურობისკენ (წინადადება)

ადამიანებს სჩვევიათ (განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების შემთხვევაში) დაბნეულობა, ყურადღების მოღუნება, გულმაღვიწყობა, მოუწესრიგებლობა, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემებში ჩაფლობა და ა. შ. რის გამოც და რის შემდეგაც, არცთუ იშვიათად კარგავენ სხვადასხვა ნივთებს.

კარგი იქნებოდა (ამ შემთხვევაში მივმართავ გორის მმართველობის ორგანოს) თუ ქალაქში შეიქმნებოდა (სადმე ცენტრში) რაღაც კუთხე, ნაპოვნი ნივთების განსათავსებლად.

ვფიქრობ, ადამიანები გამოიჩინენ გულისხმიერებას, გამოხატავენ კეთილ ნებას და ნაპოვნი ნივთის სპეციალურ ადგილზე მიტანისთვის გადადგამენ რამდენიმე ათეულ ზედმეტ ნაბიჯს. ხშირად დაკარგულ ნივთებს შორის არის (ბლოკნოტი, სათვალე, სანთებელა, ხელთათმანი, ბაფთა, ბავშვის ცალი ფეხსაცმელი, საბუთები და ა. შ. რაც მპოვნელს სრულიად არ ჭირდება, პატრონისთვის კი არსებითი მნიშვნელობა აქვს.

№43, 2005 წ.

მედუქნის ღალატი ანუ ს. სალნიკოვის საწვიმარი ღაბადა

ორთაჭალის მიდამოებში ერთი მყუდრო ღუქანი გვეგულებოდა სტუდენტებს და თითქმის ყოველი სტიპენდიის მიღების შემდეგ იქ ვიყრიდით თავს „თითო ბოთლზე და თითო მწვადზე“. მორიგი სტიპენდია მეგობრის დაბადების დღეს დაემთხვა და გადავწყვიტეთ საყვარელ ღუქანში შედარებით მსუყე სუფრა გაგვეშალა.

შემოდგომის მორღობულ-მოწყენილი დღე იდგა. წვიმდა. მე-ღუქნე სუფრას გვიშლიდა განსაკუთრებული მონღომებით და თან ბუნხარს უმარჯვებდა კუნძის ნაჭრებს.

შუა პურ-მარილში ვიყავით, როცა მედუქნემ მოკრძალებით

მოგვმართა: „თქვენთვის კარგი რაღაცა მაქვს, იქნებ იყიდოთ, იაფად მოგცემთ“. წარმოთქვა ეს სიტყვები და გაშალა მუშტად შეკრული მარჯვენა. მის ხელისგულზე ნელინელ, გარმონივით გაიშალა ნელიონის დაჭმუჭნული ნივთი, რომელმაც, მეღუქნის დახმარებით საწვიმარი ლაბადის ფორმა და იერი მიიღო.

ნელიონის საწვიმარი ლაბადა იმ დროს „უცხო ხილი“ იყო. მაშინ ასეთი რამ საქართველოში თითქმის არავის ჰქონია და ასეთის შესახებ გაზნებებიდან თუ ვიცოდით. ბუნებრივია, ახალგაზრდა ბიჭები დავინტერესდით ნელიონის ლაბადის ისტორიით, თუ როგორ მოხვდა ის მეღუქნესთან, ან რა ფასად დავითმობდა მას.

მეღუქნემ ღვინო ჩამოგვისხა და დაიწყო: „რამდენიმე დღის წინ დუქანში ერთი მოხდენილი, სპორტული აღნაგობის, ლამაზი რუსი ახალგაზრდა შემოვიდა, ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა, მოხერხებულად დაჯდა კუთხეშიმდგარ მაგიდასთან და დაიწყო ყლუპ-ყლუპით ჭიქის გამოცლა, თან ინტერესით ათვალთვლებდა ყველა შემომსვლელს და გამსვლელს. ბოლოს თითით მიმიხმო და მითხრა, ფული მჭირდება და ამას ხომ არ იყიდო და სკამზე გადაკიდებული ლაბადა მომაწოდა. ისეთი რა გაგიჭირდა, რომ ასეთ რამეს ყიდი, ინტერესით შევეკითხე და თან ლაბადა შევათვალიერე მუშტრის თვალთ. თურმე, ერთ კვირაზე მეტია თბილისშია და მისი მეგობრები ყოველდღე რესტორანში ეპატიჟებიან და ქართული სტუმართმოყვარეობით მასპინძლობენ, ისტორიულ და კულტურის კერებს ათვალთვლებენ და თან ქართველ საცოლეს ურჩევენ ნახევრადხუმრობით. ვკითხე, ვინ არიან შენი მეგობრები მეთქი და ჩამოთვალა: მ. მესხი, ს. მეტრეველი, ი. დათუნაშვილი, თ. ზეინკლიშვილი და სხვები. შენ თვითონ ვინა ხარ, შევეკითხე გაცემული და განარებულიც. სერგეი სალნიკოვი ვარო, მიპასუხა მოკლედ (ს. სალნიკოვი იყო მოსკოვის „სპარტაკის“ და სსრკ-ს ნაკრების ბრწყინვალე ფეხბურთელი, ახლა რომ იტყვიან, ჭეშმარიტი ვარსკვლავი).

სალნიკოვს სურდა ერთხელ მაინც თვითონ დაეპატიჟა თავისი მეგობრები რესტორანში, მაგრამ ფული არ ყოფნიდა საამისოდ. გადავწყვიტე დავხმარებოდი სახელგანთქმულ ფეხბურთელს სურ-

ვილის აღსრულებაში და შევიძინე ეს ლაბადა. მე ხანშიშესული კაცი ვარ, ეს ლაბადა საჩემო არ არის, თქვენ, ახალგაზრდებს უფრო დაგამშვენებთო, – დაამთავრა სათქმელი მეღუქნემ და ერთხელ კიდევ შეგვითამაშა თვალწინ ნელიონის საწვიმარი ლაბადა (სალნიკოვს იგი თურმე ფინეთიდან ჩამოუტანია), მერე მძლავრად მოჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიღო.

ჩვენ ფული არ გვქონდა საკმარისი და მეღუქნე დავიყოლიეთ, რომ მომდევნო სტიპენდიამდე შეგვინახავდა ს. სალნიკოვის საწვიმარ ლაბადას. შევთანხმდით და ყველაწმინდის სადღეგრძელოც შევსვით.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ის ლაბადა ერთ მოხდენილ ახალგაზრდაზე ენახეთ, რომელმაც დაგვიდასტურა ჩვენ საყვარელ დუქანში მისი შეძენის ფაქტი.

ასე „გვიღალატა“ მეღუქნემ.

13-20 ნოემბერი, 2005 წ.

პირველი და ერთადერთი

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს უყვარდა ჭადრაკი. იგი საგურამოში მყოფ მის სტუმრებთანაც ხშირად დამჯდარა საჭადრაკო დაფასთან. როგორც ისტორიული წყაროები აღნიშნავენ „ილია ყოველთვის აუჩქარებელი და გულმაგარი იყო“ (ვ. სიღამონიძე „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები“). ილიას სიყვარულს ჭადრაკის მიმართ ისიც ადასტურებს, რომ მან გაზეთ „ივერიაში“ ადგილი დაუთმო ქრონიკებს ჭადრაკის შესახებ.

როგორც ვ. სიღამონიძე აღნიშნავს, ილიამ გაზეთ „ივერიაში“ (1893 წ.) გააშუქა დიდი რუსი მოჭადრაკის, ჩიგორინისა და ტარამის (გერმანელი ექიმი) შეხვედრა. ისიც ცნობილია, რომ ამ შეხვედრის გაშუქების ფაქტი პირველი და ერთადერთი აღმოჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში. (იგულისხმება ჭადრაკი. ავტ).

მოგვყავს რამდენიმე ციტატა აღნიშნული მატჩის საგაზეთო

მიმოხილვიდან:

– „მეცხრე პარტია ჭადრაკისა ჩიგორინმა წაავო, თამაშობა რვა საათს გაგრძელდა“.

– „ჯერჯერობით ტარაშმა ჩიგორინს მოუგო ექვსი პარტია, ჩიგორინმა ტარაშს ოთხი პარტია და სამი პარტიაც გაყაიმა“.

– „ჩიგორინისა და ტარაშის ეხლანდელი გამკლავების გამო (ამ შეხვედრას ჭადრაკის ფიცარზე რუსეთ-გერმანიის ბრძოლასაც კი უწოდებდნენ. ავტ) ორასი თუმანია სანაძლეოდ დადებული. ტარაში თავის მხრით თითონ არის ჩამოსული ფულს, ჩიგორინის ნაწილი კლუბის წევრთ შეუგროვებით“.

– „...ჩიგორინი და ექიმი ტარაში, ცალკე ოთახში იმყოფებიან, სადაც გარეშე კაცთ შესვლა აკრძალული აქვთ. საზოგადოებას კი მაინც შეუძლია თვალყური ადევნოს იმათს თამაშობას. დარბაზში რამდენიმე დიდი ფიცარია ჭადრაკისა და ჭადრაკის კაცები (!) ზედ მავთულებით არის მიმაგრებული. ყოველი ნათამაშევი ამ ფიცარზედაც აღინიშნება ხოლმე. საზოგადოება ელის რომელი „ჭადრაკის მეფე“, რომელ ჭადრაკის კაცს დასძრავს...“
და ა. შ.

აღვნიშნავთ, რომ ჩიგორინისა და ტარაშის 1893 წლის მატჩი ყაიბით დამთავრდა, რითაც ორივე მხარე კმაყოფილი იყო. გაზეთი „ივერია“ კი ასე წერდა: „ჩიგორინისა და ტარაშის გამკლავებამ ვერც ერთი ვერ გაამარჯვა და ვერც მეორე, რადგან თანასწორად მოიგეს“.

21-27 ნოემბერი, 2005 წ.

სამი ოლიმპიური ოქრო ერთ კვირაში

მძლეოსნობის მოყვარულებს ემანსოვრებათ, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენის, ემილ ზატოპეკის სახელი. იგი იყო შორ მანძილზე რბენის ოსტატი. 1952 წლის ოლიმპიური თამაშების წინ, მძლეოსნობის მოყვარულები თვლიდნენ, რომ ზატოპეკი რომელ დისტანციასაც აირჩევდა – გარანტირებული ექნებოდა ოქროს მედალი.

მოდდა გასაოცარი რამ. მძლეოსნობის ისტორიაში პირველად დააფიქსირა ემილ ზატოპეკმა სამ დისტანციაზე მონაწილეობის სურვილი. ეს იყო 5 კმ, 10 კმ და მარათონი (42,195 კმ). ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები და მსაჯთა კოლეგიები გაოგნებული იყვნენ ზატოპეკის უპრეცედენტო გადაწყვეტილებით.

ემილ ზატოპეკმა ოთხ დღეში ორი ოქროს მედალი მოიპოვა 5 და 10 კმ-იან დისტანციებზე. დადგა მარათონის ჯერიც.

სტადიონზე ყოველ 10-15 წუთში აცხადებდნენ მარათონის ლიდერების გვარებს. ზატოპეკი მათ შორის არ იყო.

ტრიბუნაზე მჯდომთა ნაწილი ფიქრობდა: „რადღაც უნდოდა ეს მარათონი. ახლა სულ წახედნენ იმ ამალეებულ შთაბეჭდილებას, რაც ორი ოქროთი განგვაცდევინაო“. არც მომდევნო რადიონიგორმაციებში უხსენებიათ ზატოპეკის გვარი. დაბოლოს გამოაცხადეს – სტადიონს უახლოვდება მარათონის ლიდერთა ჯგუფი. ცოტაც და სტადიონზე შემოვიდა წითელ მისურზე ჩეხოსლოვაკიის გერბით დამშვენებული ემილ ზატოპეკი. ეს უკვე ნამდვილი სენსაცია იყო.

ემილ ზატოპეკი იგონებს: „ერთი ინგლისელი ცდილობდა ლიდერებში მოხვედრას. მე, რატომღაც მას ავედევნე. ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ, შევამჩნიე, რომ ის მძიმედ სუნთქავდა. გადავწყვიტე – გამესწრო. ასეც მოვიქეცი. ახლა უკვე ის მომდევნა უკან, მაგრამ ვეღარ გადამისწრო. ძალიან დავილაღე. მე ხომ პირველად მივიღე მონაწილეობა მარათონში. ბედნიერი ვარ“.

ეს სიტყვები წარმოთქვა და ტაშის გრიალში საპატიო წრის შემორბენა დაიწყო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ლეგენდარული ჩეხი სპორტსმენი სიცოცხლის ბოლო წლებში მეეზოვედ მუშაობდა.

27/XI-4/XII, 2005 წ.

სტალინი ინდიელთა საპატიო ბელადი?

1942 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს შედგა ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ინდიელთა ტომების ბელადების შეკრება. ბელადებს შორის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო ავტორიტეტულმა დააყენა საკითხი სტალინისთვის ინდიელთა ტომების საპატიო ბელადის წოდების მინიჭების შესახებ. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული, მაგრამ პატარა კურიოზი მაინც მოხდა.

ინდიელებმა სტალინისთვის დაამზადეს იშვიათი არწივის ფრთებისა და ბუმბულისგან თავზე დასადგმელი გვირგვინი, რომელიც უნდა გადაეცათ ამერიკაში საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშესთვის, მაგრამ ეს უკანასკნელი შეკრებაზე (მიწვევის მიუხედავად) არ გამოცხადდა.

ინდიელებმა დაუშვეს გამონაკლისი და გვირგვინი გადასცეს სამოქალაქო პირს, რუსეთთან თანამშრომლობის უმსხვილესი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ვინმე ედვარდ კარტერს, რომელმაც სცადა საკუთარ თავზე მოესინჯა გვირგვინი, რამაც ინდიელ ბელადთა წყრომა გამოიწვია.

ცნობილი არ არის, მოუწია თუ არა სტალინს გვირგვინის მორგებამ, ის კი გახმაურდა, რომ კარტერმა პირველივე გემით წაიღო იგი საბჭოთა კავშირში.

დეკემბერი, 2005 წ.

კულა გლდანელი

(ქართველ ფალავანთა ისტორიიდან)

საქვეყნოდ განთქმული მოჭიდავე ვანო ბეროს ძე ყირიმელი დაიბადა 1860 წელს თბილისის მახლობლად, სოფელ გლდანში. კულა გლდანელი მისი ფსევდონიმი. სამი წლის ვანო მღვდელს უნახავს კალოზე და წამოუძახია „სწორედ რომ კულას ჰგავს ეს ბავშვი“ (კულა ღვინის სასმისია ვიწროყელიანი და მრგვალმუცლიანი. ავტ).

იმდროინდელ გლდანში ჭიდაობა ფართოდ იყო ფესვგადგმული და კულაც პატარაობიდანვე ეზიარა ამ ვაჟაკურ სპორტს. ოცი წლის კულას უკვე კარგად იცნობდნენ არა მარტო საქართველოში. მაშინ თითქმის არ ტარდებოდა ჩემპიონატები თუ ტურნირები ჭიდაობაში, არც ოქრო-ვერცხლის მედლებით აჯილდოვებდნენ ვინმეს და არც წონით კატეგორიებს ანიჭებდნენ მნიშვნელობას. იყვნენ უბრალოდ ფალავნები (საქართველოს ყველა კუთხეში და მეზობელ ქვეყნებში), რომლებიც საყოველთაო პირველობას იჩემებდნენ და ყოველთვის მზად იყვნენ სულ ახალი და ახალი გამოწვევებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ორთაბრძოლებს ხშირად წინ უძღოდა დიდი სანადლეო და გამარჯვებული ფალავანი მას განკარგავდა თავისი შეხედულებისამებრ. ორთაბრძოლიდან შემოსავლის დიდ ნაწილსაც განკარგავდა გამარჯვებული. ამ მხრივ კულა გლდანელი მართლაც იყო მისაბადი. თითქმის ყველა მოგებულ სანადლეოს და შემოსავლის თავის წილს ბოლომდე უნაწილებდა ქვრივებს, ობლებს, გაჭირვებულებს და მოსწავლე სტუდენტებს. გაზეთ „დროების“ 1884 წლის 82-ში ვკითხულობთ: „ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ კულა გლდანელის ჭიდაობის საქველმოქმედო მიზნისათვის შემოტანილია ხუთას თუმანზე მეტი“.

ასეთი ყოფილა კულა გლდანელი, როგორც ქველმოქმედი. როგორც მოჭიდავეს და ერთ-ერთ უპირველეს ფალავანს ბევრი გამოწვევაც ჰქონია (გამოწვევა კი მაშინ ან შუამავლების ან გაზეთში განცხადების საშუალებით ხდებოდა). ერთ ასეთ გამოწვევას გავაცნობ მკითხველს. არანაკლებ ცნობილი ფალავანი ჩიტო კალატონიშვილი გამოწვევას აკეთებს გაზეთ „დროების“ საშუალებით (ვ. სიღამონიძე „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები. თბილისი 1978 წ.).

„ბ. რედაქტორო! დიდი ხანია, რაც გლდანელმა თავისი ჭიდაობით მიიქცია ყურადღება, როგორც მოჭიდავეებისა აგრეთვე მაცქერლებისა. ამ ბოლო დროს კიდევ მოაწონა თავი გაგებულ ხალხს. ამგვარმა ხმებმა აღძრეს ჩემში სურვილი მისი ღონისა და ხერხების გამოცდისა. ამიტომ გთხოვთ გამოუცხადოთ გლ-

დანელს, რომ მე, ჩიტო კალატოზიშვილს მსურს მასთან ჭიდაობა პირობით: ცქერა ხალხისთვის უფასო იყოს. უკეთუ ისურვებს ფასის აღებას, აღებული ფული მოხმარდეს რომელსამე სასწავლებელს. ადგილი ჭიდაობისა იყოს ან გორი, ან სურამი, რადგანაც თბილისში მისი მომხრეები აჩაგვრინებენ მოწინააღმდეგეს. უკეთუ ამ პირობაზე თანახმა არის, დამინიშნოს ამ მოკლე დროში, დრო ამ გაზეთისვე შემწეობით“.

კულა გლდანელის გამოხმაურება ჩიტო კალატოზიშვილის გამოწვევაზე

ცნობილმა ფალავანმა კულა გლდანელმა, გაეცნო რა გაზეთ „დროების“ 1883 წლის №129-ში გამოქვეყნებულ ჩიტო კალატოზიშვილის გამოწვევას, ამავე გაზეთის 1884 წლის №82-ში ასე გამოეპასუხა თავის მომავალ მეტოქეს:

„ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის №129-ში იყო ბ-ნი კალატოზიშვილის წერილი, რომლითაც ის მიწვევს საჭიდაოდ. უწინარეს ყოვლისა არ შემიძლია სინანულით არ გამოვთქვა, რომ კალატოზიშვილს ჩემს ჭიდაობაზე რაღაც მრუდე და უსაფუძვლო აზრი შეუდგენია: მე არასოდეს არ მქონია და არც მექნება ჭიდაობაში მომხრეთა დახმარების იმედი. მე მაქვს იმედი მხოლოდ ჩემი თავისა. აგრეთვე არც ანგარების მოყვარეობა მქონია, რადგან თითქმის ყოველთვის მიჭიდავებია საქველმოქმედო განზრახვით გაჭირვებულთა დასახმარებლად. ამიტომაც ბ-ონ კალატოზიშვილს სხვადასხვა ხმების და მიმოთქმების გამო არ უნდა შეეღვინა ჩემს ჭიდაობაზე აზრი ისევე, როგორც მე არ შემიძლია ვერწმუნო საზოგადო აზრს მასზედ, რომ ჩემი ბ-ონ კალატოზიშვილთან ჭიდაობა რიგიანად არ დაბოლოვდება, რადგანაც ჩაერევიან იმისთანა, წინათ მომზადებულნი პირნი, რომელნიც ბ-ნ კალატოზიშვილს გაჭირვების ტალკვესად გამოადგებიან. ყველა ამის შემდეგ მე სიხარულით ვეგებები ჭიდაობის ყველა იმ პირობებს, რომელთაც მონიებებს კალატოზიშვილი და წინ წამიმძღვარებს. ღრმად დავა-

ლებულად ვრაცხ ჩემს თავს მისგან ჩემის გამოთხოვებით და რადგან ამას ველირსე, ჩემს ასპარეზს, როგორც მოჭიდავისას დაჯილდოებულად ვთვლი“.

აი, ასე უპასუხა კულა გლდანელმა ჩიტო კალატოზიშვილის გამოწვევას.

თუ როგორ დამთავრდა მათი შერკინება, მოგიხსნათ მომდევნო ნომრებში.

№46, 5-11 დეკემბერი, 2005 წ.

გულუხეთელი არსენა

გულუხეთი, ერთი პატარა და ლამაზი სოფელია აბაშის რაიონში, მშრომელი ხალხით, საამაყო ისტორიული ადგილებით, თვითმყოფადი ტრადიციებით, უკეთესი მომავლის რწმენით და რაღაც თქმა უნდა, საინტერესო წარსულით.

სწორედ წარსული ამბების გახსენებისას, ტკბილ მეგრულ სუფრასთან საუბრისას, ხანდაზმულებმა ახსენეს ვინმე არსენა კიკაბიძე და დასძინეს, რომ ის ნაკლები როდი იყო არსენა მარაბდელზე (ოძელაშვილზე). არსენა კიკაბიძე დაბადებულია დაახლოებით 1880 წელს. ბავშვობის ასაკიდანვე გამოირჩეოდა, თურმე, კარგი ფიზიკური მონაცემებით და რაც მთავარია, სამართლიანობით და რაინდული სულით. მისი ცხოვრების კრედიტცეულა ღარიბ-ღატაკებისა და გაჭირვებულების მხარში დგომა და სამშობლოს სიყვარული. უკვე დავაჟკაცებული თავგამოდებით ებრძოდა მამულის მტრებს და ათასი რჯულის ნაძირალებს თუ ქართველი კაცის ღირსების შემლახველებს.

არსენას ცოლად შეურთავს აზნაურთა ოჯახის ქალიშვილი ნინო მიმინოშვილი. მოსიყვარულე მეუღლეებს შესძენიათ შვიდი ვაჟი და ორი გოგო. აღმოჩნდა, რომ არსენას ქალიშვილი ნინო გათხოვილია გორში. მისი მეუღლე ყოფილა ვინმე ანდრო გაბუნია, რომელიც გასული საუკუნის ოციან წლებში მუშაობდა სამხედრო კომისრად.

გორშივე აღმოჩნდნენ გულუხეთელი არსენას სხვა შთამომავლები, კერძოდ, არსენას შვილის თეოფილე კიკაბიძისა და არსენას ერთ-ერთი ძმის შვილიშვილის, ამირან კიკაბიძის (გორის ყოფილი სამხედრო კომისრის. დაიღუპა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში 1993 წ.) ოჯახების ტრადიციების გამგრძელებლები.

არსენა კიკაბიძის ერთ-ერთი შვილიშვილი კიაზო კიკაბიძე იხსენებს მამის, თეოფილეს ნაამბობს: „დევის ძალა ჰქონდა, ხუთ-ექვს კაცს უმკლავებოდა, ჩხუბი ვაჟაკური იცოდა, გულში სიბოროტეს არ ჩაიდებდა; პირიქით, ცდილობდა ყველასთვის სიკეთე მიეზლო. როგორც რევოლუციის აქტიური მხარდამჭერი, რუსებს დაუჭერიათ და დახვრეტა მიუსჯიათ, თუმცა თავისი მოხერხებულობით თავი დაუღწევია სასიკვდილო განაჩენისგან; დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ხელისუფლებას უწევდა ქმედით დახმარებას და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა თავისუფალი და დემოკრატიული სამშობლოს შექმნა-ჩამოყალიბებაში. ამ დროისთვის არსენა ეწეოდა კომერციულ მოღვაწეობას, ჰქონდა რამდენიმე მომცრო გემი და სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა შავი ზღვის აკვატორიის ქვეყნებთან. განსაკუთრებით თურქეთთან. მისი „ფლოტი“ ბაზირებული იყო ფოთში. არსენა დახმარებია ჟორდანიას მთავრობას საქართველოდან ემიგრაციაში, ხოლო რუსეთის მიერ სამშობლოს სრული ანექსიის შემდეგ გახდა დამპყრობელთა დაუძინებელი მტერი, სადაც კი წააწყდებოდა – ცდილობდა ფიზიკურად მოესპო ისინი. მრავალჯერ ჩაება (თანამოაზრეებთან ერთად) უთანასწორო სისხლისმღვრელ შეტაკებაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდა. რუსეთის საოკუპაციო ჯარებს გადაუჭრელ პრობლემად ექცათ არსენას პიროვნება და მის გარშემო საბედისწერო წრეს თანდათან ავიწროვებდნენ. მეგობარი და თანამებრძოლი ბესო გაბუნია ურჩევდა არსენას, რომ გასცლოდა საქართველოს, მაგრამ მან არ ისმინა და სავალალო შედეგამაც არ დააყოვნა. 1922 წლის 15 დეკემბერს არსენა კიკაბიძეს და მის თანამზრახველებს ქალაქ ფოთში ალყა შემოარტყეს და მიუხედავად მეღვარი წინააღმდეგობისა, ამოწყვიტეს“.

არსენას თანასოფლელები (გ. ნადარეიშვილი, კ. დანელია) იხსენებენ, რომ მას ჰყოლია საყვარელი და უჭკვიანესი ცხენი, სახელად „კუკური“, რომელსაც ხშირად გადაურჩენია პატრონი სახიფათო სიტუაციებში. სამწუხაროდ, ფოთში მას თავისი საოცარი ცხენი გვერდში არ ჰყოლია.

და კიდევ, სამხედრო კომისარიატში შემორჩენილი მასალებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების დროს, სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლებში, ქალაქ გაგრაში დაიღუპნენ არსენას შვილიშვილები (ვალიკოსა და სიმონის მხრიდან): ამირანი, ნოდარი და კიდევ ამირანი. ორივე ამირანი იყო მფრინავი, ხოლო ნოდარი უშიშროების სამსახურის ოფიცერი. დღეს კი, არსენა გულუხეთელის ტრაგიკული დაღუპვიდან 83 წლის შემდეგ (15 დეკემბერს) გორში იზრდება და ვაჟაკდება მისი მეხუთე თაობა.

11-18 დეკემბერი, 2005 წ.

ჯუჯა კატეგორიის ქვეყნები

ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ძალთა მნიშვნელოვანი გადანაწილების წყალობით მსოფლიო რუკაზე მომრავლდა ჯუჯა ქვეყნების რაოდენობა. ეს ისეთი ქვეყნებია, რომლებიც მართლაც რომ გაოცებას იწვევენ დაკავებული ფართობისა და მოსახლეობის ოდენობის მხრივ. ხშირად ამბობენ: „ეს ისეთი ქვეყნებია, რომ მათ ტერიტორიაზე თოფის გასროლა აკრძალულია, რადგან ტყვია შესაძლოა, მეზობელ ქვეყანას დაეცეს“.

აი, ასეთი, ე. წ. ჯუჯა ქვეყნების მცირე ნაწილიც!

ნიუ. მდებარეობს წყნარ ოკეანეში. ფართობი 260 კვ. კმ. დედაქალაქია ალოფი (1200 მცხოვ.), სულ 8000 მცხოვრებით. სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურებია – ქოქოსი, ბანანი, ტარო და იამსი.

ნორფოლკი. ფართობი 35 კვ. კმ. მდებარეობს წყნარი ოკეანის კუნძულზე. მოსახლეობა სულ 1500 კაცი. დედაქალაქი კინგ-

სტონი. მოსახლეობა დაკავებულია მეთევზეობით და მიწათმოქმედებით. მოჰყავთ ციტრუსები: ბანანი და პარკოსნები.

პეტკერი. წყნარი ოკეანის აუზის ქვეყანა. ფართობი 5 (!) კვ. კმ. მოსახლეობა 2000 კაცამდე. ადმინისტრაციული ცენტრია ადამსტაუნი. ქვეყანას (!) მართავს ზუთი კაცისგან შემდგარი საბჭო. საქმიანობის ძირითადი დარგია სუბტროპიკული მეურნეობა (ფორთოხალი, ანანასი). სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფას ახერხებენ იმპორტის გზით.

ლიხტენშტეინი. მდებარეობს ევროპაში. უკავია დაახლოებით 160 კვ. კმ მოსახლეობა 20 ათასამდე. დედაქალაქია ვადუცი (4 ათასი მაცხ.). აქვს ერთპალატიანი პარლამენტი (20 დეპუტატი). ქვეყნის შემოსავლის მთავარი წყაროა მეცხოველეობა. იგი ესაზღვრება შვეიცარიას. მისი „შეიარაღებული ძალები“ შეადგენს სულ 20-მდე პოლიციელს.

ვატიკანი. სახელმწიფო ქ. რომში. მსოფლიო კათოლიციზმის ცენტრი. ფართობი 0,5 კვ. კმ. მოსახლეობა დაახლოებით 1500 კაცი.

ანდორა. სახელმწიფო საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. დედაქალაქია ანდორა (1,5 ათ. მცხ). ხელმძღვანელი ორგანოა ე. წ. გენერალური საბჭო, რომელსაც ირჩევენ 4 წლის ვადით. მეურნეობის ძირითადი დარგებია მევენახეობა, მეცხოველეობა და მებაღეობა. განვითარებულია ტურიზმი. ამ ცეროდენა ქვეყანას აქვს მძლავრი რადიოსადგური „რადიო-ანდორა“.

სანმარინო. მდებარეობს ევროპაში. უკავია 61 კვ. კმ. მოსახლეობა დაახლოებით 16 ათასი. დედაქალაქია სან-მარინო (2 ათ. მცხ). აქვს პარლამენტი, რომელიც 4 წლით ირჩევა. საქმიანობის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა. შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ტურიზმი. ოფიციალური ენა იტალიური. ქვეყნის ექსპორტს წარმოადგენს ღვინო, ტყავი, კერამიკა, სამშენებლო ქვა და სხვა.

იტალია აძლევს სუბსიდიებს, რათა სან-მარინომ არ აწარმოოს სპირტი და თამბაქო.

სან-პიერი. მდებარეობს ატლანტის ოკეანეში. ფართობი 240 კვ. კმ. მოსახლეობა 5 ათასამდე. ადმინისტრაციული ცენტრი და

მეთევზეობის ნავსადგური სან-პიერი. ხელმძღვანელი ორგანოა არჩევითი საკონსტიტუციო საბჭო.

ძირითადი საქმიანობაა მეთევზეობა. მსოფლიოს ამარაგებენ ე. წ. ვირთევზათი.

რა აზრი აქვს ასეთ ხტომას?!

სპორტის ნებისმიერ სახეობას ადამიანის ჯანმრთელობისთვის რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს საკითხი, რა თქმა უნდა, არ არის საკამათო, ეს ყველამ კარგად იცის. სპორტი, არა მარტო გარეგნული ფორმების სრულყოფის და ფიზიკური გაკაჟების საშუალებაა, არამედ სულიერი განწყობისა და მეგობრულ-კოლექტიური სულისკვეთების ჩამოყალიბების უტყუარი და საუკუნეებით გამოცდილი ხერხიც გახლავთ. მაგრამ მთავარი მაინც, ჩემი აზრით, არის სპორტის სახეობების პრაქტიკული მნიშვნელობა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ საომარ-საბრძოლო სიტუაციებში: მოკრივეს არ გაუჭირდება გაუსწორდეს არასასურველ მეტოქეს; დაჭრილს ან ხანძრით დაზარალებულს ადვილად გაიყვანს სამშვიდობოზე ძალოსანი; მიზანში ზუსტი სროლა წარმატების გარანტიაა; მდინარეს უფრო მოხერხებულად და სწრაფად გადაცურავს გაწვრთნილი მოცურავე და ა. შ.

ასეთივე ტონით შეგვიძლია ვისაუბროთ შუბის ტყორცნაზე, ველო და ავტორბოლაზე, ჭიდაობის სახეობებზე, ფარიკაობაზე, ნიჩბოსნობაზე და სხვა. მაგრამ რა ვუყოთ სიმაღლეზე ხტომას და ჭოკით ხტომას? რაში უნდა გამოგვადგეს ისეთი ნახტომი, როდესაც თამასას გადავლებული მიწაზე დანარცხებას აპირებ თავ-კისერით, ვინ დაგიფენს ბალიშებსა და ლეიბებს პრაქტიკულ ცხოვრებაში ან საბრძოლო ბატალიებში. არა მგონია, კაცი ასეთი მეთოდით გადაახტეს მაღალ ღობეს, ან რკინა-ბეტონის კედელს, თუ იქით ქვის ლოდი, ან თუნდაც, მოლით მოფენილი მიწა ელის.

ასე რომ, სპორტის ამ ორი სახეობის პრაქტიკული მნიშვნელობა, უფრო სწორად კი, ყოველდღიურ ცხოვრებაში სასარგე-

ბლოდ გამოყენების პერსპექტივა, შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ (შეიძლება, ამის მსგავსად, სპორტის სხვა რომელიმე სახეობაზეც იყოს საუბრის საშუალება, მაგრამ სხვა დროს).

კარგად მანსოვს, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე სპორტსმენი-მსტომელები თამასას ევლებოდნენ „პირდაპირი“ ან ოდნავ „ირიბი“ („მაკრატელათი“) გამორბენით და მეორე მხარეს ფეხებზე ეშვებოდნენ. მანსოვს თელაველი სპორტსმენი ფანცქალა სილამონიშვილი, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი „პირდაპირი გამორბენის“ მეთოდით ხტომისას. მართალია, მაშინ ხტომის სიმალეები არ იყო ისეთი მაღალი, როგორც დღესაა, მაგრამ მე მაინც ის ძველი მიმანია სასარგებლოდ და მიზანშეწონილად. იქნებ, კიდევ დადგეს დრო და დაუბრუნდეს სპორტის ამ ორ სახეობას, მე ვიტყვოდი, მთავარი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივა. ეს ხომ მართლაც მთავარია!?

2005 წ.

წყლის ზედაპირზე მორბენალი მოჭიდავე

მან იმ ასაკში დაიწყო თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ვარჯიში, რომ ამ წლოვანებაში ზოგი უკვე ტიტულოვანი მოჭიდავეც კი ტოვებს აქტიურ სპორტს.

მირიან ცალქალამანიძე 24 წლის იყო, როდესაც დაიწყო ვარჯიში და უკვე სამი წლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა.

აი, რას წერს მირიანის შესახებ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალი ალიევი: „არაჩვეულებრივი სისწრაფე, თვითმყოფადი ტექნიკა, თამამი იმპროვიზაცია, საოცარი სიმტკიცე, შეტევის მომენტის საკვირველი გრძნობა – ყოველივე ეს აქვს მირიანს. იგი შეუდარებელია დგომში ჭიდაობისას“.

სულ ოთხი წელი იყო მირიან ცალქალამანიძე დიდ სპორტში, სამაგიეროდ რა ოთხი წელი!!! სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და

ბრინჯაოს მედლების მფლობელი, მსოფლიო თასის ვერცხლის პრიზიორი, სტუდენტური თამაშების ჩემპიონი.

ოლიმპიური ჩემპიონი დ. ციმაკურიძე აღნიშნავს: „მირიანზე სწრაფი აღამიანი ალბათ არ არსებობდა“ და მას „მოჭიდავე მერცხალი“ უწოდა.

მირიანის სისწრაფის შესახებ მოვიყვან ერთ ფრიად საყურადღებო შემთხვევას მისი სპორტული ცხოვრებიდან.

მოჭიდავეები შეჯიბრებებს შორის შესვენებების დროს ტბაზე ორი ნავით დაცურავდნენ. ერთ ნავში იხდნენ ბორის კულაევი, ს. დარასოვი და ოთარ კანდელაკი, ხოლო მეორე ნავში – მირიან ცალქალამანიძე, ვ. სხირტლაძე და ვ. ბალავაძე. დარასოვმა ხუმრობა მოინდომა, წყალში ჩახტა და ის ნავი შეაჯანჯღარა, რომელშიც მირიანი იჯდა. ნავი შეტორტმანდა, შიგთქლომებმა წონასწორობა დაკარგეს და წყალში ჩაცვივდნენ. ვ. ბალავაძემ კარგად იცოდა ცურვა და უცებ გაჩნდა ნაპირზე. ცუდადმოცურავე სხირტლაძე გადაბრუნებულ ნავს ჩაეჭიდა და დარასოვს მუშტს უქნევდა. მირიანმა კი სრულიად არ იცოდა ცურვა და უჩუმრად იძირებოდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ დამხრჩვალყო. მოხდა სასწაული. უცებ, რაღაც ძალების გავლენით, იგი ყუმბარასავით ამოვარდა წყლიდან, მიიხედ-მოიხედა და წყალზე წარმოუდგენელი სისწრაფით გაირბინა რა, აღმოჩნდა ნაპირზე.

თვითმხილველები ადასტურებენ მართლაც რომ საოცარ ფაქტს. სხირტლაძე: „მირიანმა წყალზე გაირბინა, ფეხები მხოლოდ კოჭებამდე ჰქონდა წყალში“. ვ. ბალავაძე: „როცა მივიხედ-მოვიხედე, მირიანი უკვე ნაპირზე იყო“. „ეს დაუჯერებელია, მაგრამ საკუთარი თვალთ ვნახე, იგი გარბოდა, წყალზე გარბოდა“, – იგონებს კანდელაკი.

აი, ასეთი იყო უმჩატესი წონითი კატეგორიის მოჭიდავე, სოფელ კონდოლის (თელავის რაიონი) მკვიდრი მირიან ცალქალამანიძე, რომელმაც ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე, ვარჯიშის დროს მოიტეხა ლავიწი, მაგრამ მელბურნის თამაშების ოქროს მედალი მაინც არავის დაუთმო.

№49, 2005-2006 წ.

ბოლო უსტაბაში

**„...მთელ ქვეყანას გავაგებინე, თუ რა შესძლებია ჩვენს სალამურსა და დუდუკს“...
(დათა ზუბიაშვილი)**

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში ბუმი იყო მუსიკალური ხალხური საკრავების მოზღვაგებისა, როგორც სიმე-ბიანის ისე დასარტყმელის, თუ ჩასაბერის. ამ ინსტრუმენტების უმრავლესობა სპარსულ-თურქული წარმოშობის იყო, მაგრამ რო-გორც პოეტი, აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი წერდა: „აზიურმა სამუსიკო საკრავებმა დაკარგეს უწინდელი სახე, ძირფესვიანად გადაკეთდნენ და მიიღეს ქართული, კერძოდ კი თბილისური სახე და ჟღერადობა. თბილისურ დუდუკს ერთი არაბიც კი ვეღარ მიიჩნევს თავისად“.

რალა თქმა უნდა, რომ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შემ-სრულებლებიც ბლომად იყო საჭირო და ჩამოყალიბდა გორ-ში, ქუთაისში, თელავში და განსაკუთრებული სიმრავლით კი თბილისში ე. წ. „დასტები“.

ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტს თავისი დანიშნულება და ასპარეზი ჰქონდა, ყველა მათგანი საოცრად ჟღერდა და სიამოვნე-ბას ჰგვრიდა ადამიანებს, მაგრამ პირველობას და საყოველთაო აღიარებას არ სთმობდნენ ზურნა და დუდუკი.

მაშინდელ (1860-1930) მუსიკოს-აშულთა შორის (ა. კუპრიაშ-ვილი, ნ. ხაშურელი, პ. მაისურაძე, ა. თეთრუაშვილი, ვ. რაზმაძე, ბ. ბაგმაროვი, პ. ჩაჩანიძე, ტ. ტალგაუკოვი და ა. შ.) განსა-კუთრებული პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა მე-ზურნეების ბოლო უსტაბაში, სალამურზე და დუდუკზე დაკვრის შეუდარებელი ოსტატი დათა ზუბიაშვილი.

დაიბადა თბილისში (კალატოზის ოჯახში) 1874 წელს. პატა-რაობიდანვე დაუწყია გავრცელებულ მუსიკალურ საკრავებზე სწავ-ლა, მეზობელ და მეგობარ მეზურნე ბოგველ მიხაკასთან ერთად.

1895 წ. დათა გაუწვევიათ სამხედრო სამსახურში და გაუმ-წესებიათ მუსიკოსების ჯგუფში. თბილისში დაბრუნების შემდეგ,

ჯარში რომ ევროპულ მელოდიებს უკრავდა, ნოტებით გადაიტანა სალამურზე და დუდუკზე დასაკვრელად. არავის ეჯერა, რომ დათას რაიმე გამოუვიდოდა, მაგრამ მან, რომ იტყვიან ფურორი მოახდინა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

დათას თავისი დასტით, ხშირად იწვევდნენ ხოლმე უცხოელ სტუმართა საპატივსაცემოდ გამართულ ბანკეტებზე. უცხოელები გაოცებულები ათვალიერებდნენ დუდუკსა და სალამურს და ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ შეიძლებოდა ამ „უბრალო“ საკრავე-ბზე ურთულესი კლასიკური ჰანგების აჟღერება.

რუსეთის იმპერატორის ყურამდევ მიუღწევია დათას პოპუ-ლარობისა და შესაძლებლობების უნარს და დასტასთან ერთად მიუწვევია საიმპერატორო კარზე.

მოსკოვის სადგურში მეფის ამაღლის ოფიცრები დახვედრიან ეტლით. ორი დღე იზეიმა დათამ თავისი დასტით იმპერატორის კარზე (ა. ბარნოვი „თბილისის აშულები“).

მეფე აღტაცებულა ქართველი აშულების ოსტატობით, შეუყვა-ნია ძვირფასი ნივთიულობის შესანან ოთახში და უთქვამს – აირჩიეთ საჩუქრად რაც მოგეწონოთო.

დასტის მედლოე ნაჯაფა და დამქაში სერგო ოქროს საათე-ბით დაუსაჩუქრებია იმპერატორს, ხოლო დათა ზუბიაშვილისთ-ვის, მეზურნე-მედუდუკეთა უსტაბაშების ბოლო მოჰიკანისათვის გადაუცია საჩუქრად ძვირფასი ბრილიანტის ქვებით მოჭედილი ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი.

№102, იანვარი, 2006 წ.

ბევრისთვის საყვარელი და მანც უტნობი

**„...ერთი გულმართალი ტრუბადური...“
(ი. აბაშიძე)**

საოცარია ადამიანების მენსიერებაში შემორჩენილი ლექსებისა და სიმღერების შესრულების თუ ზეპირკითხვის საუკუნეებგამლე-ბული ფენომენი. ყველა ჩვენგანს აქვს უნარი, შესაფერის სიტუა-

ციაში, წაიღილინოს ხალხისთვის კარგად ნაცნობი მელოდია, ან პომპეზურად წაიკითხოს რაიმე ნაწყვეტი, რაიმე ლექსიდან ისე, რომ არაფერიც კი არ იცოდეს მათი ავტორების ცხოვრების შესახებ.

დღეს, შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, თუ ვის ეკუთვნის სიტყვები:

„...გატიალდეს ის წალკოტი, ბულბული რომ გადაყავდეს...“, „...ჩვენი შრომის პური ვჭამოთ, სხვისი არა მოვიპაროთ...“ ან კიდევ „...ცივ ზამთარი უსახლკაროდ, სიცივეში გავატარე...“

ამ სტრიქონების (და სხვა მრავალის, რომლებიც მიმოფანტულია ხალხის მეხსიერებაში და ხშირად ამოტივტივდება ხოლმე ყოველდღიურ ცხოვრებაში) ავტორი განსაკუთრებით საუკუნის პირველი ნახევრის ძველი თბილისის უბრალო მოქალაქეების შვილი, საყვარელი სახალხო მგოსანი და აშუღი იეთიმ გურჯი (დაბლიშვილი) და მაინც ვინ იყო იეთიმ გურჯი?

იგი დაბადებულია თბილისში 1875 წელს წვრილი ხელოსნის (დაბალის) ოჯახში. ადრეულ ასაკში გარდაეცვალა მშობლები და უბედურების მოზიარე ხალხს მისთვის შეურქმევია იეთიმ (ობოლი) გურჯი (ქართველი).

ისტორია გვამცნობს, რომ იეთიმის წინაპრები ოსმალებს გაუტაციათ და იქ, ტყვეობაში გურჯებად მოუნათლავთ. მის მამას მოუხერხებია ტყვეობიდან თავის დაღწევა და თბილისში ცოლის შერთვა. იეთიმს ჰყოლია პატარა დაც.

მეფის ჯარში სამსახურზე უარის თქმის გამო იეთიმ გურჯი რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1916 წელს კი მოიპოვა თბილისში დაბრუნების და ცხოვრების უფლება. სწორედ მაშინ დაუწერია სიტყვები:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი“.

ტიციან ტაბიძე წერდა: „...იეთიმ გურჯი წარჩინებულად განაგრძობს საიათნოვას აშუღური პოეზიის ხაზს...“

ალექსი ბარნოვი იგონებდა, რომ იეთიმს ყველა ერისა და

მრწამსის ხალხი უყვარდა და პატივს სცემდაო.

პოეტი აკადემიკოსი ირ. აბაშიძე იეთიმ გურჯსა და მის თანამედროვეს, დიდებულ ნიკო ფიროსმანაშვილს, ერთნაირი ბედის მქონე ადამიანებად თვლიდა. ისინი ორივენი უხდებოდნენ და თავისებურად ხატავდნენ და უკვდავყოფდნენ თბილისს. ი. აბაშიძე აღნიშნავს: „მოქეიფე თბილისელებს წარწერა იეთიმის ლექსით „ჩვენ თამადას გაუმარჯოს, ...სანამ დრო გვაქვს გავიხაროთ“ ანდა ფიროსმანაშვილის „ორთაჭალის ტურფებს“ – ლექსიდან ნაწყვეტი: „ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო, შენს სურათზე სანთლად ვენტო“ და სხვა მრავალი.

მოკლედ ისინი (იეთიმი და ნიკო) ერთად ქმნიდნენ ძველი თბილისის ბოჰემური ცხოვრების უკვდავ სურათებს. რაც შეეხება უკვდავებას, აქვე აღვნიშნავთ, რომ აშუღობა ქართულ სინამდვილეში ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა იყო. „...რომ არ ყოფილიყვნენ აშუღები, ბევრი ჩვენი სიმღერა, ჰანგიც და ტექსტიც დავიწყებას მიეცემოდა“ („თავისუფლება“, 2003 წ. №11).

1940 წლის 15 ივლისს იეთიმ გურჯის კუბო, მისმა მოყვარულმა ხალხმა ხელით ატარა ავლაბრიდან ვაკის სასაფლაომდე და მიცვალებულის ლექსად დაწერილი ანდერძის თანახმად მიწის დაყრამდე თავისივე ნაბადი გადააფარეს.

„იეთიმ გურჯს ამა სოფლად არაფერი აბადია, ზედ კუბოზე დამაფარეთ ისევ ჩემი ნაბადია“.

და ბოლოს – იეთიმ გურჯმა ლექსების წერა და გამოქვეყნება დაიწყო 1895 წელს. შემდეგში ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში თითქმის 35 წლის განმავლობაში. ლექსებისათვის სასიმღერო მელოდიებს თვითონვე ქმნიდა და ამღერებდა. წერდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც – ოღონდ ქართული ასოებით. მისი ლექსების თითქმის სრული კრებული გამოიცა 1963 წელს ალ. ბარნოვის ინიციატივით.

ორი შვიდიანი

**ქართული მარტო ენაა?! –
ქართული ქართველთ რწმენაა!
(მ. მაჭავარიანი)**

თანამედროვე ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელს მუხრან მაჭავარიანს თორმეტ აპრილს 77 წელი შეუსრულდა.

ამბობენ, ციფრი „7“ – საკრალური ციფრიაო, ანუ ციფრი, რომელიც თითქოსდა გამოხატავს რაიმე რელიგიურ კულტთან თუ რიტუალთან დაკავშირებულ მოვლენას. რამდენად ასეა – არ ვიცი, მაგრამ ის კი კარგად არის ცნობილი, რომ მ. მაჭავარიანის კულტი, დიდიხანია არის საქართველო და ქართველი კაცი, ნამუსი და რაინდობა, სიკეთე და სილამაზე, ქართული ტაძრები და ციხე-კოშკები.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე აქვს გატარებული ჭარმაგ პოეტს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, სულის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, მოყვასის სიყვარულის აუცილებლობაზე, პატიოსნებასა და რაინდობაზე ოცნებასა და ფიქრებში. რამდენი სივარეტი ჩაიფერფლა, რამდენი იდეოლოგიური ბარიერის გადალახვა და პოლიტიკური ზეწოლისაგან თავის დაცვა დასჭირდა მუხრანის პოეზიას თითქმის სამოცი წლის განმავლობაში.

და მაინც, მუხრანი ფესვმაგარი მუხასავით ძლიერი იდგა და დგას თავისი სამშობლოს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე, უღელში შებმული მკერდძლიერი ხარივით ეწევა ეროვნულ ჭაპანს და უკეთესი ხვალის იმედით აღამ-ათენებს.

როგორ ფიქრობენ

არ ვიცი სხვანი,

ჩემი ღრმა რწმენით

კი ასე გახლავთ:

რომ არა ქვეყნად იმედი ხვალის, –

უმაღ სულ-ხორცის

მოხდება გაყრა...

77 წლის პოეტს დღეს ათეულათასობით მკითხველი და თავ-ვანისმცემელი ჰყავს.

ბედნიერია ის, ვისაც აქვს სურვილი, სწრაფვა და საშუალება იკითხოს მუხრანის პოეზია.

აპრილი, 2006

ვინ იყო ანა ვარდიაშვილი

ქართველი კაცი არასოდეს ივიწყებდა სიმღერას. შრომა იყო, დროსტარება თუ ბრძოლა – სიმღერა მუდამ თან ახლდა ქართველს და დიდი შვებაც მიუღია, თვით უკიდურეს განსაცდელშიც კი.

სადაო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კახელები განსაკუთრებით გამოირჩევიან სუფრული თუ ძველი ხალხური სიმღერების შესრულებით. ქეიფს, რომ იტყვიან – სწორედ კახეთში იციან, იქ ხომ ყოველი მეორე კაცი მღერის (!).

მომღერალი ოჯახებით კახეთი ყოველთვის იყო და ახლაც არის მდიდარი.

სწორედ ერთერთ ასეთ ოჯახში 1900 წელს ყვარელის რაიონის სოფელ საბუეში დაიბადა ანა ვარდიაშვილი. მამამისი დიმიტრი ცნობილი მომღერალი იყო.

ვასილ ბარნოვის შვილი, ალექსი წერს: „დიმიტრის ოჯახიდან ხშირად ისმოდა კახური სიმღერების ჰანგებიო“. საოცარი სიმღერა სცოდნია ანას მამიდა ქეთოსაც.

„კახეთის ბულებულს“ ვანო სარაჯიშვილს თურმე ძალიან უყვარდა ვარდიაშვილების ოჯახში სტუმრობა, სადაც მისთვის იხსნებოდა საამო სასიმღერო ასპარეზი.

იგივე ალ. ბარნოვი იგონებს ვ. სარაჯიშვილის ნათქვამს – „სარაჯიშვილები ვალში ვართ ვარდიაშვილებთანო“.

ანა ვარდიაშვილი მუსიკალური ოჯახის ტრადიციების ღირ-

სეული გამგრძელებელი აღმოჩნდა. მან, ჯერ კიდევ 12-14 წლის ასაკში ასახელა თავისი ოჯახი ქ. თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის კონკურსებში. ანამ მშვენივრად შეისწავლა ქართულ ხალხურ სამუსიკო საკრავებზე დაკვრა. იგი 1926 წელს პირველად გამოვიდა თელავის სახალხო სცენაზე, ხოლო 1936 წელს ჩაატარა კონცერტი მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით. კონცერტი გაიმართა კიევშიც. უკრაინელები აღაფრთოვანა ტკბილი დუდუკებისა და ნიჭიერი მომღერლის ხმებმა.

სამაძულო ომის წლებში ანა ვარდიაშვილი პიონერთა სასახლის მეფანდურე ბავშვებთან ერთად კონცერტებს მართავდა სამხედრო ჰოსპიტლებში – დაჭრილებისთვის.

ანას სიმღერით მოხიბლული ასტრონომთა საზოგადოების წევრები წერდნენ მას: „ჩვენ სივრცეში ვარსკვლავებთან ერთად ვეძებთ შენ ტკბილ ხმას“-ო.

„ყვავილების მინდიად“ წოდებულმა, მცხეთელმა მიხეილ მამულაშვილმა წერილი გაუგზავნა ანას: „...გისმენ და თითქოს გაცოცხლდნენ ძველი ბუღბუღლები. ფრთები მქონდეს, გადმოფრინდებოდი და გადაგკოცნიდი მაგ შეუღარებელი ხმისთვის“-ო.

ანას ხმით მოხიბლულმა სვანებმა საჩუქრად ჭუნირი (სიმებიანი საკრავი) გაუგზავნეს – დაამღერე შენი ლამაზი ხმითო.

ანა ვარდიაშვილი მრავალი ორდენით, მედლითა თუ საპატიო სიგელით იყო დაჯილდოებული. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

2006 წ. მაისი



საწარმოდო პრაქტიკაზე ლენინგრადში

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის V კურსის მექანიკის სპეციალობის ჯგუფის სტუდენტები სიხარულით მოველოდით ა/წლის 26 აგვისტოს. ამ დღეს ჩვენი ჯგუფი საწარმოდო პრაქტიკაზე მიემგზავრებოდა ლენინგრადში. 29 აგვისტოს გზად შევჩერდით მოსკოვში. ვიყავით ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის მაკზოლეუმში.

31 აგვისტო. ჩვენ უკვე ლენინგრადში ვართ. განუწყვეტლივ წვიმდა, მაგრამ ჩვენს სახეებზე ვერ ამოიკითხავდით უკმაყოფილებას. ამავე დღეს დავბინავდით კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში.

ჰიდრომექანიკის სპეციალობის ჯგუფი საწარმოდო პრაქტიკას გადიოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის აეროდინამიკის ლაბორატორიაში, ხოლო დრეკადობის თეორიის სპეციალობის ჯგუფი – მათემატიკისა და მექანიკის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ოპტიკური მეთოდის ლაბორატორიაში.

1 სექტემბერს გამოვცხადდით აეროდინამიკის ლაბორატორიაში. მოკლედ გავეცანით ჩვენი მომავალი მუშაობის გეგმას. ამავე დღეს გავეცანით ლაბორატორიის მოწყობილობას. ვნახეთ მთელი რიგი დანადგარები, როგორცაა დიდი აეროდინამიკური მილი, სასწავლო აეროდინამიკური მილი და სხვა.

ლაბორატორიაში ჩვენს მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პროფ. ი. ლ. პოვზი და დოც. ა. ნ. ბუშმარინი. კვირახობით ვათვალიერებდით ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ვნახეთ სახელმწიფო ერმიტაჟი, ვიყავით პეტერგოფში, პავლოვსკში, პუშკინოში და მრავალ სხვა საინტერესო ადგილას.

ლაბორატორიული სამუშაოს შემდეგ გარკვეულ დროს ვუთმობდით ინსტიტუტის სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების კითხვას. დავამყარეთ კავშირი ინსტიტუტის სტუდენტებთან, ხშირად

ვსაუბრობდით საჭირობოროტო საკითხებზე და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს გამოცდილებას.

დადგა ჩვენი გამოძგზავრების დღეც. 25 სექტემბერს საღამოს ყველა შევიკრიბეთ სადგურში და მატარებლის გასვლის მოლოდინში ვემშვიდობებოდით ჩვენს ნაცნობებს...

საწარმოო პრაქტიკამ ლენინგრადში ბევრი რამ შეგვიძინა და ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვ. ჭანკოტაძე, მექანიკა-მათემატიკის ფაკ. V კ. სტუდენტი



სიახლე ჩაის მრეწველობაში

რამდენიმე წელია, რაც გორის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ნიაავტომატპრომი“ აწარმოებს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში სამუშაოებს შავი და მწვანე ჩაის გადამუშავების თბური პროცესების ავტომატიზაციისათვის.

მიმდინარე წლის აგვისტოში შეჯამებული იქნება ყველა ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები და სახელმწიფო კომისია მოაწყობს ავტომატიზირებული სისტემების გამოცდას მათი ფართოდ დანერგვისათვის რეკომენდაციის გაცემის მიზნით.

გამოცდას გაივლის: შავი ბაიხაო ჩაის ღნობისა და ხმობის, მწვანე ბაიხაო ჩაის ფიქსაციისა და ხმობის ტემპერატურული რეჟიმების ავტომატიური რეგულირების სისტემები და ასევე მანუთის მეურნეობის ავტომატიზირებული საწნევი სადგური საწვავის წნევისა და ტემპერატურის ავტომატიური რეგულირებით.

ამჟამად მიმდინარეობს ჩამოთვლილ სისტემათა ხანგრძლივი საწარმოო ექსპლუატაცია.

აღნიშნული სისტემები პირველად არის დამუშავებული ჩაის ფაბრიკებისათვის საბჭოთა კავშირში, მათი დანერგვა სახალხო მეურნეობის მასშტაბით სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცემს 300 ათას მანეთზე მეტ მოგებას.



ПРОЦЕССАМ УПРАВЛЕНИЯ — АВТОМАТИЗАЦИЮ

ТРУДНОСТИ РОСТА ИЛИ СЛЕДСТВИЕ НЕДООЦЕНКИ?

Автоматизация — генеральное направление нашего производства — немыслима без электроники, вычислительной и контролирующей аппаратуры, без новейших приборов, и, прежде всего, без средств первичной информации, которые измеряют, преобразуют, регистрируют и обрабатывают данные производства.

Особое место среди них занимают автоматические приборы непрерывного контроля качественных показателей продукции на многочисленных стадиях ее переработки. В них остро нуждается пищевая промышленность, ибо качество продукции этой отрасли имеет наиважнейшее значение для здоровья людей. Общеизвестно, что для получения продуктов высокого качества необходимо качественное сырье. Однако нередки случаи, когда и из хорошего сырья «умудряются» получить изделия низкого качества. Причины этого в устарелости технологии и технологического оборудования,

в неправильной организации труда, в безответственности работников, увлеченных количеством и забывающих о качестве и т. д.

С другой стороны, какими бы знаниями ни обладал работник, как высока ни была бы его ответственность, есть круг задач, с которыми справиться должным образом без автоматизации он не в силах. Сложны, например, технологические режимы в производстве всех видов чая, ферментативные и тепловые процессы при производстве разных пищевых продуктов — молочных, консервных, кондитерских, бродильные режимы в виноделии и т. д.

Вопрос о качестве продукции возникает и в момент ее сдачи и приемки. Отсутствие же на приемном пункте соответствующих приборов для оценки качества скоропортящейся продукции ведет к тому, что сдающий следит прежде всего за весом, количеством. На консервных заводах приемщи-

ки принимают от поставщика томаты исключительно по весу, не уделяя при этом внимания процентному содержанию в них сухих веществ, от которых зависит качество будущей консервной продукции. До сегодняшнего дня не существует у нас автоматического устройства для экспресс-анализа качества зеленого чайного листа. Оценку качественных показателей готового чая производят отдельные дегустаторы, на особые природные данные которых приходится целиком полагаться. Не хватает нашим производствам, связанным с пищевой промышленностью, влагомеров, расходомеров для жидких и сыпучих веществ. А те немногие приборы, которые имеются, не обеспечивают нужных показателей надежности.

Попробуем проанализировать, в чем причина недостаточной автоматизации предприятий пищевой промышленности. Что здесь превалирует — трудности, связанные со становлением автоматизации, или же недооценка ее? В тематических планах ряда научно-исследовательских учреждений республики, работающих непосредственно в области автоматизации, контролирующей, регулирующие и управляющие автоприборы занимают

видное место. Но, к сожалению, планы подчас так и остаются планами, ибо в ряде министерств и некоторых трестах наблюдается совершенно неоправданная тенденция к ежегодному сокращению финансирования научно-исследовательских работ по автоматизации.

Нам часто приходится обсуждать вопросы разработки отдельных средств автоматизации с руководителями различных предприятий. Очень многие из них и слышать не хотят о создании средств контроля за качеством продукции. Не потому, что недооценивают автоматизацию, а скорее оттого, что прекрасно понимают, чему служат средства автоматического контроля, особенно за качественными показателями продукции. Чем еще, как не недобросовестностью, можно объяснить такого рода факты: в 1968 году Тбилисской табачной фабрикой № 2 на свалку была выброшена система автоматического регулирования плотности набивки сигарет. Почти ежегодно приходится восстанавливать автоматизированный приемный пункт винограда на Мцхетском винзаводе, дирекция которого с 1967 года до сих пор не подписала акта о материальной ответственности за хранение

этой системы, принадлежащей заводу.

На пути внедрения уже готовых автоматических приборов в промышленности существует немало барьеров. И первый из них — недостаточность технических кадров, знакомых с автоматикой. На многих производствах нет лабораторий контрольно-измерительных приборов, а там, где есть, они часто укомплектованы случайными людьми, незаинтересованными в деле и неспособными нормально эксплуатировать автоматику.


Не всегда правильно проводится у нас расчет экономической эффективности от внедрения автоматики. Общепринятый критерий один — максимальный экономический эффект, минимальный срок окупаемости. Но наши экономисты не видят в лабиринтах производства скрытые источники экономической эффективности, не принимают в расчет в качестве экономического эффекта такие показатели, как облегчение труда, повышение культуры производства, уменьшение чи-

сла физических и умственных операций и многое другое.

В последнее время широко развевается деятельность по разработке автоматизированных систем управления. АСУ — это высшая форма автоматизации, но она невозможна без предшествующей ступени, без широкого оснащения производств локальными средствами автоматического контроля, регулирования и управления.

Сегодня, когда на повестке дня стоят вопросы резкого повышения производительности труда, его научной организации и повышения качества продукции, так остро ставится вопрос экономии сырья и энергии, автоматизации должна отводиться решающая роль. С ее помощью можно добиться коренных преобразований в народном хозяйстве.

В. ЧАНКОТАДЗЕ,
заведующий отделом автоматизации пищевой промышленности НИИ «Автоматпром».



მეტი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში ადგილი ჰქონდა ქოლერით დაავადების რამდენიმე შემთხვევას. გაზეთების და ტელეგადაცემების საშუალებებით ვიცით, თუ რა ზომები მივიღოთ ამ მწვავე დაავადების თავიდან ასაცილებლად. სასიამოვნოა, რომ ამ დაძაბულ დღეებში მოსახლეობის და წარმოება-დაწესებულებების უმრავლესობა იღებს საჭირო ზომებს; მაგრამ თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ქალაქში ყველაფერი რიგზე ვერ არის, მხოლოდ ხელების ბანა და ადუღებული წყლის სმა საქმეს ვერ უშველის.

ვიცით, რომ ბუზი უნდა მოისპოს, მაგრამ როგორ? სად არის ამ მწერის მასიური განადგურების საშუალებები; რატომ არ არის მალაზიებში და აფთიაქებში მარლა?

იგრძნობა ნაგვის მანქანების უკმარისობაც. ნაცვლად იმისა, რომ ამ დღეებში ისინი ორჯერ სცლიდნენ ეზოებს, ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ მოდიან, ან თუ მოდიან მოგვიანებით, როცა ხალხი სამსახურშია წასული და ნაგვის გამომტანი არავინ არის, ან როგორ შეიძლება, რომ ამ დღეებში თუნდაც დროებით არ მოდიოდეს წყალი.

ზოგიერთი მოსახლე არ იქცევა სწორად, როდესაც სახლშია ჩაკეტილი და მარტო საკუთარ ჰიგიენაზე ზრუნავს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საშიშროება გარედანაა მოსალოდნელი და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ეზოს, კიბეს, საპირფარეოს, საერთო სადარბაზო შესასვლელებს და სხვა.

ერთი ახალგაზრდა ბუზებს ხოცავდა საკუთარი „კონსტრუქციის“ იარაღით და შემდეგ მათ ქუჩაში ყრიდა. თუ კი ბუზებს ხოცავ იმიტომ, რომ ბაქტერიებისა გეშინია, მაშინ ქუჩაში გადაყრა ვის გაუგია?

ჯერ კიდევ სერიოზულად არ ვეკიდებით პროფილაქტიკის ჩატარებას და ამ მეტად საშიში დაავადების თავიდან აცილების საქმეს.

სულაც არ არის სავალდებულო, რომ ქოლერამ ყველა დასახლებულ პუნქტს მიაკითხოს. მოდით, ვიყოთ ამ საშველიშვილო საქმეში სანიშნო და სამაგალითონი. გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული.

რაიონული ბაზეითი
„ბორჯომი“

თქვენც იამაყეთ, ბორჯომელებო!

ბორჯომელებო, სიამაყით მსურს გაცნობოთ, რომ თქვენი მშვენიერი ქალაქის მკვიდრთან გივი მაისურაძესთან მაკავშირებდა ორმოცწლიანი მეგობრობა – სტუდენტობიდან მის ტრაგიკულ სიკვდილამდე.

ბევრი რამ შემორჩა ჩემს მეხსიერებას მისი კარგი კაცობის შესახებ, ის ხომ ჩვენი დროის რაინდი იყო და აკი სიკვდილითაც დაამტკიცა ეს; – ქალაქ გორში, ცენტრალურ ქუჩაზე დღისით-მზისით გივის ახალგაზრდა უცნობი გოგონას გამტაცებლებთან მოუხდა შეტაკება. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ გოგონა დაიხსნა, მაგრამ იქვე, ქუჩაში მძიმე ავადმყოფობაგადატანილ მამაკაცს გულმა უმტყუნა, დაეცა და ველარც ადგა ფეხზე.

ეს მოხდა 90-იანი წლების დასაწყისში; 45 წლის წინ კი, რაც მოხდა, მინდა მოკლედ გავაცნოთ სინამდვილიდან აღებული ერთი პატარა ამბავი.

უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა კვირა დღეს ექსკურსია მოაწყვეს მცხეთაში, რათა დაეთვალიერებინათ ქალაქის ღირსშესანიშნაობები, სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრების დიდებული კომპლექსები.

ექსკურსანტებმა მოკლე, საცალფეხო, ციცაბო ბილიკები აირჩიეს მალლა ასასვლელად, რადგან ლაშქრობა უფრო საინტერესო და რომანტიული ყოფილიყო, სტუდენტებმა ექსკურსიის ხელმძღვანელად სპორტული აღნაგობის, საქართველოს მიწა-წყალზე და მის ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული, ტურიზმის დიდი მოტრფიალე ბორჯომელი გივი მაისურაძე დანიშნეს.

გივიმ შეარჩია ყველაზე ძნელი გზა, სვენებ-სვენებით, ნელი ნაბიჯით აუყვა აღმართს ოც-კაციანი ჯგუფი, ზევით ასასვლელად ეკალ-ბარდების გამოშვერილ ტოტებს იყენებდნენ.

გაურკვეველი ყვირილის გამო, რომელიც ჩიტისბუდესავით გადმოკიდებული ჯვრის მონასტრის მხრიდან მოისმოდა, ყველამ ზემოთ აიხედა, ადამიანთა ჯგუფი ვიწრო ხრამისკენ იშვერდა ხელებს და ყვიროდა...

სტუდენტებმა მიახლოებისას კარგად დაინახეს, რომ ხრამიდან ვიღაც საშველად ხელებს იქნევდა, ზევით ამოსვლას ლამობდა, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდა და ისევ უკან ვარდებოდა, გაჭირვებაში მყოფი დაახლოებით ორმოცდახუთი წლის ქალბატონი იყო, რომელიც ჩამორჩა ჯგუფს, გაერთო მინდვრის ყვავილების კრეფით და ხრამში აღმოჩნდა. — გივიმ ჯგუფს მიმართა — გზა განეგრძოთ, თვითონ კი ფრთხილად, ფოფხვა-ფოფხვით ქალის საშველად დაბლა დაეშვა.

ზემოდან შეამჩნიეს და გივის ომახიანი შემახილებით დაუწყეს გამხნელება. როგორც იქნა მიაღწია გივიმ გაჭირვებულამდე. მის თვალწინ იჯდა სიფრიფანა აგებულების, მიმზიდველი, ოდნავ ჭალა-რაშერეული, მომხიბლავი ქალბატონი, რომელსაც თმის ვარცხნილობა ოდნავ ასწეწოდა. მუხლის თავებზე და ხელის გულებზე სისხლის ლაქები ემჩნეოდა, ტუჩები უთრთოდა ნერვიულობისაგან და მკერდიდან არ იშორებდა ყვავილების თაიგულს...

გივიმ მეგობრულად გაუწოდა თავისი მძლავრი მარჯვენა და ინგლისურად მიმართა, გამომყევითო. ქალბატონმაც გაუწოდა ხელი. თავი დააღწიეს ხრამს და ვიწრო ბილიკს აუყვნენ.

ქალს დაღლილობისგან მუხლები ეკეცებოდა, მერე მთლად მოეშვა, დაძაბუნდა, აღარ შეეძლო უკვე მალლა სვლა; მაშინ

გივიმ დაიკაპიწა ხელები, ქალი ბუმბულივით აიტაცა და ისე აუყვა ძნელ ბილიკს.

გივიმ უნებლად გადააბარა თავისი „ნადავლი“ ინგლისელებს... თვითონ მორცხვად იდგა და ხმას არ იღებდა, გარშემო კი ინგლისელები და ქართველები შემოეხვივნენ, კოცნიდნენ, მხარზე ხელს ურტყამდნენ, უწონებდნენ ვაჟკაცურ საქციელს.

გაუთავებლად ჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატები, ყველა ცდილობდა ისტორიისათვის დაეფიქსირებინა მომხდარი ამბავი, ამბავი ბორჯომელი რაინდისა...

ვინ იცის, რამდენ ინგლისურ საოჯახო ალბომში დაიდო ბინა გივის ფოტოსურათმა. მისი საქმიანობა, მისი ცხოვრების ნათელი ეპიზოდები ხომ საამაყოდ გვაქვს მის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. თქვენ, თქვენც იამაყეთ, ბორჯომელებო!

1999 წ. 31/VII-7/VIII. №26



სამი მძლავრი ფენომენი

ლიტერატურა, კულტურა და ხელოვნება - ეს ის ფენომენებია, რომლებთანაც მჭიდრო (პროფესიული) თუ არა, ნორმალური ან თუნდაც მცირე (აუცილებელი) კონტაქტი მიზანშეწონილი და ფრიად სასარგებლო რამ არის ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიურობაში.

ხშირად გვსმენია ამათუიმ პიროვნების მისამართით ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: გაუნათლებელი, უზრდელი, უკულტურო, ხეპრე, უვიცი, უწიგნური და ა.შ.

სწორედ, ზემოდხსენებული სამი მნიშვნელოვანი ფენომენის ტოტალურ უგულველყოფას და მათდამი საოცარ გულგრილ დამოკიდებულებას მივყავართ, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთლიანად (დროთა განმავლობაში) საზოგადოების სულიერ

გალატაკებამდე და ერის დევრადაცამდე.

ვერც ერთი ერი (საზოგადოება, ქვეყანა) ვერ განვითარდება და ვერ მიაღწევს სასურველ სრულყოფას მხოლოდ წარსულით და ამ უკანასკნელის ბრწყინვალეობით და მასზე გაუთავებელი და უკვე მომაბეზრებელი აპელირებით.

ქართველობას „დათვური სამსახური“ გაგვიწია ყბადალებულმა გამოთქმამ (ფრაზამ, დევიზმა) - „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, რამაც საზოგადოების დამანგრეველის როლი შეასრულა წლების განმავლობაში და საერთოდ გამოფიტა და წალეკა ჩვენი შემეცნება, მსოფლმხედველობა და ყოფიერება - გავნებივრდით, გავყოყორდით, გავზარმაცდით, გაუბრალოვდით და მიუღებლად ამბიციურნი გავხდით. თვალი უნდა გავახილოთ, გამოვფხიზლდეთ და საღად შევაფასოთ ისტორიული რეალობა. სარგებლობის მეტს არას მოგვიტანს, თუ კი გავითავისებთ, რომ არსებობენ ჩვენზე ლამაზი ხალხებიც და ქვეყნებიც, რომ ბევრს ჩვენზე უფრო საინტერესო ისტორია, კულტურა და ხელოვნება აქვს, რომ ჩვენზე უფრო ლამაზი ბუნებაც აქვს და წარმატებული აწმყო და ა.შ.

მხოლოდ თვითმყოფადობის ორიგინალობაზე აგებული მრწამსი და მისგან გამომდინარე ილუზიური სამომავლო სასიკეთო პერსპექტივების დასახვა ბევრი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს მსოფლიოში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური (ზოგადად და საერთოდ), ტექნიკური და კულტურული პროგრესის ფონზე.

დღეს ჩვენს ქვეყანაში აშკარად და ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა დროის შესაბამისი განათლებული და გამოცდილი ადამიანების დეფიციტი. ტელევიზიამ და ტოტალურმა კომპიუტერიზაციამ რადიკალურად შეცვალა კლასიკური (წიგნზე დაფუძნებული) განათლებისადმი დამოკიდებულება, რასაც მოჰყვა საგრძნობლად უარყოფითი ძვრები კულტურისა და ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაში. „ამინდს ვერ ქმნის“ და ვერც შექმნის უცხოეთში სასწავლებლად წასული (რაც სულაც არ არის პანაცეა) რამდენიმე ათეული, თუნდაც ასეული ახალგაზრდა. მოკლედ რომ

ვთქვით, მიუხედავად ხელისუფლების მრავალმხრივი მცდელობისა და განათლების სისტემისათვის დაფინანსების სისტემატური ზრდისა - გაუნათლებლობა ჩვენს ქვეყანაში, ჩემი აზრით, კვლავ რჩება „აქილევსის ქუსლად“. ყოველივე ეს კი, დიდწილად, განაპირობებს: უვიცობის, უკულტურობის, უზრდელობის, დილეტანტიზმისა და სხვა უარყოფით გამოვლინებათა სიმრავლეს და მოზღვავებას.

მაშ, უპირველესი ამოცანა არის მაღალი დონის განათლებულობა და არა ათეულების, ან ასეულების, არამედ - ასეულ ათასების, ანუ რადგანაც ასეთი რაოდენობის სწავლის მსურველებს ვერ გავვზავნი საზღვარგარეთ - საჭიროა ადგილზე საზოგადოების მასიური განათლება თანამედროვე სტანდარტებისა და ეროვნულ მოთხოვნილებათა შესაბამის დონეზე.

ბავშვობიდან (გასული საუკუნის 40-60-იანი წლები) ჩაგვიჩინებდნენ და გამუდმებით გვმოდღვრავდნენ, რომ უკეთესი მომავლის გარანტია „სწავლა, სწავლა და ისევ სწავლა“ - რაც ცხოვრებამ არაერთხელ დაადასტურა.

მივესამლებით რა „გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის“ დაფუძნებას, მსურს აღვნიშნო, რომ ეს არ იქნება პირდაპირი დანიშნულებით სასწავლო ორგანიზაცია, მაგრამ ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ფართო პოპულარიზაცია (წესდების მიხედვით, კავშირის მთავარი პრიორიტეტი) უდავოდ აუცილებელ და ფრიად სასარგებლო ღონისძიებად მიმაჩნია.

ისლა დამრჩენია წარმატებული მოღვაწეობა ვუსურვო ახალ კავშირს, რომელსაც, ჩემი აზრით, ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება (განსაკუთრებით მოზარდი თაობისათვის) შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებასა და რესურსცენტრთან მჭიდრო ურთიერთკავშირით და მათთან ერთობლივი ძალისხმევით.

2009 წ. იანვარი, №1

სტალინს მოეხსნა კიდევ ერთი ბრალდება

ცნობილია, რომ სტალინს (მისი სიკვდილის შემდეგ) მიაწერეს ბევრი დანაშაული, მათ შორის მისი საყვარელი პარტიული მეგობრის, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სერგეი კიროვის მკვლელობა (1934 წ.).

თანამედროვე გამოკვლევებმა დაამტკიცეს ამ ვერსიის აბსურდულობა.

ყველაფერს კი ნათელი მოეფინა ასე: ვინმე მაქს დრაულემ მიაკითხა რუსეთის გენერალურ პროკურატურას და სთხოვა დაედგინათ, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები (იგი ბავშვთა სახლში გაიზარდა). დაიწყო გამოძიება, რომელმაც პროკურატურის მუშაკები მიიყვანა სენსაციურ დასკვნამდე.

როგორც ცნობილია, სერგეი კიროვის მეუღლე იყო მძიმედ ავადმყოფი და ამავე დროს უნაყოფო. კიროვი სხვა ქალებთან ურთიერთობაში ეძებდა გამოსავალს და მრავალი საყვარელი ჰყავდა. მათ შორის ვინმე მილდა დრაულე, რომელიც ცოლი იყო ლეონიდ ნიკოლაევისა.

კიროვმა რამდენიმე ინტიმური შეხვედრის შემდეგ მილდა და მისი მეუღლე ლეონიდი სამუშაოდ გადაიყვანა სმოლნის სასახლეში, რითაც გაინაღდა ახალ საყვარელთან სიახლოვე.

გამომძიებლებმა დეტალურად შეისწავლეს კიროვის სიკვდილთან დაკავშირებით 70 წლის განმავლობაში არსებული მასალები და ასევე კიროვის მუზეუმში დაცული მისი პირადი ნივთები.

აღმოჩნდა და დადასტურდა, რომ კიროვი მოკლეს საკუთარ სამუშაო კაბინეტში (და არა სასახლის ღერეფანში, როგორც ეს

ადრე იყო ცნობილი) 1934 წლის 1 დეკემბერს, მაშინ, როცა ის ინტიმურ განცხრომაში იმყოფებოდა მილდა დრაულესთან, მკვლელობა კი განახორციელა მილდას ეჭვებით შეპყრობილმა მეუღლემ, რომელიც „ნაგანით“ ხელში თავს წაადგა განცხრომაში მყოფ შეყვარებულებს.

ასე, რომ როგორც რუსეთის გენერალური პროკურატურის მასალებიდან ჩანს, სტალინს არავითარი შეხება არა აქვს კიროვის ვითომდა შეკვეთილი მკვლელობის ფაქტთან. მაქს დრაულე კი აღმოჩნდა მილდას შვილი.

2008 წ. 22-28/XII

ორიგინალური სიახლე

ამ ბოლო დროს ხელისუფლების (ცენტრალური თუ რეგიონული) წარმომადგენლები აფრთხილებენ ამათუიმ რეგიონის მაცხოვრებლებს: „ამადაამ თვის, ამადაამ რიცხვიდან თქვენს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ანტიკრიმინალური, ანტიკორუფციული და ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება. უმორჩილესად გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ მხედველობაში და საიმედოდ გადამალოთ მოპარულ-გატაცებული მანქანები, ნარკოტიკული ნივთიერებები და ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღი, ასევე წესრიგში მოიყვანეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთები. იმედი გვაქვს თქვენი სრული მხარდაჭერის“.

პატივისცემით – ანტიკრიმკორტერის მთავარი დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს მთავარი განყოფილება.

1999 წ.

მიწა შუმერთა

შუამდინარეთს ნისლი აწევს,
 ნისლი მტვრისფერი,
 შუმერთა ფუძეს აკანკალებს
 ცუდის ლოდინში,
 მიწის წართმევით ემუქრებათ
 მისი, მისტერი,
 აბორიგენებს აღარაფრად
 უღირთ ბოდიში.
 ნოეს კიდობანს არ მისტირის
 უწყის არავინ,
 ნავთი სწყურიათ, სისხლსა ღვრიან
 ნავთის გულისთვის,
 იანკი, ფრანგი, თურქი, ზანგი,
 რუსი, არაბი,
 ერთმანეთს ხოცვენ დაუნდობლად
 „ხათრით“ ცრუ მითის.
 არც ბაბილონის მშენებლობა
 ახსოვთ გოდოლის,
 ყურმოჭრილ მონად მოვლენილა
 ვინაც ცრუ ღმერთთა,
 მოხვეჭის, რბევის ურცხვი ჟინი
 არ სცნობს მოლოდინს,
 კალიებივით შესევნიან მიწას შუმერთა.

კრელო

ვის რა ხელი აქვს ჩემს კრელოსთან,
 გინდაც ჩემს მესთან,
 მე ჩემი გზა მაქვს ჩემი რწმენით,
 ჩემი ფიქრებით,
 ნუ მათანაბრებთ წყლის პირად მღვარ
 მტირალ კენტ ხესთან,
 მრავალთანა ვარ და ნუ ფიქრობთ
 ერთით ვითვლები.
 ვის რა საქმე აქვს ჩემ წარსულთან,
 გინდ მომავალთან,
 სიკეთისათვის მუდამ მზად ვარ,
 კვლავაც ვიქნები,
 ნუ გამატოლებთ, შემადარებთ
 ვინძლო მავანთან,
 ვისაც სამშობლოს ბედსიმძიმე
 დააქვს მიგნებით.
 დაბოლოს ვის აქვს ჩემ სინდისში
 ეჭვის უფლება,
 ყველა თავის თავს პატრონობდეს
 ხვალაც ეგები,
 კაცი ის არის, ვინც ხალხის ბედს
 ერთვის უკლებლად,
 კაცი მაშინ ხარ, თუ შენ მამულს
 მტლად დაელები.

2005 წ. მარტი, №3

სიგარეტის ღერი (ჩანახატი)

სახლიდან გამოსულმა გვიმ ბოლო სიგარეტს მოუკიდა, ცარიელი კოლოფი მოჭმუჭნა და იქვე მდგომ სანაგვე ყუთში ისროლა კალათბურთელის მოძრაობით.

სამუშაოს დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო და აუჩქარებელი ნაბიჯებით გაუყვა ორდღიანი წვიმების გუბებზე მოფენილ ფართო მოასფალტებულ გზას.

მზიანი დილა იდგა და სველ ასფალტს ორთქლი ასდიოდა აქა-იქ. მიხვეულ-მოხვეული გზებით გასწია ქარხნისაკენ.

ასეთი მარშრუტით დიდი ხანია არ ესარგებლა და ახლა გარშემო ბევრი რამ ეუცხოვა: აეშენებინათ ახალი სახლები, გზები მოეპირკეთებინათ, ერთ-ერთ პატარა გზაჯვარედინზე შუქნიშნები დაუდგიათ და სხვა. ყველაზე მეტად კი თვალში მოხვდა სავაჭრო პატარ-პატარა ჯიხურების სიმრავლე, რომლებიც ჯერ-ჯერობით დაკეტილი იყო. მხოლოდ ერთ ჯიხურთან ფუსფუსებდა საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი და ქოშებში შიშველფეხებგაყოფილი სანდომიანი შეხედულების ქალბატონი.

გივის გაახსენდა, რომ სიგარეტი გაუთავდა და ჯიხურთან შეჩერდა. ქალბატონმა ფული გამოართვა და ერთი კოლოფი სიგარეტი მიაწოდა. გივიმ შეამჩნია, რომ კოლოფს აღარ ჰქონდა გამჭვირვალე გარსაცმი: გაიფიქრა: „ალბათ კოლოფი გახსნილია და სიგარეტიც აკლდება“.

გივის ერთი განსაკუთრებული, თანდაყოლილი უნარი გააჩნდა – თვალის ერთი გადავლებით დაესახელებინა მრავალი საგნის ზუსტი რაოდენობა, მაგალითად დომინოს სათამაშო კოჭებზე აღნიშნულ რიცხვთა ჯამი, ცაში მფრინავი მტრედების ან მავ-

თულებზე ჩამოსკუპული ჩიტების რაოდენობა, საჯარიმო მოედანზე ფეხბურთელთა რიცხვი და ა.შ. ყოველივე ამას გივი აკეთებდა უბრალოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვალის ერთი გადავლებით. იგი საგნებს არც თითებით თვლიდა და არც ერთი-ორის თქმით. შეხედავდა და მორჩა – დაასახელებდა ზუსტ რაოდენობას, რითაც განცვიფრებაში მოჰყავდა ნაცნობ-უცნობი.

აი, ხლაც, გახსნა (ალბათ ერთხელ უკვე გახსნილი) კოლოფი და უცბად, დათვლის გარეშე, შეამჩნია, დიას შეამჩნია, რომ კოლოფში იყო სიგარეტის ცხრამეტი ღერი. ერთი ღერი აკლდა.

გაბრაზდა გივი, თავი მოტყუებულად და შეურაცხყოფილად იგრძნო. ვერ იტანდა ადამიანების თაღლითობას და უსინდისობას. ამგვარ საკითხებზე ხშირად ჰქონია კამათი ვაი გამყიდველებთან და ვერ წარმოედგინა ადამიანების ამგვარი სულდაცემულობა. განა რა უღირს ადამიანს ერთი ღერი სიგარეტი, რომ საიმისოდ სინდისი წაიწყმიდო და პატიოსნება გაჰყიდო. სულ ერთი ღერი სიგარეტი.

გივის (და ალბათ სიგარეტის ყველა მწვეველს) რამდენჯერ გაუწვდია კოლოფი მწვეველთა ჯგუფისათვის და არასდროს არ უფიქრია იმაზე, თუ რამდენი სიგარეტი დააკლდებოდა საწყის რაოდენობას. „არა, უნდა მივტრიალდე და რიგიანად გამოვლანძლო ის, ერთი შეხედვით, სანდომიანი ქალბატონი“.

„როგორ კადრულობთ, ქალბატონო, ასეთ უმსგავსობას“ შეუტია გივიმ. „რა დაგემართა და რას მიყვირი შე კაცი კაცო, ერთი ღერი სიგარეტის დაკლებამ ასე უნდა გაგანერვიულოსო“ მიაძახა ქალბატონმა და ახალი კოლოფი დაულო წინ.

გივი მალე მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა კამათს, დაავლო ხელი კოლოფს და გამწარებული თავის გზას გაუდგა. იქვე ახლოს გაჩერებული „ვოლგის“ ჩამოწეული ფანჯრიდან ვილაცამ გამოსძახა „ბიძა, თუ გაქვს, სიგარეტი მომაწვიე“ და ეტყობოდა, რომ მანქანიდან გადმოსვლაც კი ეზარებოდა. გივი შეჩერდა, ჯიბიდან დასანახად ამოიღო კოლოფი, გახსნა და დაელოდა. როგორც იქნა იკადრა სიგარეტის მთხოვნელმა მანქანიდან გადმოსვლა.

გივისკენ ზღაზვნით წამოვიდა მაღალი, გამხდარი აღნაგობის, წელში ოდნავ მოხრილი გუგებდასიებული ახალგაზრდა. მიუახლოვდა გივის და აკანკალებული წვრილი თითებით დაუწყო ჯაჯგური სიგარეტების შეკვრას. ორი ღერი სიგარეტი იქვე ჩაუვარდა ნაწვიმარ გუბებში, ერთი ცალი პირში გაირჭო და ჯიბეებში ხელების ფათურით გასწია მანქანისკენ ისე, რომ მაღლობის თქმაც კი არ განსენებია.



„კრასნი კოლა“ და სამი მუშაკეტერი

კვლევის ინსტიტუტის გადაღმა, ყოფილი პურკომბინატის გვერდზე იყო პატარა სასაუზნე თუ სასადილო. ამ სასადილოს თუ სასაუზნეს თავისი ნომერიცა ჰქონდა და უწყებრივი დაქვემდებარებაც, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ხალხმა ეს ობიექტი, მისი შეფის საპატივცემულოდ, „კრასნი კოლას დუქნად“ მონათლა.

რითი იყო ეს დუქანი ღირსშესანიშნავი? პირველ რიგში იმით, რომ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ხალხს. კიდევ იმით, რომ გემრიელი კერძები მზადდებოდა ამ დუქანში და მესვეურებაც თბილი და გულიანი მასპინძლობით იყვნენ ცნობილი. არავის სმენია, რომ ნიკოლოზ ალავერდაშვილის დუქანში ვინმე „გაეფცქენათ“.

განსაკუთრებული გულისხმიერებით „კრასნი კოლა“ კვლევის ინსტიტუტის ბიჭებს გვეკიდებოდა. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენი პატარა ხელფასის მეტი არაფერი გაგვაჩნდა და შეძლებისდაგვარად მხარში გვედგა. ჩვენც თვეში ორჯერ მოვინახულებდით ხოლმე მაღლიან დუქანს – ავანსისა და ხელფასის დღეებში და ისიც მოკრძალებულად: თითო მწვადი, თითო ბოთლი ღვინო, მორჩა და გათავდა. არც აყალმაყალი გვეხერხებოდა და არც

ბილწსიტყვაობა.

როცა კლიენტების შემოსვლა შეწყდებოდა, „კრასნი კოლა“ შიგნიდან ჩაკეტავდა კარებს, მოიტანდა რამდენიმე ბოთლ ღვინოს, გემრიელ საჭმელსაც მოაყოლებდა და ჩვენ სუფრას შემოუერთდებოდა ხოლმე, ამასთან მორიდებულად დასძენდა – ეს ჩემგან მოერთვას თქვენ მაგიდასო.

ასე ორდღობით გადიოდა თვეები, წლები.

...იმ დღეს, სამუშაოს დამთავრებამდე ერთი საათით ადრე შევცვივდით „კრასნი კოლას“ დუქანში ახმაურებული სიხარულით. „კრასნი კოლამ“ ცოტა გაკვირვებით შემოგვხედა და ეს გასაგები იყო – ეს დღე არ იყო არც ავანსისა და არც ხელფასის დღე. „კრასნი კოლას“ გაოცება რომ გაგვეფანტა, სასწრაფოდ განუმართეთ შექმნილი ვითარება. ვუთხარით, რომ მიტო კველიშვილის ოჯახში გაჩნდა ვაჟიშვილი და მთლიან ყურები ერთად ავუწიოთო.

გაიხარა და მოიღვინა „კრასნი კოლამ“. სულ მალე დუქანი შიგნიდან ჩაიკეტა და გვიან ღამემდე ვულოცავდით და ვეხვეოდით ერთმანეთს. ეს პირველი ვაჟი იყო „გერმანული ანგარიშის“ მოყვარულ ბიჭებში. იდგა 1968 წლის ოქტომბერი. ხელფასამდე ჯერ შორს იყო.

მეორე დღეს სამსახურში ერთხელ კიდევ ავუწიეთ ყურები მიტოს სხვების დასანახად. არ ჩანდა ანზორ გასიტაშვილი. იგი სამუშაოზე შესვენების შემდეგ გამოცხადდა და კი არ შემოვიდა ლაბორატორიაში, შემოგრიალდა ხმაურით და ზარზეიმით. მომილოცეთ, ოჯახში ბიჭი შეგვეძინაო. სიხარულმა აგვიტაცა ყველა. ანზორი ისევ სადღაც გაქრა, წასვლის წინ კი გაგვაფრთხილა: სამუშაოს შემდეგ „კრასნი კოლას“ დუქანთან მოდიოთ.

„კრასნი კოლა“ ჩვეულებრივი სითბოთი და მოფერებით შეგვხვდა, მაგრამ თვალების გამოძეტყველებაში ემჩნეოდა, რომ ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა. როდესაც ავუხსენით, დღეს ანზორს უნდა ავუწიოთ ყურებიო, აღტაცებით შემოჰკრა ტაში, ჩააფრინდა მას და გულით მიულოცა ბედნიერება. „კრასნი კოლა“ მალე შემოუერთდა ჩვენ სუფრას ტრადიციულ ქცეული გამოთქმით – ეს ჩემგან მოერთვას თქვენ მაგიდასო. კარები შიგნიდან ჩაკეტა და

გაჩაღდა სავაჟიშვილიანო სუფრა. ამჯერად ჰურმარლი მამლები ყივილამდე ვაგრძელდა.

სახლის კარები ის-ის იყო შევალე, რომ აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ვახტანგი ხარ? – დიან-მეთქი; ბიჭია, ბიჭიო, შემომახარა მნე ქალმა სამშობიარო სახლიდან.

„კრასნი კოლას“ გაცემას არ ჰქონდა საზღვარი – „ეხლა არ მითხრათ კიდე ვაჟიშვილი შეგვეძინაო“. სწორედ რომ ასეაო, ვუპასუხეთ ჩვენ. ვისაო, იკითხა და თან რაღაც ეჭვით გვიცქეროდა – ხომ არ მემასხრებიანო. როცა გაიგო, რომ ახლა ჩემს ოჯახში გაჩნდა ვაჟი, მოზღვავებული სიხარულით მეშვიდე ცაზე გადაინაცვლა, მაგრამ არც მიწიერი საქმე დაავიწყდა. ღუქნის კარები სასწრაფოდ ჩაკეტა შეინიდან, დაფაცურდა და თავისთვის ხმადაბლა ხშირ-ხშირად გაიძახოდა – ღმერთმა გამრავლოთ, ღმერთმა გამრავლოთ. ბოლოს თითი შემართა ღუქნის დაბალი ჭერისკენ და დამაჯერებელი ხმით გვაუწყა. „ღლეგანდელი სუფრის მასპინძელი მე ვარ!“

ხელფასამდე ჯერ შორს იყო.



მსოფლიო დონის ქართველი ფილოსოფოსი

პატიებას ვითხოვ მკითხველისაგან, თუ ერთხელ კიდე შევაწუხებ ბანალური ჭეშმარიტების შესხენებით, რომ დიდი და გენიალური ადამიანების აღიარება და დაფასება, ხშირ შემთხვევაში, ხდება მაშინ, როცა ისინი უკვე აღარ არიან ცოცხლებს შორის.

ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება გორის მკვიდრი მერაბ მამარდაშვილი. მას სიცოცხლეში არ ღირსებია ის დიდება და

პატივი, რასაც უდავოდ იმსახურებდა. უფრო მეტიც – იგი მიუღებლად კი მიაჩნდათ მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებიც არც მამარდაშვილის ფილოსოფიური აზროვნების დევნაზე და შეზღუდვაზე ამბობდნენ უარს.

მერაბ მამარდაშვილი მუდამ იყო ერთგული რაინდული სულისა, რაც ფილოსოფიის არსშია ჩადებული. ფილოსოფია მას ესმოდა, როგორც ადამიანებისაგან საკუთარი თავის აგების აქტი, ადამიანისადმი არცთუ მთლად კეთილად განწყობილ გარემოში. მერაბ მამარდაშვილი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერ ასცდა შეტაკებებს როგორც ხელისუფლების, ისე ბრბოს გუნება-განწყობილებასთან.

მერაბ მამარდაშვილმა მთელი თავისი შექმნილებებითი პოტენციალი გაიღო მსხვერპლად საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების დინამიკის შესწავლისა და განვითარებისათვის.

მერაბ მამარდაშვილი დაიბადა ფილოსოფოსად და თავისი, შედარებით, ხანმოკლე ცხოვრება-მოღვაწეობით მოიპოვა მსოფლიო აღიარება.

მერაბ მამარდაშვილს ეკუთვნის სიტყვები „...ხელის მიწვდენა ფიზიკური მეტაფორაა. აზროვნებაშიც იგივეა – მისწვდები, ან ვერ მისწვდები. ამიტომაც არსებობს სულიერი ცხოვრების ტექნიკა, ანუ ხელოვნება. ...აზროვნება არის ხელოვნება სულიერი ცხოვრებისა...“

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვია ნოდია წერს, რომ, რასაც მამარდაშვილი „უტრიალებდა“, იყო თვითონ „ფილოსოფია“, ფილოსოფიური აქტის გულისგული, რომელიც ერთია ნებისმიერი ფილოსოფიური სკოლის, თემისა, თუ მიმართულებისათვის და ურომლისოდაც ფილოსოფია, როგორც ასეთი, არ არსებობს“.

სამწუხაროა, მაგრამ მერაბ მამარდაშვილი, როგორც ინდივიდი, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მისივე სიტყვებით ვსარგებლობთ და ვიტყვით: „ისტორია არის პიროვნებისა და მისი თავისუფლების დრამატული ასპარეზი, სიუჟეტი, ან ქსოვილი სიუჟეტისა, იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორედ ვაგებთ ჰიპოთეზებს

ჩვენს საკუთარ მომავალზე და იმის არსზე, რანი ვართ და რა მდგომარეობაში ვიმყოფებით“...

მერაბ მამარდაშვილის მომავალი კი ჩვენ და ჩვენი შთამომავლობა ვართ, რომელთაც შეგვიძლია, ისეთ კაცს დავუდგათ ძეგლი, ისეთი კაცის სახელი მივანიჭოთ ქუჩას, მოედანს თუ სხვა ობიექტს, (მეზობლობის სინდრომი) რომლის ვინაობაზეც არაგორელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია არავითარი წარმოდგენა.

მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში ძნელია, სრულად წარმოვიდგინოთ მერაბ მამარდაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის რაობა და მასშტაბურობა, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ-ფილოსოფოსის ტიტული ბევრ რამეზე მეტყველებს.

ყველას აქვს საპატიო უფლება, იამაყოს ამ დიდი ქართველით, ეს არის უფლება ყველასი, გარდა მათი, ვის ხელშია იყო მერაბ მამარდაშვილის სახელის უკვდავყოფა და ეს ნაკლებად აწუხებდათ.

აპრილი, 2002 წ.

ჩაქრა კიდევ ერთი ვარსკვლავი

ადამიანის ცხოვრების განუყოფელი მცნებებია სასურველის წარმოდგენა, ოცნება და ფანტაზია.

თავისი არსებობის ისტორიაში რაზე არ უოცნებია ადამიანს, რას არ მისწვდომია მისი განუსაზღვრელი ფანტაზია, მაგრამ ყოველთვის უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ერთხელ მოსული, ასევე ერთხელ წავა და აღარ დაბრუნდება.

ყოველი ადამიანი, ამ ქვეყანაზე ერთია და ერთადერთი. მისი სრული მსგავსება არ ყოფილა, არ არის და არც იქნება.

ასეთი ერთადერთი და განუმეორებელი (გარეგნობით, შინაგანი სამყაროთი, ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობის ინდივიდუალური გამოხატვით და ა. შ.) გახლდათ ადამიანი, რომელსაც, მსურს, ამ პატარა წერილით დავემშვიდობო.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უმძიმეს წლებში, როდესაც ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა, უმნიშვნელოვანესი იყო ხალხის კულტურულ-სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ყოფის შემსუბუქება, რაშიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ როლს თამაშობდა ხელოვნება, კერძოდ, თეატრი.

ამ პერიოდში მოვევლინა თეატრალურ სცენას უმშვენიერესი და უნიჭიერესი მსახიობი როზა ცაბაძე. მოვევლინა და დაიპყრო კიდევ მაყურებელთა გულები. გასართობ საანახაობას მონატრებული ადამიანები ხარბად ეწაფებოდნენ როზას მიერ სცენიდან გადმოფრქვეული მარგალიტების სურნელებას და სულგანწმენდილი, ენერგიით აღსავსენი ბრუნდებოდნენ სახლებში უკეთესი დღეების მოლოდინში. დღეს ვერავინ დათვლის, თუ რამდენი საათი უჩუქებია როზა ცაბაძეს მაყურებლისთვის, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ასჯერ მეტი გაუნარჯავს როლის მომზადებაში. ყოფილა უძილო ღამეები, დროის დეფიციტი, ჩავარდნის შიში, უძწეობის ცრემლი, უკეთესის ჯიუტად ძებნა, კამათი, მაგრამ იყო ტაშიც, ალტაცების ოვაციები და სინარულის ცრემლებიც, მეგობართა შენიშვნებაც, მილოცვები და ჯილდოებიც.

ყოველივე ეს უხვად ჰქონია ქალბატონ როზას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თეატრალურ ცხოვრებაში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთი სპექტაკლის დროს, გვერდით მჯდომმა მითხრა: „დღეს ბედნიერი ვარ, რადგან მეუღლეს დავუჯერე და თეატრში წამოვედი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სულ დავძაბუნდი და დავითრგუნე. ახლა ვიწამე, რომ სიცოცხლეს აზრი აქვს და უნდა ვიცოცხლო მტრის ჯინაზე“. ვიკითხე: ვინ მოგცა ასეთი სტიმული მეთქი და როზა ცაბაძემო, მიპასუხა თვალეგაბრწყინებულმა კაცმა.

ღიან, როზა ცაბაძეს ჰქონდა უნარი და, სურვილი, რომ ადამიანებისათვის ერუქებინა სიკეთე, ღიმილი, შეეძლო, ფეხზე წამოეყენებინა მაყურებელი და ტაშის კვრით მოექანცა, უხილავი ძაფებით მის არსებაში გაეღვივებინა სიცოცხლის, ხელოვნების დაფასება, ბოროტის სიძულვისი, სამშობლოსადმი თავდადება, მეგობრობისადმი ერთგულება, ოჯახური სითბოს მოფრთხილება და

სიყვარული.

ადამიანები ბრუნდებიან ომიდან, შორეული ქალაქებიდან და ქვეყნებიდან, ხანგრძლივი ექსპედიციებიდან, მაგრამ ვეღარ ბრუნდებიან იმ გზიდან, რომელსაც სამუდამო სასუფევლისკენ უჭირავს გეზი.

ვეღარ დაუბრუნდება თავის საყვარელ ხალხს, ქალაქს, ახლობელ-ნათესავებს ქალბატონი როზა ცაბაძე, რომელიც მადლიერმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა 25 სექტემბერს.

ვეღარ მოილხენს და გაიხარებს ქალბატონი როზა თავის ოჯახში და ნაცნობ-მეგობრებში. მოაკლდება ქალაქს მისი მშვენიერება, სიცოცხლით სავსე, ენერგიული სჯა-ბაასი, მისი ვაჟკაცური სულისკვეთება, დაუოკებელი ლტოლვა სიყვარულისა და სიკეთისაკენ.

ამასწინათ ქალბატონი როზა ცაბაძის მეუღლემ, გორის საპატო და საამაყო მოქალაქემ, სახალხო არტისტმა ჩეკო ტატალაშვილმა დიდი გულისტკივილით მითხრა: „მარტო რომ ვრჩები ჩემი თავის წინაშე, მეჩვენება და მგონია, რომ ისევ აქ ზის, თავის ჩვეულ ადგილზე, თვალს არ მაშორებს და ისევ ისე მზერით მესაუბრება და მეფერება“.

ძნელია, ბატონო ჩეკო, ძალიან ძნელი.

თქვენ ზომ სამოცწლიანი ერთობლივი ოჯახის სითბოთი იყავით შედუღაბებული და მძლავრ ტანდემად ჩამოყალიბებული.

უამრავი როლი გითამაშია, ჩემო ჩეკო, მაგრამ პირველად გიწვევს ფრთამოტეხილი მეუღლის როლის განსახიერება და, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაართმევ თავს ამ, შენთვის, ალბათ, ყველაზე უფრო ურთულეს და მძიმე როლს.

არ გახარებულეყოს სარეველა ბალახი კიდევ ერთი ჩამქრალი ვარსკვლავის, ქალბატონ როზა ცაბაძის საფლავზე.